

მსა



ლიტერატურული ყურონალი

№ 3 (56)

მსა

2022



ოლე

მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთის“ გამოცემა

The Literary Magazine OLE

ჟურნალი გამოდის 2004 წლის ივნისიდან
ISSN 1512-3995

ოლე – ბრყენა, გინა მოგრძე ტყე ველთა შუა
სულხან საბა

ოლე – ახომი საჩრდილობლად დატოვებული
ხე
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ოლე – გიორგი ლეონიძის პოეტური შედეგები

მთავარი რედაქტორი

აკაკი დაუშვილი

რედაქტორები

ფარნა რაინა
ნუნუ ძამუკაშვილი

მხატვრული რედაქტორი

სოფიო ქელიძე

მისამართი: 2200 თელავი
ერეკლე II-ის გამზირი №6
III სართული
მობ: 555 46 44 29
მწერალთა ასოციაცია
„ლიტერატურული კახეთი“
მობ: 558 48 24 80

მასალების გამოგზავნა შეგიძლიათ
ელექტრონული ფოსტით
E-mail: akakidau@mail.ru

ჟურნალ „ოლე“ წინა ნომრების წაკითხვა
შეგიძლიათ საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე www.nplg.gov.ge —
ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელის“
ვებგვერდზე.



საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო



შემოქმედებითი
საქართველო
CREATIVE GEORGIA

ჟურნალის ეს ნომერი გამოდის
საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის
სამინისტროსა და
„შემოქმედებითი საქართველო“
ხელშეწყობით



№3, (56), 2022

ი ვ ლ ი ს ი



გამოდის სამ თვეში ერთხელ



„ოლე“ ლიტერატურული ჟურნალი



შინაარსი

თელავი – ქალაქი მდიდარი ისტორიით

2. გიორგი გოცირიძე. თელავის ისტორიის
ნარკვევები

მხატვრული ლიტერატურა

8. ვანო ჩხიკვაძე. გვირაბი. რომანი

30. ფარნა რაინა. კატრენები

36. ფიქრია ყუშიტაშვილი. ილბლიანი ანუ
3+1. პიესა

48. მარიამ კოზმანიშვილი. ლექსები

52. ნინო კამუკაშვილი. მარტია ძია და ვანო
პაპა. მოთხრობა

55. თინათინ თელაველი. ლექსები

57. ლანა მანველი. სად არის ბედნიერება.
რომანი

62. მაგლა ჩანძალიანი. ლექსები

64. სოფია შურასბელიანი. ლექსები

65. სათუნა გოზალიშვილი. მოთხრობები

გავშვებისთვის საკითხავი

72. ნუნუ კამუკაშვილი. ლექსები

ახალგაზრდული ჩანართი – „ნაბიჯი“

74. ქეთევან ჭანკოტაძე. ორი მინიატურა

თარგმანი

75. რომან სანჩინი. სურათებიანი ცელოფნის
პარკი. მოთხრობა

კრიტიკა-პუბლიცისტიკა

79. როინ ჭიკაძე. რეზო ინანიშვილის
„სალამოს ხანის ჩანაწერების“ ლექსიკურ-
ფრაზეოლოგიური სალამოს ხანის ჩანაწერები

გარეკანის პირველ გვერდზე
მხატვარი კახა გომიაშვილი.

ავტოპორტრეტი

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“



ბიორები გოცირიძე

ისტორიის დოქტორი,
პროფესორი



თელავის ისტორიის ნარკვევები

თელავის ისტორიის ნარკვევები

ნაწილი პირველი

„მივალ, მივალ, მივდივარ, მივალ, მიმიხარია,
ავალ, ავალ, ავდივარ, ავალ, ამიხარია,
ჩავალ, ჩავალ, ჩავდივარ, ჩავალ, ჩამიხარია...“

ეს, ერთი შეხედვით, მიამიტური სიტყვები ქართველ მწერალს, პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს, ყურნალ „ცისკრის“ რედაქტორს, ივანე კერესელიძეს (1829-1892 წწ.), ეკუთვნის, რომელიც გომბორის უღელტეხილის გავლით თბილისიდან თელავში მოდიოდა და ასე გამოხატავდა ჩვენს ქალაქთან მოსალოდნელი შეხვედრით მოგვირგო სიხარულს.

თელავის შესახებ ქართველი თუ უცხოელი ავტორების შეხედულებებისა თუ შთაბეჭდილებების გაცნობის საფუძველზე, დარწმუნებით შეიძლება განვაცხადოთ, რომ ივანე კერესელიძე ერთადერთი არ იყო, ვისაც მსგავსი განცდა ეუფლებოდა ამ ქალაქთან შეხვედრისას. ქართველი ხალხის დიდი მეგობარი, გერმანელი ქართველოლოგი არტურ ლაისტი წერდა: „ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან სავსე მთვარიან ღამეს თელავიდან აღმოსავლეთით ალაზნის ველს უნდა უყუროს, კეკლუცო კახეთო! ოქროსფერი ღვინის, სიხარულისა და სიამის ქვეყანავ!“

თელავზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ერეკლე II-ის შვილიშვილის, თეკლა ბატონიშვილის შვილის, ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ 1857 წელს დიდი სიყვარულით დაწერილ ნარკვევს „თელავი“, რომელიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ქალაქის მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისითაც. მასში ვკითხულობთ: „აბა, მივხედოთ თელავს, იმის მდებარეობა გავჩხრიკოთ. ეს მომალეო ვაკე ადგილი ღამაზე მუხასავით მოყვანილი... იტყვიან: ედემსა და სამოთხესა! მივიდეთ კახეთს და თელავის ქალაქის გადახედვის სიმალიდან, ჯერ პირდაპირ კავკაზის მთისკენ მივიხედოთ ჩრდილოეთისკენ, მას უკან მიმოვიხედოთ, ოთხივე კუთხე რაგვარ ბუნებას დავინახავთ. თელავია მაღალს ადგილზედ პატარა ქალაქი, გაშლილი ქვიშიან, წვრილქვიან და ვაკეზედ საშუალის შენობით მოფენილი თეთრი ეკლესიებით, თავის ქუჩა-ბა-

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ცოპონიმ თელავის შესახებ. სხვადასხვა მოსაზრების მიუხედავად (მაგ. სახელის წარმოშობა სომხური სიტყვიდან „თელ ავ“, რაქ ნიშნავს „თუ კარგია“) ქართული ისტორიოგრაფია, ძირითადად, იზიარებს ივანე ჯავახიშვილის ახსნას, რომ სახელი თელავი წარმოსდგება მქენარე თელასგან, რომლითაც ეს ტერიტორია იყო გამოჩენილი. ასეთივე მოსაზრებისაა აკაკი შანიძე. მისი აზრით, თელოების სიმრავლის გამო ამ ადგილმა მიიღო „თელნარის“, „თელიანის“ „თელ-ევ-ის“ („თელენი“), სახელწოდება, რომლისგანაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა სახელი თელავი.

გიორგი გოჩირიძე

ზრებით... თელავის ქალაქი მეტად მდიდარია საუცხოო ნეკროპოლით, სხვადასხვა ადგილებში გამოქვინარე და ჰაერი უკეთესი აღარ უნდა ინატროს ადამიანმა... ამ ხსენებულ ქალაქს წინ უდგას ჩრდილოეთის მხრისკენ ოთხი გალავანი ქვითკირისა თავისი ბურჯებით... ამ ოთხ გალავანში პირველი გალავანია დასავლეთის მხარეს, მეტად ძველი... ამ გალავნის დიდი ხევის გადმომლით მეორე გალავანია, პირველს გალავნიდან აღმოსავლეთისკენ თავად ყორჩიბაშვილებისა... მესამე გალავანი მეფეთა გალავნიდან აღმოსავლეთით, კვალად ხევის გადმომლით, უფრო დიდი ამ გალავნებზე: უფრო მკვიდრი შენობა და უკან სამხრეთისკენ მეოთხე გალავანია პატარა ხევის გალავით, რაშიც თვით პატრონები დგანან, თავადნი ვახვახიშვილები... ორთა გვართა ამათ, თავად ყორჩიბაშვილებსა და ვახვახიშვილებს, მოსაწონად უნდა ჰქონდეთ თავი, რომ თვითონ გალავანში დგანან და იქიდან გადაჰყურებენ მეტად მოსაწონ ბუნებას. ოთხი ესე გალავანი დგას ერთ ხაზზე მალლობიდან გადმომჭვრეტელი, დაბლა პირმომართული ჩრდილოეთის კავკაზის მთისკენ... ქალაქ თელავის უკან სამხრეთის მხარეს შეივლის წვრილი ტყიანი ვრცელი აღმართი; ამის დასასრული არის აშლილი ტყიანი მაღალი ცივის მთის ნაპირი, ღამაზი ღელეებითა და ხეებით ჩამოსული, საიდანაც ერთს რომელიმე თელავის მაღალი ადგილიდან (რომ ეძებოთ, იპოვიოთ) საამოდ ჩანს ის წვრილი ტყიანი აღმართი და აშლილი მაღალი ტყიანი ცივის მთა ხომ რა საკვირველია... რა თვალს გადაავლებოთ, დასავლეთის მხრიდან აღმოსავლეთისკენ, თვალისმიდევნებით დაინახება შორიდგან წამოსული ორასი ვერსი მეტი კავკაზის მთა.“

მაშ, რას წარმოადგენდა ქალაქი თელავი წარსულში, რომელიც აგრერიგად ალაფრთოვანებდა მნახველებს: ქართველებსა თუ უცხოელებს?

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანიც ესაა – არქეოლოგიური გამოკვლევების, წერილობითი წყაროების, ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და ისტორიოგრაფიული მასალის შესწავლა-ანალიზის



საფუძველზე მკითხველს მოვუთხროთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი, უმნიშვნელოვანესი და ულამაზესი ქალაქის – თელავის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ეტაპების, მისი როლისა და ადგილის შესახებ საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ჩამოვთვალოთ ის ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები, რომლებიც თელავის შესახებ საყურადღებო მასალას შეიცავენ. ადრეფეოდალური და ფეოდალური თელავის შესახებ მოგვითხრობენ: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, „მატიანე ქართლისა“, ჟამთააღმწერელი, პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“, დავით ბაგრატიონის „ახალი ისტორია“, ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობა“, იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“ და „კალმასობა“, ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა“, თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალი ისტორია“, XVIII ს-ის ისტორიული საბუთები; ქართული სამართლის ძეგლები, X ს-ის არაბი ისტორიკოსის ალ-მუკადდასის თხზულება, ჩილდრის ეიალეთის ჯაბა დავთარი, ჟან შარდენის „მოგზაურობა“, იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“. XIX ს-ის თელავის სოციალურ ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესასწავლად ფასდაუდებელია „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები“, „კავკასიის კალენდარი“, იმდროინდელი პრესის მასალები და სხვ.

ასევე, უნდა შევეხოთ იმ ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქალაქ თელავის ისტორიული წარსულის კვლევის საქმეში. მათგან გამოვყოფთ: პლატონ იოსელიანს, ალექსანდრე ხახანაშვილს, მოსე ჯანაშვილს, გიორგი ჩუბინაშვილს, ივანე ჯავახიშვილს, ექვთიმე თაყაიშვილს, სიმონ ყაუხჩიშვილს, ნოდარ ლომოურს, ლევან ჭილაშვილს, დავით მუსხელიშვილს, თენგიზ პაპუაშვილს, მარიამ ლორთქიფანიძეს, პარმენ ზაქარიას, ლევან რჩეულიშვილს, კიანო ფიცხელაურს, გიორგი ჯავახიშვილს, ვალერიან ელანიძეს, თეიმურაზ ვახტანგიშვილს, თენგიზ სიმაშვილს, თენგიზ აღდამიძეს და სხვ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ცნობილი არქეოლოგის, ცისანა ჩიკოიძის, ღვაწლი XIX საუკუნემდელი თელავის შესწავლის საქმეში. იგი ცნობილ არქეოლოგ გიორგი ლომთათიძესთან (1914-1971 წწ.) ერთად 1962 წლიდან ხელმძღვანელობდა თელავსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებს. კვლევის შედეგები მან ასახა 1979 წელს გამოცემულ წიგნში „ქალაქი თელავი – ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა.“ აღნიშნული მონოგრაფია დღესდღეობით წარმოადგენს სამაგიდო წიგნს თელავის ისტორიული წარსულის შესასწავლად, რამეთუ სხვა ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, რომლებიც, ხშირად, საკუთარ



გიორგი გოცირიძე

მეცნიერულ კვლევას ვარაუდებზე, მოსაზრებებსა და ლოგიკურ მსჯელობაზე აგებდნენ, ცისანა ჩიკოიძის მონოგრაფიას საფუძვლად უდევს მის მიერვე აღმოჩენილი მდიდარი და მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მასალა, გათხრების შედეგად მოპოვებული მატერიალური კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლები.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას ტოპონიმ თელავის შესახებაც. სხვადასხვა მოსაზრების მიუხედავად (მაგ. სახელის წარმოშობა სომხური სიტყვიდან „თელ ავ“, რაც ნიშნავს „თუ კარგია“) ქართული ისტორიოგრაფია, ძირითადად, იზიარებს ივანე ჯავახიშვილის ახსნას, რომ სახელი თელავი წარმოსდგება მცენარე თელასგან, რომლითაც ეს ტერიტორია იყო გამორჩეული. ასეთივე მოსაზრებისაა აკაკი შანიძეც. მისი აზრით, თელების სიმრავლის გამო ამ ადგილმა მიიღო „თელნარის“, „თელიანის“ „თელ-ე-ის“ („თელე-ბი“), სახელწოდება, რომლისგანაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა სახელი თელავი.

თელავის მოხერხებულმა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა გარემომ, შიდა კახეთისა და ქართლის ქალაქებთან უმოკლესი გზებით დაკავშირებამ, ორი მნიშვნელოვანი პროვინციის – კახეთისა და ჰერეთის საზღვარზე მდებარეობამ, მასზე გამავალმა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილის-ბარდავ-დარუბანდის სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალმა და ნიდაგის ნაყოფიერებამ განსაზღვრა მისი მომავალი ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

თავდაპირველად, ქალაქის ტერიტორიაზე ბუნებრივად წარმოქმნილმა პატარა და ლამაზმა გორებმა და ბორცვებმა, ქალაქის შემოგარენის ნაყოფიერმა ველ-მინდვრებმა უხსოვარი დროიდან მიიპყრო ადამიანების ყურადღება. სწორედ ამ ფაქტორების გამო აღნიშნულ ტერიტორიაზე პირველი სამოსახლოები ჯერ გვიანბრინჯაოს ხანაში, ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულში გაჩნდა, ხოლო შემდეგ მას მოჰყვა ადრერკინის (ძვ.წ. XV ს-დან), ელინისტური (ძვ.წ. IV ს-დან) და გვიანანტიკური ხანის (ახ.წ. I-III სს) ნასახლარები თუ სამაროვანი, რაზეც მეტყველებს თელავსა და მის შემოგარენში, დღევანდელი ვარდისუბნის, რუისპირის (არტოზანი), კურდღელაურისა (ფოხორაულები) და შალაურის (მარკანი) მიდამოებში აღმოჩენილი მდიდარი არქეოლოგიური მასალა.

ზოგადად შევეხოთ ქალაქის ტერიტორიაზე ადამიანთა განსახლების საკითხს სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში. კერძოდ, „ზუზუმბოს გორა“, რომელიც „ძველ გალავანთან“, „ღვთაების ბორცვთან“, „ფიქრის გორასთან“, „ბატონის ციხესთან“ ერთად, ქალაქის ძირითად ისტორიულ უბანს წარმოადგენდა, დასახლებული ჩანს გვიანბრინჯაოს ხანიდან. რკინის ისრისპირების განძის აღმოჩენამ „ღვთაების ბორცვზე“ ცხადყო ამ ტერიტორიაზე რკინის ხანის ნამოსახლარების არსებობა. აქვე დგას V-VI საუკუნეებში ღვთისმშობლის





სახელზე აგებული, დღესაც მოქმედი ეკლესია, რომელიც გ. ჩუბინაშვილმა უძველესი ბაზილიკური ტიპის ეკლესიათა ჯგუფში მოათავსა და საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა (და დღესაც წარმოადგენს) ქალაქის მთავარ რელიგიურ ცენტრს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ აღმოჩნდა შუაფეოდალური ხანის სამარხები.

გვიანფეოდალურ ხანას კი განეკუთვნება თავად ყორჩიბაშიშვილების ციხე-სიმაგრის ნანგრევები. ყოველივე ამან „ღვთაების ბორცვს“ თელავის ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი ნამოსახლარის სტატუსი მიანიჭა. გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის (ძვ.წ. XV-VI სს.) პერიოდებთანა დაკავშირებული ილია ჭავჭავაძის გამზირსა და ფიქალ-მარმარილოს ქარხანასთან აღმოჩენილი კერამიკა: ცალყურა ქოთნები და შვერილყურებიანი ქილა, რომლებიც მოყვანილობითა და ორნამენტით მსგავსია იორ-ალაზნის აუზში აღმოჩენილი შესაბამისი პერიოდის კერამიკისა. „ზუზუმბოს გორაზე“ აღმოჩენილ გვიანბრინჯაოს ხანის კულტურულ ფენას ზედ ადევს შუაფეოდალური ხანის ნამოსახლარი ფენები, რაც ხშირად გვხვდება კახეთის ძეგლების შესწავლისას და რაც მოწმობს, რომ აღნიშნული ტერიტორიები მუდმივად იყო დასახლებული.

გვიანანტიკური (ახ.წ. I-III სს.) ხანის ჭურჭელია აღმოჩენილი „ძველ გალავანსა“ და ქალაქის განაპირა ჩრდილო-დასავლეთით მდებარე „აჩინებულის“ უბანში, რაც ადასტურებს მათ დასახლებას წინარეადრეფეოდალური ხანიდან, ხოლო ქალაქის აღმოსავლეთით მდებარე „ფიქრის გორა“ ნადიკურის პარკის ტერიტორიით შუაფეოდალური ხანიდან ჩანს დასახლებული. ამის გაცხადების უფლებას გვაძლევს პირველ შემთხვევაში აღმოჩენილი ადრეფეოდალური ხანის სამაროვნის, ხოლო მეორე შემთხვევაში – შუაფეოდალური ხანის სამარხეული ნაშთები.

X-XI სს. განეკუთვნება „ძველი გალავნის“ ტერიტორიაზე არსებული ციხე-გალავნის ნაშთი და XVI-XVIII სს.-ის ეკლესია. უდავოა, რომ „ძველი გალავნის“ ტერ-

იტორია შუა საუკუნეებში ინტენსიურად იყო დასახლებული. „ფიქრის გორაზე“ შემორჩენილია XVIII ს-ის ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომელიც თავად ვახვახიშვილებს ეკუთვნოდათ.

XVII-XVIII სს-ში „ბატონის ციხის“ ტერიტორიაზე აშენდა კახეთის მეფეთა სასახლის კომპლექსი, რამაც ეს უბანი ქალაქის აქტიურ ცენტრად აქცია.

ანტიკური პერიოდის არქეოლოგიური მასალა, დოქები და ქილები, აღმოჩნდა თელავის ჩრდილო განაპირა უბანში, რკინიგზის მშენებლობის დროს, რომლებიც ძვ.წ. III-I საუკუნეებით თარიღდება. იმავე პერიოდს განეკუთვნება სოფელ მარკაანში (მალაურთან) აღმოჩენილი ქვესამარხების ნაშთები, სოფელ ვარდისუბნის დასაწყისში აღმოჩენილი კერამიკა და ნუმისმატიკური მასალა, პართული და რომაული ვერცხლის მონეტები, რომლებიც ძველი და ახალი წელთაღრიცხვების პირველ საუკუნეებს მიეკუთვნება.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად თელავსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნივთები, განსაკუთრებით კერამიკული ნაწარმი და მონეტები, ამ მხარის სტრატეგიული მდებარეობის (მაგ. ორი მნიშვნელოვანი რეგიონის საზღვარზე მდებარეობა, მასზე გამავალი მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-საქარავნო გზა) და მდიდარი ბუნებრივი პირობების (სასმელი წყალი, სამშენებლო მასალა, ხე-ტყე, ნაყოფიერი ნიადაგი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებისათვის) გათვალისწინებით, საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ აქ ყველა პირობა არსებობდა ამ ნასახლარების ბაზაზე სამოქალაქო ცხოვრების ჩასახვა-განვითარებისათვის – შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, სოციალური დიფერენციაცია, მოსახლეობის კონცენტრაცია.

ამ არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, შეზღუდული წერილობითი წყაროების არსებობის პირობებში, გააძლიერა იმ ქართველი ისტორიკოსების პოზიცია, რომლებიც თელავს ქალაქის სტატუსით ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეში უკვე არსებულად მიიჩნევენ-



ძველი თელავი



ნენ. კიდევ უფრო შორს წავიდა პროფესორი ვალერიან ელანდიძე, რომელმაც ქალაქ თელავის ისტორია უფრო ძველი პერიოდებიდან (ძვ.წ. III – ახ. წ. I ს.) დაიწყო.

ქართველ ისტორიკოსთა ეს ჯგუფი ეყრდნობოდა ახ.წ. II ს-ის ცნობილი ბერძენი გეოგრაფის, ასტრონომისა და მათემატიკოსის, კლავდიოს პტოლემეს (პტოლემეაოსი) (87-165 წწ.), ცნობას და ძველი რომის საგზაო რუკას ე.წ. თაბულა ეუტინგერიანა. კლავდიოს პტოლემეაოსი, რომელიც, უდავოდ, სხვა იმდროინდელ და უფრო უძველეს წყაროებსაც იცნობდა, თავის „გეოგრაფიაში“ ალბანეთის აღწერის დროს ასახელებს ქალაქ თელავი-თელედას, რომელსაც ძველის კომენტატორები და ქართველი ისტორიკოსები ს. ყაუხჩიშვილი, ნ. ლომოური, დ. მუსხელიშვილი, თ. პაპუაშვილი, ლ. რჩეულიშვილი და სხვები თელავთან აიგივებდნენ. მათ პოზიციებს აძლიერებდა თაბულა ეუტინგერიანა, რომელიც მნიშვნელოვან მონაცემებს შეიცავდა კახეთის/ჰერეთის ტერიტორიაზე გამავალი მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-საქარავნო გზების გასარკვევად ზოგიერთი პუნქტის ადგილმდებარეობის დასადგენად.

რუკის მიხედვით, აღმოსავლეთის დასავლეთთან დამაკავშირებელი ე.წ. „შემოვლითი გზის“ ტრასა კავკასიაში მინგჩაური-ხორანთიდან, ანაგა-ხირსა ნეკრესის გავლით თელავში ჩადიოდა, ხოლო აქედან გომბორის უღელტეხილით, უჯარმაზე გავლით – მცხეთა-თბილისში. ამ მოსაზრებას ჰყავდა და დღესაც ჰყავს ოპონენტები, რომელთა ნაწილი თელედას თელავთან კი არა, რუსთავთან ახლოს მდებარე თელეთთან აიგივებს (მაგ. ლ. ჭილაშვილი), ნაწილი კი მას კასპიის პირას მდებარე ქალაქად მიიჩნევს, რომელსაც არავითარი საერთო არ ჰქონდა თელავთან (მაგ. თ. ვახტანგიშვილი, თ. სიმამშვილი).

ქართველ მეცნიერთა ერთი ნაწილი (მაგ. გ. ლომთათიძე), XX ს-ის 60-იან წლებში თელავსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალის საფუძველზე, ქალაქ თელავის წარმოშობას ადრეფეოდალური ხანის პირველ ნახევარში მოიაზრებს, ხოლო ცისანა ჩიკოიძე თელავს გვიანანტიკურ ხანაში წარმოქმნილ ქალაქური ტიპის სამოსახლოდ მიიჩნევს, რომელმაც თანდათან განიცადა ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა, რაც დასტურდება ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლებით, საცხოვრებელი დარბაზებით, ქართული ასომთავრული წარწერებით დამშვენებული დეკორებით და საკუთარი მეურნეობით აღჭურვილი სამონასტრო ანსამბლებით, განვითარებული ხელოსნური წარმოებით, მაღალი დონის როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური კერამიკული ნაწარმით, ნუმიზმატიკური მასალით, რომელიც ქალაქს ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრად წარმოგვიჩენს.

ფაქტია, რომ ადრეფეოდალურ პერიოდში თელავი ხალხმრავლობით გამოირჩეოდა, რასაც სწორედ არქეოლოგიური მასალის მიხედვით ვასკვნით. იმ დროისათვის მისი მოსახლეობა, გვიანბრინჯაოს დროიდან მოყოლებული, ძირითადად, ცხოვრებას აგრძელებდა „ძველი ვალავისა“ და „ღვთაების ეკლესიის“ ტერიტორიაზე. მეცნიერები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ეს

ორი ბორცვი შესაძლებელია ჯერ კიდევ არ ყოფილიყო გაყოფილი თელავის ხევით. ჩრდილოეთით, მანანწრისა და აჩინებულის ტერიტორიაზე კი ქალაქის სასაფლაო უნდა ყოფილიყო, რასაც მოწმობს ქვის სამარხის ნაშთები ადრეფეოდალური ხანის ინვენტარით. შუაფეოდალურ ხანაში სასაფლაომ გადმოინაცვლა აღმოსავლეთით, დღევანდელი ნადიკერის პარკისა და ერეკლეს სასახლის მიდამოებში.

თელავის ეკონომიკურ წინსვლასა და დაწინაურებაში დიდი როლი შეასრულა მასზე გამავალმა სავაჭრო-საქარავნო გზამ თელავ-ერწო-უჯარმა-თბილისის უმოკლეს მაგისტრალზე და იმ ფაქტმა, რომ ქალაქი ამ გზით სავაჭრო ურთიერთობაში იყო ჩაბმული როგორც დასავლურ, რომაულ-ბიზანტიურ, ისე აღმოსავლურ, პართულ-ირანულ სამყაროსთან. ამას მოწმობს ქალაქისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა: ძველი და ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების სამი ვერცხლის მონეტა: ორი რომაული და ერთი პართული, ძვ.წ. II ს-ის მითრიდატე პართელის (ძვ.წ. 171-138 წწ.) მონეტა, ახალი წელთაღრიცხვის V-VII საუკუნეების ბიზანტიური და სასანური ირანის მონეტები. ასეთივე მრავალფეროვნებით გამოირჩევა XI-XIII საუკუნეები ნუმიზმატიკური მასალა: თამარ მეფის, დავით სოსლანის, რუსუდანის, დემეტრე II ის, ბიზანტიის იმპერატორების: კონსტანტინე X დუკას, იმპერატორ იოანე II-ისა და რუმის სულთან სელჯუკ ქეიქუბადის სახელით მოჭრილი მონეტები. ამ მასალის მიხედვით თვალნათლივ ჩანს, რომ ქალაქი თელავი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის როგორც შიდა, ისე საგარეო ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ამასვე ადასტურებს არაბული წყაროებიც, რომლებიც არაერთ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს თელავის შესახებ. X ს-ის არაბი გეოგრაფის, ალ-მუსადასის, თხზულებაში თელავი თებლას სახელითაა მოხსენიებული იმდროინდელი მახლობელი აღმოსავლეთის ისეთ დიდ და მნიშვნელოვან ქალაქებთან ერთად, როგორებიცაა: ბარდავი, შამახია, შარვანი, ბაქო, თბილისი და სხვ. ალ-მუსადასის ცნობით, თელავზე გადიოდა შუვეიდან (აზერბაიჯანი) თბილისისაკენ მომდინარე სავაჭრო გზა. აყვავებული ქალაქი თელავი 500 მაჰმადიანი ოჯახის ხელშია, თუმცა მოქალაქეთა უმრავლესობას ქრისტიანები შეადგენენ – წერდა არაბი გეოგრაფი. ეს ფაქტი ქალაქ თელავის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს და ხაზს უსვამს რამდენიმე საყურადღებო მომენტს: მის ცნობადობას მახლობელი აღმოსავლეთის დიდ ქალაქებთან ერთად, ქალაქის მოსახლეობის ხალხმრავლობას, მის ეთნიკურ მრავალფეროვნებას, სტაბილურობას, ეკონომიკურ ძლიერებასა და სიმდიდრეს. ცხადია, ამ ყველაფერს ქალაქი უცბად, დროის მოკლე პერიოდში, ვერ მიაღწევდა და ეს შედეგი უნდა ყოფილიყო განვითარების ხანგრძლივი პერიოდისა და პროცესისა.

ქართულ წერილობით ისტორიულ წყაროებში ქალაქი თელავი პირველად მოხსენიებული აქვს XVIII ს-ის სახელოვან ქართველ ისტორიკოსს ვახუშტი ბაგრატიონს (1696-1757 წწ.), XI ს-ში მიმდინარე





ამბებთან ერთად, კერძოდ, კახეთის სამთავროს მთავარი ქორიკოზის, კვირიკე III დიდის, მიერ სამთავროს ცენტრის თიანეთის „ბოდოჯის“ სასახლიდან თელავში გადმოტანასთან, აქ რეზიდენციის აშენებასთან, კახეთისა და ჰერეთის გაერთიანებასთან და მეფის ტიტულის მიღებასთან დაკავშირებით.

აღნიშნული მოვლენები XI საუკუნის დასაწყისში მოხდა. ვახუშტი ბაგრატიონთან ვკითხულობთ: „ხოლო გულგულას ქუთით, თურდოს ხევის სამხრით არს თელავი, რომელი ჰყო კვირიკემ, პირველ გამეფებულმა კახეთს და ჰერეთს სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973: 548). ვფიქრობთ, სწორედ ვახუშტის ეს ციტატა გახდა საფუძველი, მაგ., პლატონ იოსელიანისა და ალექსანდრე ხახანაშვილისათვის ქალაქ თელავის დაარსება IX ს-ში, შეცდომით, კვირიკე პირველისთვის (კახეთის მთავარი კორიკოზი 893-918 წწ.) მიენერათ. არადა, ვახუშტი წერს არა კვირიკე I-ზე, არამედ კვირიკე III-ზე (1010-1037 წწ.), რომელმაც გააერთიანა კახეთი და ჰერეთი და თელავში ააგო, „... სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი.“

თავად ვახუშტი ბატონიშვილი თელავს X ს-ში დაარსებულად მიიჩნევს საქართველოს სხვა ქალაქებთან ერთად, ე.წ. ახალქალაქობის პერიოდში, რაც არ უნდა იყოს მართებული სულ მცირე ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი X ს-ში მცხოვრები და, შესაბამისად, იმ ეპოქის თანამედროვის, არაბი მოგზაურის ჩანაწერებისა და XX ს-ში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის გათვალისწინებით.

ქართულ ისტორიულ წყაროებში თელავის მოუხსენიებლობა XI საუკუნემდე, შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ ქალაქი საუკუნეების განმავლობაში არ წარმოადგენდა პოლიტიკური მნიშვნელობის ცენტრს და, შესაბამისად, პოლიტიკური ისტორიის დანერისას, რაც ქართული წერილობითი წყაროების დამახასიათებელ შტრიხს წარმოადგენს, მისთვის ადგილი არ მოიძებნა. თუმცა, დარწმუნებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თელავი ქვეყნის ეკონომიკასა და კულტურაზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენდა, რასაც, როგორც აღვნიშნეთ, მოწმობს მისი გეოგრაფიული მდებარეობა, არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებული მრავალმხრივ განვითარებული მეურნეობის არსებობა, ხუროთმოძღვრული ძეგლების, ნუმისმატიკური და სხვა არქეოლოგიური მასალის სიმრავლე. ყოველივე ამან განმსაზღვრელი როლი შეასრულა თელავის პოლიტიკურ დანიშნულებაში, როდესაც შესაბამისი დრო დადგა. როგორც კი თელავმა XI საუკუნის დასაწყისში ჯერ კახეთის სამთავროს, ხოლო შემდეგ კახეთისა და ჰერეთის გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქის ფუნქცია შეიძინა, იგი უმაღლ მოექცა ქართული წერილობითი წყაროების ყურადღების არეალში.

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის ავანგარდში მყოფი კახეთის სამთავრო დიდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ აღმავლობას აღწევს XI ს-ის დასაწყისში. ამ პროცესს ხელმძღვანელობდა კახეთის მთავარი, ქორიკოზი კვირიკე III (1010-1037 წწ.) დიდი. მან კახეთის სამთავროს ცენტრი თიანეთის „ბოდოჯის“ სასახლიდან თელ-

ავში გადმოიტანა და მის ერთ უბანში, ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ააშენა „სასახლე, ვითარცა ქალაქი.“ მის სახელთან არის დაკავშირებული კახეთისა და ჰერეთის სამეფოს გაერთიანება და მეფის ტიტულის მიღება.

მეფის რეზიდენციის თელავში გადმოტანამ და აქ პოლიტიკური ცენტრის დაარსებამ უძველესი ქალაქი თელავი დედაქალაქის სტატუსში აამაღლა და სათავე დაუდო მის შემდგომ აღმშენებლობასა და გაზრდა-გაფართოებას. კვირიკე III-ის მიერ გატარებული რეფორმებიდან აღსანიშნავია ტერიტორიულ-ადმინისტრაციული, რომლის საფუძველზე გაერთიანებული სამეფო შვიდ საერისთავოდ დაიყო. სახელმწიფო საზღვარში მოექცა ჩრდილოეთ კავკასიის უდიდესი ტერიტორია: ძურძუკეთი და ლილივი (დღევანდელი ჩეჩნეთ-ინგუშეთი), ხუნძახი და დიდოეთი (დღევანდელი დაღესტანი). ამდენად, კვირიკე III-მ თელავი ქართულ-ჩრდილოკავკასიური სახელმწიფოს დედაქალაქად და საერთაშორისო რეზონანსის ქალაქად აქცია.

ამ პერიოდის თელავის შესახებ ქართულ წერილობით წყაროებში არსებულ ინფორმაციას ავსებს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალა. XX ს-ის 60-იან წლებში თელავში, მანანარისა და თელავის ხევებს შორის, ყადორის ბორცვზე და მის მიდამოებში მდებარე „ძველი გალავნის“ ტერიტორიაზე გაითხარა XI-XIII სს-ის ე. წ. ხელოსანთა უბანი (რიყის ქვითა და კირით ნაგებ შენობათა, კედლების, კერების, სამეურნეო ნაგებობებისა და სახელოსნოების ნაშთები), რომელიც ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარზე იყო გაშენებული და ციხე-დარბაზი, რომელსაც შემოვლებული ჰქონდა გალავანი, ნაგები თანაბარი ზომის რიყის ქვებით კირხსნარზე. გალავანი დათარიღდა X-XI სს-ით. ციხე-დარბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთით გამოვლინდა ნაგებობათა ნაშთები, რომელშიც გამოიყო სამი ჯგუფი: 1. თანაბარი ზომის რიყის ქვითა და ოთხკუთხა აგურებით დულაბზე ნაშენი კედლები (სიგანე 1,3 მ) 2. რიყის ქვითა და აგურით, კენჭოვანი დულაბითა და ქვის თანაბარი წყობით ნაგები კედლები (სიგანე 0,9 მ) და 3. თიხის ხსნარზე წვრილი რიყის ქვითა და ნახევარაგურით ნაშენი ნაგებობები. გამოიკვეთა მართკუთხა ფორმის დარბაზი სამი პილასტრითა და სამი ბურჯით. გამოითქვა ვარაუდი, რომ შენობა შესაძლოა ყოფილიყო ორსართულიანი და მას თაღოვანი გადახურვა ჰქონდა. ეს ნაგებობა ციხე-გალავნის სასახლის ნაშთია, რომელიც მოგვიანებით აღმართულ შენობებს დაუზიანებიათ. ციხე-დარბაზის მთავარი კარიბჭე გაჭრილი იყო სამხრეთ კედელში, რომლის გვერდით ოთხკუთხა ფორმის კოშკი იდგა. ამრიგად, „ძველი გალავნის“ ციხე-დარბაზი, რომელიც X-XI სს-ით დათარიღდა, ოთხივე მხრივ შეკრული ზღუდით, ორი კარიბჭით, სასახლით, ეკლესიით, რომლის ნაფუძარზე XVI ს-ში აღიმართა „გორიჯვრის“ ეკლესია, შიდა ეზოთი თავისი სამეურნეო ნაგებობებით, კახეთის ქორიკოზთა, შემდეგ კი მეფეთა რეზიდენციას წარმოადგენდა.

ციხე-დარბაზის სამხრეთით გამოვლინდა საცხოვრებელი ნაგებობებისა და კერამიკული სახელოსნოს — ქურის ნაშთები. სამეთუნეო ქურის კედელი ნაგები





იყო რიყის ქვითა და კირით; დადასტურდა კრამიტის ნატეხების ქვეშ ყვითელი, კირქვიანი და თიხანარევი, ოვალური ფორმის ნიადაგი, რომელსაც ამოჭრილი ფოსოები და პიტალო ქვით გადახურული „კარი“ ჰქონდა. ორი გვერდი რიყის ქვით იყო ამოშენებული. ის ამოვსებული იყო ცეცხლში დამწვარი ჭურჭლით, ნახშირითა და მიწით. მთელი ტერიტორია დანახშირებული ძელებით იყო მოფენილი. ქურის განათხარ მასალაში ორი პერიოდის კერამიკა გამოიყო: VIII-X სს-ის და XI-XIII სს-ის. ამ არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა, რომ ხელოსნებს ქალაქის ცალკე უბანში უნდა ეცხოვრათ და მათი წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთ დარგს მეთუწეობა წარმოადგენდა.

ამ არქეოლოგიურმა გათხრებმა შესაძლებელი გახადა შუაფეოდალური ქალაქის საზღვრების დადგენა: აღმოსავლეთი საზღვარი გადიოდა თელავის დღევანდელი ხევის მიდამოებში, „ღვთაების ბორცვის“ ჩათვლით, დასავლეთი – „მანანწრის ხევსა“ და „ზუზუმბოს გორაზე“, ჩრდილოეთი – აჩინებულის მინდვრებზე, ხოლო სამხრეთი – ცივ-გომბორის კალთებზე. მოსახლეობა, ძირითადად, აგრძელებდა ცხოვრებას „ძველი გალავნისა“ და „ღვთაების ბორცვის“ ტერიტორიაზე. სამხრეთ გალავანთან კვლავ ფუნქციონირებდა სახელოსნო და სავაჭრო ცენტრი თავისი ქარვასლებითა და ხელოსანთა საცხოვრებელი უბნებით.

თელავის მოსახლეობის ფართო ფენების საცხოვრებელი სახლები აშენებული იყო, ძირითადად, რიყის ქვითა და კირით, იშვიათად ოთხკუთხა აგურით, თუმცა ეს უკანასკნელი მასიურად გამოიყენებოდა მალალი სოციალური ფენის სახლებსა და სასახლეებში. ანტიკური ხანიდან მოყოლებული, შენობები ბრტყელი და ღარიანი კრამიტით იყო გადახურული, ხოლო საერო ნაგებობები შემკული იყო მოჭიქული შორენკეცით და გადახურული მოჭიქული კრამიტით.

ქალაქს ჰქონდა წყალსადენი, რასაც მოწმობს ხე-

ლოსანთა უბანში აღმოჩენილი კერამიკული მილები-საგან დამზადებული წყალგაყვანილობის ნაშთების არსებობა. ქალაქის მოსახლეობა ფართოდ იყენებდა ადგილზე დამზადებულ თუ შემოტანილ სამკაულებს, საყოფაცხოვრებო ნივთებსა და იარაღს: მოჭიქულ და მოუჭიქავ თიხის ჭურჭელს, ანგობით დაფარულ და ამოკანრული ორნამენტით შემკულ, ნითლად გაპრი-ალეზულ ჯამებს, ბადებს, ტუჩიან ლანგრებს, შავად და ნაცრისფრად გამომწვარ ორნამენტირებულ ქოთნებს, სასმისებს, ხელადებს, მინის სამკაულებს და სხვ.

XI-XIII საუკუნეების მალალტექნიკური და მხატვრული ნაწარმის არსებობა აშკარად მიუთითებს, რომ თელავში არსებობდა ხელოსანთა ორგანიზაცია, სადაც ადგილი ჰქონდა შრომის დანაწილებას, მის დიფერენციაციას. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა თხელკედლიანი სასმისებისა და მრავალფერადი ჯამების მასობრივი წარმოება. ხელოსნური წარმოების მალალი დონე კი თავისთავად მოიხზრებდა ვაჭრობის განვითარებას, თელავის ცხოველ სავაჭრო ურთიერთობებს როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის ქალაქებთან – ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებთან. ამ ურთიერთობების შედეგები კი, რა თქმა უნდა, დადებითად აისახებოდა და დიდწილად განაპირობებდა ქალაქ თელავის შემდგომ განვითარებას.

ამრიგად, წერილობითი წყაროებითა და არქეოლოგიური მასალით დასტურდება, რომ გვიანბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული, თელავმა გაიარა ყველა საფეხური ადამიანთა პირველი სამოსახლოებიდან დაწყებული, განვითარებული ფეოდალური ქალაქით დამთავრებული. სწორედ XI-XIII საუკუნეებში მიაღწია მან განვითარების უმაღლეს საფეხურს ჯერ კახეთ-ჰერეთის, 1104 წლიდან კი საქართველოს ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობის დროს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ვანო ჩხიკვაძე

მ
ლ
ა
ნ
ა
მ
ლ
ა
ნ
ა
მ
ლ
ა
ნ
ა
მ
ლ
ა
ნ
ა

„გინახავს, კარე თუ ქალი, თავისზე ლამაზს, მხარ-
ბეჭიანს, მურით რომ შეპყრემს?.. თუ შემთხვევა მიე-
რა, მუნებინ ნანყალობრეც უპირატესობას არ აპატიებს...
სრულყოფილებას ებრძვიან, თომა! ღუფამინარ სრულყო-
ფილი ჩავიძარეთ და ნახე რას უშვრებიან, როგორ იტა-
რებენ, ჭრიან და აქურმაჯრებენ, ახალ-ახალი საზღვრების
ჭრილობებით ამახინჯებენ... თუმეა, რად გვიკვირს, აგერ,
გუშინ არ იყო, იორდანეში მონათლოული სრულქმნილებს
არ დაინდეს!.. რას უშლიდათ, ევლო და ექდაგა კართა
მოდგმისათვის, მაგრამ ვის უნდა მინაზე მოსიარული
ღმერთი... ან მხარზე ხელს გადახვევენ და გაიტოვს-
ნორებენ, ანდა... ფერდში მუშის ძვერება რაღა იყო!..“
ვანო ჩხიკვაძე



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №2, 2022 წ.

ბპირაბი

(რომანი)

* * *

წყალბროლას ხეობაში პიკნიკის მეორე დილას, ტრასაზე ხელგანვიდის დიდხანს ლოდინი არ დამ-ჭირვებია – მიკროავტობუსმა ფეხებთან დამიმუხ-რუჭა და ზურგჩანთაგადაკიდებული, სატრენინგოდ ლიხს იქით გავემართე.

სალონში სიხალვათე იყო, რაც ძალიან მესიამ-ოვნა და რასაც ვერ ვიტყვოდიტ მძლოლზე. ალბათ, ამიტომ მგზავრების სიცოტავით გაგულისებული მი-აქანებდა აწყვეტილ მიკროავტობუსს. თითქოს ჯავრს ჩვენზე იყრიდა და მალალ ხმაზე ჩართული, ვითომ სიმღერებით, ყურის ბარაბნებს გვიხვრეტდა.

გაბეზრებულმა მგზავრებმა აქეთ-იქიდან შეუ-ძახეს, შოფერ, ან ჩვენ დაგვასვენე, ან მომღერლები, შეგვიცოდეთ ჩვენც და ისინიცო.

არ ვეცოდებოდიტ, არა, თორემ შეისმენდა ვე-ღრებას.

დაკოპილმა გაზს უფრო მიაჭირა, წინ მანქანა აღარ გაუშვა, ვიდრე ბავშვიანი ქალი არ წამოუფრინ-და:

— ვინ ხარ, ბატონო, თავი რომ აიგდე, დაგვანყვიტე მთელი გზა ნერვები!.. ბილეთი იმიტომ ავილე, ფული იმიტომ გადავიხადე, შენც და შენმა რა-დიომაც ხმას რომ დაუნოთ და წყნარად იარო. მარ-ტოს კისერი და კინჩხი გიტეხია, მაგრამ ადამიანები მიგყავს, საქონელი ხომ არა?!

ბავშვიან ქალს სხვა ქალებიც ნახემარნენ.

მოიხედა, აღრენილმა, თუთუნისფრად ჩაყ-ვითლებულმა თუ მზემოკიდებულმა მძლოლმა, მა-გრამ ვეფხვივით წამომართულ, თვალეზგაცეცხ-ლებულ დედაკაცებს რომ გადაანყდა, ველარაფერი თქვა, სიჩქარესაც დაუნია და რადიოც გამორთო. ახლა სულ დაგვაყრუაო, აღნიშნა, მცირე ხნის შემ-დეგ, მობილურს ჩაჩერებულმა ჯეეღმა, მაგრამ მის რეპლიკას არავინ გამოხმაურებია, მითუმეტეს, მძ-ლოლი არ მიიტანდა გულთან, ოღონდ ჩვენ გავლი-

ზიანებულებავით და რადიო-ტელევიზორს, ალბათ, აღარც შინ ჩართავდა.

ცოტა წამთვლიმა, ასე ოთხი-ხუთი წუთი.

უცებ მძლოლმა გვარიანად შეგვაჯყავყავა, ორ-მოსთვის რომ აერიდებინა მიკროავტობუსი. მაშინვე ვჭყიტე თვალი და გარეთ გავიხედე.

ხეობის მაჯაზე ლურჯი სისხლძარღვივით დაკ-ლაკნილი რიკოთულა ძირულას ერთვოდა. ეს ერთ-მანეთს შერწყმული, ხელიხელგადახვეული მდინარეე-ბი ჩვენთან ერთად აგრძელებენ გზას.

მერე მარცხნივ უბისა, მარჯვნივ – ღორემა. ბოძზე გაკრული ორი ტრაფარეტი გამცნობს: ღვთის სახლამდე ერთი კილომეტრია (პირჯვარს ვისახავ!), ეშმაკეულამდე – ექვსი (!)

ან აქეთ, ან იქით, მესამე გზა არ არსებობს.

გავიარეთ შრომა,

ძვლები გაითომა.

აკი ვთქვი, რითმა რას არ ჩავადენინებს – გაგან-ია სიცხეში, რითმა რომ არა, მსგავს სისულელეს ხომ ვერ ვიტყოდი?

გათომა კი არა, ქართულ ჭურჭელს რომ ვუყურებ, ყოველ ავლა-ჩავლაზე, წელიწადის რა დროც უნდა იყოს, ყველაფერი მითბება.

ახლაც უცხოელები მისევიან, ათვალეირებენ, ყიდულობენ, მიაქეთ და ვინ იცის, სად აღარ მოგზაუ-რობს ქართული თიხა.

ვანიამ თუ გაგვეკოთა

ველარ გაყიდის ქოთანს,

ვეროკავშირის დრომას

არ დაიკიდებს შრომა.

ან დაიკიდებს სადაც ჯერ არს, თუ საქმე ნამეტანი გაჩმახდა!

როგორც უდაბნოში ზურგჩანთიდან ყინულით დაორთქლილი წყლის ბოთლის ამოღება, ისე მანცე-ვირებს და მაფორიაქებს რაღაც, ოღონდ, ვერ გამი-გია, რა! იქნებ ყველაფერი, ერთად აღებული, ის სას-



ნაულია, სამშობლოს გრძნობა რომ დაარქვა პოეტმა!
ადამიანი, ასაკით რაც უფრო პატარაა, უმწეო,
თავს მეტად გაყვარებს. ჩვენი სიყვარული რომ გა-
მოსცადონ, ალბათ, ამიტომ დაგვიცოტავეს ისედაც
პატარა სამშობლო – დილიდან საღამომდე, თავიდან
ბოლომდე მოიღვე.

აბა, იანკმა და რუსმა, იმხელა პრერიები და
ყინულებიდან უდაბნომდე გადაჭიმული სივრცეები
როგორ უნდა შეიყვარონ, მითუმეტეს, თუ ეს ყვე-
ლაფერი, თავის დროზე სხვისი იყო და მიტაცებისა
და მათი დამონების ხარჯზე დაეპატრონენ...

მარჯვნივ სოფელი „ნევა“ –
სიმონ ნეველი,
იყო მწვეელი?

იქნებ იყო და მე არ ვიცი, ბავშვობაში, სხვების
გადაგდებულ „ბიჩოკს“ მაინც არ გაუსინჯავდა გე-
მოს?!
ლანდივით ადევნებული, სიცხით დაღუული
მდინარე მოგვდევს, მოგვდევს, თუ ჩვენ მივდევთ
ხეობაზე შემოჭრილ, დაკლაკნილ ვერცხლის ქამარს.
მასხენდება პაპაჩემის ვერცხლის ქამარი – სად-
მე სტუმრად მიმავალი, პირს რომ გაიპარსავდა, დი-
დვიბებეიან, შარვალზე გადმოშვებულ ხალათზე შემ-
ოირტყამდა ხოლმე. ქამრის ბალთებზე ორნამენტები
იყო ამოტიფორული, ერთმანეთში ჩახვეული, მომ-
რგვალებული ნაჭდევებით მოხატული ჩუქურთმები.
მეტყოდა ხოლმე, მამაჩემის ნაქონიაო.
ზოგჯერ ქამრით მეც დამამშვენებდა და კმაყო-
ფილი შემატრიალ- შემომატრიალებდა, აბა სარკეში
ჩაიხედე, როგორი ბიჭი დადექი, მე რომ აღარ ვიქნე-

ბი, ეს შენი უნდა იყოს, შენ უნდა ატარო.

როცა გარდაიცვალა – უკვე სტუდენტი ვიყავი,
დამწუხრებულს, ქამარი როგორ გამახსენებოდა!
მოგვიანებით, როცა მოვიკითხეთ, ველარ მივაგენით,
კვალმინდად გაქრა...

ეტყობა, ვილაც შინაურმა აგვნაპნა!

* * *

მძლოლს რატომღაც დაავინყდა, ქალებმა რომ
დაანოკეს და ძველებურად აინყვიტა, შემოიხია თუ
რამე ეცვა, ისე მიაფრენდა მოხვეულებში მანქანას.

ვინაა ეს ტვინნაღრძობიო, გადაულაპარაკეს
ერთმანეთს ქალებმა და ისევ შეუტყეს.

რისი გემინიათ, თვალდახუჭული ვივლი, ამ
გზაზე დავბერდი კაციო, დაამშვიდა სალონი მძლოლ-
მა.

კი, ბიძია, გასაგებია, ნუთისოფელი რომ
მოჭამეთ, მაგრამ გვაცალეთ, ნუ გაგვისტუმრებთ
ნაადრევად, ჩვენც ხომ გვინდა დაბერებაო!

* * *

მძლოლი რიკოთგადმოღმა და სპლიყვი მსმენელ-
თა გარემოცვაში მიერეკებოდა თავისას:

— იცით, რა არის ამერიკული უნივერსიტეტი?
სადაც ებრაელი ლექტორები ლექციებს უკითხავენ
ჩინელ სტუდენტებს...

ამ ანეკდოტის თუ ხუმრობის ნახევარიც რომ
სიმართლე იყოს, რეალობას ასახავდეს, გამოდის,
მარტივად ამოსაკითხი სამკუთხედიდან, ჩინეთიც და
ამერიკაც სავალალო დღეშია, სამაგიეროდ, კმაყო-





ფილი და გამარჯვებულია ებრაელი ლექტორი. არა, მოსეს ქარავანს ჩამორჩენილი, ისააკის მსხვერპლშენივას გადარჩენილი ბატკნის ცოდნასა და კომპეტენციაში კი არ მეპარება ეჭვი, მეზრალეა ჩინელი მშობელი, რომ ჰგონია, ამერიკაში ასწავლის შვილს და, ასევე ამერიკელი – უნივერსიტეტში თავისი არც აღმზრდელი რომ არ ჰყავს და არც – აღსაზრდელი.

ასეთია კაცობრიობის დიდბატონების ხვედრი – ისე არიან დაკავებული სხვათა პრობლემების მოგვარებასა და მათთვის ახალ-ახალი თავსატეხების გამოგონებაში, რომ საკუთარი გემის ფსკერზე გაჩენილი ნაბზარების ამოვებისთვის, საიდანაც უკვე წყალი ჟონავს, ვერ იცლიან...

ეს ჩვენი სპლიყვიც, დაბადებით ქართველი, ახლა უცხოთა ტომის ემისარი, სწრაფი კვების ობიექტების ცხოველური ცხიმებით, სანელბლებით, არომატის ინგრედიენტებით, ბუნებრივი, იდენტური საღებავებით, კალიუმით, ვიტამინების ჯგუფით და სხვა და ასე შედეგ კუჭის მამებელი საშუალებებით გაფუჭებული – ჩვენი დროის ალტერნატიული ქვეყნიდან მოვლინებული მოციქულია, ჩვენში ფუნდამენტური მოძღვრების, „ფულია ღმერთი“, თითო მარცვალი მაინც რომ გააღვივოს, ასე ვთქვათ, დაგვატრენინგოს, რათა ნამდვილი შემოქმედი დაგვაგინოს და გამომგზავნიც კმაყოფილი ჰყავდეს, მასწავლებელიც და ის ვილაცაც, ხილული თუ უხილავი, ვისიც „არ ითქმის სახელი“.

– გენდერული ასპექტი – ვიფიქროთ შედეგებზე... მაგალითად, ქუჩებზე ზემოდან გადასასვლელი ხიდების მშენებლობა... ახლა პოპულარული რომაა, განსაკუთრებით, დედაქალაქში... ვინ გამოიყენებს მათ? კი, მძღოლებს გაუადვილებათ მოძრაობა, მაგრამ ბავშვებს, მოხუცებს, ინვალიდებს? ცივ, ქარიან, წვიმიან ამინდში... თოვლშიც, მითუმეტეს... კი ბატონო, ვერც სხვა კატეგორიის მოქალაქეებს მოხიბლავენ... ასე რომ, ძალიანაც რომ მოვიწოდოთ, ყველა წესი და ეტიკეტი დავიცვათ, მხოლოდ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება არ კმარა.

საიდან სადაო, წმინდაო საბაო, მაგრამ იცის, ყველანაირ ნაბოდვარს უპროტესტოდ მიიღებენ საკრებულოებიდან, თვითმმართველობებიდან მოფრენილი პირლია შოშიები. მოკლედ, მჭამელმა ჭამოს! ვერ შეირგებს, გულს წამოაზიდებს თუ რა! შესვენებამდე სპლიყვს სხვათაშორის გაახსენდა – ჩეხეთის ერთ სოფელში რომ ჩადიოდნენ, ტურისტებს საქონლის სუნი აწუხებდათ; ამიტომ უარს ამბობდნენ იქ ცხოვრებასა და ბინების დაქირავებაზე... შეიკრიბნენ სოფლელები, ბევრი იფიქრეს თუ ცოტა იფიქრეს, გადანყვიტეს, მესაქონლეობის ნაცვლად, ტურიზმი განეფითარებინათ.

ასეც მოიქცნენ, საქონელი ან დაკლეს ან მეზობელ სოფელს მიყიდეს და სამ თვეში საოცრება მოხდა – გასუფთავებულ სოფელს მოაწყდნენ ტურისტები. ამით ისარგებლა მეზობელმა სოფელმაც – რძის ნაწარმი ხომ სჭირდებოდათ ტურისტებს!.. როცა მაღალი შეგნება და გენდერული მგრძნობელობა,

გამოსავალიც გამოიძებნებო, – სპლიყვა საათს დახედა, სადილობის დრო იყო და, ეტყობა, კუჭმა შეახსენა თავისი მგრძნობელობა...

ა, ბატონო, საქართველოსთვის გზა ხსნისა, რამდენი წელიწადია, სიღარიბის ხაროში აქეთ-იქით ვანყვებით და აგერ, სპლიყვა გამოსავლისთვის მარტივად არ მიგვაგნებინა?.. რა იყო, ან აქამდე რატომ გვიმაღავდა მთელი ქვეყანა, ნიშადურმოსმულივით ხომ არ გაიქც-გამოიქცვოდა?!

ძლივს ნაბოძებ დემოკრატის ნეხვის სუნს ვერ ავაქოთებინებთ! ქათმის სკინტილი, გოჭის ჭყვილი და ფურდელის ზმუილი გვინდა?! მოვიწოდოთ და გაუჩინელს გაგვიჩინენ! არა, გემოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ ოყიან თოხს რომ აღარ იქნევ, წამოგორდები მხარეთქოზე და ვირტუალურ, დასვირინებულ ლამაზ ქალებს მობილურით ლოგინში ჩაიგორებ...

ТЫСТО! – ამის წარმოდგენაზეც კი შემაჟრჟოლა! ჩემი სახელდახელო გაანგარიშებით, საქართველოს მეოთხედმა საქონელი რომ იყოლიოს, დანარჩენმა – ტურისტები, ჩვენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხული! ჯერ კიდევ სულ რაღაც დღენახვერის წინ, შორაპანს რომ ჩავუქროლეთ, სპლიყვის შემოთავაზებულ გადარჩენის სხივზე ოცნებაც არ შემეძლო.

„ისე გახდა შორაპანი, არ უნახავს შორაპანი“.

ოჰ, ოჰ, შეიძლება იმერეთის „თვალს“ ისე ჩაუარო, შორაპანის უკვდავმა საგმირო საქმეებმა თავი არ შეგახსენონ?!

პანი (ელეგანტური, კულტურული, ნაკითხი და შეხედული კი იყო), ციხეში შესუმრებულმა პოლონური წარმოშობის ქურდმა შეარქვა.

ეპიზოდები შორაპანის ცხოვრებიდან, ომისშემდგომი იტალიური კინოს რეალისტურ მიმდინარეობას დაამშვენებდა, ანა მანიანი, ვისკონტი ან ტოტო რომ გვყოლოდა. ეს ის პანია, საქონწინო მოგზაურობაში წასული, საერთაშორისო ვაგონის ორადგილიანი კუპედან, ახალმერთულ მეუღლეს რომ გაეპარა და მისი მოზრდილი, ფულითა და სამკაულებით გაძეძგილი ხელჩანთა თან გაიყოლა.

აბა, ამ ეპიზოდს, რომელ ფილმი არ მოიხდენდა, „კაბირიას ღამეების“ ჩათვლით.

არა, გარეგნულად, ქალი დიდი არაფერი, ასე იოლად ჟორა რომ მოეხიბლა, თვალი და გული შევარდნოდა, მაგრამ ცნობილი სამშენებლო ტრესტის მთავარ ბუღალტერს, შეხედულება და მონყვეტილი ვარსკვლავობა სულაც არ სჭირდებოდა – ასაკით არცთუ ქორფა, გაუთხოვარი ქალბატონი, ჩანოლილი სიმდიდრის ქვეშ გმინავდა. კაცილა აკლდა და კაციც გამოჩნდა

– ერთმანეთს ტრესტის მთავარი ინჟინრის დაბადების დღეზე გადაეყარნენ და, რუსეთს დროებით გამორიდებულმა, ახალჩამოსულმა რომეომ, თითებზე, ყელსა და ყურებზე ასხმული ბალჩა-ბალები რომ იხილა, მეორე დღესვე სახლში მიადგა სისხლისფერი, დაცვარული, ტანწერნეტა ვარდებით, ცივი შამპანურით და... აღარც წამოსულა.



შამპანურის საცობმა ძვირფას-რემონტიანი ოთახის ჭერს რომ მიუკაკუნა, ჟორა-პანი უკვე ორკარატიან ბრილიანტს კოცნიდა თუ ყურის ბიბილოს, ამის განსჯის, დაკვირვების უნარი, ვნებააშლილ, თვალმილულულ მომავალ საცოლეს უკვე აღარ ჰქონდა!

არადა, სტაჟიანი ეკონომისტი ქალბატონის ცივისსხლიან ალლოს კაცის ზედმეტ მონდომებაში, სიყვარულის შორისდებულებში, ეგებ ყალბი ნოტიც აღმოეჩინა და ეშმაკისთვის შეეფურთხებინა.

ორი კვირის თავზე, სამსახურიდან დაბრუნებულ გულისნორს, ჩქარი მატარებლის ბილეთები დაახვედრა – ლენინის ქალაქში სასტუმრო უკვე დაჯავშნე და საქორწინო მოგზაურობაში უნდა წავიდეთ, იქ გაავარძელოთ ჩვენი თავლობის საუკუნეო. თან გააფრთხილა, ხომ ხედავ ბინებს პანტა-პუნტით ტეხავენ, ძარცვავენ, თუ რამე ფასეული გაქვს, წამოიღე, ჩვენი ქონება ჩვენთან იყოს, უფრო მშვიდად ვიქნებითო.

ამანაც წაიღო.

ორკაციან კუბეში შეიბუდეს, შეიკეტნენ და მხოლოდ სადილად გამოდიოდნენ.

რა თქმა უნდა, როგორც ჯენტლმენს ეკადრება, დანახარჯს მხოლოდ თვითონ იხდიდა და თვალის არ გაქცევია მოზრდილი, იმ ხანებში ძალიან მოდური, შავი ლაიკის ხელჩანთისთვის, ქალი კუბეშიც რომ არ ტოვებდა.


კულმინაცია მგზავრობის მეორე ღამეს დადგა – რომელიცა ცადასარბენზე, ჩოჩიალით მიმავალი, სვლაშენილებული მატარებლიდან ჟორა-პანმა ისკუპა.

არა, ცოლდა როგორა ვთქვა, მანამდე უკან დასაბრუნებელი ფული და წერილი დაუტოვა – ძვირფასო, მეგონა, მემკვიდრეობით ნაბოძები დეპრესიიდან შენი სიყვარული მისხნიდა, არ გამოვიდა. მშვიდობით. მატარებლიდან უნდა გადავვარდე და თავი მოვიკლაო.

გადავარდნილიყო, მერე, ხელჩანთა სადღა მიჰქონდა, საიქიოში ქრთამის გარეშე არ მიიღებდნენ?!

ჯერ ხუმრობა ეგონა, მაგრამ, როცა დარწმუნდა რაც მოხდა, პატარძალმა ორივე ხელი თმაში იტაცა და მთელი ბლუჯა ჩამოიღო – ბრილიანტის საყურეები და ბეჭდებიც კი მომახსნევინა, მოფერების დროს ხელს მიშლიანო, მე რეგვინი, რატომ ვერაფერს მიგზვდიო!.. სიყვარული ბრმა არისო, ყრუც რომ ყოფილა, ამაზე კრინტს არა სძრავენო.

ა, ახალი დროის სიკეთე, ვინ გკითხავს რატომ გაქვს და საიდან გაქვს, ბანკი და მისი ჯანი, შეიტანე, შეინახე, რამდენიც გინდა! მაშინ ვერავინ გაბედავდა უშრომელი შემოსავალი ბანკში დაეხანდებინა. ჰქონდათ საიდუმლო ხვრელებში, ქილებში, მუთაქებში დაკუპაყებული.



ვანო ჩხიკვაძე

ფულის გამოცვლისას, ატყდა ერთი ვაი-უშველებელი, გადამალული, დაობებული ქონების მზისგულზე გამოტანაც არ იყო მთლად უხიფათო; ამიტომ, გასამრჯელოს ფასად, დაეძებდნენ და პოულობდნენ ფულის გამცოცხლებლებს – დანესებულეებში, სადაც მათი შეგროვება-დახარისხება-დაანგარიშება-გაფორმება მიმდინარეობდა, დაობებულ-დანესტიანებული დაპაჭკულები ისე ყარდნენ, სულს ვერ მოითქვამდი.

იმ ხანებში კიდევ ერთ ღრმად ფესვგადგმულ წარმოდგენას შეუდგა წყალი, ფულს სუნი არ უდისო.

როგორ არ უდის, უდის და მერე როგორ?!

მოკლედ, ქარის მოტანილი ქარმა წაიღო, ჟორა-პანმა მარტომ გააგრძელა საქორწინო მოგზაურობა და დიდ რუსეთში წეროს სკინტილივით ისე დაიკარგა, მისი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო. კაი ხანს ეგონათ, რომ მართლაც მატარებლიდან (გაქანებული!) გადამხტარმა ცოდილი სული უფალს თავისივე სასიკვდილო განაჩენით ჩააბარა. არადა, ჟორა-პანს ეგრე გააგიჟებდი, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაემთავრებინა?! სიმართლე მხოლოდ უიღბლო პატარძალმა იცოდა, მაგრამ როგორ გაამხელდა?!

ბულალტერი არშემდგარი საქორწინო მოგზაურობიდან ქვრივის სტატუსით დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს და სამსახურს. ტიროდა, მოთქვამდა, მაგრამ რასაც გლოვობდა, მკერდს რის გამოც იმჯილავდა გამეტებით, ხმამალა როგორ იტყოდა.

იმ კალამბურზეც ტყუილად დავხარჯე ენერგია – ჟორა შორა-პანს იკადრებდა? დიდ ქალაქებსა და მალალ საზოგადოებაში მუშაობდა!

* * *

სპლიყვი, მოშორებით, ეულად უზის ოთხკაციან მაგიდას. სწორადაც იქცევა, ჩვენთან ხომ არ გაითქვიფება, თანაც ჭამა, ეტყობა, მისთვის იმდენად სასიამოვნო პროცესია, ამჯობინებს მარტომ განიცადოს და დატკბეს.

რას გვეუბნება ქრისტე პირიდან ამომავალსა და პირში ჩამავალს როდესაც ერთმანეთს ადარებს?

თუმცა რა დროს ეს არის!

სპლიყვის პირში ჩამავალი რომ ამომავალზე დამოკიდებული, ეს იციან ამანაც და იმთაც, ვინც ახალი დროის ემისრებს მეროჭიკე ბერებად ამზადებენ.

რა თქმა უნდა, პარლამენტის ტრიბუნა ან სამინისტროს პრესმდივნობა ჯობია საჩეჩელზე მატყლის ფარტენას წენვას ან წინდისჩხირით აბაჟურის ორნამენტის ჩხიბვას, დალლილობით თავაკანტურებული ნაჯაფარი დედაკაცი თვალს მანც არ წამოაგებს!

აბა, აბა, მამა გიცხონდათ, ქართველი ქალები მაგ წინდის ჩხირებით, სულ თვალმდათხრილი და-





ვდივართო! – იტყოდა ბებიაჩემი.

ვაჰ, კაცო, ბუზი კი არა, კამიკაძეა, ცხელ პიურე-ში პირდაპირ თავით წაერჭო!

სპლიყვის ყურებას ამისთვის ამექნია ხელი და მომეგერიებინა! თუ გენბავთ კიდე რაიმე დაიმატეთო, – მოგვმართა დახლსიქიდან შეფმზარეულმა, თეთრხალათიანმა, ლამაზმა გოგომ.

– ყოჩაღ, კარგი ხელი გაქვთ! – შეაქო ჩვენმა ტრენინგატორმა, განსაკუთრებით, აკროშკა მომენონა, რეცეპტს ხომ არ ჩამანერინებთ?

სიამოვნებითო, გაუღიმა შეფმზარეულმა.

ამერიკულ სამზარეულოს პროდუქტს, ნეტავ, წმინდა რუსული წარმოშობის კერძი რატომ მოენონა-მეთქი, გავიფიქრე უნებურად.

სპლიყვა კალამი მოიმარჯვა და მაგიდაზე ქალაღის ხელსახოცი გაშალა.

– დავიწყით? – ჰკითხა ნიკაპზე ხელმე-მოდეულმა გოგომ.

– დავიწყით! – დართო ნება სპლიყვამ.

– მარილწყალში მოვხარშავთ ნვრილად დაჭ-რილ კარტოფილს...

პაუზა.

– დიახ... კარტოფილს... შემდეგ დაემატე-ბა ცოტა მაიონეზში ათქვეფილი მანონი... ასევე, ნვრილად დაჭრილი მწვანე კიტრი და მოხარშული კვერცხი... ბოლოს, ცერეცო, კამა და შევდგამთ მა-ცივარში...

– მორჩა?

– მერე საინი, კოვზი და მისი ჯანი! – გაეღიმა გოგოს.

– ეგეც ჩავინერო? – ოთხად გაკეცილ ხელ-სახოცს პერანგის ჯიბეში ინახავს.

– მაგას ჩანერა რად უნდა, კუჭი თვითონ მოგაძებნინებთ კოვზსაც და საინსაც.

სპლიყვმა, ყოველი შემთხვევისთვის, მგონი, ესეც ჩაინიშნა...

* * *

„აქოთებული ნათხის სუნი მცემს!“

„არა, გეფიცები, ხელი აბგისკენ თუ გამქცე-ოდე!“

„თავს ნუ იმართლებ!.. მამ, მე ზურგის ქარი და ყნოსვა მატყუებს?“

„სახედარმა თუ ჰაერი გააფუჭა, პასუხი მე ვაგო?“

„გამოდის, რომ ყველისა და იონჯას სუნი ერთ-მანეთისგან ვერ გამირჩევია!“

„მაგას როგორ გაკადრებთ, მაგრამ... თუ სუბ-ორდინაციის დარღვევად არ ჩამითვლით, მაშინ მე დავნინაურდები“.

„დანინაურდები? მოიცა, მოიცა, როგორა თქვი, სუბორდინაციაო? სწორედაც რომ გამაკვირვე!.. ღმერთო, ეს რა დღე გამითენე, როგორმა მადლმა გაანათა შენი გონების დარბაზები!.. ვინ გასწავლა, საიდან“.

„თქვენგან, ბატონო, იმ ცალტვინა ბაკალავრს

ჭკუას რომ არიგებდით: უნდა დაიცვა სუბორდინა-ცია, მაგისტრის წინ არ უნდა წახვიდეო“.

„მაოცებ, თომა, ეტყობა, ყველმა კალცის დეფი-ციტზე დადებითად იმოქმედა... ისე ორივე ერთი ხვი-თოა – ბაკალავრი სულ ორიოდ ნაბიჯით ჩამორჩება მაგისტრს, ამდენად, ალბათ, არც მათი გამოყოფი-ლი აირების ხარისხი და ცხოველმყოფელობა უნდა განსხვავდებოდეს დიდად“.

„ბედისწერა ჩემს დედაკაცს არ გადამყრიდა, მა-მასახლისის გოგოს რომ არ დავენუნებინე!“

„მიზეზი?“

„ბაკალავრი მაინც რომ იყო, გამოგყვებოდით!“

„ჭკუა არც იმას ჰქონია – იმდენი სულელი ბაკა-ლავრი და მაგისტრი ვიცი, გონება ვითომ ფილო-სოფიური ნიაღვრებით რომ აქვთ დაორსულებუ-ლი, რომ ნუ იკითხავ!.. იმათ, მოპარული ყველისა და კიდე რალაცების სუნად აქოთებული, ნებისმიერი, ჭკუადაძვდარი, ხეობგირა გლეხი სჯობია!“

„კენჭებს ვის ბაღში ისვრით, ბატონო!“

„ეგ კენჭები არც ისე ნვრილებია, როგორც შენ გეჩვენება და ფრთხილად, სული არ გაგაფრთხობი-ნონ!.. რომ იცოდე, ამ ბაკალავრ-მაგისტრებს კიდეე რა უშავთ, უფრო ზემოთ უნდა იკითხო, აბა იქ, ამა-თზე აღმატებულ ხარისხიან თვითმარქველებში უნდა ნახო ქვებისა და ლოდების სროლა!.. ახლა რომ გვი-ახლოვდება, აის კაპუცინიც თეოლოგიის ხარისხ-იანი ჯეელია, ვარსკვლავთმჩიბაობას ჩემულობდა და მისტური ოპუსების ბოდვებს აქვეყნებდა ჩვენს ყვითელზე ყვითელ პრესაში, მერე ფილოსოფოსიც დაირქვა და გადაბრუნდა კიდეც დიოგენე კასრში!“

„როგორ კასრში?“

„კასრში ცხოვრობდა და კასრში დამარხეს!“

„ღმერთო, შენ დამიფარე!.. კასრში დამარხვა აღარ გამიგია!“

„როგორ მოვიქცეთ, ისტორია თავიდან გა-დავწეროთ და, რაც შენ არ გაგიგია, არ შევიტანოთ? ამოვილოთ? მაშინ ხომ შენს ჯაგარა თმაზე მრავალ-ტომეულის სანაცვლოდ, კაცობრიობის წარსულზე მლაღადებელი, რამდენიმე გვერდიანი ფოლიანტიც აღარ შეგვრჩებოდა!“

„მერე ცუდი იქნებოდა? მაგ ტომეულებიდან, სისხლი და ცრემლი რომ გასდით, სასარგებლო რა ისწავლა ადამიანმა? მე ჩემი სულთამხუთავი დედა-კაცი ვერ მომიცილებია და კეისარმა, ეჭვიანობის ნიადაგზე, თავისი პატიოსანი, ერთგული მეუღლე ნიხლისკვრით გააგდო: „არ შეიძლება, კეისარს ეჭვი-იტიანილი მეუღლე ჰყავდესო“... შინ სისინა ასპიტი რომ მიზის, აბა ხმამაღლა ენა დავასველო, ჯვარს მაცვაშენ... საცოდავი დედოფალი რომ მახსენდება, ცრემლების ზღვა მახრჩობს!“

„თვალზე სისველე არ გეტყობა და...“

„თვალზე როგორ დამეტყობა, ასეთ სიცხეში კიდე მარილწყალი მინდა?! ნაკადულებად შიგნით ყელში ჩამდის!“

„ცრემლები მარილწყალი გგონია? ღვთიური სითხეა, სულის შევება!.. განა მარილწყალით აღსარე-



ბის თქმა და ცოდვების მონანიება შეიძლება?.. მაშ, ცრემლები სუნდაკრული წათხი ყოფილა, შენს საყვარელ ყველს რომ აქოთებს“.

„ისე ლაპარაკობთ, ბატონო, ალბათ, კეისარს და იმის საქციელსაც გაამართლებთ!“

„დიახაც, ქვეყნის ბატონ-პატრონს მოყურადე-მოქიშპეთაგან ყოველი მხრიდან განჩხრეკილს სხვანაირი სიფხიზლე მართებს! ახლა ასე გეტყვი: დაუფიქრდი, განა ჩვენი და ტახტის მპყრობელის პასუხისმგებლობა, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე, ერთი და იგივეა?.. ვინვი, სიყვარულის ცეცხლი მიკიდა, მაგრამ მაინც არა და არაო, აღარ გადავიდა კეისარი თავის სიტყვას!“

„ჩემი ვირივით მიადგა ფეხი?!“

„შენებურად თუ განვსჯით, ეგრე გამოდის!“

„აბა ჩვენი გვირგვინოსანის გულისსწორზე ჭორები რომ აგორდა, საყვარლები სასახლეში დაუფარავად დაუდისო, მეფე ბატონს ხელისგულზე მაინც რად უზის?“

„ეგ ჭორები კი არა, სიმართლეა!“

„მითუმეტეს, რატომ ყოყმანობს ჩვენი მირონცხებული, ჭიტლაცს რატომ უგვიანებს?“

„რატომ და, ჩემი ვარაუდით, ეტყობა, ჭორი უფრო უპატიებელია, ვიდრე სიმართლე!“

„აჰა, ხელები ამინევია: ვერ გავიგე, მაგრამ მაინც გეთანხმებით!“

„ამ ჩემს იორლას, მათრახის ფოჩი ზოგჯერ დაუმსახურებლადაც თუ არ წაეუცაცუნე, არ შევახსენე, ვის ემსახურება, ვინ იცის – რა აზრებმა აუმღვრიოს გონება და ეგებ ტლაპოშიც მომადენინოს ზღართან!“

„მაშ, ჩემი მტანჯველი ბებერ ჭინჭარს კანჭებში რომ მიცხუნებს ხოლმე, ღვთის წყალობად უნდა ჩავთვალო?“

„ეგრეა, ეგრე, უფრო გაგიაღვილდება, პატიება სთხოვო“.

„ვისა, ბატონო, ვისი გახსენებაც კი გაჩენის დღეს მანყევლინებს?!“

„ნუ ცრუობ, თომა!.. ხომ არ გინდა მაგ ტყუილისთვის...“

„ღმერთს გეფიცები!“

„სულს ნუ იძიებ!.. გუშინ, ნაშუადღევს, ვირზე რომ ჩავთვლიმა, არ დამითვლია, მეუღლის სახელი რამდენჯერ წამოიძახე!“

„ალბათ, მოგესმათ!“

„თანაც, ისეთი მონატრებული, მოალერსე ხმით...“

„მე არ ვიქნებოდი, ეგებ სახედარმა...“

„შენი ვირი თუ ლაპარაკობდა, აქამდე ეგეც არ ვიცოდი!“

„დონა ისეთია, სახედარს კი არა, ქვასაც ააღაპარაკებს და ცალ ფეხზეც აცეკვებს ანდალუსიურ სათავადოს ან ჩვენებურ გლეხურს“.

„რა ვენა, არა მჯერა!“

„დაიჯერებთ, როდესაც გაიცნობთ“.

„ღმერთმა დამიფაროს!“

„მე რატომ არ დამიფარა, რატომ! მოეშავებინა ერთი მჭლე ბაკალავრის წოდება და...“

„კიდევ კარგი, უფალმა დამინდო და ჩემს აღმოსავლეთის მანათობელს ეგეთი უხიაგი ხასიათი არ დაანათლა“.

„ვიდრე არ გადახტებით, ანუ ცოლ-ქმრულ ცხოვრებას არ შეუდგებით, ვერდიქტს ნუ გამოიტანთ!“

„ვერდიქტი? განა მაგ სიტყვის მნიშვნელობაც იცი? როგორც კი საშუალება მომეცემა, შენს ბაკალავრობაზე კი არა, მაგისტრობაზეც ხელს სიამოვნებით მოვანერ!“

„დაგვიანებულია, მაგრამ მაინც გამადლობთ, ბატონო!“

„ისე, თომა, ხომარგიფიქრია, ან ხომარ უთქვამთ, წინა მოსვლისას, ამ ჩვენს ავკარგიან წუთისოფელში, ვინ იყავი, ყველასგან პატივცემული ფილოსოფოსი თუ იურიდიულ საქმეებში გაქნილ-გაქეილი მოლაყბე, ანუ თაღლითი ადვოკატი

— იმათი ალო-კვალი, მკვლევებს, ჯიბგირებს, უნამუსოებს თავდებად რომ უდგებიან და სიმართლეს თვალს უხვევენ? ჰა, გამოტყდი, თორემ ჩემმა შუბისწვერმა ლამის დაუკითხავად ისკუპოს შენი დუნდულებისკენ!“

„რა ადვოკატი, რის ადვოკატი, როგორც ახლა, გამჩენი მაშინაც სიცოცხლით სატანჯველად თუ მომავლენდა!.. ისე, ბატონო, თქვენი ნათქვამით გულს მაინც დავიმშვიდებ, თუნდაც ზნედაცემული ადვოკატი ვყოფილიყავი, მუცელი მაინც მაძლარი მექნებოდა-მეთქი!“

„მერე, შენი საამაყო სამართლიანობა და კეთილშობილება?“

„რა ჯანდაბად მინდა, ორივე ძალღების ხროვის გამოხრული ძვალივითაა, ყუათს რომ ვერ უპოვი!.. რაც გინდათ, ის ვიქნებოდი, ოღონდ ეს ქვამარილად ქცეული ყველის ნატეხი, მომჭირნებით არ მეციცქნა!.. რაც იყო, იყო, დაბზრიალებულ ბორბალს უკან ვილა დაატრიალებს! მომავლისა ვთქვათ, ანუ ვინინასწარმეტყველოთ, როცა მიქელ-გაბრიელი წამაბრძანებს (ასი წლის შემდეგ), მომატარებს განსანმენდელს, მთელი ზამთრის გაუხდელი, მკბენარებით ჩახსილული, თონეში ჩაბერტყილი პერანგივით გამათავისუფლებს ცოდვებისგან, როგორ ფიქრობთ, უფალი იქ კიდევ დიდხანს გამაჩერებს?“

„ხედავ, თან ბედს ემდური, სიცოცხლით უკმაყოფილო ხარ და თან მალე გინდა უკან დაბრუნება“.

„მინდა, ბატონო, მინდა, თუნდაც ყოველდღე ჭინჭრით მსუსხონ!.. ჰა, როგორ გგონიათ, ღმერთი მესამედ ისევე თქვენი ცხენის უკანალის სადევნელად გამაჩენს თუ მსუყე საჭმელს, ცხვრის თიმითიმა დუმას არ გამომიღვეს?“

„ვერ გეტყვი, თომა! მაგის ცოდნაზე ხელი რომ მიმიწვდებოდეს, ზეციური კანცელარიის დეპარტამენტის რიგითი თანამშრომელი, ანდა მინაზე გამოსაშვები შტატების დამკომპლექტებელი ინსპექტორ-განმკარგულებელ-მენეჯერი მაინც უნდა ვიყო. მაშინ ძნელი და ამოუცნობი ჩემთვის არც ეგ





იქნებოდა, მაგრამ... შენ გამო, ნაადრევად ზეცად ავმაღლდე და მწყაზარი დულცინეა, ერთხელაც რომ ვერ ვნახო, ისე დავაქერივო? მეტისმეტად დიდ მსხვერპლს ხომ არ მოითხოვ, მეგობარო?!”

„ნეტავ, სადაც მივდივართ, ბოტანიკოსები რას ამბობენ, როგორი ფლორაა!“

„სად გადახტი ბუზანკალნაკბენი შენი სახედარივით?“

„იმ მხარეში, ღობის ძირში ავი ძალღივით აჯავრული ჩვენებური ჭინჭარი თუ გვარობს-მეთქი!“

„თომა, საით მიერეკები?“

„საით, ჩემო ბატონო და, დულცინეა კი არა, ვინც გინდა იყოს, ბეჭზე ამოხეთქილი ანგელოზის ფრთებისგან ზურგიც რომ ეფხანებოდეს, არ შეიძლება ის ჭინჭარი, ერთხელ მაინც არ გამოგლიჯოს და ნელზემით თუ უფრო ქვემოთაც არ გისუსხოთ!.. აბა, იმდენ ჭინჭარს უქმად ვინ გამოახმობს! ჩვენებურ და, საერთოდ, კაცებს, სიზარმაცისა და უმჯენისობისგან ისე ჩამოუდონდლოვდათ ერთი ადგილი, რომ ჭინჭრით თუ არ შეუხურეს...“

„ანუ გამოაფხიზლეს!“

„ბატონი ბრძანდებით... ამდენი ლოთობისგან გამოფხიზლებაც არ აწყენდათ!“

„თომა, გამინათდა უხსოვარის მჭვრეტი მესამე თვალი – დარწმუნებული ვარ, პირველად მოსვლის დროს ხელს პოლიტიკის ნეხვში ურევდი!“

„ეჰ, ეგ რა მითხარით! იმ ნეხვიდან ხომ ვიცი რაც მოიზილება, აგე, ბესტაეთი რას დაამგვანეს!.. მაგ ხელობით ნაშოვნს, კიდევ ადვოკატის უნამუსო ლუკმა სჯობია!“

„ალარ მოურვე და თიმთიმა ლურთებიან ქვაბთან ვინ მიგიშვებს... ისეთი ტორები აქვთ ნაირნაირ პარტიებს შიგ ჩაყოფილი“.

„მაგათაც ჭინჭარი უნდათ! ეს ბოროტი ქერუბიმები!“

„ქერუბიმთან ბოროტებას რა უნდა?... ახლავე ჩამომხედრდი სახედარიდან, დაიჩოქე და მოინანიე!“

„არც მაგაზე დაგ ზარდებოდით, მაგრამ კაჭაჭებზე როგორ დავიჩოქო, მუხლები დამეგლიჯება... მუხლები ჯანდაბას, შარვალი ისეა ნახმარი და ათასჯერ გაბლანდული, ერთ ადგილზე გადამისკდება, როგორც გადამწიფებული საზამთრო!“

„მაშ, მერე იყოს, ეს ხრიოკი რომ დამთავრდება!“

„გმადლობთ, ბატონო!“

„ცხვირი ნუ ჩამოუშვი და სახეზე მწუხარება ნუ გააჯეჯილე!“

„აბა, რა დამემართება, ვისაც ვძულდი, ის შევიყვარე!“

„ახლაც გიყვარს?“

„აკი მითხარი, ძილში სახელს ბოდავდიო!.. მიკვირს, მოსიარულე ჯოჯოხეთს გულის კარი როგორ გავუღე?“

„მაგაზე მაშინ უნდა გეფიქრა, ვიდრე საკურთხველთან გვერდით მიუდგებოდი... თანაც ვიცი, როგორი მოუთმენელი ხარ

— თვალი მისი დეკოლტესკენ გაგირბოდა!“

„დეკოლტე, თორემ ჩემს დასაბრმავებელ თვალებს ჩამრგვალებული, მნიფე „ნესები“ დახვედბოდნენ!.. ჰა და ჰა, ორი გამოღეჭილი ბლის კურკა!“..

„ეგ უმნიშვნელო დეტალებია“.

„უმნიშვნელო როა, მეც მაგიტომ ვლაპარაკობ“.

„ილაპარაკე, გულზე მოგეშვება“.

„გულსა ვჩივი?! ნეტა, ერთი ცხვირის კანჭი მომცა, რომ კუჭზე მომეშვას“.

„ეგეც იქნება, დულსინეასთან, ალბათ, მსუყე სუფრა უკვე იშლება!“

* * *

გაცვდით შორაპანს და გზისპირას აბრა მომხვდა თვალში:

ბლოკის „ცახი“

სწორედ ეს მჭირდება ახლა.

ორი ცალი არა, ეგ აგურზეა ნათქვამი, ორმოცდაათი მაინც. რა ეღირება, ნეტავ?

ლურჯი, კამკამა მდინარის წყალი უცებ ზღვაზე ხანგრძლივად ნამყოფივით გაშავდა – ყვირილამ შეიერთა, ჩაიხუტა ძირულა-რიკოთულას ტანდემი – თითქოს იმპერიამ ჩაყლაპა პატარა ქვეყნები და თავიანთი ნამდვილი სახელები გადაარქვა.

ესეც შენი გლობალიზაცია!

ხელმარჯვნივ, საქვეყნოდ ცნობილი, ახლა სამუხუუმოდ ქცეული ქარხანა... არა, მგონი, ჯერ კიდევ ფეთქავს, მუშაობს, ხრჩოლავს ძახილის ნიშანივით საკვამური.

ნეტავ, რას აკეთებენ, საქართველოში ხომ ჯართიც აღარ დავტოვეთ, ზღვისპირა მეზობელს გადავულოცეთ რკინა-კავეული, ბარი, ნიჩაბი, ნემსი, კოვზი, მაკრატელი, მახათი (იმდენიც არ დავიტოვეთ, ერთ ადგილში რომ გავიყაროთ და ცოტა გამოვფხიზლდეთ), კიდევ – ქვაბი, აქანდაზი, ჩამჩა, ნიკელის საწოლები, გირები, სპილენძი, დანა-ჩანგალი... ტრაპიზონის რუს-ბაზარზე ჩემი თვალით მაქვს ნახაი, ერთი ჩვენი წონიანი (ფულით) პარლამენტარი, ჩანგლებს კაპიკებად რომ იხვენებოდა, შეიძინეთო...

მარცხნივ – ბაღდათი... რქმეოდა მაიაკოვსკი, რას ერჩოდნენ! ბაღდათი და ყარა-ყორუმი მინდა?! მითუმეტეს, პოეტის გაჩენისთანავე აგორებულ ჭორებს თუ დავუჯერებთ, როგორც პეტრე პირველის, ისე მის ძარღვებშიც ქართული სისხლი ჩქეფდა.

(როგორც ირწმუნებიან, სტალინმა არ გამოაქვეყნებინა, თორემ ალექსეი ტოლსტოის მოძიებული, დანერილი და დამტკიცებულიც ჰქონდა, პეტრე ქართველის „შექმნილი“ რომ იყო). ეჰ, ბელადო, ბელადო, ვინ გთხოვა რუს დედაკაცს ნამუსი შეუნახე და პირი მონმინდო?!

* * *

ჩამოვედი დანიშნულების ადგილას.

თქვენ კი უშველეთ თავს, მაგრამ ჩვენ ვართ საკითხავი, როგორ ჩავგაბარებთ ოჯახებსო, მანიშნა მძლოლზე ბავშვიანმა ქალმა. ნუ გეშინიათ, ღმერთი მონყალეა-მეთქი, ვუთხარი და, ყოველი შემთხ-



ვევისთვის, ადგილიდან მონყვეტილ მიკროავტობუსს ჯვარი გადაესახე.

კითხვა-კითხვით მივალნიე დანიშნულების ადგილამდე. მორიგემ დამაკვალიანა და მეორე სართულზე, საკონფერენციო დარბაზის მისაღებში ამოვყავი თავი.

ოთახში ოთხი მაგიდა იდგა, ოთხივესთან კომპიუტერს მიჩერებული გოგონები ისხდნენ. ლამაზები, მოვლილები, თავაზიანები, მაგრამ ცივები, მკაცრად რეგლამენტირებულები

— ახლა ტრენინგი იწყება, დაესწარით და მერე სამივლინებო ბარათი ჩვენთან წარმოადგინეთო.

ასეც მოვიქეცი.

რაც გახსნის ცერემონიალიდან დამახსოვდა, ის იყო, რომ დილის ლანჩს ვინც ვერ მოუსწრო, ახლაც შეუძლია დანაყრებაო. რაც შეეხება სიტყვა კადრებს, აქ რომ გაისმა, ეგ სიტყვა აღარ გამაგონოთ, კარგა ხანია, ეიჩარი ჩაენაცვლაო, — თავაზიანი ღიმილით გაგვაფრთხილა ტრენინგზე ადგილობრივი მმართველობიდან მომავრებულმა ორგანიზატორმა ქალბატონმა.

ჩაენაცვლებოდა, მაშ რას იზამდა! საუზმე თუ ლანჩად იქცა და ახალგაზრდა — თინეიჯერად, ეიჩარს ვილა შეაკავებდა, სიტყვა კადრი რომ არ შეეცვალა! ხელმეორედ ჩამოვედი გოგონებთან.

ტრენინგის მონაწილეებს ნუთუ თითო ფურცელი და კალამი არ გვეკუთვნის, მომხსენებლის ბრძნული აზრებიდან რაიმეს ჩანიშვნა რომ მოგვიხდეს-მეთქი!

უკბილო იუმორი უემოციო სახეებით უკან დამიბრუნეს — თქვენ მოგცემთ ფურცელს და კალამს, მაგრამ დანარჩენებზე ხელმძღვანელობასთან უნდა შევთანხმდეთო.

ხელმძღვანელობაც ასეთი მკაცრი გყავთ, როგორებიც ეს ოთხი გვრიტი ბრძანდებით-მეთქი? მინდოდა მეკითხა, მაგრამ პასუხი ისედაც გაცემული იყო და დროულად გაეჩუმდი.

მეც ნამეტანი მომდის, არ დავერიე უმწეო გოგონებს?! ის არ ეყოფათ, რომ ოცდაათ წლამდე შეიძლება დედობის სიხარული ვერ შეიგრძნონ?!

მოვიპოვე ფურცელი, კალამი და ოთახიდან გამოსვლამდე ღმერთს მადლობა შევნირე, კიდევ კარგი, მონა-ლიზაც კომპიუტერთან არ იჯდა, თორემ, ალბათ, მის იდუმალ, მომავადოებელ ღიმილს კაცობრიობა ვერასოდეს იხილავდა-მეთქი...

მეზავრობით დაღლილი ლექციას აქა-იქ ვუსმენ: „მიმდინარე ბიუჯეტი და კაპიტალური ბიუჯეტი! აქ საჭიროა ყველა დარგობრივი სტრუქტურა ჩავრთოთ და პრიორიტეტები დროში გავანაწილოთ“...

— ვინ ხარჯავს ფულს, პროგრამული ბიუჯეტირებით რომ მოვიზიდეთ? — თვითმმართველობის ადგილობრივი აიპის მთავარი ფინანსური მენეჯერი, პირობითად სპლიყვი II, გრძელი მაგიდის გასწვრივ, ანუ პარალელურად ბოლთას სცემს.

ამ რთულად გასაშიფრი ფრაზებიდან იმას მივხვდი, რომ ფულის მხარჯველია მოსაძებნი.

მხარჯველების მეტი რა არის, ოღონდაც ფუ-

ლის არსებობა იცნოსონ, მის გამეთრეხელს თუ გამშავებელს, რა დალევს. გამახსენდა, ჩემი ქალაქის ცენტრალური ქუჩების ხელისგულისოდენა ფილებით მოკირწყლული ფეხით სავალი ტროტუარები, მერიის წინა მოედანი, კომისიამ რომ ჩაიბარა და სექტემბრის დამდეგს დაადასტურა შპს „ქალაქმშენის“ მიერ ვალდებულების წარმატებით შესრულება, სულ სამიოდე თვე დასჭირდა ფილების დიდი ნაწილი რომ აყრილიყო; მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვა, რომ არც სისქით, არც ხარისხით მასალა სტანდარტს არ აკმაყოფილებდა!

ცხადია, ვინც შესრულებული სამუშაო დამაკმაყოფილებლად ჩათვალა, ან კომპეტენცია არ ეყო, ან სინდისი, რბილად რომ ვთქვათ, რა თქმა უნდა.

მოკლედ, თავის დროზე ქალაქს თუ ერთი, ფაქტობრივად, დიდ ჩრდილოეთში გადახვეწილი მოღვაწე ყორა-პანი ჰყავდა, რომელიც თავისი არაორდინალური აფიორებით საზოგადოებას ანცვიფრებდა, ახლა გამეთრეხელთა შეხმატკბილებული ბრიგადები, ყალბისმქნელ მწარმოებლებთან ერთად ქმნიდნენ შეუვალ, კანონიერების ყინულმჭრელ სამკუთხედებს.

ყორა-პანი, მარტოხელა მგელი, სუფთა, თეთრი ხელთათმანებით მუშაობდა, იმათგან განსხვავებით, ვინც მიზნის მისაღწევად, არც სისხლის დაგემოვნებაზე ამბობდნენ უარს; ჩვენი გმირი კი უფრო ადამიანების დოყლაპობის, გულუბრყვილობის ხარჯზე ისწორებდა თავისას. თეთრ ხელთათმანებსაც, ძალიან რომ არ დასტყობოდა ლაქები, პენიანად ხმარობდა.

მსხვერპლი თვითონ, თავისით მივარდება ხახაში და უკან ხომ არ ამოვანთხევ, არ გადავყლაპოო?!

საქმე მთლად ასეც არ იყო, ლოტოსის ფოთლებს შეხამებული, მთვლემარე, ზანტი ნიანგი ღლავებს თვითონაც დაეძებდა და პოულობდა კიდევაც. მოსკოვში, ებრაელთა ვაჭრობაში დასაქმებულთა საძმოს, ერთი სერიოზული საქმისთვის მაშინდელი „გოსპლანის“ მაღალჩინოსან შუამავალთან სერიოზული თანხა უნდა ჩაეტანა. საამისო კანდიდატურაც შეირჩა, სამამულო ვალუტით გაძედილი, ეგრეთ ნოდებული, პარიკმახერების არათვალშისაცემი, გაცრეცილი „ჩემოდანჩიკით“ ვინმე ისაკა გაგულაშვილი პირდაპირ თვითმფრინავში ააბრძანეს, მეორე სალონის მესამე რიგში ილუმინატორთან დასვეს და საქმის მოსაკვარახტინებლად გაუშვეს.

მიდის გულდაარხინებული ისაკა, რადგან იცის, მოსკოვში, დომოდედოვოს აეროპორტშივე დახვდებიან და სამთავრობო მანქანით მიამსევრებენ, სადაც და ვისთანაც ჯერ არს.

ვიდრე აფრინდებოდა, გული მაინც უფანცქალებდა, მაგრამ კავკასიონს როცა გასცდნენ, მანაც და ჩემოდანში ჩანყობილმა ათასებად შეკონილმა, „გოსზნაკში“ ნაშობმა კუპიურებმაც შვებით ამოისუნთქეს და ჩემოდანს ჩაბლაუჭებულ ხელებში დაძაბულობა მოეხსნა.

ილუმინატორს მიჩერებული თანდათან მოქანცა ერთფეროვანმა, თვითმფრინავის ფრთებქვეშ განფენილმა უსაზღვროებამ. სავარძელს მისვენებულს





თვალეები მიეღულა, რომ ვილაცამ მის გვერდით მგ-დომ ბიჭს მხარზე მსუბუქად უბიძგა – სთხოვა, თუ შეიძლება ამ ჩემს ძველ ამხანაგთან პატარა სალაპარაკო მაქვს და პირველ სალონში, ჩემს ადგილზე გადადიო.

ისაკამ თვალეები წყვიტა.

დააკვირდა სავარძელში მოკალათებულ თავის ახალ თანამგზავს, გულთბილად რომ უღიმოდა და გულწრფელად აღიარა, ბოდიში, მაგრამ ვერ გიცანითო.

— სამაგიეროდ მე გიცანით, ბატონო ისაკა. ვაჰ, ნელან ამხანაგიო, ახლა ბატონიო!

— ბატონობა კაი ხანია გადავარდა, — იხუმრა უკბილოდ.

ვინ მოგახსენათ, ახლა რომ ბატონები არიან, იმ ბატონებს არც დაესიზმრებოდათ... ერთის ნაცვლად, მიზერულ ქრთამად, ათეულობით ვაგონი ხეტყე, საშენი მასალა, გალანტერია, კვების პროდუქტი და ვინ ჩამოთვლის კიდევ რა, სახელმწიფოს გვერდის ავლით რომ მიდი-მოდის, სწორედ ახალი ბატონების სურვილით ხდება... მიკვირს და გამკვირვება, ეს ქვეყანა ამდენს როგორ უძლებსო...

აბა, აბაო, კვერი დაუკრა მაშინვე და, დასძინა, მერე ეს გაძლებათ, ხალხი რა დღეშიაო, — საზოგადოება შეიბრალა ისაკამ.

მე პირიქით მგონია, ხალხი იმ დღეშია, რა დღეშიც უნდა იყოს!.. უხსოვარი დროიდან იცის ხელისუფლებამ, რომ მონა არ უნდა გააძლოს, ამიტომ იმდენს აჭმევს, არც სული ამოხდეს, არც მეტისმეტ ხელის გამლაზე იფიქროს... როგორ წარმოგიდგენიათ, სპარტაკს რომ გაემარჯვა, ვითომ უკეთესი იქნებოდა რომის იმპერია?.. არ დაიჯეროთ, ჩემო ისაკაო...

ებრაელმა, თავის საახლობლოში სპარტაკი ვერავინ გაიხსენა და იფიქრა, ეს მაინც გავიცნო, ვის ველაპარაკები, ისტორიის ლექტორად რომ მომევილინაო.

უცნობმა ხელი მხარზე დაჰკრა, როგორ გითხრათ, კავკასიონის აქეთ ჟორა ვარ, იქით, სამშობლოში — ჟორაც და გიორგი ბაგრატიონიცო... თქვენ, როგორც გაგეხარდებათ, ისე მომმართეთ, მაგრამ მეეჭვება, ამის შემდეგ კიდევ შეეხვდეთ, ამიტომ ჩემი სახელის დახსომებით თავს ძალიანაც ნუ შეინუსებთო.

ახალ ნაცნობობას, რა სჯობია, დაგენაცვლეო!

ჟორა-გიორგი ორჭოფულად დაეთანხმა და არც დაეთანხმა, „ჩემოდანჩიკზე“ ხელი დაურტყა, სამოსკოვოდ ხეირიანი ვერაფერი დაიჭირეთ, კონსპირაციულად, არალეგალური ლიტერატურა ხომ არ გადაგაქვთ, ვინმემ რამე რომ არ იეჭვიანოსო.

— რას ბრძანებ, დაგენაცვლე, ჯერ მკითხე, მქონდა უკეთესი და არ დავიჭირე?! — შეაბრალა თავი.

— მერე ეგ რა პრობლემაა, აი, ჩემსაში გაგიცვლით, თუ გინდათ, — და ფეხებთან ჩადგმული, მომცრო, კონტა დიპლომატი თვითონაც მუხლებზე

დაიდო, — ჰოდა, იმას ვამბობდი, იქამდე გათავსდნენ ეს ჩვენი ახალი ბატონები, რომ ეშელონებს მოსკოვში ჩატანას და დასაწყობებასაც არ აცლიან, ვაგონებს პირდაპირ ჩოპში ჩაახსნევენებენ და საითაც გინდა, იქით გაუყენებენ გზას!

ისაკამ ხელმეორედ დაეჭყვიტა თვალი, ამ პატარა, გაქუცულ „ჩემოდანჩიკს“ სწორედ საზღვარგარეთული მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის დამატებითი ვაგონის გადმოსროლის საქმე უნდა მოეკვარახსენებინა.

კიდევ ერთხელ გადააქნიეს თავი, კიდევ ერთხელ დამწუხრდნენ კორუფციის ჭაობში ჩამდგარი თუ უკვე ჩაძირული ქვეყნის გამო, რომ უცნობმა ნაცნობმა საათს დახედა და საუბრის მიმართულება შეცვალა:

— როგორც გენერალი პეტრე ბაგრატიონი იტყოდა, ცხვირნინ მოსკოვია, სადაც არის დავფრინდებით და დავშორდებით, მაგრამ, მანამდე, ერთი პატარა ფორმალობა უნდა მოვავგაროთ.

რა ფორმალობა, გამჩენს ვთხოვოთ, რომ კიდევ შეეხვდეთო.

ვთხოვოთ, მაგრამ, როგორც უკვე გითხარი, მეეჭვება, ამის სურვილი, ან უფალს ან თქვენ გაგიჩნდეთო.

თვითონაც ისაკასავით დაალაგა დიპლომატზე ხელეები და ზედ თითები აათამაშა:

— ამ დიპლომატში თავისუფლად ეტევა ორი „ფშენიჩნი“ და ორი, ჰა და ჰა, სამი კაცის საკმარისი მისატანებელი!

— რატომ გგონია, რომ ძალიან მაინტერესებს მაგ დიპლომატში რამდენი საჭმელ-სასმელი ჩადის? — გაცინა ისაკას.

— სამაგიეროდ, მე მაინტერესებს, თქვენს ჩემოდანში რამდენი ეტევა... —

— არ ვიცი, ლუდზე და არაყზე არ ვმუშაობ.

— რაზეც მუშაობთ, იმაზე გეკითხებით! — ხმა გაუმკაცრდა ჟორას, — ახლა, ეს დიპლომატი, ფაქტობრივად, ცარიელია, ჩემს ერთ ნყვილ ნიფხავ-პერანგს და კბილის პასტა-ჯაგრისს თუ არ ჩავთვლით... აი, ის კაცი, სალონში რომ ბოლთას სცემს, არც უბილეთო მგზავრია, არც პილოტის თანამემწე, არც ბორტინჟინერი, უბრალოდ, თვალის ასახვევად, „აეროფლოტის“ ფორმა აცვია, თორემ სინამდვილეში სახელმწიფო უშიშროებიდან თვითმფრინავზე მომარტებული „გამცილებელია“, კონსტიტუციით აკრძალული ან გაუთვალისწინებელი რამე რომ არ მოხდეს...

— ვერ გავიგე, რაში მაინტერესებს, ან ეგ კაცი ან სხვები! — გალიზიანდა ისაკა.

— მოკლედ, ჩემო ძმაო, ახლა ავტეხავ ხმაურს, ჩაძინებულს საფულე ამომაცალეს-მეთქი. ეგ კაცი, თქვენ რომ არ გაინტერესებთ, აქვე ანდა აეროპორტში სპეცოთახში გაჩხრიკავს ირგვლივ მსხდომებს... ვინ არიან, რა მიაქვთ და ვისთან მიაქვთ!..

ისაკას შეაყრიალა, უნებურად ხელეებმა გათქვეს, ისე ხაზგასმულად ჩაბლუჯეს და მიახუტეს პატრონს ჩემოდანი.



მისახვედრს მიხვდა.
არ იზამ მაგასო, ხმანასულმა ნამუსზე შეაგდო.
ვიზამ და ეგრეთ? – ხელი ასნია, გამყოლი რომ
თავისკენ ეხმო. ხო არ გადაირიე, – ეცა გულგახეთქი-
ლი, თქვი, რამდენი გინდა და შენი გზა ნახეო.

რაც მაგ ჩემოდანშია, ძმურად, შუაზე გავიყოთო.
ჭკუასთან მწყრაღად ხარ, გეტყობაო,
საფეთქელთან დაიტრიალა თითი.

— თუ კიდევ მომაცენებთ შეურაცხყოფას!.. –
ისევე ასნია ხელი.

დაებლაუჭა სასონარკვეთილი.

დიდ საქმეს ჩაგვიშლი, მოსკოვში, მელოდებთან,
ამას ნუ იზამო.

მეც მელოდებთან, პირველივე რეისს უკან უნდა
გავყვე... ნახევარი რომ არ ჩავიგანო, ვინც ეს საქმე
მომცა, სამშობლოში არ ჩამიშვებენ და მერე ორმოცი
წელი სად ვინანწლო, ვიდრე დაფრენის ნებას დამრ-
თავენ... ჩქარა, ხომ ხედავთ, უკვე ვინცებთ დაშვება-
სო, მერამდენედ შემართა ხელი და ისაკამ თავისკენ
გადააჩოჩა დიპლომატი.

გატკაცუნდა „ჩემოდანჩიკის“ საკეტი. თანამგზა-
ვრის მკაცრი მეთვალყურეობით, ისაკამ მაყუთი ხე-
ლის კანკალით გაანაწილა და დიპლომატი ჟორა-პანს
რომ დაუბრუნა, ესლა ამოღერდა, იცოდე, გამჩენი არ
გაპატიებსო.

ღმერთი ვის რას არ აპატიებს, ეგეც საკითხავია,
ჯერ თქვენ გაეცით უფალს პასუხი, ახალშობილ
ბავშვებს, ჩვილებს და უენოებს, ჩუჩას რომ აჭრით და
არც ეკითხებით, უნდათ თუ არა... თანაც, დანარჩენ
კაცობრიობას, გოიმებს რომ ეძახითო!..

— დალოცვილებო, ეგეც ფართალი ხომ არ
არის, ცოცხალი ქსოვილია! – დატუქსა თითის
დაქნევით, – იმ ღმერთმა რაც მისცა, ყველაფერი
სჭირდება ადამიანს... მტკივნეული და ასეთი სასტიკი
კორექცია რა საკადრისია!

სიტყვა „კორექცია“ ვერ გაიგო ისაკამ, ისე,
რომ გაეგო კიდევ, რა შეღავათი იქნებოდა ნახევრად
გამსუბუქებული „ჩემოდანჩიკისათვის!“

თანაცო, ძმაო და ძმაზე უტკებესო ისაკაო, ეს
საქმე ვინც მოგვცა, რომ იცოდე, შენი მოდგმისა და
გილდიის კაციაო.

შეცბა ისაკა, შეჰყარა მალლა ხელები და სალო-
ნის ჭერს შეჰლაღადა:

— გამჩენმა შეაჩვენოს!.. გვარს თუ არ მეტყვი,
დაგენაცვლე, სახელი მაინც!.. სამარე ვარ, ხო იცი,
მითხარი და ჩემ წილად, ფეშქაშად, ორ შეკვრასაც
დაგიადებ.

— ეე, ისაკ, ისაკ, ჭკვიანი კაცი მეგონეთ...
როგორ მოგტყუედი!.. ეგ როგორ მაკადრეთ, ჩანთა
მთლიანად რომ გამაბანოთ, მაგის მთქმელი ვარ?!

– დალოცვილო, რაც შენ მაკადრე, იმაზე უარე-
სი რა გთხოვე – მითხარი, რომ ჩვენმა თემმა სამუდა-
მოდ შეაჩვენოს და მოიკვეთოს!

— მაგას „სროკზე“ წასვლა მირჩენია!.. ეს ჩე-
მთვის თამაშია, ისაკ, თამაში... მე თქვენსავით ფულ-
ზე კი არა ვარ გამიჯნურებული!.. ექსტრემალური

თამაში, ვაბანკზე მივდივარ, ჩემი სიცოცხლით! თუ
არ გჯერათ, გააღეთ ფანჯარა, ეს დიპლომატი უნდა
გადავაგდო!..

ისაკა, ინსტიტუტურად ილუმინატორს აეფარა.

* * *

სოფელში, როგორც კი მენავთე შალომა დროგს
შემოარახრახებდა, ბიძაჩემს მაინცდამაინც მაშინ
გაახსენებოდა ერთი მოარული ლექსი, მას შემდეგ
სხვაგან არასდროს რომ არ მომისმენია.

ვიდრე ნავთის სუნად აქოთებული შალომა, აწ-
იოკებულ ქალებთან, გვატყუებს ეს მოსასპობიო, საქ-
მეებს აგვარებდა, ქვაზე ჩამომჯდარი ბიძაჩემი გვერ-
დით მომისვამდა და ლექსს ჩამოარაკრავებდა:

*ყოულ-ყოული ბიჭები, სანადიროდ წავიდნენ,
კურდღელი რომ დაინახეს, „სრაზუმ“ ხეზე ავიდნენ,
ესროლე, ბიჭო, ესროლე, არ შეგვფერის ყიულებს,
აბა, როგორ ვესროლო, შიგ თვალებში მიყურებს.
თქვენ რა იცით, ბიჭებო, კურდღელი რა მხეცია,
ორი წყვილი ყურები ზურგზე გადაჰკეცია,
ჩვენი სისხლი სწყურია, ნამდვილი ნემენცია!*

ლექსი რუსული ბატონობის დროს როა შექმნი-
ლი, ამაზე სიტყვა „სრაზუმ“ მეტყველებს; მართალია,
თვეს, დღეს და საათს ვერ მივაკვლევთ, მაგრამ მისი
დაბადების თარიღი, ორმოციანი წლების ომისშემდ-
გომ პირველივე ხუთწლეულში რომ უნდა ვივარაუდოთ,
ამას ლექსში ნახსენები „ნემენცი“ ადასტურებს. ვისაც
ახსოვს, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი გერმან-
ულ-ებრაული „სიყვარულის ისტორია“, არ გაუკვირ-
დება, სამი მხეც კურდღელს „ნემენცივით“ რატომ
სწყურია „ყოულ-ყოული ბიჭების“ სისხლი.

მოკლედ, მაშინ ეგრე არ იყო, ახლა რომ ჩაეხუტ-
ნენ და უერთმანეთოდ ველარ ძლებენ.

დრო ყველაფრის მკურნალიაო, და ახლებურად
მოანყო მსოფლიოს ინტერიერი – ისაკას, მოსკოვის
ცის ქვეშ რომ დააყაჩაღეს და შალომას, ნავთში გადა-
საცვლელ კვერცხებში თითო-ოროლა ლაყესაც რომ
შეაპარებდნენ ხოლმე, შთამომავლებს ახლა ძველი
შუამდინარეთის (თუ უფრო იქითაც არა!) პოლიტი-
კურ მაჯაზე უდევთ ხელი.

მათი პატარა, ხვლიკის ბოლოსავით სახელმ-
ნიფო, ერთ დროს თავზარდამცემ სახალიფოებს,
თავის ნება-სურვილს კარნახობს... მოკლედ, ჩამოვ-
იდნენ ხიდან „ყოულ-ყოული“ ბიჭები და ჩვენს უბირ
თანამემამულეებს მხოლოდ დახლში ჩამდგარი ნო-
ქრები, მენავთეები, მენვრილმანეები, ფესსაცმლის
მწმენდავები, უბადლო სპეკულანტ-გადაამყიდველები
და, ვინ იცის, კიდევ რა არ ეგონათ, მეორე სუნთქვა
გაეხსნათ...

არა, მაინც ნახეთ, ისაკას თავისი მოდგმის რო-
გორი პასუხისმგებლობის ჯიგარი უდულს – ნახევარი
„ჩემოდანჩიკი“ ილიჩის თავების განიავება ისე არ სწყე-
ნია, როგორც თავისიანმა, თავისი სისხლისა და მოდგ-
მის სულმოკლე კაცმა „სადმო“ რომ განირა, უღალატა.





ალბათ, ასეთი სულსკვეთება მოუწონა, პირველი სალონისკენ დიპლომატიით მიმავალი „ჟორა-პანი“ უცებ რომ შემობრუნდა, სახედასერიოზულეზულმა უყურა, უყურა ისაკას და, ბოლოს ცერი აუნია!

* * *

„გამარჯობა, რაინდებო! ასე საით მიეჩქარებოთ? აა, ბოდიში, დიდვაჭრები ხართ? და ეს ესკორტი თქვენ მიგაცილებთ? განა რას ყიდით, დატვირთული ჯორ-აქლემებით რომ არ მიგაქვთ?! რაო? სამშობლოს? თუ ცხვირსახოცში გამობხვეულ მინის სინჯს მაინც არ ნაიღებთ, უნახავად საქონელი როგორ უნდა შეაფასონ?! მაგ ერთი საქალაღდეთი მიგაქვთ? მიკვირს, ამხელა ბესტაეთი როგორ ჩატიეთ?! თუმცა გახვრეტილი ჯიბეების მეტი, მე და ჩემს მსახურს არაფერი გაგვაჩნია, მაგრამ, იქნებ, ჩამოვსხდეთ და მოვილაპარაკოთ: თქვენ თუ აღარ გჭირდებათ, ეგებ, ჩვენ შევისყიდოთ!.. შე უნამუსო თომა, მთელი გზა რომ დამჩხავი, შუბი რად აიღეო, აბა, გზა მომეცი, ამ ქოფაკებს გაუმადლარ დინგში ვაძგერო!.. ჰაი, ტატა-ტაა... ვისას ყიდით და რატომ ყიდით, მუცლის მონებო!.. რა მოხდა, თომა, მომეხმარე, წამომაცენე!..“

„რაც აქამდე ხდებოდა, ბატონო, მაგრამ ამნაირად, ოთხი მეჯოგე და ორი გაავებული ნავაზი რომ დაგეჭიმაჩა, მაშინაც კი არ დაჟუჟილხართ!“

„გამაგებინე, ამ გზაზე მხოლოდ სამშობლოს გამყიდველი დიდვაჭრები მიდი-მოდიან? სად არიან ტრუბადურები, მთხვევლები, გამომგონებლები, მხატვრები... სხვა აღარავინა ჰყავს ბესტაეთს?“

„ეგებ ჰყავთ და მალავენ!“

„როგორ, ცოცხალ არსებებს?!“

„დამალვა ცოცხალს უნდა, ვისაც ხმის ამოღება შეუძლია, თორემ მკვდრებს ხომ მიწამ უყო პირი და სამუდამოდ დაადუმა.“

„თუ ასეა, მაშ, სადღა და რატომ მივეხეტებით?!“

„მეც მინდოდა, თქვენთვის იგივე მეკითხა!“

„გინახავს, კაცი თუ ქალი, თავისზე ლამაზს, მხარბეჭიანს, შურით რომ მეჰყურებს?.. თუ შემთხვევა მიეცა, ბუნების ნაწყალობევე უპირატესობას არ აპატიებს... სრულყოფილებას ებრძვიან, თომა! დედამინაც სრულყოფილი ჩავიბარეთ და ნახე რას უშვრებიან, როგორ იტაცებენ, ჭრიან და აქუცმაცებენ, ახალ-ახალი საზღვრების ჭრილობებით ამახინჯებენ... თუმცა, რად გვიკვირს, აგერ, გუშინ არ იყო, იორდანეში მონათლული სრულქმნილება არ დაინდეს!.. რას უშლიდათ, ევლო და ექდაგა კაცთა მოდგმისათვის, მაგრამ ვის უნდა მიწაზე მოსიარულე ღმერთი... ან მხარზე ხელს გადახვევენ და გაიტოვსნორებენ, ანდა... ფერდში შუბის ძგერება რაღა იყო!..“

„იმ შემთხვევის შემდეგ, შუბი ხელში როგორღა აიღეთ?“

„აბა, უშუბოდ იდაღო გაგონილა?“

„ეგ რომ არ გჭეროდათ, რამდენ ბათქუნს გადაურჩებოდით!“

„ადრე ასე არ ლაპარაკობდი!“

„არა კი არა, „ვერა!“ ჯერ ერთი, სიგიჟესავით,



მალაღფარდოვანებაც გადამდებია, რომელიც ასე ამშვენებდა თქვენს ენა-პირს და, მეორეც, რაც მე და თითო-ოროლა ჩემნაირმაც წაწაწა მოვუხშირეთ, ცოტ-ცოტა გავიქექეთ... ის აღარა ვარ, რაც ვიყავი; თოხი რომ დავაგდე და თქვენ გამოგყვივით, უკვე უარი ვთქვი ჩემს გლეხურ სანყისზე“.

„ახლა რა ხარ და რა გქვია?“

„რაც აქამდე, თქვენო მონყალეზავ!“

„განა ჩემმა მალაღფარდოვანებამ შენს გასანათლებლად იკმარა?“

„ისე, ტვინის გამომლაყებელი, ორიოდე სარაინდო თხზულება მეც ნამიკითხავს“.

„კითხვა რომ არ გეხერხება ჯეროვნად?.. გაყაბირებულის თოხნა ძნელიაო, შენგან ვიცი!“

„გადამიფურცლავს მაინც, ისე, ხამუშ-ხამუშ და, გონებით თუ არა, თვალებით მაინც ვინოვდი სიბრძნეს, თუკი იმ წიგნებს ასეთი რამ საერთოდ გააჩნიათ... სიბრძნე კი ისეთი რამეა, სულერთია, კაცთა მოდგმის გოგრაში საიდან შევა, ყურებიდან თუ თვალებიდან“.

„გამჩენმა მიწასთან კავშირის მადლით აგავსო, მისი მესაიდუმლის კურთხევა მოგცა და შენ კი, უძლები შვილი“...

„მე ხომ, თქვენი წყალობით ხელახლა შევიქმენი“.

„მერე, იმას რა პასუხს აძლევ, ნამგალი და თოხი ვინც გიბოძა, ოფლითა შენითაო?“

„არა სჯობდა, ერთი ჯადოსნური ჯოხი მოეწოდებინა, ქვაბს სამჯერ შემოვკრავდი და ბადროჯანში ჩახარშულ ცხვრის ზედა კანჭის ბულამას ამოათუხთუხებდა, ისეთს, მარხვაში, დიდმორნმუნე პადრე მარსელიც კი ნერწყვს რომ გადაყლაპავდა!“

„სამჯერო, ბრძანებ, ერთხელ ან ორჯერ დაკაკუნებისას, იმ ყოვლისშემძლე ჯოხს რა უნდა ექნა, ეგებ ყელის ჩამწმენდავი ჩაროზიც ამოეჩხუხუხებინა!.. გიმეორებ, ოფლითა შენითაო, რომ დაგიბარა, იმას რა პასუხს აძლევ-მეთქი!“

„მერე, რაღა მე უნდა განმიკითხოს, სხვებს ოფლი არა აქვთ?“

„განა ის სხვაც იგივეს არ იტყვის და არ დარჩება თოხი და მიწა უპატრონოდ? ჩვენ, პროლეტარიატის ბელადებმა, უმაგალითო რევოლუციის შემოქმედებმა, ბევრი რამ შევცვალეთ, მაგრამ გამჩენის ძველი ჩვენება ძალაში დავტოვეთ – ხალხთა მასების მიწასთან ჭიდილში ოფლის ღვრაზე უარი არ გვითქვამს“.

„თქვენ არ გითქვამთ, მაგრამ, მე რატომ არ მკითხეთ, მინდოდა ეს თუ არა?“

„სწორედ მაგის საკითხავად და წითელი კოჭის საგორებლად გვეცალა რევოლუციის შემოქმედ ვერსკლავბიჭუნებს!“... რამდენისთვის გვეკითხა, თვალს როგორ გავანვდენდით, დედამინის წელზე შემოჭერილ, ეკვატორის მზით დაშპრულ ქამარს“.

„უსასრულო ბედნიერებას რომ ჰპირდებოდით“...

„ეგ ილუზიაც შეგნებულად შევქმენით – შევსვით მთელი იმპერიის მასშტაბის ჩაკეტილ რგოლში ციყვი და დავაბზრიალეთ... ჰოდა, გარბოდა ციყვი,

გარბოდა და ეგონა, ოდესმე გადაირბენდა არარსებულ ფინიშის ხაზს“.

„თუ არ არსებობდა, რატომ უმაღლავდით?“

„მაშინ ხომ სირბილს შეწყვეტდა და ალთქმული ნათელი მომავალი რომ ბლევდი იყო, ყველაზე ტლუ და რეგვინიც მიხვდებოდა... აი, მაგ შენ სახედარს ცხვირწინ იონჯას თუ დაუკიდებ ისე, რომ პირით ვერ მისწვდეს, ივლის იმის იმედით, ან ახლა მოვიხელთებ, ან ახლაო“.

„დღეს როგორ არის საქმე, გაიგებს „ციყვი“, ძველებურად როგორ ატყუებენ და აცუცურაკებენ?“

„შენი გამკვირვებია, თომა, დრომოჭმულ, მაგრამ გამოცდილ უარესს, უკეთესით ვინ ჩაანაცვლებს – ციყვი და რგოლი ყველა დროში, ყველა ნყობაში სჭირდებათ, შეუცვლელი ნყვილია და სულ უნდა ირბინოს, იმის იმედით, რომ ოდესმე თავისთავს დაენევა, რაც, ცხადია, არასოდეს მოხდება; მაგრამ ვიმეორებ, გვირაბის ბოლოს სინათლის ხილვის მოლოდინის ხომ სჯერა!.. მთავარი ეს არის!.. ამიტომ აქეზებენ, აყოჩალებენ მადლობებით, საჩუქრებით, სიგელებით, ხანგრძლივი, უპაუზო ტაშით, ოღონდ სირბილი არ შეწყვიტოს, ოფლის წყარო არ დაუშრეს“.

„იმქვეყნად ხომ მაინც მიხვდება და პასუხს მოითხოვს!“

„აბა, რა გითხრა, განა იქიდან მოსული მომჩივანი ვინმეს უნახავს?“

„მოკლედ, ციყვი კი არბენინეთ თქვენს ჭკუაზე, მაგრამ, საბოლოოდ, ქარის ნისქვილებს ვერც თქვენ დააკელით ვერაფერი!“

„გგონია, სხვები დააკლებენ?.. არც უნდა დააკლონ, იმ ნისქვილებმა და „ციყვის“ ბორბლებმა სულ უნდა იტრიალონ, თორემ თუ შეჩერდა და „ციყვა“ თავს უშველა, ვიდრე ახალ რამეს გამოიგონებენ, ვინ იცის, რამდენი მზე ჩაქრება და ხელახლა აინთება... ასე რომ, ეგრე ყოფილა, არის და იქნება: თუ ხელისგულზე პურის ყუა გიდევს, ყველაზე დაუნდობელ ნაგაზთანაც კი თამამად მიხვალ“.

„თუ არ გიდევს?“

„მაშინ ის მოვა!“

„პურის სათხოვნელად?“

„არა, იმ ერთადერთი, ცხრაპირ საკერებელ-დადებულ შარვლის გამოსაბდღვნილად, სიცივეში ორპირი მაინც დაუნდობელში რომ გიქმუტუნებს“.

„მაშ, სჯობნებია, პურიც გვექონდეს და ძალ-თანაც ჩვენ მივიდეთ!“

„სჯობნებია, მაგრამ ძალი სულ არის, პური – ნაკლებად!“

„ამიტომ „ციყვები“, ძირითადად, სირბილის იმ მდგომარეობაში უნდა დავტოვოთ, ზემოთ რომ აღწერეთ, ხატოვანად, რა თქმა უნდა, როგორც თქვენ მახვილგონიერ ენაპირს შეეფერება?“

„უსათუოდ!.. ექვ, ჩემო თომა, მეც დავბერდი, უნდა გამოვტყდე... ოჯახს თუ არ მოვეკიდე, შეიძლება, უშვილძიროდ გადავშენდე...“

„განა სიბრძნე და სიგიჟე ბერდება?“

„ევოლუციას განიცდის!.. ჩვენც ბორბალმა გე-

აბზრიალა, უნაგირზე ჩამოვხში და ჩამოვილიე... გაკრეფილი ალუბალისკენ ვილა იხედება?!“

„ვიხედები, ბატონო, მე ვარ მთელ დუნიაზე გამოორჩეული კაცი“.

„საიდან დაასკვინი?“

„აი იქიდან, საიდანაც თქვენ ასკვინით ხოლმე“.

„თავს მოუფრთხილდი, ეგრე დაუნდობლად თუ ერთხელაც იკარი მუშტი შუბლზე, უარეს დასკვნებს ამოყრი?“

„გაკრეფილისკენაო, თქვენა ბრძანეთ“.

„დიახ, სრული ჭეშმარიტებაა!“

„ნუთუ თუნდაც ჩიტების გამოკენკილი ერთი კიმპალიც აღარ შეგრჩათ?“

„მგონი, მეორე მუშტი ნამდვილად აღარ გჭირდება!“

„მაშ, ესეც მიბრძანეთ, ბატონო, იმ ჩემი, შინ დარჩენილი „ჩამოკრეფილისკენ“ რომ გაგებხდათ, ფურთხიც ხომ შეგებრალეობდათ მისი, ქვაბის ძირით მოკალუღი პირისახისთვის?“

„მანდილოსნების ეგეთ კონტექსტში მოხსენიებას არ ვარ ჩვეული!.. არა მჯერა, ეგეთი ენითაუნერეული „მშვენიერება“ ბრძანდებოდეს!“

„ეგ იქით იყოს და, ჩემი კუნძულზე მოღვანეობის უამს, ერთი საერთო ავადმყოფობით დასნეულებული კაცი ცხოვრობდა, გუჩე-გუჩეს ეძახდნენ მეტსახელად... უცნაური ის არის, მეტსახელი ისე შეარქვეს, არაფერს რომ არ ნიშნავდა: პირდაპირ ენისწვერზე რაც მოადგათ, სტყორცნეს და მიანებეს; ჰოდა, ამ კაცს, სჭირდებოდა თუ არა, კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, ნებისმიერ ხელისუფალს უკანალში უძვრებოდა“.

„მერე არ იცოდა, მაგ შენმა გუჩემ თუ ჩუჩემ, კაცი ხელისუფალი როცა ხდება, ის შესაძრომი ხვრელი უკვე ამოვსებულია და, ახალი, თუნდაც ტანწერნეტა სოლიტერისთვის, ნემსის ყუნწისოდენა ადგილიც აღარ არის?!“

„გვიან ხვდებოდა, ამაზე ჩალიჩი ადრე რომ უნდა დაენყო, მაგრამ ვისთან უნდა დაენყო, ამის ალლო აღარ ებოძა თურმე“.

„შენთან არა სცადა?“

„უარგი კითხვაა – როგორ არა, ჩემს სახედარს აქამდე არ დავინყნია გუჩეს მოხალული ქერის გემო და, გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეეუშვი კიდევაც, იქ, სადაც ჩვენ ვიცით!“

„მერე რაო, ყმანვილმა, რალა ნებავდა, ხომ მიაღწია სანადელს!“

„მაგდენის გაგება ვერ მოვასწარი, ჯერ შუა გზაში იყო, როგორც თავადაც მოგეხსენება, გუბერნატორობიდან „ზარ-ზეიმით“ რომ მომისროლეს და ისიც დარჩა ორკაპში გაჭედილი მარჯივით“.

„ამდენი საუკუნე, ახლაც იქ არის გაჭედილი?“

„ვინ გამოიყვანდა? ისეა, როგორც მავზოლეუმი!“

„ეგ არის, მნახველები არ ეყოლება“.

„აბა, რას ბრძანებთ! თუ კარგად ვიკვებები, დღეში სამ-ოთხჯერ, ხშირად ხუთჯერაც, მნახველების





ცვენა აქვს... თუ ცოცხალი შელავათი მიეცა, მაშინვე ყელში ბოყინივით მომანვება ხოლმე, ალბათ, გაკვირვებული, აქამდე მალლა რომ ვეღარ ამოვუშვი“.

„ამოუშვი, მერე ხელს რა გიშლის?“

„ალარავის ვჭირდებოდი და უკნიდან თუ არ მოანვებოდნენ სხვა შემოდგომის მსურველები, მალლა როგორ ამოვიდოდა!.. ასე ჩარჩა, ჩარჩა, მერე თქვენ ახალი მოგ ზაურობა წამოიწყეთ და... კიდევ ერთხელ საგუბერნატორო კუნძული რომ გვაპოვინა, იქნებ, მეც და გუჩე უბედურსაც შევლებოდა!“

„ნეტავი, გარეთ რა უნდა, „მავზოლეუმში“ იყოს, გარეთ რა ვიცით, რა ხდება!“

„ბელადო, გაფიცვით, ახლა მაინც გამოტყდით, თქვენს დატრიალებულ ბორბალში კედელთან რამდენი „ციყვი“ მიაყენეთ?“

„მოდი, დუმლიის უფლებით ვისარგებლებ!.. ამ მინდორზე უდაბნოს საქსაული როდის ხარობდა, თანაც ჭილყავებით დახუნძლული“.

„სიტყვას ბანზე ნუ მიგდებთ... დაახლოებით მაინც?“

„რამდენიც საჭირო იყო... ერთი ეგ გუჩე-გუჩე დამრჩენია!“

* * *

იყო დრო, ცრემლი ოქროზე მეტად ფასობდა. მაგალითად, ტარიელის ცრემლი, ავთანდილის ცრემლი, ცრემლი ასმათის და ნესტან-დარეჯანის... ახლა ნახევარი მსოფლიო (მშიერ-მწყურვალეები, ლტოლვილები, ომებით და ტერაქტებით დაქცეულ-გაუბედურებულები, სამშობლონარტმეულები) ტირის, მაგრამ...

„შენს ცრემლთა ზეთით აღანთე შენი სულის კანდელი“ (ანტონ დიდი).

სანვიმარი მიღები რომ მღეროდნენ, იცოდნენ? ოღონდ თავსხმაში, რა თქმა უნდა! თანაც, თუ გულისყურით მოუსმენ, სულაც არ არის ერთფეროვანი მათი რეპერტუარი – ჯერ სახურავიდან დაძრულ ლედმას, ყინულის ნატეხებს რომ ხრიალით ჩამოახველებენ, ყელს ჩაიწმენდენ, ადრეული გაზაფხულის ღვარცოფის მხიარულ აკორდებს გამოურევენ და მაისის წვიმები ცისარტყელას თალებს გააკრივებენ, მერე ზაფხულის დუბელა ბელკანტო შეენაცვლება, მერე... მაგრამ სულ სხვაა ნოემბრის მინურულის მძიმე ფუგები, დამჯდარი ნოქტიურნი, ფერშეცვლილი, ტყვიასავით კედლის ძირებში, ფილებზე, ქვაფენილებზე დანარცხებული, ცივ შხეფებად დამსხვრეული ავდრის მელოდია

— ერთ შემთხვევაში, გაზაფხულზე, ბერიკების, ჯამბაზების, მხიარული წვიმის კაცების სალტო-მორტალეებით, თითქოს მოხეტიალე ცირკი თავბრუდამხვევ ნომრებს ასრულებსო და, ამის საპირისპირო, გვიანი შემოდგომისა და მოახლოებული ზამთრისპირის ამინდებით დამძიმებული მუსიკა, გეგონება უფოთლო, სველი, შიშველი ტყეების ფონზე ტალახში ამოგანგლული საზიდრები და დამარცხებული ლეგიონის ნარჩენები მიზოზინებენ, ანდა ნესტით დამბალი,

თივით დაზვინული ურმები მიჭრიალებენო.

ჟორა-პანს, წლების წინ, სწორედ ასეთ მოწყენილ, უხალისო დღეს შემახვედრეს.

იდგა ზურგმექცეული ფანჯარასთან.

შეთხელებულ-შეჭალარავებული თმა კეფისკენ ჰქონდა გადანურული. წელთან გაბანტულ, მამაკაცის შაბიამნისფერი ხალათის ფართე ჯიბეებში მძიმე, ნიჩბებივით ხელები ენყო. მისი სახე შემოდგომის მოწყენილ პეიზაჟს ირეკლავდა თუ იმეორებდა და სანვიმარში მოთქრიალე წყალიც თითქოს, გარეთ კი არ იღვრებოდა, ყვრიმალბებთან შეყრილ ნაოჭებში დანანილებული, ოთახში სევდად გუბდებოდა. მომეჩვენა, რომ დაღლილ, თვალბეჭი ნისლჩამდგარ, ცხოვრებამოყრებულ ბებერ ლომს, აღარც მსხვერპლისკენ, აღარც გართობა-თავშესაქცევისკენ გაურბოდა თვალი.

მოხარული ვარ, ჩემო ბატონოო, გამოიმინოდა მრავალნაცადი ტორი, თვინიერი, მშვიდი, კეთილგანწყობილი, აღარც საშიში. ოდნავ მომიჭირა კარტის აჭრაში დახელოვნებული, ერთ დროს საჩვენებელი, ელასტიური პიანისტის თითები. გზას რომ არ ასცდენოდა, ალბათ, მუსიკაში ან დიდ კალათბურთში თავის სიტყვას იტყოდა. ჩაკეტილი ნიჭიერების ენერგია ხომ, სადაც ბზარს იპოვის, იქ გამოხეტქავს.

მოგვიანებით, პირველ ცოლ-შვილს გაცილდა და თეატრის მსახიობ ქალთან ერთად ცხოვრობდა, რომელიც მე გავაცანი. თვითონ თავისთავზე არაფერს ამბობდა; გაშლიდნენ სუფრას და მის თავგადასავლებს სხვები ყვებოდნენ; ყვებოდნენ ტყუილს და მართალს, ნამდვილს და გამოგონილს... ესეც ისმენდა, ისმენდა, ღიმორეული და ვერ გაიგებდი, ამ ლეგენდებით ტკბებოდა, თავი მოსწონდა თუ მთხრობელებს დასცინოდა. თანაც, რაც უნდა ეთქვათ, არასოდეს არავის არაფერს შეუსწორებდა. მხოლოდ ხანდახან თუ წამოცდებოდა კითხვის ნიშანდასმული – „ჰოო?“ რა ვიცი, იქნებ არც უსმენდა, თავის წარსულში „ჩამარხული“, განვლილი წლების ცოდო-მადლს წონიდა.

თავიდან კი, პირველი შეხვედრისას, როგორ ბრძანდებოდა, მომიკითხა და პასუხს აღარ დალოდებია, ფანჯრისკენ შებრუნდა.

კარგა ხანს იდგა, გასუსული უსმენდა წვიმას.

მერე მალულად საჩვენებელი თითი თვალთან მოისვა.

მამინ გამახსენდა, ანტონ დიდი, გავიფიქრე, ცრემლის ზეთით სულის კანდელი ანთო-მეთქი.

აანთო და გავიდა, იმ ფანჯრიდან დანახულ პეიზაჟს შეერია... ეჰ, შორაპან, შორაპან, ეს რა ფიქრები ამინენე, ზურგსუკან გადადებული ქვასავით, როგორ უმისამართოდ გამისროლე.

გამისროლე და...

ესეც ჩაბნელებული, ოთხმოცდაათიანი უსიხარულო წლების დაუვიწყარი სასოვარი – ნასაქცევად ნახრილ ბოძებზე გაკიდულ, შავი ნანწავით ჩახვეულ სადენებს, გეგონება, ბოლოები ბოძებისთვის ყელზე წაუჭერიათ და ჩამოსახრჩობად მიათრევენ. დაბლიდან მალლა რომ აიხედავდი, ქალაქის ცა, ამ



გაუგებარი, ეზოებზე, ქუჩებზე, სახურავებზე გაბმულ-გამობმული აბალაბუდით იყო დასვირინებულ-ლი, მხოლოდ ეშმაკმა იცოდა უთავბოლო ხლართების გზა და კვალი.

ასეთი გაურკვეველი რეალობისა და მომავლის შემყურეებს, პრეზიდენტი ყოველ ორშაბათის რადიო-ინტერვიუში გვპირდებოდა, უმოკლეს ხანში ქვეყანას ახალ შვეიცარიად გადავაქცევთო. ამ გაუგონარი სიცრუით გამოკვებილი მოსახლეობა, ვისაც კიბესავით გამოაცალეს ბანკებში შენახული დანაზოგი, სულში ჩაფურთხებული და შეურაცხყოფილი, მიჰკვალავდა თავისი კიდევ ერთი უიღბლობის ათწლეულის ლაფსა და ძონძობს.

ბოძიდან ბოძზე ჩახლართული დენის მაჯის სიმსხო კაბელები იქცა მალლა ანეულ საცდელ თამასად, რომელსაც, არავინ იცოდა, ქვეყანა გადაახტებოდა თუ არა.

ერთხელაც, ახალმოთენებულზე, ქალაქის შუაგულში ამოზიდული გორაკიდან გადმოვყურებ და შიშით ველოდები, ერთბაშად როდის გაჩაჩკუნდება საკეტები, გაიღება ყველა სახლის კარ-ფანჯარა, სარკმელი, ჭიშკარი, განიხვება დარაბები, აინევს გულისგამანვრილებელი ხრჭიალით მიძიმე ჟალღუბები, მოღნიშნდება ყველაფერი, რაც კი ლამის განმავლობაში დაგმანული იყო და გამოვარდება საძინებლების მყრალი ოხშივარი, ნასუნთქით აქოთებული ჰაერი, გაბოროტებული ფიქრები, ზრახვანი, მუქარა, ნატანჯი, კომარული ხილვები და, ბოლოს, თავად ამ ვაქსანალიის ავტორები – ადამიანები გამოცვივდებიან, მოედებიან ეზოებს, მოედნებს, ქუჩებს, საპირფარეშოებს, რათა წინა დღის ჩახეთქილისგან დაცალონ და მუცლის ახალი ამოსაყორი ეძიონ...

ეს მოუთოკავი, წამლეკავი წარღვნა უცებ დაიპყრობს, დაეუფლება, შეავსებს ყველა კალაპოტს, ორმოსა და გასასვლელ-გამოსასვლელს. გაავებული, გაბოროტებული მეტყველება, დამცინავი, გაკილულთა თუ გამკილავეთა, გამარჯვებული სახეები გამოიფინება ყოველ ფეხის ნაბიჯზე, ისევ აგორდება მორიგი, ერთი საერთო ტყუილი, როგორც გახეთქილი ცენტრალური საკანალიზაციო სისტემიდან ამოჩქეფილი ფეკალიები.

გაიზმორება მომწამლავი, მრავალფეხა სიცრუე, ამ მცირე გორაკსაც შემოადგება აბუყბუყებული შავი მორევი და ინატრებ, ვინმემ ზეციდან მაშველი თოკი რომ დაუშვას, ან მალლა აგწიოს, ანდა ყულფი მაინც გამოგინასკვოს...

ასე გაგრძელდება შებინდებამდე, ვიდრე ღია კარ-ფანჯარები, ჩასაკეტად ახრჭიალებული ჟალღუბები, სასტუმროები, სახლები, თავშესაფრები, ვინც დილით გადმოანთხიეს, ისევ უკან არ დაიბრუნებენ, უკან არ შეისრუტავენ და ორპირი ქარები არ დაიწყებენ ქალაქის განიავებას, მანამდე, სანამ მამლის ყვილზე, ხელახლა...

„დაუშვი, თოკი, უფალი!“..

* * *

სპლიყვი ავად გახდა – ნასადილევს, ლექციიდან პირზე ხელაფარებული გავარდა და დედის ხსენი აღარ შერჩა.

მერე სიცხეც აენია. მივეხმარე – სანოლამდე ძლივს მილასლასდა.

მოგვიანებით – მშეირი ხომ არ იქნებით, იქნებ, ჩაი მაინც დაგელიათ-მეთქი.

არა, არაო, გაატატანა ხელი...

მაშინ „აკროშკა“ ხომ ძალიან მოგეწონათ...

უჰ, გახსენებაც არ მინდა, ეტყობა, მაგან მომწამლაო... მოწამლავდა, მაშ, რას უზამდა, დასავლურ პროდუქტს რუსული კერძი!

აბა,სხვა რა ვიფიქრო, ყველამ შევირგეთ და რალა სპლიყვი... რას ავიჩემე ეს სპლიყვი.

სააბაზანოში რომ გამომეცხადა, რალაცნაირად, რბილად ჩაცომებულ-ჩაკურატებული, ჩამოვარდნილი და ჩიჩვირ-ჩამოგრძელებული, რატომღაც მაშინვე მორევიდან დედის ხორთუმით ამოყვანილი, წყალნაყლაპი, ნამდვილი სპლიყვი დამიღვა თვალწინ...

რომ ვუთხრა, იქნებ, კიდევაც მოეწონოს და დაბადების მონმობასა და პასპორტშიც სახელი სპლიყვად გადაიკეთოს... ახლა ვინ უყურებს – რას დაირქმევ, რას მოიმოქმედებ, ვის ჩაუგორდები ან ვის ჩაიგორებ, თუ მაინცდამაინც პოპულარული გინდა გახდე, თავზე ხელი უნდა აიღო!

ფუი, ეშმაკს!..

„დაუშვი, თოკი!“..

გავიხედოთ და, იკითხოს ზეციერმა კი არა, მინიერმა მბრძანებელმა, ვინ არის ეს ყმანვილი, თოკს რომ თხოულობსო?

დაუმაღავდნენ, არ ეტყოდნენ?

მიეცით, რატომ ახვეწნივითო!

მიეცემთ, მაგრამ სხვებიც მოითხოვენო!

სხვებსაც მიეცით, დალოცვილებოო...

ჯერ ერთი, სად არის მაგდენი თოკი და, მეორეც, შესაძლოა ისე მოხდეს, ნითელ წიგნში შესატანიც აღარავინ დაგვრჩეს დედამინაზეო.

ჩაფიქრდება მბრძანებელი, როგორ მოვიქცეო! აბა, არ ჩაფიქრდება?!..

იცოცხლე, კარგია ამდენი მავედრებელისგან უცებ ორმტკაველიანი თოკის ნაწყვეტის ფასად დაისვენოს, მაგრამ, თუ აღარავინ დარჩება, ვილას პატრონი და მოხელე-ნაჩაღნიკი უნდა ერქვას!

თვინიერი ფარას გარეშე, ერკემალი, გინდ ყოფილა, გინდ — არა!

ბოლოს და ბოლოს, სხვასაც დაეკითხებოდა, რა ვქნა, როგორ მოვიქცეო, მაგრამ ვისთვის მიემართა, იმის მალლა რომ აღარავინ იდგა!

უფალი?

ის ხომ მხოლოდ ლარიბთა, ლატაკთა, უპოვართა, ცხოვრებისგან გზაბნეულთა მწყემსმთავარი, ბელადი და წინამძღოლია! ამა ქვეყნის ძლიერთ კი ღვთის წყალობისკენ არ გაუბრბით თვალი – სამოთხე მინაზე აქვთ მოწყობილი.

„საჭმელისთვის ნუ დაანგრევ ღმერთის საქმეებს“.





„ცხოვრება ისე ცუდადაა მოწყობილი, რომ შეუძლებელია ამით ყველაფერი მთავრდებოდეს“.

მეორე პირველს განმარტავს და მის სათქმელს აგრძელებს.

მოციქული პავლე და ერის მარია რემარკი.

არც დრო, არც ეპოქა, არც სოციალური მდგომარეობა – ამ ორ ადამიანს არაფერი გააჩნიათ საერთო, გარდა მრწამსისა.

„მრწამს ერთი ღმერთი.“..

წმინდაო მარიამ, მარიამ, ვის ანაცვალე შვილი, იმათ, ვინც სხვათა ნაშეიერებს დაუფიქრებლად სწირავენ, იმონებენ, აგზავნიან ძმათამკველელ ომებში, კაცობრიობის მოდგმათა, რასათა, ჯიშთა, ჯილაგთა, კულტურათა დინების მორღვეულ კალაპოტს გეზს უცვლიან, ერთმანეთში ურევვენ, თქვეფვენ, აბლენდერებენ და ამღვრევენ, რათა ყველა მათგანმა თავისი განუშეორებელი, ღვთისგან ბოძებული სახე დაკარგოს და უშინაარსო მასად იქცეს?!

დედინაცვლად მექცა სინამდვილე:

ნერა რომ დავიწყე, როგორ მიყვარდა და რად ჩამკარგა თავის უმადური სულის ჯურღმულეებში, რად შემახედა დაეჭვებით სამყაროს, რომელიც მის გაცნობამდე ასე უმანკო და მშვენიერი იყო?!

ჩემთვის სულაც არ არის სულერთი სამშობლო ჩემს შემდეგ როგორი იქნება!

უბედურია ქვეყანა, რომელსაც გაჭირვების გამო ავადმყოფები და ნიჭიერები ელუპება!

განა ეს ნაგავი, მეათასედ გარეთ გადაყრილი, ისევე უკან არ დაგვიბრუნდება, რათა ათასმეერთედ გამოვიტანოთ?! და ეს გაგრძელება მანამ, სანამ ჩვენც არ გამოგვიტანენ – ამ ნაგვის მომხმარებლებს!

ახლის აღებამდე, სათლში ჩარჩენილ ძველ წყალს ნუ გადაღვრი, ჯერ ონკანი შეამონწმე, წყალი მოდის თუ არა.

რჩევა რეკლამისათვის სწრაფი კვების ობიექტებს: „მადა რომ არ წაიხდინოთ, ბუზებს მაინცდამაინც ჭამის წინ ნუ დახოცავთ!“ გამილიონებულ ჩარლის დაავინყდა, მდიდარი რომ იყო: გადაგდებულ სიგარის „ბიჩოკს“, როგორც სჩვეოდა, ხელი დასტაცა და პირისკენ გააქანა!

„დავახრჩობ დედას,

მე მოგკლავ მამას,

რევოლუციამ თუკი მიბრძანა“.

„პოეტ“ ფეოდოსიშვილს, ალბათ, მისთვის გასაგები მიზეზების გამო, მამაზე მეტად დედა უფრო სძულს (ახრჩობს) – დედის ჯიგარს რა ვუთხარი, თორემ ქალმა ხელსაფქვავე ან წისქვილის ქვა უნდა დაიტრიალოს მუცელზე და ასეთი შვილი არ გააჩინოს!

ძველი ჩანაწერებიდან:

„საქმე ისე არ უნდა წაახდინო, რომ მისი გამოსწორება აღარ შეიძლებოდეს“.

„თუმცა გვარი აქვს ბრაჭული, უყვარს თვალების პაჭუნი“ (ეს რაღა შუაშია?!).

„ღმერთო, ჩემი სოფლის ბოლოში, მინდვრების გასწვრივ, კვარხულას გაყოლებზე, რა ლამაზად შრიალეზდნენ ჭადრები“.

„ლამაზად შრიალი აღარ გამიგია“.

„ახლა ხომ გაიგე?“

„დადგება დრო, როდესაც აქ თუ არა, „იქ“ მაინც, ერთი სიმღერისა არ იყოს, ყველას უეჭველად გვეკითხავენ, „სად იყავი, სად იყავი მაშინ.“..

„ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ქათქათა თოვლზე ტალახიანი ფეხებით ვილაცამ გაიარა“.

როდის იყო ეს ყველაფერი? ახლა ვილას უკვირს ახალმოთოვილზე ლაფიანი ფეხსაცმლით სიარული! ან სადღაა ქათქათა თოვლი, ყველა ხომ საერთო ამღვრეულ გუბებში ვდგავართ და ერთ ხმაზე ვყიყინებთ! ვდგავართ, რადგან „სხვაგვარად არ ძალგვიძს“. დაბურული შუშებიდან არ ჩანს, ძვირადღირებული მანქანა-ტახტრევენების ბორბლებიდან ასხლეტილი წუმპეს შადრევნები, თავზე „შარავანდედად“ რომ გვადგას.

გორაკზე მდგომი ვკითხულობ:

— ნუთუ ეს ჩემი ქალაქია?!

— დიახ!

კითხვისა და ძახილის ნიშნები, მიუხედავად გრაფიკული სახესხვაობისა, ერთნაირად, რადიკალურად ამძიმებენ განწყობილებას.

დიდრონი ფიფქები, ფართოდ გახელილი გაოცებული თვალებივით, გულუბრყვილო და ჰაეროვანი!..

ნუთუ ესენიც ინანებენ, ჩემი ქალაქის მხრებზე რომ დაფრინდნენ? სულ მალე წვიმის ორკესტრის ბგერებად იქცევიან და სახურავებიდან დაშვებული მილების ხერხემალი ჩაიჭონებიან. თოვლი ფერწერაა – როგორც ბინოკლს, ახლოს მოაქვს მთების გრეხილი, თავისი მწვერვალებით, ფერდობებით, ხევ-ხუვებით; კარდიოგრამაა, რომელზეც ისახება ჩემი სამშობლოს მოციმციმე არითმია.

მწვერვალების პირველი თოვლი, სტეპების ძნელად მოსაცილებელ, ნებოვან ტალახში ამოგანგლული ჩექმებით აკლებული, შეურაცხყოფილი.

აღარ მინდა ნერვები შენც ავიწუნო!

ჩრდილოეთისკენ აღარ გავიხედავ! იქაური უკიდევანო ველების თოვლი თვალის დამღლეი, მოსაწყენი და პირქუშია.

ჩვენებური ზამთრის ნობათი ფერწერაა, თეთრი, ქათქათა ნახატია; თითქოს ყველგან ერთნაირია, ერთ ტონში, მაგრამ რატომ ეჩვენებათ დალტონიკ გენიოსებს „იისფრად“, „ლურჯად“?

მოდის, მოდის... ნება-ნება ეფინება... ბილიკზე განოლილა თეთრი ვეფხვის თათები!.. თეთრი ვეფხვი ვის გაუგონია, მაგრამ მაინც... ეტყობა, მეც გენიოსობის ჭია მიღრღნის გულსა და გონებას...

კრამიტების ტეხილები – დამთავრდება სახურავი თოვლის ფრაგმენტით და აეყუდება მეზობელი სახლის ჩამუქებული, ნესტიანი კედლის ეკრანი.

ამ ეკრანის თავსა და ბოლოში დაკიდულან სანვიმარი მილები. მოთმინება დიდი აქვთ.

თავის დროს, ანუ თოვლის წვიმად გარდასახვას ელოდებიან. და ისიც მოვარდება, მაყრიონის ცხენთა თქარათქურივით შეწყობილი, ომახიანი, გიჟმაჟი გაზაფხულის მახარობელი, ერთ დროს წყნარი, ფარ-



ფატა, თვინიერი ფიფქების შთამომავალი. მოვა და ახმაურდებიან სახურავებიდან დაშვებული „მეტალისტები“, დაინყებენ ბრწყინვას ათასნაირი საყვირები, გუდასტვირები, ვალტორნები, სართულებიდან მიწამდე დაშვებული საქსაფონები...

ვის შეჰკნავის სანვიმარი მილიდან გამომძვრალი, მშრალზე დაკუნტული, სოლისტივით ყელმოღერებული ბომბორა კატა? ცოტანი თუ ბედავენ წვიმის შხაპქვეშ სიარულს, უმრავლესობა ჩვენ ჩვენი ფანჯრებიდან – ბენუარებიდან, ამფითეატრებიდან, ლოჟებიდან, მანქანის სალონიდან ვუყურებთ და ვუსმენთ.

მოვდივარ მაღალყელიანი ფეხსაცმლის ყყაპა-ყყუპით და კისერში, როგორც ყულაბაში ხურდა ფული, კეფაზე დაცურებული წვეთები ცვივა.

წვიმამ რა შეიძლება გაგახსენოს? ალბათ, ისევ წვიმა, ოლონდ ძველი, კარგა ხნის წინ გადავლილი.

მაშინდელი ავდარი, ვინ იცის, კიდეც რამდენჯერ მოვიდა, ის მელოდიაც განმეორდა, მაგრამ ერთმანეთი ვეღარ ვიცანით!

ჯერ თოვლის ამინდია.

დადის და ალამაზებს ქუჩებს, გახრიოკებულ სკვერებს, ჩამხმარი ბალახით ჩამოძონძილ ფერდობებს – მოდის, მოდის, ზეცის ღანვზე დაცურებული მსუბუქი, ფაფუკი ცრემლები. იღვიძებს, იშმუშნება, ძვლებსა და სახსრებს იტკაცუნებს- მეთქი ქალაქი, ამოდის წყალქვეშა ნავით ღრმა ძილქუშიდან. აღარ მეგონა, ხანგრძლივი დამორების შემდეგ, ამ ძველი უბნების რესტავირებულ ნახატს, ისევ თუ შევიყვარებდი.

აკი ამბობენ, ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შესვალა!

იქნებ, ვერც მე შევედი, ეგებ, მომეჩვენა და მისგან არც არასოდეს არ გამოვსულვარ, ფეხიც არ მომიცვლია?

ციხის პირველ გალავანთან, რომელიღაც კიბეზე, სავარჯიშოდ ადრიანად ამოსული კაცები ცხარედ კამათობენ მოახლოებულ არჩევნებზე და ორ კანდიდატზე, რომლებმაც პირადად მათი და ერის იმედები უნდა გაამართლონ (ბოლოს და ბოლოს!).

ამავე ადგილას, მტრის ჩამოთესლებულ მტარვალებს მიჰკაფავდა სიგიჟემდე მამაცი მეფე (საუკუნეების წინ) სიმონ პირველი და ვერ წარმოიდგენდა, ოდესმე ორი თავგუდაფუტუა ბრიყვი, არაერთი ტრაგედიის მონმე ციხესიმაგრის ავანსცენაზე, ასევე ორი თანაპარტიელი, ქარაქუცა ცრუ გამირის გამო, ერთმანეთს თუ დაჭამდნენ.

ახლა ხმლებს აღარ იქნევენ, გესლიანი ენებით კეჭნაობენ!

თავისუფლების მზეთუნახავი მიუდგომელ კოშკშია გამომწყვდეული, მაგრამ სად არის მისი გამომხსნელი მზეჭაბუკი!

დღევანდელ, დამყაყებულ ჭაობს სადრენაჟო არხი სჭირდება! ვის ეყოფა ძალა, სინდისი, პატიოსნება და გამბედაობა მის გასაჭრელად?

ერთი პასუხგაუცემელი ტყუილი მეორე, უფრო დიდი სიცრუის მშობელია!

მღვრიე დინებები კვლავ წამლავენ საზოგადოების ცნობიერებას, გესლავენ ქვეყნის სასიცოცხლო იმიჯს, როგორც გველები — ლაოკონს და მის შვილებს.

ქვეყანა რომ პირქვე დაამხონ, ამისთვის, მაინცდამაინც გარეულ მტერს ნუ დაველოდებით, ამას შინაურები უფრო უკეთესად მოახერხებენ!

— ვისი რა საქმეა, ჩემს საკუთრებას, რას ვუზამ და როგორ მოვიხმარ... ვის დაუწვები, ესეც ხელისუფლებას უნდა ვკითხო, ამ უნდილებს, ამათ?!. მაპატიეთ და, ეგეთი ხოში მაქვს, რასაც მინდა, იმას ვუზამ, ისე გამოვიყენებ ჩემ ავლადიდებას, ეს არის ჩემი ბიზნესი!.. აბა, შეხედეთ, რამდენი ვართ, რამდენი კიდეც პატიოსნებას თამაშობს და, სინამდვილეში, ჩვენ გვითანაგრძობს... ნახეთ, რა ქალი ვარ, რეკლამა რად მინდა, თავად რეკლამა ვარ! – ტურქებგადაღობნილი დედაკაცი, უსახელოებო სარაფანიდან გამოყრილ მკლავებს, მიკროფონის წინ გაბეყვილი, ვითომ უფრო უარესს არ ამბობდა და მოქმედებდა, სიტყვა „ხოშზე“ ბოდიშობდა!

შუა პროსპექტიდან საქვეყნოდ თავისი ამბუვებული სხეულის, უზნეობის უფლებების დაცვას ითხოვდა! გვაშინებდა, ნატოთი, ბრიუსელით, ევროსაბჭოთი, ქალთა უფლებების დამცველებით...

ვითომ, ზნეობას არ სჭირდება დაცვა!

პუტკუნა, აფუებული ცომის გუნდასავით მუშტს მკერდში ირტყამდა, ოლონდ, არ ამბობდა – ვის და რად ემუქრებოდა, ვინ ართმევდა, ანუელ კაბას მუხლზე ვინ აფარებდა, ვინ უკრძალავდა, როცა უნდოდა, ვისთანაც უნდოდა და რამდენჯერაც უნდოდა, ლაჯებში მომწყვდეული ხვადი ვენბიანი კრუტუნით გაენურა... ათწლეულების წინ, ომის დროს, ნავთლულის სადგურის ბაქანზე, ჯარისკაცების გამცილებელი უამრავი ქალი, კაცი, დიდი და პატარა ირეოდა.

კვამლით თმაგანწილმა ორთქლმავალმა კვილით შემოაგორა ხის ყვითელ-მწვანე ვაგონები.

ემელონმა უცებ შეისრუტა ახალწვეულები.

„გიორგი, გიორგი!“.. – საერთო, ზღვა ხალხის აურზაურში გაისმა კრიალა ხმა.

ახალგაზრდა ქალს სამიოდე წლის გოგოსთვის ერთი ხელი ჩაეკიდა, მეორეთი ჩვრებში გამოკრული ჩვილი გულზე მიეხუტებინა და ვაგონიდან ვაგონში, ფანჯრიდან ფანჯარაში თვალეზად ქვეული, ვილაცას ეძებდა, უხმობდა...

მირბოდა, მისდევდა ახჭრიალებული ბუფერებით აძრულ მატარებელს და, როგორც იქნა, ისიც გამოეხმაურა, ფანჯარაზე გადმოყუდებულმა, პილოტურა დაუქნია...

კვილი ძახილის ნიშანივით აიჭრა ცაში.

ვიდრე ვაგონი აუჩქარებდა, ქალმა გოგოს ხელი გაუშვა, ჩვილი ორივე ხელით თავზემით ასწია და გაბზარული ხმით გასძახა:

„აი, შენი თედო, თევდორე!.. შენს გასაცილებლად ჩამოვიდა!“..

გიორგიმ გაუცინა, თუ სიცილი ეთქმოდა იმის დაღრეჯილ გამომეტყველებას, ფანჯრიდან გად-





მოიხარა, თითქოს ჩვილი უნდა ჩამოერთვა მაგრამ მატარებელმა უფრო სწრაფად გაიტაცა და წაიყოლა... სამუდამოდ!..

„ბავშვებს მიხედეთ!“ – ესლა მოასწრო.

ქალმა მკლავები დაუშვა, აქვითინებულმა ჩაიკრა ორივე შვილი.

მიხედა. ცალუელში შებმულმა ომში დალუპულ მეუღლეს ოჯახიც შეუნახა და ნამუსიც.

სპლიყვის რეცეპტით, ოცდაათ წლამდე რომ მოეცადა, მარტოხელა ქვრივ-ოხრის უსიხარულო ცხოვრებას შვილებით მკლავებდამძიმებული ხომ არ ზიდავდა!

* * *

„ხუმრობთ?“

„როგორ გეკადრება, თომა, განა არ იცი, სერო-ოზულ თემებზე რომ არ ვხუმრობ?... სახრჩობელები ვისთვის დაუდგამთ, რა ხდება ბესტაეთში? თანაც, ერთი მაღალი, მეორე – დაბალი!“

„ჩვენს პატივსაცემად, ბატონო! აგე, იმ წონოლაზე თქვენ ჩამოგაკონნიალებენ, დაბალზე კი... დაბალზე“.

„სულელები!.. ყოფილიყო ორივე ერთნაირი სიმაღლის, დაგვაჯულობის გამო, განა მაღალზეც ვერ დაეკიდები?... ჩამოხრჩობამდე რომ ვიკითხოთ, ასე „თავაზიანად“ რატომ გვექცევით, არ შეიძლება?“

„თქვენ გეკითხებოდნენ, მსჯავრდებულები თქვენი ბელადობისას?... ნეტავი, ახლა ერთი მაგრად გამომაძღო და მაგათი თოკიც არ მინდა, ყულფს ამ ჩემი ხვანჯრით გამოვნასკვავ!“

„ეტყობა, მხარი გვექცა, თორემ ბესტაეთი სახრჩობელებით არ შეგვხვდებოდა... დედამინა მრგვალი კია და შენი მუცელიც, მინყივ... ამიტომ ჩვენც ოვალური პრინციპით ვმოძრაობთ. ისე, გასროლილი ისარი რომ წარმოიდგინო, მიზნისკენ მსწრაფი, მაგრამ ამხელა ცდომილება?“

„წარმოვიდგინე კიდევაც და ბევრი ისარიც მიწახავს, მიზანს შორიახლო რომ ჩაუქროლა და, რა თქმა უნდა, კაციც, ჭკუას კარგა გვარიანად აცდენილი!“

„იმედია, ასეთი კაცი ჩვენ შორის არ გეგულება!“

„რომც მეგულებოდეს, ხმამალა როგორ ვიტყვი!“

„გარკვევით ამოთქვი, ჭკუას აცდენილებში შენ თავს გულისხმობ, თუ მე გინდა გიყამდე ამამალლო?“

„თქვენ თუ კიდევ ამალლება გაკლიათ!“

„რაო, რა თქვი?“

„ეს ერთი საიდუმლო გულში შემანახვინეთ-მეთქი“.

„აბა, რასამბობ, საიდუმლოისეთი რამეა, ერთადერთი უფალი თუ შეინახავს... იმასაც თავის დრომდე“.

„თავის დრომდე მეც ვგრე მოვიქცევი!“

„მეეჭვება, ენას კბილი დიდხანს დააჭირო – საკმარისია, გამოსატყვად ფეხები დაგიბაკუნონ, ან სანაგვის ტკიპით ჩაწილულმა კატამ შემოგჩხავლოს და გზაზე გადაგირბინოს, ან ცოლთან საზიარო ბალიშზე თავმიდებულმა გულის გადაშლა მოინდომო, ან...“

„ნუ მომკალით, ამდენი „ანიო!“ ან მოათავეთ, ან...“

„ალიარების საღერდელი როცა აგეშლება, კაცს თუ ვერ ნახავ, ქვასა და კლდეს მაინც მოუყვები!.. მოკლედ, მყიფეა ადამიანის შენახული საიდუმლოს ჭურჭელი, უფალს თუ არ მიანდო, ადვილად იმსხვერვა... დღეს საქმე ისეა, გულს ყველა ანაფორიანსაც კი ვერ გადაუშლი, რომ მეძალავება, აღსარება ჩამაბარეო!.. ჩავაბარო, რა, სახლის გასაღებია? მერე პირ-მობოშებული ქურდი რომ აღმოჩნდეს, გასაძარცვად ჩემი ნებით შევუშვა?!“

„აღსარების გაშარავებისთვის ღვთის სასჯელის არ ეშინიათ?“

„შენ გეშინოდა, საზიარო გუდიდან, მთელი გზა ჩუმ-ჩუმად ყველს რომ ციცქნიდი?“

„იცოდით და დუმდით, ბატონო?“

„მე ვდუმდი? ანდა, იცოდით? რა ცოდნა უნდა, ყველაზე სულელურ, წყალწყალა თხზულებებშიც რომ არ ამომეკითხა, ჩვენებური ყველის ნათხით გაპოხიერებული შენი თითები, ისეთ სუნს გამოსცემს, მთელ ბესტაეთს გულყრა დაემართება!“

„გეყოფათ, ყელში რამდენჯერ უნდა ამომადინოთ!.. ხომ გითხარით, როცა ვიპარავ, მერე ვინანიებ-მეთქი, თანაც, ისე გულმხურვალედ“.

„არ გითქვამს თუ გულმხურვალედ“.

„ოჰ, ნეტავი ჩემს თხას რძე გაშრობოდა, ვიდრე დედაკაცი ამ ყველის კვერს ამოიყვანდა!“

„თავს თუ ხაფანგში ბოლო ნამცეცი ეგულება, არ მოისვენებს, ვიდრე არ გაეშვება!.. ამას მოვეშვით. იქნებ, რამე სამიჯნურო თავგადასავალი მომიყვე, ცოტა გული რომ გახალისდეს და ძარღვებში სისხლი აჩუხჩუხდეს!“

„ამ სიცხეში ჩვენ სისხლს კიდევ აჩუხჩუხება უნდა?!.. კეთილი, ჩემო ბატონო, მაგრამ როგორ მოგიყვე, ხმამალა სათქმელი რომ არ არის, ვაითუ, ქარმა სიტყვები მომტაცოს და თქვენი ყურთასმენისგან შორს წაილოს; უნაგირზე უკულმა ხომ არ შემოჯდებით, სახეში რომ გიყუროთ?“

„თომა!“

„შემოაჯექით, რა, ეწყინება?“

„ვის?“

„აი, მაგას, ჯაგლაგი როა და ბედაურს ეძახით!“

„რამე ისეთი არ აკადრო, თორემ თუ აპრიხა ძუა და დააქუხა...“

„ემანდ გული არ გადამიტრიალოთ!.. მინდა, ორივემ იცოდეთ, რომ ლობიოს ყოველდღიურ მომხმარებელთა მოდგმისა ვარ და დაქუხებით ვერ გამაჯვირვებთ“.

„ლობიო მდაბიოთათვის ბოძებული უფლის საკენკია“.

„უფლის საკენკიო? ეგ რა წამოგცდათ, ბატონო, უფალთან საკენკს რა უნდა, საკენკი ეშმაკისაა, რომ მოგვატყუოს, მიგვიტყუოს და თავის ნებაზე გავტუტუცოს... აუჰ, მზე პირდაპირ გაჭერთ... ალბათ, ძალიან რომ დაცხა, იმის ბრალია“.

„რაო? მარტო ჩემთვის დაცხა და შენ ხონთქარის ფარეშები გინიავენ?“



„მე, ბატონო, როგორც მდაბიოს, ღმერთმა სეტყვა და სიცხევაუმტარი ტყავი მიბოძა; ასე რომ, რაც ჩემთვის, სანახიროში, წვიმას და მუშტის სიმსხო ხოშკაკალას თავში უფაპუნებია“.

„უჰ, უჰ, კიდევ კარგად გადარჩენილხარ! მაგდენს ჩემი მუზარადიც კი ვერ გაუძლებდა... კარგი, ტყავი გიფარავდა, მაგრამ სეტყვა ისეთი სიმაღლიდან ცვივა, მტკივნეული მაინც არ იყო?“

„შეიძლება, არ არის გამორიცხული, მაგრამ ეგ სეტყვის მარცვლებს უნდა ჰკითხოთ... როცა კინკრიხოზე დამეცემოდნენ, ეტკინებოდათ, მაშ, რა ოხრობა მოუვიდოდათ!“

„აღბათ, აღბათ... მაგრამ შენც ცოტა-ცოტა დაგტყობია“.

„რომ არ დამტყობოდა, ამდენი საუკუნე, თქვენი ჯაგლაგის ჩონჩორიკიანი უკანალის უღრანს ვიქნებოდი მიჩერებული?“

„ეგ უღრანი კი არა, სარკეა და შენს პირისახეს ირეკლავს... ამას ნურაფერს დააბრალებ!“

„როგორ, მე ეგეთი ვარ?“

„სარკე თუ არ გეზადა, დანმენდილ გუბეში მაინც არ ჩაგახედავს, ერთხელ მაინც?“

„გუბეში რატომ, ჩემი სახედარი კი არა ვარ!“

„წინდახედულად მოქცეულხარ! რომ ჩაგეხედა, ეგ შენივროუკა იმ წყალს როგორღა გაეკარებოდა?... ეს რა ფორმის ყვავები მოფრინავენ, თომა?“

„ყვავები კი არა, თვითმფრინავებია!“

„აუ, რამხელა ბახალებს დაჩეკენ, მუცლადღებებს დრო რომ დაუდგებათ!“

„ვაი, იმათ, საითკენაც მიფრინავენ, რამდენ სკინტლს გადმოაყრიან“.

„კარგია სკინტლი, გამიგია, მიწას აპოხიერებსო... იქნებ, შენი კინკრიხოც გაანოყიეროს და, როგორიც მახსოვს, თმა ისევ ისე ამოგეკოჩროს!“

„მწყევლით, ბატონო? მაგათი სკინტლი ანგრევს და სიკვდილს თესავს... ეტყობა, ვილაც დიდი ხელმწიფე ბესტაეთს დასჯას უპირებს!“

„ამ გავერანებულ მხარეს რალა დასჯა უნდა!“

„მახსოვს, მეფუნდუკეს ხელის ბიჭებმა ძვალ-რბილი რომ გაგიერთიანეს და სულთმობრძავი მიგატოვეს, მოსუნსულდა მანანნალა უსინდისო ქოფაკი და ფეხანეულმა დაგაშარდათ“.

„პატრონებს აამა?“

„აღბათ!.. რამ გაყო სულმდაბალი ძალლი და ადამიანი?“

„აქეთ რა თავყრილობა აქვთ?“

„ჩვენზე კამათობენ, ორი სახრჩობელა რატომ დავდგით, როდესაც ერთია გაიძვერა ამ ორშიო! გაიგე, ახლა რომელი გვიგულისხმებს?“

„როგორ გავიგებთ, ანდა, ეგებ ჩვენ არ ვყავართ უზურში?“

„განა, ჩვენს გარდა, ირგვლივ კიდევ ვინმე ჭაჭანებს?“

„თუ ცხენსა და სახედარს არ ჩავთვლით, მართლაც ეგრეა!“

„რატომ არ უნდა ჩავთვალოთ, ოთხს ქეშ-

მარიტების დადგენა უფრო გაგვიადვილდება – კენჭი ვყაროთ, ვინც ყველაზე ნაკლებ ხმას მიიღებს“.

„მერე ესენი თვლაში რომ მოიკოჭლებენ?“

„თქვენი ბედაურისა არ ვიცი, აი, ჩემი ვირი კი სულ თავის კანტურით მოდის და გამუდმებით გარაველების ტაბულას იმეორებს!“

„აბა, მეუღლე დაიფიცე!“

„სიამოვნებით, მაგაზე განყენინებთ?“

„თუ ხმები თანაბრად გაიყო?“

„მაშინ წონამ გადაწყვიტოს, ვინ მეტი, ვინ – ნაკლები!“

„მაგ შენი შემოთავაზებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენ ოთხში გაიძვერა და თალლითი, კენჭისყრის გარეშეც, შენ გამოიხარ!“

„არჩვენებში ყველანი თანაბარი უფლებით ვმონანნილეობთ და შეურაცხყოფას ნუ მომაყენებთ!“

„ჩემს ულაყთან ერთად, აბჯარ-საჭურვლიანად სასწორის ერთ მხარეს რომ დავდგე, ისე ხარ ჩაკურატებული, მაინც ვერ გადაგწონი!.. ან შეგნებულად ცდილობ მაცდუნო, ან შენი ტვინის ხვეულებისთვითაც მაგრად ჩამოცხა!“

„მაშ, რა ვქნათ, ამ მოლაყბებს ბრმად მივენდოთ?“

„ტობოს ასული თუ მანდ არის, თავს არ დაზოგავს – სამართალში გარკვეული ქაღალატონია!“

„პირველად მესმის!“

„თუ მოინდომა, როგორც სჩვევია, ამ ჯოგს პირში ჩალას გამოავლებს... ჩემი გულის რჩეულამდე რა მანძილზე ვიქნებით?“

„აბა, ავხედო ზეციურ კარაბადინს!.. მზის გადახრის, ღრუბლების კონუსური ფორმით და ვარსკვლავთა სავარაუდო ციკლის ოცდაათგრადუსიანი კუთხის მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, ასე, ორი სტადიონის სავალზე უნდა ვიმყოფებოდეთ“.

„მეგონა, დიდი გზა გამოვიარეთ; სინამდვილეში, ბესტაეთის დამლუპველი სალაყბო და საგიჟეთი ერთმანეთთან რა ახლოს ყოფილან“.

„რაც დრო გავა, კიდევ უფრო დაუახლოვდებიან!“

„საიდან ასეთი გამანადგურებელი პროგნოზი?“

„აბა, ამათ ლლიცინს მოუსმინეთ, განა ჩვენს დანყევლილ თავშესაფარში მსგავსი რამ რომელიმე გაყს წამოსცდება?“

„ჰოო, ისეთი ჩარბუზანა აქვთ, მგონი, არ უნდა ტყუოდე!.. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, ჩემი გულისსწორის მხრიდან მოყვრებად მერგებიან, უნდა დაგეთანხმო!“

„სად წახვედით ჭენაობით, სად გაოფლეთ იორლა?“

„ეს რა ვნახე, თომა!.. ესენი აქ ჭამენ ერთმანეთს, უკან კი, სულ რაღაც რამდენიმე მეტრში, მავთულხლართია გაბმული“.

„მერე მაგან გაგაოცათ?“

„მავთულხლართის აქეთ კაცია დარჩენილი, იქით – მისი პენისი... ჰოო, თქვენებურ-მდაბიურად, საოხრე! ცოლი უკანასკნელ ბუნუნებს იცლის, რა-





ტომ ეს უენარა და უმაქნისი იქით არ დარჩა და ის კიდევ – აქეთო! ქალის ცოდვით დავინვი!.. რა ეპენისება?! დედაკაცებს რას გაუგებ, ოჯახში „მუშა“ ერთადერთი ეგ იყო... დულცინეასავით ყველა კი არ თოკავს ვნებებს... აგე, რამდენი უცხოელი სეირის მაცურებელი დაეხვათ, თეთრები, შავები, ფერადები... გაგიგონია? კაცს კი არა, თავისუფლება პენისსაო!.. გააქვთ და გამოაქვთ!.. ყოჩაღ, თომა, გაგინათდა გონება, განა შენი სახედარი კი არ მიინეეს მსუყე, ყუათიანი საძოვრისკენ! ესენიც საძოვარზე არიან მოსულები, ბესტაეთისა და პენისის უბედურება კაი პურს აჭმევთ!.. ვაჰ, კაცო, გარეგნულად ტრაგედოიბანას თამაშობენ, თორემ გულში სიამოვნების ღლიცინისაგან სიცილით იფხრინებიან. პენისი კი არა, დანიის პრინცის თავიც რომ გაუგორო, გგონია, უფრო მეტად არ ახარხარდებიან?! სიგიჟე ხომ ვირუსია, თანაც, უკურნებელი... აბა, აქ სერიოზულობას ვინ გააჭაჭანებს! იუმორი, თომა, იუმორი... აგე, პენისის პატრონიც კი ილიმება... სიმნრით, მაგრამ მაინც... ის კი, დედაკაცი გულმდულარედ რასაც დასტირის, მავთულხლართებს იქით, ღიჭა ბალახში მიგდებული ძლივსლა ტოკავს, უკან რომ დააბრუნონ, ივარგებს კიდევ იმ საქმისათვის? რაო, ვითომ არ იცი, რაზეა ბაასი? ჩემზე კარგად ვინ გიცნობს, მდინარესთან ნაკუზულ, აკალთაებულ თეთრეულის მრეცხავ დედაკაცებთან რომ ჩაიჩოქე, ვითომ ქალამანის თასმას ისწორებდი!.. რას გამომაპარებ!.. ეს რა ამბავია, მომიტინგე ნახირი შენს საცოდავ ვირუკაზე როგორ დაეტია, თუმცა, რატომ არ დაეტეოდნენ, თავი და უკანალი ხომ საერთო აქვთ... ჩამორეკე, ახლა მაგათი თანამგ ზავრობალა მინდა!”

„დავილაღე, ბატონო, მე თუ არა, ჩემი ყურები მაინც შეიბრალებთ!“

„მეც დავილაღე, მაგრამ ცოტაც გამიძელი, – აი, მაგათ წინამძღოლს, ვირიდან რომ ჩამორეკე, მხოლოდ თავის ჩამოზვინული მუცლების ამოყორვა და პატივისცემა რომ შეუძლიათ, ბესტაეთის უბედურებად რომ იქცნენ, თავიანთი გაუმადლარი ნათესაობით, მომთხოვნი მეუღლეებით, მწყალობელი, საიდუმლო ქალბატონებით, კინკილა შვილებს ადევნებული ძიძებით, ნაირ-ნაირი სამთავრობო ესკორტით, შეხვედრებით, მისვლა-მოსვლით, თვითმფრინავების პირველი კლასის სალონებით, აუნონავ-გაუზომავი ქონებით... აუჰ, რატომ არ გამაჩერებ, ამომძვრა სული... რატომ გიკვირს ბესტაეთის უბედურება – ადამიანების ჯიბე კი არა, სული გალატაკდა, თომა!.. ამ ქვეყანას უფალი რომ სცდის, გასაგებია, მაგრამ გაძლების ძალაც ხომ უნდა მისცეს!“

„შემიბრალებთ-მეთქი, ბატონო, სადაც არის, ძირს მოვადენ ბრაგვანს!“

„ნუთუ ჩემი ყბედობა უფრო ძნელი ასატანია, ვიდრე ის ფათურაკები და განსაცდელეები, ჩემი გამოისობით რომ ნაეკიდებოდი ხოლმე?“

„სწორად მიხვდით, ბატონო, ის ყველაფერი ამ ქარბორბალას როგორ შეედრება, ახლა ჩემ სულში რომ დაატრიალებთ! მაშინ უკანასკნელი გუბერნა-

ტორიც კი ვერ მოიფიქრებდა, რასაც დღეს სჩადიან; ნუთუ მოციქულთა წმინდა წიგნებში არაფერია ნანონასწარმეტყველები ბესტაეთის დაქცევაზე?“

„კიდევ რომ ენეროს, რა შელავათია, ეს დაგვალული და უნაყოფო ველიც აღარ გათავდა, სულისმო-სათქმელ ფუნდუკამდე მაინც რომ მიგველნია... არ მისმენ, თომა, შებრუნებული რას დაჰყურებ, გგონია, სახედარი ჩონჩორიკის ნაცვლად ოქროს მონეტებს ჩამოყრის? თუნდაც რომ ჩამოყაროს, აკრეფას ვინ დაგაცდის, ვიდრე ნივრის ფორითა და ხშიადით გასიებულ სტომამეს ჩამოიღებ... მიკვირს, რა გასუქებს, ეტყობა, ფორის გამუდმებულმა ცოხნამაც იცის... თანაც, აამყრალე აქაურობა! თუ პირქარია, კიდევ რა უშავს, აი, ზურგიდან რომ ნამოუბერავს, მაშინ გვიჭირს, მე და ჩემს ბედაურს... რაო, სახედარს ადანაშაულებ? აბა, მაგ საცოდავმა უენომ თავი როგორ იმართლოს!.. შენ სულს კიდევ ცოდვით დამძიმება უნდა? პირუტყვს იმას აბრალებ, რაც არ ჩაუდენია!“

ვილაცამ სექსუალური უმცირესობების თემა შემოაგდო – ჩვენში თავისუფლების ხიბლი, ჯერჯერობით, მხოლოდ იმათ იგრძნეს, სააშკარაოზე გამოვიდნენ და თავიანთ მიდრეკილებას აღარც მაღავენ, ეამყებათ კიდევაცო.

სპლიყვმა მხრები აიჩეჩა, ისინი ჩვენი საზოგადოების ნევრები არიან და მათი ცხოვრების წესს, მონონებით თუ არა, გაგებით უნდა მოვეკიდოთო კომუნისტებს მათი დენისთვის მადლობა როგორ ვუთხრა, მაგრამ სოდომის ცოდვის მიმდევართ არც უფალი რომ არ სწყალობდათ?

— აბა თქვი, ალო!

— ალო!

— ტ-ში პალო!

— ნუ ხარ მორცხვი!

— ტ-ში ცოცხი!

ვინმეს შეიძლება გაუკვირდეს, ტ-ში პალოს ან ცოცხს რა უნდაო!

ჩემი შენ გითხარიო, მეც ეგ არ მიკვირს?!

ჩვენი საერთო გაოცება რომ დაკმაყოფილდეს, ერთ ენაკვიმატ მესიტყვეს მოვუსმინოთ:

„აი, გრიშა, აი, მერი, აი, კიდევ პრაიმერი.

ამათ ხელში, ივერიავე, კიდევ ბევრჯერ აირევი.

აი, კოკა, აი, გივი, აი, ბუში, აი, „ნატო“.

აი, ტვინი ჩამოშლია ჩვენს ღორბლიან

უზურპატორს.

აქ მთავრდება ეს ზღაპარი, სხვაგან ფქვილი,

ჩვენთან – ქატო!

იმის ნებაც კი არა გვაქვს, რომ ვიკითხოთ,

რატომ? რატომ?“

რა მნიშვნელობა აქვს – საითკენ უფრო იყავი მიდრეკილი, ზემოთ ხსენებულ უმცირესობას ეკუთვნოდი თუ არა. იკითხავდი „რატომო“ და შენი აჯობებდა, მზად იყო ციხე და მეეზოვის ცოცხი!

ესეც უახლოესი დროის ფოლკლორია:

„არაფერიც არა ხდება,



ბრიყვი უფრო ამაცდება,
ვინც ძალიან გააჩმავს,
ბოლოს ცოცხზე დამახტება!“
ეს კიდევ აგვისტოს ომის „მონაპოვარი“:
„მხდალი, მზაკვარი, უნდლილი,
მხედართმთავარის მუნდირით“.

რა თქმა უნდა, ესეც:

„შიში. შიში. შიში.

ქიში. შამათი. ქიში.

დაარბენინებს ტრიბუნას

ქვეყნის პირველი გიჟი“.

ხედავთ? პალოდან და ცოცხიდან სად მოვედით!
კიდევ?

ამჯერად ვიკმაროთ!

„იყურე და იყავი სიმარტოვეში. სამყარო თავად
მოგაკითხავს გასანადგურებლადო,“ ნერდა კაფკა.

ეკ, მწერალო, მწერალო, როგორ ადვილად ჭრი
და კერავ – ჯერ იკითხე, არის იმდენი ერთადგილიანი
კარცერი, ყველა ადამიანმა მარტოობაში სული რომ
მოითქვას?

ან ამ საქმისათვის, მთელი სამყარო რატომ უნდა
შეანუბო, ამისთვის „გულაგის“ დედამინის ნებისმიერ
ნერტილში გახსნა, იზოლატორი და, სითამამისათ-
ვის, ორნახადით დასპირტული, ყველაფრის ჩამდენი
„ტროიკაც“ კმარა!

მეგობარი მწერს:

„მამ, არ იყო საბჭოთა გამაკაცი ყველაზე
უფრო გამძლე, ამტანი, თუ ბნავათ, თავბანნი-
რულიც? აბა, სხვა ვინ ივლიდა, ყოველდღე თუ
არა, ორ დღეში ერთხელ მაინც საგაფულო წარ-
მოუბის ბრიტვიტ, „ნავატი“ და „რაპირით“ სახელ-
აგაზული, დასისკლიანაგული? თავისუფალ, კედ-
ნიერ დასავლეთსაც ეცადა, პირსაპარსი, წვერთან
ერთად, კანსაც რომ ჩამოიყოლაგა, რომორც
რესტავრატორის ძაფა – ნალესის ფინას; მირა ჩა-
მოტყავიგაგაგა, ცოფივით „ტრაინოი“ ოდეკოლონი
შეისხარებინა, სიმწრისგან თუ თავს ჭირში არ
აარტყამდა“.

ვიტანდით! ასე იყო საჭირო!

ახლა ამას არა, მაგრამ სხვა რამეებს ვიტანთ!

ალბათ, ესეც საჭიროა, სამყაროს ჩვენი განად-
გურება რომ გავუადვილოთ და დავაჩქარებინოთ.

ისე, „ტრაინოს“ მთავარ ღირსებაზეც უნდა
ვთქვათ. გაჭირვების დროს (და როდის არ უჭირდა
ამ საკითხში უბრალო „მუჟიკს“), როგორც სპირტიანი
საშუალება, პახმელიაზეც მაგრად მიდიოდა

— სასტუმროს ან დასასვენებელი სახლის სააბა-
ზანოში, წინა ღამის ნაარყალი, სარკესთან ამოქმენ-
დი, დაატრიალებდი, პირდაპირ ხორხში ჩაუშვებდი
და დაბინდული თვალები უცებ გაბრწყინდებოდა.

ეკ, ბოლოს, პარტიაში მისაღებად ქრთამის აღე-
ბა რომ არ დაენყოთ, ვინ იყო საბჭოეთის წამქვევი...

დრაკონს ვითომ ამოხდა სული, მაგრამ სსრკ
ჯერ კიდევ დახანხალეს ჩვენში – „რაფებით“,
„მოსკვირებით“, „პაზეებით“, „ლაზეებით“, ერთ დროს
პრესტიჟული სამთავრობო ვოლგებით. ოჯახებში

რახრახებენ დევერხანა მაცივარი „ზილები“, ხრჩო-
ლავენ მაშინდელი გაზქურები, ხრჭიალებენ მაგიდის
კიდზე დაჭახრაკებული, ხარისხისნიშნის ხორც-
საკები „მაშინები“... აბლაბუდიან თახჩებში, ძველ
დოკუმენტებთან ერთად, ლენინისთავიან ფულის
კუპიურებს, სამპროცენტთან, გაუნადლებელ ობლიგა-
ციებსა და „გოსბანკის“ იარლიყიან შემნახველი სალ-
აროს წიგნაკებსაც წაანყდებით...

დახანხალეს-მეთქი და თავი ძალიანაც რომ გა-
მოიდო, რას გახდები!

მისი აჩრდილი იარსებებს, ვიდრე მოგონებებით
ნასაზრდოები ბოლო ბერიკაცი იბრაცუნებს ან ჯარ-
თად და მაკულატურად არ იქცევა მემკვიდრეობით
შემორჩენილი მანქანებისა და საოჯახო-საყოფაცხ-
ოვრებო ტექნიკის ნაშთი, იდეოლოგიური წიგნები თუ
მაშინდელი ატრიბუტიკა!..

მთავარი მაინც ადამიანია: მანამ ფეხზე დგას,
პირში სული უდგას, იმით ცოცხლობს, რაც სწამდა
და რითიც საზრდობდა. ბავშვობისას ჩემი ამხანაგი
ხშირად გადმოიღებდა ხოლმე ძველ, ყდიდან ამო-
ვარდნილ ალბომს და შიგ ჩაკრულ ჩოხიანი კაცების,
ჩიხტიკოპიანი ქალების, ბავშვების შავ-თეთრ სუ-
რათებს ვათვალისწინებდით ხოლმე.

განსაკუთრებით ერთი სურათი ეამაყებოდა –
წითელარმიელ ბიჭებში კუნძზე იდგა პილოტურიანი,
სახეგამკაცრებული, მოზიდული გოგო, თითქოს, სა-
დაც არის შეტევაზე გადასვლის ბრძანებას გასცემსო!

ის გოგო, ჩემი ამხანაგის მამის გაუთხოვარი
დეიდა, მეცხრე არმიას შემოჰყვა და, როცა სოციალ-
იზმის მშენებლობა დაიწყეს, ერთ კოლმეურნეობად
გაერთიანებული სამი სოფლის თავმჯდომარედ დან-
იშნეს.

თავმჯდომარეს (იმნაირი ცხენოსანი, თურმე
კაცებშიც კი იშვიათად გამოერეოდა!) ნორა-მგელს
ეძახდნენ. ჩუმ-ჩუმად, რა თქმა უნდა, ხმამალა,
პირში თქმას აბა, ვინ გაუბედავდა?! ნორას გადარტყ-
მული მათრახის სიმწარე, გამორჩეულად თამამებსაც
ხშირად უწვნივიათ.

ეცვა მამაკაცური, უხეში ტყავის ქურთუკი, წელ-
ზე კი ხის კაბურიანი მაუზური ეკიდა.

ტყვიას ტყვიამი აჯენდა.

სოფლის წყალსატუმბის თუნუქის ლობზე მეც
ბევრჯერ მინახავს ნეკის სიმსხო ნახვრეტები.

იტყოდნენ ხოლმე, ნორამ, სანაძლეოზე, მაუზე-
რი დააჯახა და ამისიქე რკინა „კარდონივით“ გახიოა.

ვის დაენიძლავა, ან რა მოიგო, ამას აღარ ამ-
ბობდნენ.

არც უფროსებს და არც ჩვენ, უკვე ასაკში შეს-
ული ქალბატონი, გულიანად გაცინებული არასდროს
გვინახავს.

ოჯახში გაუთხოვრად ჩარჩენილი (ხელის თხო-
ვას ვინ გაუბედავდა!), პერსონალური პენსიონერი
მახსოვს, ჩრდილიანი თუთის ძირში, დაბალ სკამზე
იჯდა ხოლმე, დაბერილი, ვენებამოყრელი ფეხები წყ-
ლიან ტაშტში ეწყო და ხელნაკეთი ბუზსახოცით აბე-
ზარ მწერებს იგერიებდა.





ბუზსახოცი თვითონ დაამზადა, საბურავის უხე-ში კამერის ნაგლეჯი მაკრატლით შემოჭრა, შემოას-ნორა, ოვალური ფორმა მისცა და ალუმინის მავთუ-ლით ჯოხის წვეროზე დაამაგრა.

ყველაფერს ოჯახურ საქმეებში გაუჩვევლის მოუხერხებლობით აკეთებდა, ბუზლუნებდა, იწყე-ლებოდა, ჩემთვის არავის სცალიაო.

ჯავრს ბუზებზედა იყრიდა, მათრახის ნაცვლად ახლა სახოცს გაჰქონდა ტკაცუნი. მის გარეშემო მზეზე იხრუკებოდნენ დახოცილი მწერები.

ალუმინის მზით გამთბარ ნყლიან ტაშტში, და-სივებული, აფუებული ფეხები კიდე უფრო ფუმ-ფულები ჩანდნენ. წვივზე ნაბზარებივით ამოყრილი, თითის სიმსხო, ნასკვიანი სისხლძარღვები ზემოთ ზიგზაგებით მიდიოდნენ, ჭიაყელებივით იკლანე-ბოდნენ და მუხლების საკეცთან გროვდებოდნენ. ავადმყოფურ, მოლურჯო წვივებზე ნაფლეთებივით ეფინა შავი ლაქები.

ფეხები ჩექმებმა და ჯარისკაცურმა წვივსახ-ვევებმა – „პარტიანკებმა“ – გამოიუბედურაო, იტყოდა ხოლმე დანანებით, მაგრამ ვის ბაძავდა, ან ვინ აი-ძულებდა მთელი ცხოვრება მკაცრი სამხედრო გა-ნანესით და შესამოსელით ევლო, ამას კი აღარ ამ-ბობდა.

ეგეთი ქვის ნატეხი იყო, თავმჯდომარეობისას, არც სხვას გაატანდა რამეს კოლმეურნეობის ბელლი-დან და არც თვითონ შემოიტანდა, – ბელადი მენდო და როგორ ვულალატებო.

ბელადი სხვებსაც ენდო, მაგრამ...

ენდო კი? იმან თუ არა, უკეთესად სხვამ ვინ იცოდა, ადრე თუ გვიან, ადამიანის ხარბი ბუნება მაინც რომ ამოხეთქავდა რკინისმკვნიტელი თანა-მებრძოლების შთამომავალთა სულში და საერთო დოვლათს დააცხრებოდნენ.

კერპჯიუტა ნორა-მგელს და თითო-ოროლა, შინელში ცხოვრება გატარებულ, მარქსზე უფრო მარქსისტებს ვინ რაღას ეკითხებოდა, მხოლოდ ყრილობებზე ან პარტიულ კონფერენციებზე საპა-ტიო პრეზიდენტების „სამშენისად“ თუ დასვამდნენ, როგორც ძველი დრამებიდან შემორჩენილ, ახალ სპექტაკლებში გამოყენებულ, უფუნქციო რეკვიზიტს.

ზოგჯერ ფარატინა სიგელებსა და მაჯის საათებ-საც დაურიგებდნენ, ანდა, უფრო დიდ თავყრილობებ-ზე დელეგატებად წაიყვანდნენ, ძლევაგამოსილი წარ-სულის „თაყვანისცემისა“ და არდავინყების ნიშნად.

საათების გადაცემა მაინც რაღაც განსაკუთრე-ბულზე მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო – ალბათ, ხშირ-ხშირად რომ დაეხედათ და „პობედას“ ციფერ-ბლატს შეეხსენებინა, როგორ მწარედ სცდებოდნენ, წითელი დიქტატურა და თავისი თავი ყველაფრის მსახერელ დროზე ყოვლისშემძლე რომ ეგონათ...

ჩაიარა „მატარებელმა“ და ჩაატარა უკეთესი, დიადი მომავლის „მშენებლობას“ შენირული ადამი-ანები.

ამ მატარებლიდან ჩამოქვეითებული ერთი მათ-განი ახლა მივინყებელი, მიყრუებულ სოფელში, თუ-

თის ქვეშ მჯდომი, ზიზლით დაჰყურებდა სისხლძ-არღვებზე წუნნიანი მათრახის ფორებივით დაკიდებულ წურბელებს.

ზანტები, თითქმის უმოძრაოები, სლიკინა კანით და სისხლით დაბერილები, დროდადრო, როცა გაიტი-კნებოდნენ, მოსწყდებოდნენ და წყალში ჩაჭყაპუნდე-ბოდნენ ხოლმე. მათ ნაცვლად, გვერდით მიდგმული ქილიდან, ახალს – გამხდრებს, დამშეულებს ამოიყ-ვანდა, დაისვამდა წვივზე, დაელოდებოდა კანზე პირს როდის მოიკიდებდნენ. მიძიმე, შხამიან სისხლს გემოს როგორც კი გაუგებდნენ, მერე თავისი საქმის თვი-თონ იცოდნენ

— ვიდრე არ აღივსებოდნენ, ძარღვებამოყრილ ფეხს ნებით არ მოსცილდებოდნენ.

ვინ ჩაიხედავდა ნორა-მგელის გულში, თორემ, მათ შემყურეს, როგორ შეიძლება ორფენა წურბელე-ბი არ გახსენებოდა, ქვეყნისა და ადამიანების ბედს რომ განაგებდნენ.

წარსულის აჩრდილია დარჩა, მაგრამ მაინც მისი რიდი და შიში, მხოლოდ თანასოფლელებს კი არა, შინაურებსაც მოსდევდათ.

ამასაც სიყვარულით არავინ უყვარდა, წურ-ბელების გარდა, სამლიტრიან ქილაში ჭაობის წყალმცენარეების დამპალი ძირებივით რომ ირხეოდ-ნენ.

კვებავდა, უვარგისი, მაგრამ თავისი ძარღვე-ბიდან ნაყური სისხლით, აძლობდა, რომ გასკდომამ-დე გაბერილები დახოცილიყვნენ, უძრავად დაყრილი-ყვნენ ტაშტის ირგვლივ.

წურბელებს ბუზები ეხვეოდნენ და, თუ დედაკა-ცის სახოცს გადაურჩებოდნენ, ახლა ისინი ნოვდნენ მათ სლიკინა კანს ჩაფრენილები; ისინი იბერებოდნენ არამი სისხლით და დიდი, ყვითელი, ნეჭვის ბუზები ძლივს მიათრევდნენ დაბერილ მუცლებს.

მიჰქონდათ შხამი, მაგრამ აღარ ილეოდა, არ წყდებოდა ამღვრეული, ჩაშავებული სითხის დინება და მნახველებს უკვირდათ, სუფთა წუთუ წვეთიც არ უდგას ამ დედაკაცს ძარღვებშიო! ამბობდნენ, როდე-საც გარდაიცვალა, მეორე დილით, სუდარა რომ გადახადეს, ყელზე სამკაულებივით შეხორხლოდა სხ-ვადასხვა ზომის წურბელებიო.

მოზრდილობაში, სოფელში სტუმრობისას, იმ თუთის ქვეშ რომ ვისხედით, ამხანაგმა ნორა-მგე-ლი გაიხსენა და გამომიტყდა, თითი რომ გამეჭრება, თითქოს იმ სიდამპლის სუნი მცემს, ნორას ძარღვებს და წურბელებს რომ უდიოდათო.

ბიჭს რაღაც ამოუხსნელი უცნაურობები სჭირ-და.

ჯარში მაინც წაიყვანეს. როგორც მაშინ იტყოდ-ნენ ხოლმე, არ „დაბრაკეს“.

შეგებულებით ჩამოსული, შუალამისას ადგა, იმ თუთის ძირს მიადგა კიბე და რუსული, სამხედრო ბრტყელობალიანი ქამრის ყულფში გაუყარა თავი, მაგრამ ტოტი ჩამოუტყდა და ძირს მოადინა ზღარ-თანნი.

საბედნიეროდ, გადარჩა და ახლაც სტამბოლის



კაჟივით არის (მაჩვენა მაინც, როგორია ის კაჟი!).

ამ შემთხვევის შემდეგ თუთა მოჭრეს, ფესვები-ანად ამოაგდეს. რას ერჩოდნენ, თუთას რომ არ ეყო-ჩალა და ძირს არ მოესროლა, ახლა ხომ ნორა-მგელის შთამომავლის სახსენებელიც აღარ იქნებოდა...

ვერ მოესწრო ნორა თავისი ნამშობიარები იმპე-რიის ნგრევას.

— აბა, ახლა შემომხედე, რა ვარ, რა მქვია, მე ვიყავი მონა და დაჩაგრული?! მზეს ვეთამაშებოდი და ახლა ბაზარში, კოჭებამდე ლაფში ვდგავარ, თან ყოველდღე აქედანაც გაძევებით მემუქრებიან... არა, ძმაო და შვილო, შეიძლება კრემლს ძაან გულზე არ ვეხატებოდით, მაგრამ არც ისე ვძულდით, როგორც ამათ... არა, არა, არა!..

მაგიჟებს, ჭკუიდან გადავყავარ ამ ტონს და თი-თის ქნევას, მაგრამ ესენიც ვინ არიან! ცხრა პარტი-ულ „ცოცხზე“ გადამხტარ-გადმომხტარნი, მათი ცრუ წინასწარმეტყველების გაუთავებელი მონოლოგებიც როგორი მოსასმენია?!

დაცინვა ამაზე შორს ველარ წავა... ეს იგივეა, მოხუცთა თავშესაფრის მკვიდრებს, წყალწყალა, უხ-ორცო სუფით სადილობის შემდეგ, კბილების საჩ-იჩქნი წკირები დაურიგო! კუჭს რომ შვება მისცენ, „ნოყიერი“ ლანჩის მერე, ეგებ სპეციალური, ბოყინის გამომწვევი აბებიც გადააყლაპონ.

ახლა ნახე? – კომუნისტები თუ მანანწალა ოთხ-ფეხებს თოფებით დასდევდნენ, ესენი კოდავენ, რომ არ გამრავლდნენ... ეს ნაკლები საშინელებაა?!

— მე ეგრე არ ვფიქრობ!.. აი, შენ, თავის დროზე რომ დაეკოდეთ და ოთხი ნაგავი არ დაგე-ყარა, კვლანმინდად რომ გაქრნენ, შემოგეფანტნენ და ამ ჯოჯოხეთში უპატრონოდ დაგტოვეს, ცუდი იქნებოდა?!

— ჩემი თავი ჯანდაბას, ერთმანეთიც როგორ სძულთ!

— მითუმეტეს!

— რა ქნან, ცოლები არ გამოადგათ!..

— შო, ყველაფერი სხვისი ბრალია, სულ სხ-ვისკენ გაშვერილი თითი ხომ შეიძლება ერთხელ ჩვენკენ შემოვაბრუნოთ?!

— ხომ ვალიარებ, მეც ვტყუი-მეთქი!..

ბაზრის ლაფი ირევა, იზილება, მოძრაობს, მყიდ-ველ-გამყიდველთა წყალობით მიდი-მოდის დახლებსა და ღია ცის ქვეშ, თოვლ-ჭყაპში ჩარიგებულ სავაჭ-როებს შორის, გადმოდის ქუჩაში, მთელ ქალაქში და-მოგზაურობს...

სადღაც, აქედან შორს, ჩრდილოეთში, ალბათ, ჩვენი ახალგაზრდობის გამაბედნიერებელი ის ქერათ-მიანი ლამაზმანებიც ჩამობერდებოდნენ, ჯერ კიდევ რომ ვახსოვართ და, მოგონებების ხავსს ჩაფრენილე-ბი, იქაურ, თავის წილ ლაფსა და ტალახს ზელენ...

იქაც მიდი-მოდის, მოძრაობს ფეხსაცმელს

აკრული ნებოვანი თიხა-ტალახი, მოუცილებელი და ძნელად სათრევი...

იყო და გაქრა, ლალად მოსრიალე, ძირგახვრეტი-ლი ნავი. ჩაიძირა, მაგრამ ხომ გადავრჩით?

თუ ამას გადარჩენა ჰქვია!

მომდევს და არ მეშვება, დამყივის ბაზრის სა-ფრთხობელა:

— რას გაჩუმებულხარ, შემომეხმაურე, შენ მაინც მითხარი რაიმე, იმედინი, გულის მალამოდ რომ მექცეს.

— რა მოხდა, სიტყვასაც მამადლი, შე კაი კაცო?!

რა ვუთხრა, რით გავახარო, ან კიდევ, უფრო რით დავამწუხრო, რომელი ლელთ ლუნია მე ვარ, ანდა იმისი თანამგზავრი!

როგორ უთხრა ილიას ახალგაცნობილმა „ფრან-ცუზმა“, იმიტომაც ნახვედით შორს, თავს მაგ „პოვო-სკას“ რომ აჯანჯლარებინებთ, ტვინს ალაყებინებთ!

ადამიანს, ძალღისგან განსხვავებით, ზოგჯერ მაინც, როგორც უნდა შიოდეს, გადაგდებულ ძვალზე უარის თქმა უნდა შეეძლოს, სხვაგვარად იმ „პოვო-სკას“ თავს ვერ დააღწევს, იჯდება და იჯდება, ვიდრე უკანალით „კურტანს“ არ ჩაეზრდება.

ჰოდა, ჩვენც ფეხის მოუცვლელად ვსხედვართ და ვსხედვართ!

მაშინ ის ლამაზმანები მაინც გვაძლებინებდნენ და ახლა...

ი, ფრანცუზიც რომ არა ჩანს, ეგებ დაცინვით მაინც გამოგვაფხიზლოს და სარკეში ჩავვახედოს!

ცარიელი ჭურჭელიც არ მიყვარს და, მითუ-მეტეს ადამიანი! მინახავს, აკოკოლავებულ, და-ცლილ თუნუქის კასრებზე გადაჭერილი თოკი რომ განყდა თუ გაიხსნა და აღმართზე, დაცერავებული დროგიდან, რახრახით დაგორებულებმა იქაურობა ხმაურით გააყრუეს.

ბაზარში შექნილმა ერთფერადმა პარკმა „მრავალჯერადი“ ხელისუფლება გამახსენა.

— აღარ მიდიან? – მოულოდნელად იყვირა ვი-ლაცამ და გარემომომყოფებმა მხრების აჩენვით უპა-სუხეს.

იმდენ თავშეყრილ ადამიანში არავის უკითხავს ვისი წასვლის დრო და თარიღი გაინტერესებთ, მეგო-ბაროო!

ყველა ერთი ნესტარით იყო ნაჩხვლეტი და ორ-სიტყვიანი პროტესტითაც, მინიშნებითაც გასაგები იყო, ვინ ამოუვიდათ ყელში, ვინ უნდა წასულიყო, რატომ და რისთვის... მაგრამ, ჯერჯერობით, ეყვნის შემბმელი და თოკის გადამჭრელი არ ჩანდა, ცარიე-ლი ხელისუფალი კასრებიც რომ არახრახებულებიყვნენ თავდაღმართში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ვერავითარი
მილიარდებით...

დარდად იქცევა –
ოქროც და...
ვერცხლიც, –
დარდი, ვერასდროს,
ივლის ვარდებით...
სამშობლოს განცდას
ვერავინ –
შეცვლის, –
ვერავითარი
მილიარდებით...
23-01-2022

ვინ ჩამოხსნის,
ღმერთო?!..

მზემ,
მარად, რომ –
აქ, ათენოს,
ამ ოცნებას
ვერ ვთმობ...
ჯვარზე გაკრულ
საქართველოს
ვინ ჩამოხსნის,
ღმერთო?!..
28-04-2022

თუ, ვინმე,
მიყვარს...

ყველა ქართველში
ამქარს ველოდი,
ვინაც –
მზისა და...
უფლის გზას
მიჰყვია...
მიყვარს, თუ, ვინმე –
საქართველოსთვის,
გულდამდულრული ქართველი
მიყვარს...
17-01-2022

ომი...

თუ, ვინმეს,
ისევ,
დაპყრობის –
ზნე სდევს,
მრისხანედ,
ზევსურ,



ზარნა რაინა

ცას შევძრავ, –
წყრომით...
თუ, რამ,
სიგიჟე არსებობს, –
დღემდე,
დღეს, პლანეტაზე,
ეს არის –
ომი...
22-02-2022

რატომ, არ უნდა

შევიძრაო –

მსოფლიო?!..

დედამინას, თუ,
ღამით ქარგავენ,
როცა –
უფალს სურს:
ვარდით
მოფინოს...
მზეს და
სიყვარულს,
როცა... კარგავენ,
რატომ, არ უნდა
შევიძრაო –
მსოფლიო?!..
21-11-2022

თუნდ, –
ერთი წამით...

რამდენი, – ნატვრით:
ჩინის,
განძის,
კოსმოსსაც გასცდა,
სიცოცხლის აზრად,
რას ვთვლი,
რა მწამს,
დაო და წამი?..

ფლობას –
პლანეტის გვირგვინის და...
პლანეტის განძთა,
აღამიანად
ყოფნა მიჯობს, –
თუნდ,
ერთი წამით...
24-03-2022

ყოველ წამს...

დრო, ზოგჯერ,
ნაღმა-უკუღმა –
ბრუნდა,
მგელი ტანს
კრავის –
ტყავ-ბენვით
ფუფნის...
ყოველ წამს –
მტკიცედ,
ფიქრობდე, –
უნდა:
ხარ – სამსახურში, –
ქაჯის, თუ,
უფლის?...
02-02-2022

ძნელზე ძნელი...

და...

უძნელესი,
ყველაზე, –
უფრო...

ბედნიერია –
ყველა, –
თვითონ,
თავის თავს
თუ, ფლობს...
ვის არ შეხვდებით –
მზის ქვეშ, –
სულით,
თუ,
ფულით
მდიდრებს?!..
აღამიანის განვრთნა –
ზოგის,
ძნელია, –
უფრო,
ურჩი... ტყიური,
გარეული
ცხოველის,
ვიდრე...
20-05-2022





ვერ ამიხსნია...

ვარ, –
დარდის ცეცხლით,
დამწვარი და...
ტკივილით
სავსე,
იქნებ, გეჩვენოთ
ჩემი ყოფნა –
ამაო,
ბასრი?!..
ვერ ამიხსნია, –
უაზრობა,
რატომ დულს, –
ასე?!..
სიცოცხლეს, ნუთუ,
პლანეტაზე,
ალარ აქვს –
აზრი?!..

01-03-2022

იწოდე...

სიყვარულს,
სიკეთეს –
დრო, მიწყევ,
მირონს სცხებს...
იმზევე...
ლაჟვარდად გეხუროს
ცა, – მითა...
იცოდე:
გაფრენილ –
დღეებს და...
სიცოცხლეს,
ვერ დააბრუნებ –
ვერასდროს,
წამითაც...
18-01-2022

თვითონ დაესწრო –
თავის პანაშვიდს...

ეკალ-ბარდია,
მაგრამ...
ვითომ...
ვარდად იცვალა, –
და... წლები განვლო –
სულის
სრული
ავით ბანაში...
მინაზე დადის,
თუმცა,
უკვე,
გარდაიცვალა, –
თვითონ დაესწრო –



დაკრძალვას და...
თავის პანაშვიდს...
10-01-2022

მზეგული უნდა
დაუთმო...

დრო გვაშლის:
ფიქრის
და... განცდის –
წვიმას,
ვინ მზეობს –
ჩვენთვის?..
და... ვინ კი –
ქუფრობს?..
მზეგული უნდა
დაუთმო –
იმას,
სიკეთე – შენი,
სურს, ვისაც, –
უფრო...
23-04-2022

როგორ მინდა...

როგორ მინდა...

ღმერთმა მოგვცა –
სიყვარული, –
მზედ და... მინდად...
და... უშენოდ,
წუთიც,
წამიც –
მეთარსება...
როგორ მიყვარს
სიცოცხლეც და...
როგორ მინდა:
სიყვარულმა
რომ გვაქციოს –
ერთ არსებად...
14-02-2022

თავდავინწყბავ, –
ჩემო...

ზეცის წამნამზე –
მწოლო,
შენი სულის მზეს
ვჩემობ,
უბრალო სიტყვავ –
ცოლო,
თავდავინწყბავ, –
ჩემო...
03-02-2022

მეუღლე...

ვერ ვძებნი სიტყვას –
უკეთესს, –
ჯერაც...
თუმცა,
კვლავ ვეცნობით –
ასჯერ,
გაცნობილს...
მეუღლე –
მე მნამს...
და... ასე,
მჯერა, –
როგორც – გვირგვინი:
მზის და...
კაცობის...
30-01-2022

თუნდაც, იმიტომ...

მე –
შენმა ფიქრმა
არ-რით მიმინდო
და... ეჭვით,
მზერას
მაფრქვევ, – აღმაცერ,
დავთმო სიცოცხლეს, –
თუნდაც, იმიტომ,
რომ...
შენ იცოცხლო –
ამ ქვეყანაზე...

P.S.

რა ვქნა, თუ,
სევდას
გულთან მიმიტოვ
და... შვილთა, ჩემთა,
აკვნებს არ არწევ,
ვარ ბედნიერი, –
თუნდაც, იმიტომ,
რომ...
შენ არსებობ, –
ამ ქვეყანაზე...
1960

არავინ იყის...

მინდა –
სიყვარულს
და... სიბრძნეს
ვმკიდე,
მადლობას ვუძღვნო
განვლილ აისებს...
არავინ იცის, –

რამდენჯერ,
კიდევ:
გავიპაროლებ,
გავიმისებ...
05-04-2022

უმშვიდესიერ და...
უვრიგაღესიერ...

სიყვარულს, – გულთა,
სიყვარული
უნდა – ნოესი,
უკუნეთს – სხივი, –
უსხივესი,
შუქით ნალესი...
ვარ –
უმშვიდესი,
უნყნარესი,
უსათნოესი,
მაგრამ...
გრიგალთან –
თვით გრიგალზეც,
უგრიგალესი...
05-02-2022

ერის –
სინდისი...

ეპოქა არის:
შავის –
პიარის,
სიმართლის –
ჯვარცმის,
ყრუთა –
ბინდისი,
გულის –
ჭრილობის,
სულის –
იარის,
მზაკვრის,
ცბიერის,
ცილის, –
ფლიდისი...

P.S.
მწერალი ხოა:
ერის –
სინდისი?...
ზოგს, –
უსინდისოს,
არ სურს –
სინდისი...
25-04-2022

გავქრებით, –
მაღლე...

შარით და...
შუღლით,
ორგულობით,
სიცოცხლეს –
ვიქრობთ...
განძ-დოვლათისთვის, –
ხვეჭა – ფხოჭვით,
ვიკიდებთ –
ალებს...
ერზე, ხალხზე და...
ქვეყანაზე,
სადა ხარ –
ფიქრო?!..
რა გვემართება?!..
და...
რა მოგვდის?!..
გავქრებით, –
მაღლე...
12-02-2022

მზეგულით
მიყვარს...

წლებს, როცა –
დარდის
არ უვლის ხვატი
და...
სიყვარულის სიკეთე
ფრთებს შლის,
მიყვარს მზეგულით
და...
სულის ხატი
ვრცელ ოკეანეს,
ვინც ხედავს –
წვეთში...
03-02-2022

ასე ყოფილა,
ასე არის,
ასე იქნება...

ჩვენი ცხოვრება
ნაწილდება:
საქმედ... ფიქრებად, –
სიყვარულის და...
სიბრძნის ნათელს
სიკეთის –
მზე გვფენს...
ასე ყოფილა,
ასე არის,
ასე იქნება:

ვერ გაექცევა
კუთვნილ სასჯელს –
მეფეთა
მეფეც...
16-04-2022

რატომ?!..

ვის, –
ჩალად გვიჩანს:
ერიც და...
ბერიც,
უკეთურობა –
გვახლავს და...
ფრთას შლის...
სხვაში, რომ ვეძებთ
მტერს, –
ზოგჯერ,
ბევრიც,
რატომ, არ ვეძებთ –
საკუთარ,
თავში?!..
15-02-2022

ხომ, ხდება?!..

გულიც აქვთ,
ენაც –
ლოდებსაც,
ფიქრის ვაზს
სიბრძნე –
უვლის... სხლავს...
ხომ, ხდება?!
ისეც?! –
როდესაც:
ენა –
სხვას ამბობს,
გული – სხვას?!..
09-04-2022

სატანური –
იარა...

მინყევ... მოგვედევს:
სატანური –
იარა,
სულსაც,
გულსაც,
რომ ეკვრება –
ბინდად...
სხვისი სიბრძნის
ამაღლებით
კი არა,





დამდაბლებით –
ამაღლება
გვინდა?!..
06-02-2022

წრმაჯ კი ხედავს...

ბრმაჯ კი ხედავს
საქმეს –
ალამს, –
სატანური
ცინცვლის...
ყველა დროში, –
ყველგან,
ყველამ,
ყველაფერი –
იცის...
24-01-2022

გემუდარები –
ათასჯერ,
ღმერთო!..

ცხოვრებაც... ყოფნაც...
უძნელესი –
რად გახდა, –
ერთობ?!..
ვისთვის კი იქცა
ეს სამყარო:
პურად და...
ყველად?!..
გემუდარები,
გვედრები, –
ათასჯერ,
ღმერთო,
ჩემზე უკეთ და...
ბედნიერად ამყოფო –
ყველა...
31-01-2022

გამოურდა...

თავს – ნათელი,
მუდამ,
არსად, არვის,
ადგა,
ვის შეხვდება –
შვების მზე და,
ბინდი – ვისა?!..
ვენაცვალე გაჭირვებას, –
ზოგჯერ,



რადგან,
გამოცდა გვაქვს:
ღირსების და...
სინდისისა...
13-01-2022

გაოწდეთ, იქნებ?!..

ვითმინე ბევრი,
მაგრამ... უკვე,
თმენა –
მიქრება,
დღეს, რასაც ვხედავ...
და... რასაც ვგრძნობ,
სიტყვა ვთქვა –
ორი,
გაოცდეთ, იქნებ?!..
გაგიკვირდეთ,
რაც ვთქვა,
იქნება?!..
ორ ფეხზე დადის,
ღმერთო, ჩემო,
რამდენი –
ღორი?!..
16-01-2022

ნუთუ?!..

ძარღვებში სისხლი –
რო ბორგავს,
რო დის,
არ გესმით, ნუთუ,
ამ გულის
ფეთქვა?!..
მზედ ასხივების
დრო მოვა –
როდის?!..
არ მითქვამს, ნუთუ,
რაც უნდა
მეთქვა?!..
05-05-2022

იშვიათზე,

იშვიათი...

ხორციტ – ერთი და...
სიბრძნით
ვიშვი – ათი...
სიცოცხლე:
ვისთვის – მზეა,
ვისთვის – ფლური?!..
ამბობენ:
არისო –

იშვიათზე,
იშვიათი, –
ადამიანობა ჰქონდესო და...
ჰქონდესო – ფულიც...
09-04-2022

შეგონება...

არჩევდე უნდა:
ვინ – მართალი
და... ვინ –
ცრუ გალობს,
შენით, ვითარცა,
სხვისი მზითაც
უნდა –
ხარობდე...
სიბრძნეა, თუ, ხარ:
თავმდაბალი,
ქველი,
უბრალო,
მაგრამ... არ გახდე –
სხვისი მონა, –
არ-რით,
აროდეს...
04-06-2022

ვფირავ...

მართალი რომ ხარ,
ირგვლივ, თითქოს,
ნათდება –
მზით ცა...
სიმართლის
დამცემს,
დამწველს,
დამგმობს
უთხარ –
უარი...
მტყუანი, როცა –
თავს იმართლებს,
მზეს,
მინას,
ვფიცავ,
იმაზე მეტი –
სიბინძურე, – სულის,
თუ არი?!..
03-06-2022

თუ...

თუ, –
მზე გვაქვს:
სულის,
გულის ზიარად,

თუ, –
არ ვიკადრებთ
წამებსაც –
წავსებს,
სიცოცხლეს, მაშინ,
მტრობით კი არა,
სიყვარულით და...
სიკეთით –
ვაგსებთ...
15-01-2022

სიკვდილიერ მიყვარს...

სიცოცხლე მიყვარს –
სიყვარულით, –
არსით მზისეთი,
როდესაც –
მიზნით,
სულით... გულით,
აროდეს –
ქუფრობს...
სიკვდილიც მიყვარს, –
მაგრამ...
მიყვარს –
აი, ასეთი,
თვით, სიცოცხლეზეც
მეტი არის,
როდესაც, –
უფრო...
22-01-2022

გახსოვდეს...

უსამართლობით,
რაიც
დინდება,
დასამარდება –
ყველა ონსილა...
გახსოვდეს:
ტახტიც,
ჩინიც,
დიდებაც –
გაცამტვერდება, –
ძლევა მოსილო...
13-02-2022

ფულის მონები...

ფულის –
გვირგვინი,
ფულის –
მაზარა, –
ვინ, რა მოირგო?!..

ვინ, რას –
მოვლებდით?!..
არ მეზიზღება,
არ მძაგს,
არ მზარავს,
ისე, ვითარცა –
ფულის
მონები...
30-01-2022

გამოჩნდეს, – იქნებ?..

უფლის კარნახით,
უფლის ნებით,
ვძერწავდი –
ნიგნებს,
სიბრძნეს შეხვედებით
სტრიქონებში, –
მზიური ელვის...
რწმენის,
იმედის,
ათინათი გამოჩნდეს, –
იქნებ?..
სულით ლამაზს და...
გულით ლამაზ –
ქველმოქმედს ელის...
23-01-2022

აი, მთავარზე, უმთავრესი!..

სულიც და...
გულიც
უნდა გენთოს –
სიკეთით, –
მზისებრ,
აი, მთავარზეც,
უმთავრესი, –
დაო და
ძამი...
უნდა იცოცხლო
და... იცხოვრო –
ღირსებით, –
ისე,
სანანებელი,
რომ... არ გქონდეს
სიცოცხლის –
ნამიც...
25-01-2022

ფული მწამს...

ფული მწამს:
სიკეთით სამყაროს
გამტანი,
რომელიც –
არსად და...
აროდეს,
ღვრის ვნებას...
ფული მწამს:
მეგზური კი არა –
სატანის?!..
ფული მწამს:
რომელიც,
მზედ აქცევს –
ღირსებას...
16-01-2022

სანამ... სანამ...

სიყვარული –

შეგვიძლია...

დარდი დაწვავთ...
და... დავლოცოთ –
ჩვენი
ცა, – მით,
სანამ გვაქცევს
ეს სანუთრო –
შლეგი, – ძილად...
მზედ ავანთოთ:
ჩვენი ყოფნის –
ნუთიც,
ნამიც,
სანამ... სანამ...
სიყვარული –
შეგვიძლია...
09-02-2022

ასი ნობელი...

სული მაქვს –
მზისდარ, –
მზისებრ კრიალა,
ვარ –
გულთა შორის,
ომის მგომბელი...
სიყვარულისთვის,
ერთი კი არა,
ერთად მეკუთვნის –
ასი ნობელი...
02-04-2022

* ასი მილიონი დოლარი, მაინც მცირედზე
მცირედი ფინანსია, – გენიალური კა-
ტრენებისათვის. მაშინ, როცა იღონ მასკს
300 მილიარდი დოლარი აქვს კომერცი-
ული საქმიანობით.



ფიქრია
ყუშიტაშვილი

მ
ლ
ა
მ
ლ
ა
მ
ლ
ა
მ
ლ
ა
მ
ლ
ა
მ
ლ
ა

საყვარელი – ოთ, ვაჟა ხომ?... (ანიშნებს, „ხომ არ ჩაგიშვებო?!“)

ქმარი – აბა რა?! ლიკა-ლია-ლიკუნები! ვაჟა? – „იმენა“ მკვდარი ძმას!... ჩვენზე რო ვუთხარი, ეგრევე გასაცდები დამიადა!...

საყვარელი – რა საყვარლობაა?... და ვაჟას ქოლი?

ქმარი – ვინა? ნახუყა?! რას ამბობ, ცო? ნანა არი „იმენა“ „ზღოქ სისთერ!“ გაგაჩნობ და ნახე, მაგრად მოგენონება და ჩადაქლოდებით!... ნელან რას ამბობდი, მშიაო?

საყვარელი – კი, მგონი მომშივდა და შენ არ გინდა რამე?

ქმარი – მინდა! ყველაფერი მინდა!

ფიქრია ყუშიტაშვილი



იღზლიანი

ანუ

3+1

კომედია ერთ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

ქმარი (ოთო-ოთარი-ოთიკო)

ცოლი (მანანა-მანჩო-მანჩიტა)

საყვარელი (ლიკა-ლია-ლიკუნები)

ქურდი (თაზო-თამაზი-ტომაზო)

სურათი პირველი

სცენაზე სიბნელეა... ფართო მიწის ვიტრაჟიდან შემოპარული სინათლის ფონზე თვალი ძლივს არჩევს ატმოსფეროს... ინტერიერი წარმოადგენს არასტანდარტულ, სტუდიოს ტიპის ერთოთახიანს, გაძედილს ცელოფნებში შეფუთული ავეჯით... იქმნება შთაბეჭდილება, რომ მფლობელი ახლახან გადმოვიდა საცხოვრებლად და სარემონტო სამუშაოები სულ რაღაც რამდენიმე დღის წინ დაასრულა... მხოლოდ სანოღნახევრიანი ტახტია გაშლილი და კედელში ჩამონტაჟებული სამზარეულო ტოვებს ადამიანის ცხოვრების კვალს... დგას კომოდი და კიდევ ერთი მომცრო სტელაჟი... ოთახი დიდი ღია თაღოვანი კედლითაა გადატვირთული, ცალ მხარეს ფართოერკანიანი პლაზმური ტელევიზორი ჰკიდია და რამდენიმე კლასიკოსი მხატვრის ნამუშევრის არცთუ ურიგო „პრინტი“, ხოლო მეორე მხარეს ასეთივე სარკე და დეკორატიული სამშვენისები... ოთახი გაყენითლია ჯერაც შეუმშრალი საღებავის და აცეტონის სუნით... სამზარეულოს გამწოვთან ალბერტ აინშტაინის ენაგამოგდებული ცნობილი ფოტოპორტრეტი დაუკიდავთ... მთლად ავანსცენასთან ფერადი ხის ვეება გარდერობი ხახადაღებული შეჰყურებს მაყურებლის დარბაზს, გარდერობი ცისფერია, დაძველების „ვინტაჟური“ ეფექტით... გაძედილია სამოსით და მტვერი რომ არ დაედოს, დიდი ცელოფანი აქვს ჩამოფრიალებული... ისმის გასაღების ჩხაკუნის ხმა და ბნელ ინტერიერში ფრთხილად შემოდის მამაკაცის ლანდი, რომლის ჩრდილი მთელს სამზარეულოზეა განფენილი... მამაკაცი ხელის ცეცებით აგნებს ტორშერის ჩამრთველს და სინათლესთან ერთად ოთახში ბლუზის სასიამოვნო რიტმები იღვრება... ამ მოულოდნელი სენსორული ეფექტით შეცბუნებული ფეხს წამოჰკრავს სტელაჟს, რომელზეც შეფუთული წიგნის რამდენიმე შეკვრა შეუგდაიათ... ერთ-ერთი შეკვრა ყირავდება და წიგნები მთელი სიმძიმით ეყრება თავზე მამაკაცს, რომელიც გაღიზიანებული ნიკაპზე ჩამოიციურებს პირბადეს.

ქურდი – შენი დედა!... ფუი!... ბედი რო არ გექნება კაცს!... რა უნდა აქ ამას?!... მეც ვერა ვარ რა!... ვახ, ჩემი!...

(სასწრაფოდ ალაგებს წიგნებს და პირველივე წიგნის სათაურს კითხულობს)

— აჰა! „დანაშაული და სასჯელი“... დოსტოვესკი... ვააა!... ვააა!... ბიჭოოოო, მაინცადამაინც ეს წიგნი რო ჩაგეცემა თავში კაცს, ბედი ხო უნდა?! ეგ არი რა!... ასიანი, დავითარსე!...

არა რა, ძმაო, ამ ბოზ ანეტას რომ შევხვდები სადარბაზოში, ის დღე სუ ტრაკისკენ მიდის... მერამ-



დენედ?!... მერამდენედ, ტო?!... (ინყებს სახლის დათვლიერებას) ბიჭო, გეუბნები რა!... „ნაკოლიც“ ამნაირი უნდა! არა, ხო ვაფრთხილებდი: არ გვინდა, ბრატ, ეგ „ბაითი“... არაფრის მომცემია... როდის იყო მასტი ახალ სახლში ინახავდა მაყუთს... დიდ-დიდი რამე „ვეში“ ნავაყოლო ხელს, თორემ ვინდა ინახავს ახლა ფულს სახლში?!... ან რა მაყუთი უნდა ჰქონდეს ესლა ამას?!... (უფერებს ამოატრიალებს) თუ რამე ჰქონდა, ალბათ ამ რემონტში ჩაანთხლია!... თან სუ ცოტა, ამ როგორ ბაზრობს ხოლმე ქსენო – რამე მაინც იყოს „თითზე გადასახვევი!“... არა, ზმანი „იმენა“ თითზე კი არადა, ტანზეც კია გადასახვევი... ვააა... რა იყო?! ბუტიკია თუ „შკაფი“?!

(ერთ-ერთ პიჯაკს გამოიღებს და მოირგებს, თან სარკეში იყურება)

– ვახ, რა ჭირი უჭირს, ტო, ესლა ამას?! ესლა მთლად „არმანი“ და „დოლჩე“ არ არის, მაგრამ... ისე, მეც „ნიჩეო“ ტანზე ვდგავარ... კაია!... მხრებზე მაკვდება რა!... (ბრგე მხრებსა და ბეჭებს შეათამაშებს და ალბერტ აინშტაინის პორტრეტს მიხედავს და ენას გამოუყოფს საპასუხოდ) ტანი უნდა, ძმაო, პიჯაკს, ტანი!...

(იხდის, აკურატულად კეცავს და სპორტულ ჩანთაში სულ ძირზე აფენს და აგრძელებს სახლის დათვლიერებას და ნივთებს ახარისხებს)

– აჰა, ჯანი გავარდეს, ამ სპორტულებს ზახარას დაეუადებ... მაგას მაინც სუ სპორტულები ევასება.

(კარადიდან სპორტული ზედა და შარვალი გამოაქვს და ჩანთაში ყრის)

– ვთქვით, ამ პლანშეტს, „მამენტ“, არაუშავს... სადღაც რალაცაში... ნავა!... ეს „ნაუშნიკებიც“ „ტაკ სებე!“ (პლანშეტს და ყურსასმენებს ასევე სპორტულ ჩანთაში ინახავს)

– თან რო მეცხრე სართულია და ეს ლიფტიც რო არ მუშაობს... რო რამე?! აქედან რა გაასწრებს, ჩემს ბედს რო დაასკინტლა ზახარას იადონმა!...

(ურეკავს ტელეფონი, ჯიბიდან იღებს და დაჰყურებს)

– აჰა... ესეც ხსენებაზე!... ჰო, ჰო, შეჩემა! აქა ვარ!... ჰო... დიდი არაფერი?!... დიდი არაფერი კი არა და, შენ ხო არ უბერავ, ტო?! აქ სად გამომიშვი, ე?!... რო ვრისკავ, ხო უნდა მილირდეს, ძმაო?!... ეგრე არ არი!... ჯერ მარტო ლიფტი არ მუშაობდა და ფეხით ამოვებეთე და თან ეს „კრასკის“ სუნი ხომ ცალკე მბრიდავს და „კაროჩე“! ესლა მაგისი „რაზბორკის“ დრო არ არი და ნავედი და ნახევარ საათში „პადზემკასთან“ გელოდები... არ ვიცი, ტო!... მე აქ ნახევარ საათზე მეტის გამჩერებელი რო არა ვარ, „ტორნად“ ვიცი და არ მოხვალ და შენ თავს დააბრალებ, ძმაო!... გაიგე, ბიჭო?! ე, ზახარ! ზახარ! გესმის ჩემი?... ჰოდა ეგრე!... „დავაი“!... მაგაზე მერე!... ჰო! ბაზარი არ არი!...

(ტელეფონს თიშავს და სტელაჟის თაროებზე იქექება)

– ესეც რა როყაა?!... რა ენაღვლება?!... შენ მიდი იპახავე, თაზო! ვა! სალოლ! ტომ ფორდ!... ასწორებს! (ისხამს) ესეც ნავა!...

(სტელაჟს მეორე მხრიდან უვლის და ცდილობს კომოდსა და სტელაჟს შორის ვინრო გასასვლელში გაძრომას, მაგრამ კომოდზე შემოდგმულ აკვარიუმს ეჯახება და ისმის ლანანის ხმა)

– ვააა! ვააა! სად გამომაგზავნა ამ ჩემისამ?!... ესლა ეს ივ კუსტო და კაპიტან ნემო მინდოდა?!... ჩემი საწყალი გული რა ვთქვი?!...

(ექებს სამზარეულოს კარადაში სამლიტრიან ქილას, წყლით ავსებს და იატაკზე მიმოფანტულ თევზებს აგროვებს წყლიან ქილაში)

– არა, რა!... დავითარსე და ეგ არი!... მოდი აქა, ჩავსვა წყალში, შე ბენტერა!... ფუი!... მთელი ბავშვობა ისე გავლიე, სუ თქვენნაირ თევზებზე ვოცნებობდი, მაგრამ ვინ მომაშავა?... ესლა კიდე არის, მაგრამ რად გინდა?!... დიდი-დიდი „კაპრონი“ თევზი თუ მომინდეს „პივაზე“!... თან ეს სუნებიც რო მკლავს?! ეს პირბადე ცალკე მალრჩობს... ვეუბნები, არ გვინდა, ალერგია მაქვს ამ „მასლენნი კრასკებზე“... არააა! (ახველებს და



მხატვარი სოფიო ქელიძე





აცემინებს) ეხლა თუ დამენყო, სუ ცოტა ოცჯერ მაინც დავახველებ და დავაცემინებ!... მერე ვილაცას უნდა ეგონოს კოვიდი და გამაქანოს იზოლაციაში.... ვააა! ვააა! ჩემი ბედი რა ვთქვი! ანეტ, შენი ანცი დედის ტანცი-შმანცი!... თან რა ნაბოზვარი თვალთ გამოხედა ამ დედაარღნიანმა! ასიანი, სუ მაგის დათარსული ვარ!

(ცდილობს სარკმლის გამოსნას, მაგრამ ამოდ... აგრძელებს სამზარეულოს თაროების გადმოლაგებას... ალებს უფრებს და ენერგიულად იქექება მათში მოთავსებულ ათას წვრილმანში... მუსიკა სულ უფრო უმატებს ტემპს და მამაკაციც სულ უფრო აქტიურად განაგრძობს ძიების პროცესს, ბოლოს გაღიზიანებული, რომ ვერაფერი სახარბიელო ვერ ნახა, ფართოდ ალებს მაცივრის კარს და თაროებს ათვალეერებს...)

– ვაჰ, გენაცვათ?!... არ მოვიკლოთ გოგლი-მოგლი, დედამ გენაცვალოს!...

(ისისაა უნდა დახუროს მაცივრის კარი, ვისკის ბოთლს შენიშნავს და გამოიღებს, გადაჰკრავს და უკან შედგამს გადაიფიქრებს და ჩანთაში უკრავს თავს... ისმის გასაღების ჩხაკუნის ხმა... მამაკაცი იბნევა, არ იცის, რომელ მხარეს ეცეს... სასწრაფოდ აქრობს ტორშერს და კარის გამღებსაც სულ უფრო უჯანჯლდება საკეტის გახსნა და მამაკაცი ხან საბაზანოს მიადგება, ხან საპირფარეოს, მერე უკან ბრუნდება და ცდილობს აივანზე გასასვლელი კარი გახსნას, კარი ჩარაზულია და ვერ ხსნის... ამასობაში შემოსასვლელი კარიც იღება... მამაკაცი იძულებულია კარადაში ჩანთიანად შეძვრეს და დაიმალოს, საკიდლებზე ჩამოფრიალებულ ტანსაცმლებში უჩინარდება და უჩუმრად ირინდება).

სურათი მეორე

შემოდის ცოლი, რომელიღაცა დეტექტივის პერსონაჟივით შენიღბული მუქი სათვალთა და კაპიუშონიანი ლაბადით, მასაც პირბადე უკეთია... როგორც უცხო მხარის ტურისტი სამუზეუმო ინტერიერში, ისე ათვალეერებს სახლს... როგორც სჩანს, ისიც პირველადაა ამ ბინაში... ქალი ფრთხილად, ხელის ცეცებით მიუყვება ავეჯს შორის ლაბირინთებს და სწავლობს გარემოს, უნებლიედ ხელის ცეცებაში ისიც ტორშერს ანთებს და ყურთასმენას მუსიკის მძლავრი ტალღა აკრთობს... მონყვევით ჯდება სანოლზე და უეცრად ირთება ტელევიზორიც... ეკრანიდან საინფორმაციოს ნიაღვარი ასკდება და მუსიკის რიტმებს ერევა... ქალი სასწრაფოდ პოულობს საჯდომქვეშ მოყოლილ პულტს და ტელევიზორს გამორთავს... იძრობს პირბადეს და ჩანთაში ჩურთავს...

ცოლი – ვახ!... ნახე, ვაჟბატონი?!... უყურე?!... არა, გემოვნება გვაქვს! არ ვუჩივით! რა „ხატა“ დაუთრე-ვია?!... მე შენ გაჩვენებ თათბირს, წლიურ ბალანსსა და კვარტალურ ანგარიშს!... დამაცადე! (იხდის სანვიმარს) ეს ვაჟიკუნაც რო სულ მთლად დაამტერა და დააქლიავა?!.. (გამოაჯავრებს) „მანანი, შარი არ მინდა! შარი არ მინდა!“... (შეჰყურებს ალბერტ აინშტაინის პორტრეტს) მე ხო მინდა, რა!... აი, სუ ვვიყდები და ვეცემი სკანდალებზე!... დამაცადეთ!... ჯერ იმ ქალბატონს დაფუთვალეერებ გლანდებს და ვამღერებ ნოტებზე, ეგ დიღმის პერეულკების ბოზი ეგა!... მერე ჩემს სირთა ბელადს გაფუსინჯავ კბილებს, რომ კარიესმა არ იმსხვერპლოს მისი უბერებელი ბელმონდოს ღიმილი და მერე შენც მოგხედავ, ჩემო გულუხვო მასპინძელო და მეგვარევე! დებილი ესა!... აი, როგორაა ეს სიდედრის დის ბინა, მოვიკითხავ რეესტრში!... არა, ვის აბოლებენ, ეს „სუკინი დენი, ბლინ!“... ჯერ სიდედრი მითხარი და მერე იმის „პრამშანდოვკა“ დაიკო! ვაიმევე! ცუდად იცნობთ თქვენ დარსმელიძეების ქალებს, ცუდად!... (პირისპირ დგება აინშტაინის პორტრეტთან) ჩემმა დიდმა ბებია, საბედომ ხუთი ქმრიდან შვიდი შვილი გააჩინა... თანაც ორი ტყუპი – საკეისროთი და მე გამაკვირვებს ვინმე და რამე?... მე?... ვაი, ჯერ ფაქტები... კომპრომატები დავიჭირო ხელში და მიყურეთ მერე შორიდან!...

(დეტალურად სწავლობს და ათვალეერებს ყველა კუთხე-კუნჭულს, იღებს თევზებიან ქილას და გაჰყურებს)

– ვა, რა მაგარი ტიპები არიან!... მარა ამ მურაბის ბანკაში პირველად ვხედავ ოქროს თევზებს... ეტყობა თავის ნაშას უყიდა ჯადოსნური სურვილების ასასრულებლად და აკვარიუმზე ფული არ ეყო!... დედა-დედა! მომიკვდეს თავი!... ორი მათხოვარი!... (წამოედება დამტვრეული აკვარიუმის ნატყებებს) აჰა, ახალ ბინაში ახალ რემონტზე რამის გატყვამ ბედნიერება იცის?! ვა-იი! ხო ვამბობ, სუ დამტერდა და დაქლიავდა-თქო!... კი, აბა რა! მოვა მანჩიტა და დაგილაგებს აქაც შენს ყაყუჩებს!... როგორ არა?!... მეტი არ ჭამოს თქვენმა დასამინებელმა ენა პირმა! (აივნის კარსაც მოსინჯავს, მაგრამ კარი არ იღება...) ეს მეტალოპლასტიკები ხო ყველგან პრობლემაა?! არ მოინყო ბიჭმა მყუდრო ბუდე?! აგიფრენ ახლა მწყრებს და დაგიფრთხობ ოფოფებს თუ ვარ მანჩო დარსმელიძე... ისე ეს რალაც ახალ დაღვრილს ჰგავს... სა-ინ-ტე-რე-სო-ა! ვის უნდა გასტყვობა? (ისმის მობილური ტელეფონის ზარის ხმა) არაფერს ხო არ დაგაცლიან რა! (ჩანთიდან იღებს მობილურ ტელეფონს და პასუხობს)

– ხო, რუსა!... მე ვარ, გოგო, მანანა!... შენ ვერა ხარ ხო იცი?! ვისთან რეკავ, არ უნდა დახედო?... ხო... მოვედი... კი... კი... „ხატა“, ნუ იტყვი! ევრორემონტი და რამე! კი... ავეჯიც კი არ გაუხსნიათ! მარტო სანოლია მუშა მდგომარეობაში! აბა რა?! სადა აქვს, გენაცვალე, დასაკარგი დრო!... რელაქსი ხო უნდა?... აბა?!... ეს გათახსირებული! ეს ბანკომატის შიბაქი!... გოგო, ტუალეტის „ბაჩოკის“ „რუჩკა“ ვერ გამოვაცვლევივინე მეოთხე წელია, „კრუშკით“ ვასხამთ წყალს უნიტაზში და აქ არ დაატრიალა დიზაინის მასტერ-კლასი?! აბა?! აბა?! ხო... შენ ხო მიცნობ?!... ეგეთები გამიტარებია, მაგრამ ეხლა ძან გადაიჯვა თავზე, გენცვა!... ხო... თან ეს დამბალხაჭო ვაჟაც რო მატყუებს?!... გასალებს კი არ მადლევდა?! „შარი არ მინდა! შარი არ მინდაო!“ სუფთა საქინძეთი... ეს ჩემის ტრულაილა ბალალაიკა!... ჩემი სიდედრის... არა, მოიცა, სიდედრის დის ბი-



ნააო!... აზრობ, გოგო?!... ეს სირთაოზა ესა!... შენ ნანას ლამარას ხო იცნობ და ახლა მისი და მითხარი!... ციცი?! ძუნძგლი ჟმოტის ჟმოტი! რისი მიმცემები არიან, გოგო, ეგენი, ნუ გამაგიჟე?! (სიგარეტს უკიდებს და ცდილობს აივანზე გასვლას, მაგრამ ამაოდ) ისე... აქაც არ იღება აივნის კარი, ხო იცი?! (იცინის) არა, რა!... მე მოვკვდე, თუ სუ „მეტანიებით“ არ ვახოხილო ოთხზე იმ თავის ვაგზლის „სამმეწიანი“ ტურფას თვალწინ, მე არ ვიყო მანჩო დარსმელიდი!... აი, პროსტა! ჯერ „აღსარება“ უნდა ჩავიბარო, და მერე... უნდა ბოლომდე დავახურო და გავშორდე!... „ესიო!... სკანცამი!“... სადა მაქვს, გენაცვალე, ამდენი ნერვები?!... აი, ძან დავილაღე!... რა? ეხლა შენც არ გამომტყუო, რა!... რა, გოგო?! დაინყო ეხლა სიდუპლეტების კასკადი!... ვიზე მელაპარაკები და რაზე მელაპარაკები?... ან ვის შევალე ამდენი წელი და ახალგაზრდობა?!... ბავშვები რა?! გაიზრდებიან!... ვის უკვირს ჩვენს დროში განქორწინება?! (დაჰყურებს მობილურ ტელეფონს) კაი, გოგო, ნავედი, ვაჟა მირეკავს მგონი!... მერე დაგირეკავ, პაკა!... (აჭერს ხელს მობილურის ლილავს) ხოოო, ვაჟიკუნა... აქ ვარ... მოვედი... არავინაა... მე ვარ მარტო!... ჯერჯერობით!... მარტო ვარ-მეთქი! (კარადიდან დაცემინების ხმა ისმის) მოიცა!... (სიგარეტს აქრობს და აყურადებს, მერე თევზებიან ქილას ყურთან მიიტანს) არა... არაფერი!... ისე... რაღაც... მომეჩვენა ალბათ!... მომეჩვენა-თქო!... ხო, მობრძანდება ალბათ მალე ვაჟბატონი!... ისე, ლიფტი არ გიმუშავებთ, გენაცვალე!... მოვკვდი სანამ მეცხრეს ამოვასკდი!... მაგრამ არა უშავს – უფრო კარგად დავაგორებ თავდაღმართში!... ხმა! კრინტი!... იცოდე, განყენინებ!... ნანას ვეტყვი შენს გმირობებს და სამუდამოდ დაგკარგავ! ხო მიცნობ, რა გიჟიც ვარ!... ჰოდა, ასე!... ნავედი! ნავედი-მეთქი! არ იცი! არ ვიცი!... მოიცა... მგონი მობრძანდნენ... რაღაც ხმები ისმის... ნა-ვე-დი!...



**ვიქრია
ყუბიტაშვილი**



(ისმის გასაღების ჩხაკუნის ხმა და ქალის ხმამალალი კისკისი... ცოლი სასწრაფოდ აქრობს ტორშერს, კვამლს ხელის სწრაფი მოძრაობით გაფანტავს და დაფაცურდება, ჩანთიდან ყოველი შემთხვევისათვის პირბადეს ამოიღებს, მოირგებს, მერე ლაბადას და ქოლგას ხელს წამოაველებს და სამალავს დაეძებს, ბოლოს გადანწყვეტს ტანსაცმლის ცელოფანგადაფარებულ კარადაში დაიმალოს და ჯერ სანვიმარს, ქოლგას და ჩანთას შეადგებს და მერე თავდაც შეხტება და იქ უცხო კაცის დანახვაზე ისისაა უნდა შიშისაგან შეჰკვივლოს, მამაკაცი პირბადეზე ხელს აფარებს და გულზე იხუტებს და ორივე ტანსაცმელების ნაკეცების ტალღებში ჩაყურყუმალავდებიან)

სურათი მესამე

იღება შემოსასვლელი კარი... შემოდინ ქმარი და საყვარელი... კაცი დახუნძლულია სხვადასხვა პარკით, ცალი ხელით შამპანურის ბოთლი და ბომბონერი გულზე მიუხუტებია, პირბადე შუბლზე აქვს აწეული მზის სათვალესავით და პირში თაიგული აქვს გაჩრილი, ქალი ფერად პირბადეს ყელზე ჩამოიცურებს და ელეგანტურად მოირგებს დეკოლტეზე, თან მხიარულად ლილინებს პოპულარულ და ხალისიან მელოდის და კისკისით მობილურით „სელფებს“ იღებს, მერე სანვიმარს იხდის და მონყვევით ეშვება სანოლზე...

საყვარელი – ესეც ასე!... უჰ, დავილაღე, თან ამ პირბადემ სული შემისხუთა, ვერაფრით შევეჩვიე... თან რა ცუდია, როცა ლიფტი არ მუშაობს, არა სიყ?!... რომელი სართულია?...

ქმარი – მგონი მეცხრე უნდა იყოს!... კი... მეცხრეა!...

ქალი – ესე იგი, ეხლა მე და შენ მეცხრე ცაზე ვართ, სიყ?!... (ათვლიერებს ოთახსა და სამზარეულოს. სარკეს ხელს შეახებს თუ არა ტორშერი აინთება და იქიდან ბლუზის რიტმები შემოდის) ვაი, რა საკაიფოა?!... სენსორებზეა?!... ვაუ!... ძალიან მომწონს აქაურობა! ყოჩაღ შენს ვაჟიკოს!... მშვენიერი გემოვნება ჰქონია!... და ფულიც! (უცებ თევზებიან ქილას შენიშნავს) ვაიმე?!... საყვარლები!... რა სილამაზეებია!... თქვენ ვინა ხართ?!... პატარუშკებიო?!... (თან რიტმულად აცეკვდება ბლუზის მელოდიაზე და თან თევზებს ესაუბრება) ჯადოსნურები ხომ არა ვართ?!... (მამაკაცის გასაგონად) სურვილების შესრულება შეგვიძლიაო?!... იცით რა ნაირ-ნაირი სურვილები გვაქვს?!... სულ კუსკუსები და ჯადოსნურებიო?!...

ქმარი – (აგრძელებს მის ინტონაციას) ახალი „აიფონი“ რომ გამოვიდა, ხომ უკვე გვიყიდესო?!... ეხლა ცოტა ხანი „ვინუფდენი“ სარეკლამო პაუზა უნდა გამოვაცხადოთ!...

(კარადა შეჩოქოვდება...)

საყვარელი – (გაბუტვით) ოო!... იცი, რანაირები ვართო?!... ბავშვობიდან ვგიჟდები თევზებზე და კიდე იმათზე... აი, სირინოზებზე!... ვაი, რაღაც სუნია!...

ქმარი – შენა ხარ ჩემი სირინოზი და ჯადოსნური ოქროს თევზი!... რა სუნი?! კაცს არ უცხოვრია ჯერ... გეუბნები ნუ უყურებ ამ ჰორორებს დილამდე!...

საყვარელი – რა ვქნა, მიყვარს მძაფრი მეგრძნებები და რა გავაკეთო ეხლა?!... და საერთოდაც, სულაც არ ვუყურებ მარტო ჰორორებს... რომანტიკულ სასიყვარულო სერიალებსაც ვუყურებ და კიდე იმას (ვითომ თევზებს ყურში ეჩურჩულებს) ეროტიკას!... ახალი ცოდნები ხომ უნდა შევისრუტოთ და თვალსანიერი ხომ





უნდა გავიფართოვოთ, არა?!... ტენდენციებს ხომ არ ჩამოვრჩებით?!...

ქმარი – თეორია თეორიად, მაგრამ პრაქტიკა მაინც სულ სხვაა, ძვირფასო!

კარადიდან ცოლის თავი ჩნდება და ის-ისა რაღაც უნდა თქვას, უკნიდან ქურდი კვლავ ხელს ააფარებს და მთელი სხეულით იხუტებს, ცოლი ერთს გაიბრძოლებს, მაგრამ ამაოდ და კვლავ კარადაში უჩინარდება

საყვარელი – ნეტა აკვარიუმი რატომ არ გიყიდესო?... **(ათვალიერებს მინის ქილას)** რა ცოდოები ვართო ასე, ამ მწნილის ქილაშიო?!... ამ ლამაზ ვაზაში მაინც ჩავესვითო?! **(იღებს ფერადი მინის ლარნაკს და თევზები ფრთხილად გადაჰყავს, ხოლო ქილაში ყვავილების თავიგულს ათავსებს)** მაგრამ მამაკაცები ხო დაუდევრები ვართო?! მოდი, მე შევეურჩევ ახალ აკვარიუმს, ხო თო?!... ბინაო და ვიღაც ბოროტებს გაუტეხავთო!... არა, ნამდვილად **(წამოედება აკვარიუმის ნამსხვრევებს)**. ვაი... გატეხილა!... ჰქონიათო თურმე პატარუშკებს. მშვენიერი რაღაც მოტკბო სუნია, რაღაცნაირი... მენტოლით...

კაცი – **(ყურადღებას არ აქცევს და პარკებიდან ალაგებს მოტანილ პროდუქტს და მაცივარში თაროებზე ანაწილებს)** გეჩვენება... საღებავის სუნი ჯერ არ გასულა... მოიცა, აივნის კარს შევხსნი... **(მიდის კართან, მაგრამ ვერ ხსნის)**

საყვარელი – რა არარომანტიული ხარ, ოთ!... მომხედე! **(თევზებიან ლარნაკს ლოყასთან მიიხუტებს და ისე ცდილობს „სელფის“ გადაღებას)** სიყ! დაანებე თავი მაგ პარკებს, მოიხსენი ეგ შუბლსაკრავი და შემომხედე...

ქმარი – მოექრივარ! **(კაცი ცარიელ პარკებს ერთ გუნდად კრავს და სამზარეულოს მაგიდაზე ადებს)**

საყვარელი – არა რა! მამაკაცები ძალიან... ძალიან... ძალიან არარომანტიულები ხართ!... ხო, პატარუშკე-ბო?!...

ქმარი – დემილი თანხმობის ნიშანიაო?!... სამაგიეროდ, შენ მყავხარ ქალურად შორსმჭვრეტელი, რომანტიულად ნაზი და ჭკუის დაკარგვამდე სექსუალური!... **(ზურგიდან ხვევს ნელზე ხელს და „სელფს იღებენ“, მერე ხანგრძლივად კოცნიან ერთმანეთს)** კაია, რომ ვაჟას თევზები ჰყავს და არა ენაჭარტალა თუთიყუში!... **(იციინან და აგრძელებენ ხვევნა-ალერსს)**

საყვარელი – ამ კოვიდის გადამკიდეს ლამის კოცნა დამავინწყდა! რამე სიმპტომები ხომ არ გაქვს სიყ?... იცოდე არ დამიძალო, თორემ რამე რომ გადამდო, მოვითხოვ, ერთად გაგვიშვან იზოლაციაში რომელიმე კარგ კოვიდ-სასტუმროში...

ქმარი – ჯერ ერთი, ბანკში დღეში ასჯერ მაინც გვიზომავენ სიცხეს და... თან შენ დაგავინწყდა რომ მე მუდამ ვიცავ თავს და, შესაბამისად, კოვიდ-ნეიტრალური ვარ...

საყვარელი – ესე იგი ერთად იზოლაციის გეგმა ჩაიშალა!... რა სანყენია?!... ისე, წარმოიდგინე, რა მაგარი იქნებოდა ორი კვირა, მე, შენ და საყვარელი ვირუსი! **(ტაშს შემოჰკრავს)**

ქმარი – სასწაული ხარ!... სრული სიგიჟე!... ვირუსი!... საყვარელი, ხო?! **(იციინის)**

საყვარელი – **(ენას იჩლექს)** ქო! პანანუნა, ბუსუსა და ყრუანტელის მომგვრელი!... ორი კვირა – მე და შენ! – თაფლობის თვე მეტი კი არაფერია!... **(კოცნის)**

(ცოლი იბრძვის კარადაში რომ გამოძვრეს, მაგრამ ქურდი არ უშვებს, მცირე ძიძგილაობის შედეგად ქალი თავს ითავისუფლებს, რომ ხმა ამოიღოს, მაგრამ ქურდი კოცნით აჩუმებს და ისევ ტანსაცმელში უჩინარდება)

საყვარელი – უჰ!... **(ინიავებს ბლუზას და ღრმად სუნთქავს)** ისე!... რაღაც ხმა მოგესმა? **(სარკეში ინესრიგებს თავს)** ეხლა შენი კოცნით მივხვდი, როგორ ვნებინადა მომენატრე!... არ გშია?... მოიცა!... რა ხმაა? გაიგონე?...

ქმარი – ჯერ სუნი, ეხლა კიდევ ხმა!... რა ხმა?!... ჩვენს მეტი ამ ბინაში არავინაა!...

საყვარელი – დარწმუნებული ხარ?... მოიცა, შენ წელან რაღაც ხმები არ მოგესმა?... ვაიმეეე!... ვაჟას „დამავოი“ ხო არ ყავს?! **(შეხტება სანოლზე და ფეხს დააბიჯებს ტელევიზორის პულტს, რომელიც ირთება და მთელს ხმაზე ისმის საინფორმაციოს დიქტორის რიტორიკა)**

ქმარი – **(რთავს ტელევიზორს)** „დამავოი“ არა ოჩოპინტრე!... **(კარადა ოდნავ შექანდება და ტანსაცმელს შარიშურის ხმა გადაუვლის)**

საყვარელი – აი, კიდევ! გეუბნები სახლის ბინადარი სული იქნება!... ნაკურთხია სახლი? აბა დაურეკე და ჰკითხე!... ჰყავდა მამაო?

ქმარი – აუჰ, ეხლა კიდევ „დამავოი“ მაძებნიე!... **(რეკავს ტელეფონზე)** ვაჟა, ბიჭო, ჰო... მე ვარ!... ოთარი ვარ, ბიჭო, რა ენა დაგება, ტო?!... აქ აკვარიუმი გატეხილი და კატა ხო არ გყავს, შეჩემა?!... ჰო, შენთანა ვართ მე და ლიკუნები!... რავი, ტო, კატაზე ვიფიქრე, მაგრამ თან აივნის კარიც არ იღება და საიდან უნდა შემოსულიყო?... მკვიდრადაა, „იმენა“, „ჩასვარკული“... ვეჩალოჩე, მარა არაფერი გამომივიდა... კი, მერე კიდევ ვცდი... კაი, ძმა, წავედი! მანანა? რას იზამს?! არი რა, მანჩიტურად, შენა და რატო მეკითხები?! ბიჭო, ხო იცი, თუ გაგიტრაკებს, არ უნდა დამიძალო! ხო... ხო, ძმა!... ხო... ხო ხვედები არა?!... ორ-ორი ბავშვი, იმათი მასწავლებლები, მშობელთა კრებები, კესოს ტანვარჯიში, თოკოს ცურვა... იქით სიდედრი და მოციმიციმე არითმია, აქეთ „კუნხა“ და „პასტაიანი“ რემონტი... კაროჩე, ცარიელი ნევროზია რა! სუფთა „დურ-დომი“ მაქვს, მე მოვკვდე!... ცოტა თუ არ გავინიავე გონება, დაეკიდება პროცესორი და მერე ვერ უშველის, ძმაო, რესტარტი! **(იციინის)** ჰოდა ეგრე!... რას მეკითხები, შეჩემა, რა დროს მანჩიტაა?!... ესმის გოგოს!... რა პონტია?! წავედი!... ხო, ისა, ეს ლიფტი რატო არ მუშაობს ხო არ იცი?... **(მოგუდულად!)** მოვკვდი, ტო!... ეს სექსო-თერმო-რესურსი



ამ ცხრა სართულს შევანარცხე!... მაგრამ!... (გადახედავს საყვარელს) ხო იცი – ბებერი ხარის რქაცა... კაი!... დავაი, ძმა!... (მობილურ ტელეფონს თიშავს და კომოდზე დებს)

საყვარელი – ოთ, ვაჟა ხომ?... (ანიშნებს, „ხომ არ ჩაგიშვებო?“)

ქმარი – აბა რა?! ლიკა-ლია-ლიკუნები! ვაჟა? — „იმენა“ მკვდარი ძმა!... ჩვენზე რო ვუთხარი, ეგრევე გასაღები დამიდა!...

საყვარელი – რა საყვარლობაა?!... და ვაჟას ცოლი?

ქმარი – ვინა? ნანუცა?! რას ამბობ, ტო? ნანა არი „იმენა“ „ბლექ სისტერ!“ გაგაცნობ და ნახე, მაგრად მოგენონება და ჩადაქალდებით!... ნელან რას ამბობდი, მშიაო?

საყვარელი – კი, მგონი მომშივდა და შენ არ გინდა რამე?

ქმარი – მინდა! ყველაფერი მინდა!

საყვარელი – (ეკეკლუცება გამომწვევად და ორაზროვნად) მაინც?...

ქმარი – (ყელზე ეფერება) აუ, „იმენა“ მაგარი იდეა მაქვს – მოდი ვივახშმოთ და გამოცანების საღამო მოვანყო!

საყვარელი – აუუუ, მოდი!... ვგიჟდები ეგეთ „ივენტებზე!“ და რა გამოცანების?... „ვის უნდა ოცი ათასი?“

ქმარი – ნახე: სამი გამოცანა შენ დაწერე ფურცელზე, სამს – მე დაწერე... მერე რიგრიგობით, ამოვიღებთ ამ საკაიფო საკანფეტედან, ნახე რა პოეტი ვარ?!... საკაიფო საკანფეტე! (გაჰყურებს ფერადი მინის საკანფეტეს) გამოიცნობ? – მე გავიხდი რამეს ტანზე, გამოვიცნობ – შენ... და ბოლოს ჰაიდა, დგაფან სანოლში და მშვიდი ცურვით შევეყვინთავთ ვნებების მარადიულ ოკეანეში...

საყვარელი – ვაუ! ასწორებს!... ნამდვილი ფილმის პერსონაჟი მგონია თავი!... აი, სერფინგისტები რო არიან და „პახოდუ“ მძარცველები...

ქმარი – ხედავ? შენ კიდევ რა არარომანტიკული ხარო!... აი ეგეთები ხართ ქალები! დაუნდობლები და უსისხლოები!...

საყვარელი – ვითომ? (ეთომარება გულმკერდზე)

ქმარი – (სარკვეში ამონებს საკუთარ ანარეკლს და შევერცხლილ თმას ისწორებს ყურთან) კარგად გამოვიყურები?

საყვარელი – ფანტასტიურად! და მე? მე როგორი ვარ ამ ახალ „პრიჩოში?“

ქმარი – ვეცემი შენზე ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით!... კაროჩე, ვინც მოიგებს და მეტ გამოცანას გამოიცნობს, იმან მართოს სექსი სანოლში...

საყვარელი – ესე იგი მოგნონს ჩემი ახალი „წინამო?“

ქმარი – მე არ ვიცი, რას გულისხმობ ამ მხეც სიტყვა „წინამოში“ (მკერდზე ეტანება), მაგრამ მაინც მომწონს!... სრული სიგიჟეა!... მით უმეტეს რომ ყველას თავისი წინამო აქვს!...

საყვარელი – (კისკისით) ვერ გამოიცანი! წინამო არის „ჩოლკის“ ქართული სახელი!... აბა გამოტყედი, შენ რა გეგონა?

ქმარი – შენა ხარ ჩემი ენის სინმინდის გუშაგი!... ჩემი ფანტაზიების „დივა“!... ჩემი აფროდიტე!... ჩემი ქალღმერთი რადჰა!...

საყვარელი – მაგარია! მაშინ მე აბაზანაში შევეშხაუნდები და მანამდე შენ რამე გემრიელობა მოამზადე შენებურად... ალე-ჰოპ! (გაიდრობს ბლუზას და ქვედაბოლოს და ბიუსტჰალტერსა და ბიკინიში რჩება)

ქმარი – მაშინ, ჩემო ლიკა-ლია-ლიკუნებოს ანცო-ცელქო ტაკუნებო, (ნამოარტყამს მსუბუქად უკანალზე) სანამ თქვენ აბაზანაში „დუშგელი“ დაგადნებათ, მე უსაფრთხოების რეგულაციების დაცვის მიზნით აუცილებელ აქსესუარებს ამოვიტან მარკეტიდან... სიჩქარეში დამვიწყნია!...

საყვარელი – გამოტყედი, დაგავიწყდა თუ მანჩიტამ ქონების ექსპროპრიაცია განახორციელა?

ქმარი – გაგიჟდი? რამ გაფიქრებინა?

საყვარელი – (სარკვეში ითვლიერებს სხეულის ფორმებს) რატომ? ეხლა არ მითხრა რომ ჯიბეებს არ გითვლიერებს და შენს მობილურში არ დასეირნობს... თანაც მოხარშავს ზამთრის მარაგებს... ტყემალს... ტომატს... და დააცვამს გასტერილებულ ბოთლებს... (კისკისებს) გგონია ვერაფერს ხვდება?...

(კარადა ისევ აშარიშურდება და მცირე გაბრძოლების შემდეგ კვლავ ჩაყურდება)

ქმარი – მინდა გაგინბილო მოლოდინები, ძვირფასო და...

საყვარელი – მოიცა!... ჩუ! ჩუმად!... სსსს!... გაიგონე?

ქმარი – რა?

საყვარელი – ხმა! რალაცნაირი... შრიალი!...

ქმარი – ეგ სერფინგისტებმა შეცურეს ტალღებში... (იცინის) ძან სასაცილო ხარ და შენა ხარ... (ჯერ ცალ მკერდზე კოცნის) ჩემი ვნების მუზა და (მერე მეორე მკერდზე კოცნის) გლამურის დედოფალი და გიჟურად მიყვარხარ! (ტუჩებში კოცნის)

საყვარელი – ოთ! სულ ასე მაშაყრებ და აი, ნახავ, ერთ მშვენიერ დღეს რომ შენი ეჭვიანი მანჩიტა თავზე ნამოგვადგება და ყველაფერს ჩაშლის!

ქმარი – ყოველ შემთხვევაში კონკრეტულს და კონცეპტუალურს ვერაფერს ჩაშლის და ისე ზოგადი ეჭვე-



ბი „ნისტიაკ“, დროდადრო სასარგებლოც კია ჯანმრთელობისათვის! მეტი ენდორფინები გამოიყოფა!...

საყვარელი – დარწმუნებული ხარ?

ქმარი – ნათქვამია, არასოდეს არ თქვა არასოდეს, და მაინც თითქმის დარწმუნებული ვარ!... კაი, დავემვი!...

საყვარელი – მაკოცე!

ქმარი – იცოდე, ველარ ნავალ და დამრჩები (კოცნის) ტანგა-ტუნგას ამარა...

საყვარელი – სიყ! იცოდე, პირბადის გაკეთება არ დაგავინწყდეს...

(ქმარი პირბადეს იკეთებს, გადის და საყვარელი სააბაზანოში უჩინარდება... ნამით სიჩუმე ისადგურებს)

სურათი მეოთხე

42



ხანმოკლე ქოთქოთის შემდეგ ჯერ ცოლი გამოჩნდება კარადიდან ფრთხილად და უკან ქურდი მოჰყვება კარადის გარდერობიდან შერჩეულ ახალ ქურთუკში გამონყობილი... ემოციური და არაფრთხილი ჩურჩულით საუბრობენ, შეიძლება ითქვას, უფრო ჩხუბობენ.

ცოლი – (თან ბრაზობს და თან ქალურად კეკლუცად შეფავკვლია ლოყები) არ მომეკარო!... ტუტუცი!... ვისაა, რომ მიბედავ და რასაა რომ მიბედავ?...
ქურდი – (სიცილით) შენი ქმარია არა?... სალოლ!... ისე ისეთი „მუყიკია“ რა!... ვნება და რამე!... მგონი არ გაძინებს სანოლში!...

ცოლი – ქმარი... იყო!... იდიოტი!... ეს ვოზდუხპარავოზი!... ეს... ეს ბანკის ახურებული ქაჯი!... (კივილით) და საერთოდ, არაა ეგ შენი საქმე! (ტანსაცმელს ინესრიგებს) შენ ის გიჯობს მითხრა აქ როგორ აღმოჩნდი, ვაჟბატონო?

ქურდი – (ჩანთაში ჩადებული ვისკის ბოთლიდან სვამს რამდენიმე ყლუპს) ზუსტად ისე, როგორც შენ!
ცოლი – ჯერ ერთი, შენობით ნუ მელაპარაკები და მეორეც, მე სათადარიგო გასაღები მქონდა... (თმას ივარცხნის და პომადას იახლებს სარკეში)

ქურდი – მეც...

ცოლი – მე კონკრეტული საქმე მქონდა და გამიზნულად მოვედი ამ ბინაში!...
ქურდი – მეც...

ცოლი – შენ პასუხის გაცემა მოგიწევს ოთარის კითხვებზე...

ქურდი – შენც... (ზურგიდან მიუახლოვდება და ვითომ ყელში კოცნას ცდილობდეს, კომოდზე დადებულ ქმრის მობილურ ტელეფონს შეუჩნევლად ანაპნის და ქურთუკის ჯიბეში ჩაიცურებს)

ცოლი – შენ... შენ საღ ჭკუაზე არ ხარ!...

ქურდი – შენც!
ცოლი – ბიჭო, მომხედე ერთი აქეთ!... აზრობ, რა მაგარ შარში ხარ?!
ქურდი – კი არ ვაზრობ, ვამბობ: შენც!...

ცოლი – რა შენც?... შენობით ნუ მელაპარაკები-თქო!...

ქურდი – მაშინ, „თქვენც!“
ცოლი – ვაიმე!... მაშაყირებ, არა?
ქურდი – უკაცრავად (ხელით მიანიშნებს ყველაზე), ჩვენც!

ცოლი – რა ჩვენც?

ქურდი – (თითებზე ჩამოთვლის) აქ... ყველანი... მაგარ შარში ვართ!
ცოლი – მე შენ ვინ გგონივარ?

ქურდი – ვიცი, ყველაფერი ვიცი. ნახე?! დარსმელიძეების ქალთა დინასტიის ბოლო საამაყო მოჰიკანი – ეტა რაზ! საშუალო სტატისტიკური მოქალაქისათვის ჩვეულებრივი ქართველი მდედრი – ეტა დვა! და, „პახოდუ“, სასონარკეთილი დიასახლისი! – ეტა ტრი! დაბადების მონუმბით მანანა – ყმანვილქალობაში მანჩო – და ენლა – მანჩიტა! („ტანგოს“ მოძრაობებით ეცეკვება, ბოლოს დააბზრიალებს, მუხლზე გადაინვენს და მკერდში რგავს თავს და ხელის მარჯვე მოძრაობით ტახტიდან საყვარლის მობილურსაც ანაპნის და იმასაც ქურთუკის ჯიბეში ჩაიცურებს)

ცოლი – გაგამანჩიტებ მე შენ! (თავს ითავისუფლებს ანთლებული და დაბნეული ეძებს რაიმე საგანს, რომ მოუქნოს, ბოლოს ხელს წამოავლებს შამპანურის ბოთლს და გაეკიდება ქურდს რომელიც უკანა სვლით ბინის ლაბირინთში დაძვრება და სიცილით კიდევ უფრო მეტად აგიჟებს მდევარს) საზიზღარი!... ცხოველი!... ვიგინდარა!... ქურდბაცაცა!... კრიმინალი!... უსინდისო... ეს... ეს მოძალადე კაზანოვა ესა!.. (ქურდი ისევ ვინრო გასასვლელში გაიჭედება და მორჩილების ნიშნად ჩაიჩოქებს) შენ მე ვინ გგონივარ?!... რომ ჩაგაყუდებენ „კაპეზეში“, მერე ვნახავ ვინ იქნება მანჩიტა და ვინ მწყერჩიტა...

ქურდი – ვახ, ანეტ, შენი ბოზი დედა გავაპრადალე! (ცდილობს ბოთლი წაართვას და ხელები დაუჭიროს ქალს) ისე, მამენტ, შენც კაი ზასაობა გცოდნია?!...





ცოლი – ანეტა ვინლა, ვინმე მორიგი მსხვერპლი იქნება, შე უნიჭო დონ ჟუანო, შენა!

ქურდი – (იგერიებს ცოლის მოქნეულ მუშტებს) დედას ვფიცავარ, მეზობელია... მაგას რო შევხვდები, სუ ვითარსები ხოლმე! (ბოლოს ორივე ხელს დაუჭერს და გამოაჯავრებს ფილმ „შერეკილების“ ხუტა ოდიშ-არიას) მრეკეთ თავში ბოთლი, ქალბატონო მარგალიტა-მანჩიტა, რააა! ო, მარგარეტ, ჩაიძინეთ რაიმე დანაშაული და ნაგიყვანთ იქ, ჩემთან... (ხელზე ეჯავრება და კოცნის) ო, მარგო! მარგორო!... კაი, ვითა-მაშეთ დაჭერობანა, მორჩა კინო! ეხლა მე გავალ, „დობრად“ და რამე!... და შენ შენს ოთუნას დაელოდე, ო'ქეი?! (ცოლი ცდილობს ქურდის დაჭერას და ცალ ხელში შამპანურით, თავისუფალი ხელით ახლა თავად ექაჩება რაც ძალა და ღონე აქვს... ღია კარში ქმარი გამოჩნდება, რომელსაც მობილური ტელეფონი დარჩა და უკან ამობრუნდა, გაოგნებული შეჰყურებს ოთახში გათამაშებულ სცენას, ცოლს შამპანურის მოღერებული ბოთლი ჰაერში უშეშდება)

ცოლი – ოთარ!...

(ქმარი მდუმარე გაოგნებით შეჰყურებს ხან ცოლს და ხან ქურდს)

ცოლი – ოთარ!... ოთარი! (ფეხის ბაკუნით) ოთარი-თქვა!...

ქმარი – (პაუზით) შემიძლია ვიკითხო, რა ხდება აქ?

(ქურდი ცდილობს თავის მართლებას, მაგრამ ცოლი დაასწრებს)

ცოლი – ხმა! სუსი! ნკმუნი არ გავიგო შენი!... (ქმარს) ოთარ, შენ შეგიძლია არ დამიჯერო, მაგრამ მე... იცი, მე... ქურდი დავიჭირე!...

ქმარი – ქურდი! ვაჟას ახალ ბინაში!... ბანდიტი!... საშიში კრიმინალი!... 6 საათიანმა საინფორმაციომ თუ იცის ეს „ნიუსი“?... და „ფეისბუქზე“ ხომ არ დაუპოსტავთ რამე?!... (ყვირილით) და შენ თავად აქ როგორ აღმოჩნდი, ქალბატონო, შეგიძლია მითხრა?

ცოლი – დამშვიდდი!... შენთვის ზედმეტი ნერვიულობა არ არის რეკომენდებული!... ეხლავე აგისხნი ყველაფერს!

ქმარი – რო ზრუნავს კიდეც ჩემს ნერვებზე და გულზე!... მე თქვენ ვინ გგონივართ?!... მაგას ვჭამ ეხლა, როგორ არა?!... (ხელს ჩაავლებს ცოლს და გვერდით გაჰყავს) როგორ აღმოჩნდი-მეთქი, ქალბატონო? ვიკითხე აქ მე!

ცოლი – ჩვეულებრივ... აი, ამ შემოსასვლელი კარით... ოთარ, გეფიცები, ვაჟას გამოვართვი გასაღები და ისე შემოვედი!... გინდა დაფურეკოთ ვაჟ... ას!...

ქმარი – ახლა ვაჟა გარეე ამ იდიოტობაში!... კი ბატონო, ვთქვათ, გასაღები ვაჟას გამოართვი!... დავიჯერე!... მერე? რა მიზნით მოხვდი აქ?... მიპასუხე!...

ცოლი – შემთხვევით აქეთ მოვხვდი და შემოვიარე!

ქმარი – აჰა, ესე იგი, შენ შემთხვევით, ვითომ ისე შემოხვდი ჩემი მეგობრისა და მეჯვარე ვაჟას ახალ ბინაში და ეს, უკაცრავად და ნაძირალა, აქ დაგხვდა?!... (ქურდს) ასეა?

ქურდი – (ცოლი უხმოდ უქნევს თავს დასტურის ნიშნად, ქურდი თავს იკატუნებს) ძალიან გთხოვ, გამოთქმებს დაუკვირდე, ძმა! დეტალების გარკვევამდე შეურაცხყოფას და ჩემი უფლებების დარღვევას არ მოვითმენ!...

ქმარი – პირბადე! პირბადე გაიკეთე და ისე მიპასუხე!...

ქურდი – ვერ ვიტან ამ პირბადეს და ისე რო ვიყო, რაა რო?

ქმარი – ჯერ ერთი აქ, აქ პირობებს მე ვადგენ და მეორეც – შენ არ გელაპარაკები! (ცოლს) ესე იგი, არ მოითმენს, ვაჟბატონი!... გარკვევამდე... დეტალების... (ქურდს) კარგი, მაშინ დეტალს ჩაგეკითხები – რა საერთო გაქვს ჩემს ცოლთან?...

ცოლი – არაფერი! სრულებით არაფერი!... გეფიცები, ოთარ!... შემთხვევით... შემთხვევით შევხვდით... შემთხვევით!

ქმარი – აჰა, შემთხვევით!... დღისით-მზისით, აქ, ვაჟას ახალ სახლში შემთხვევით შემოგეყარა ყივ-ჩალივით... და გინდათ, რომ მე ეს ბოდვა დავიჯერო?!...

ქურდი – ვნუხვარ, რომ ისედაც დამამძიმებელი გარემოებებით გართულებულ ოჯახურ კონფლიქტში მიწევს უნებლიე ჩარევა, ბრატ, მაგრამ მგონი, მოგიწევს დაჯერება!... კი, ეგრეა „სტოპო“, მე ვიყო ზახ-არას იადონი!

ქმარი – შენ სუ!... ხმა!... კრინტი!... მე შენ ცალკე დაგელაპარაკები!... ერთი ერთზე!... როგორც კაცი კაცს!... აბა, ქალბატონო, მიპასუხე რა გინდოდა ამ საეჭვო სუბიექტთან ერთად ამ სახლში?

ქურდი – სხვათაშორის, ამ საეჭვო სუბიექტს სახელი აქვს... და ვაფშე, ნერვებს „სტოპი“ მიეცი და ნესიერად მეტაზრე!...

ქმარი – არ გადამრიო?! და ერთი შენი სახელი მაჩუქე, ძმა!...

ქურდი – თაზო... თამაზი... სკაიპით – ტომაზო!... საცა იტყვი და როცა იტყვი – ჩავსხდეთ და ვიბა-ზროთ!

ქმარი – სასიამოვნოა, გენცვ! ოთო-ოთარი-ოთარიკო!...

ქურდი – ჰოდა, ჩემი ძმა, ჩემთვისაც სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა... აბა, ეხლა მე წავედი!... მშვიდობით მენახეთ!...





ქმარი – სდექ!... ვერსადაც ვერ ნახვალ!... (ცოლს) მომეცი გასალები!... მიბრძანდება ვაჟბატონი!... ჩემი ცოლი თვალწინ ლამის შემოეუბრატიურა და მიდის! ვითომც არაფერი!... (გამოგლეჯს ცოლს შამპანურის ბოთლს)

ცოლი – (უნვედის გასალებს) ოთარ, რას აპირებ?

ქმარი – მე ვიცი, რასაც ვაპირებ! (ართმევს გასალებს და ახლა ქურდს მიუბრუნდება) გასალები!... დროზე!... (ქურდი თავს უქნევს უარის ნიშნად) შენა, ისა და, საერთო გასალებით სარგებლობთ ხოლმე?

ქურდი – რაო? რა საერთო გასალებით – ხო არ გგონია „ნახალკას“ შევიტენი, მე ჩემი მეთოდები მაქვს, ძმაო, ეგრე არ არი!... ცოლი შენია, შენ მიხედე და „ვაფშე“ ყველამ თავის ბოზ მამიდას მოუაროს!... კაროჩე, მე ნავედი!...

ქმარი – სდექ!... არ გაინძრე-მეთქი!... არ გაინძრე თორემ ამ შამპანურის ბოთლს თავზე გადაგამტვრევ, შე ახვარო, შენა!... აქეთ რო მებლატავენბა!... ხო ჩამოიხსენი ნილაბი?... (ბოთლმოდერებული ქურდისკენ მიდის) მოდი!... მოდი, აბა, რისი მაქნისი ხარ!...

ცოლი – (კვივის) ოთარ!... (საცემრად იწვევს ქურდზე) ვინაა შენი ბოზი, შე კრიმინალო... შე „ბირჟის“ ალფონსო!...

ქურდი – ვახ, ხო ვამბობდი ეს „ბაიტი“ შარია-თქო!... ღმერთია მოწმე, მე არ მინდოდა, ძმაო, ჩემ გზაზე მივდიოდი და შენ თავად გაიჩალიჩე! (ქურდი შამპანურის ბოთლიან ხელს სულ იოლად ამოუტრიალებს ქმარს და ტახტზე დაადგებს, თან თავზე დაადგება... კვივზე სააბაზანოდან თავზე პირსახოცმემოხვეული და ხალათიანი საყვარელი გამოვარდება)

საყვარელი – ოთ! რა ხდება, რა ხმაურია? სიყ?!... ხომ გეუბნებოდი, რაღაც ხმებია-თქო!...

ქურდი – ვახ ჩემი, ესლა გვაკლდა?!... გოგონი, იქნებ თქვენ მაინც შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში – ჯერ ცოლი მემტერებოდა ამ ბოთლით, ახლა ქმარი... ჩემი ბედი რა თქვა რა! ოხ, ანეტა რა!... შენი მურტალი თვალი და ჯიში და ჯილაგი!... (ხელს გაუშვებს ქმარს, ის ისარგებლებს და სასწრაფოდ გამოერიდება, თან ნატკენ მკლავს იხვლს)

ქმარი – ანეტა ვინ არის? (კარისკენ მიდის გადასაკეტად)

ცოლი – მეზობელია!... ბოზი ანეტა! (საყვარელზე მიაჩნებს) გვერდითი სადარბაზოდან... როცა დილაობით ხვდება, აი ესე ითარსება ხოლმე!...

ქმარი – ააა... ესე იგი პიკანტური დეტალებიც ვიცით სატრფოს ცხოვრებიდან არა?... (საყვარელს ანიშნებს გამოერიდო და კარებს საგულდაგულოდ გადაკეტავს) ესეც ასე!... გაებით ჩიტუნებო მახეში?... აბა ესლა ჩამომირაკრაკეთ სად და როდის გაიცანით ერთმანეთი და რა პერიოდულობით ხვდებოდით ერთმანეთს?...

საყვარელი – რაა?... არ არსებობს!... მანჩიტა შენ გლალატობდა, ოთ?... გავაფრენ ნამდვილად! (კვდება სიცილით და გარს უვლის ქურდს)

ქურდი – არა, დაიკო, რა ლალატი, რის ლალატი? „პროსტო“, მე ჩემთვის კარადის პეტლებს ვარემონტებდი... ვაჟამ გამომიძახა რა – „მისტერ-მასტერ!“-ს ამბავში... ჰოდა, ეს „დამა ქალი“ შემომივარდა...

ცოლი – (ქურდს) რას ბოდილობ უნიჭო ოროსანივით?!... ტოყე მნე მასტერ!... (ქოქოლას მიაყრის) არა რა, რო შეხედავ კაცია და პასუხისმგებლობა – ნული!... იქ კარგად მეზასავებოდი, შე ქაჯო!... მოვიცლი შენთვის, დამაცადე! (მიუბრუნდება საყვარელს) ვითომ, რაო, ქალბატონო?! მარტო ჩვენ ვიცითო ტაკუნების თიმთიმი?...

საყვარელი – სიყ? (კვდება სიცილით) ესე იგი სანამ, მე და შენ აქ, ესა და მანჩიტა კარადაში? ვაუ! რა ეგზოტიკაა? შოკი!...

ცოლი – ოთარ! ოთო! ოთარი!... არ დაიჯერო! მხოლოდ ერთხელ... ისიც აი ამ კარადაში... ისე, უნებურად... აი ამან უბრალოდ, რამდენჯერმე მაკოცა, რომ არ მეყვირა!... ოლონდ, გეფიცები, მე ამის საბაბი არ მიმიცია!... თანაც პირბადე მეკეთა!... მე უნდა გამოვვარდნილიყავი და ეს კიკიმორა თმით დამეთრია, მაგრამ რამდენჯერაც დავაპირე, აი ამან არ გამომიშვა, ასე გამაკავა, გამკოჭა და, რომ არ მეყვირა, ტურებში მაკოცა... მაგრამ პირბადე მეკეთა! წარმოგიდგენია?! ეს ნაძირალა!... ვიგინდარა!... ბაცაცა!... დაურეკე ვაჟას!... მოვიდეს... ახლავე მოვიდეს და პოლიციას ჩააბაროს ეს... ეს... ამორალური ვირთხა...

ქურდი – (მოულოდნელად ცვლის დამოკიდებულებას) ნო-ნო-ნო-ნო!... მანი! მანი!... მე მოვითხოვ პატივი სცენ ჩემს ღირსებას და საერთოდაც, ვიყენებ ჩემი ღუმლის უფლებას (პირბადეს აიფარებს).

ქმარი – რაო? მანიო?...

საყვარელი – (თავს უკანტურებს და უხსნის) მანანა-მანი!... ესეც შენი მანჩიტა!... ვითომ ბრინჯს ვერ არჩევს ნახშირიდან და ჭიანჭველას არ ადგამს ფეხს... სასონარკვეთილი დიასახლისია და... არ დაატრიალა ვნების კორიდა?!...

ცოლი – ოხ, მოვიცლი შენთვის შე სპა სალონის საფრთხობელა! შე სოლარიუმის სინდიოფალა! (გამოაჯავრებს) ოთ!.. სიყ!... ოთ!... სიხ!... მოიცა! სიყ თუ სიხ?

საყვარელი – ოთ, გესმის?... (იციინის) და რა მნიშვნელობა აქვს?!...

ცოლი – არსებითი, გენცვ! დაუკვირდი: ასო „ყ“ ქართულია – ეროვნული! ხოლო ასო „ხ“ – იგივე



„ყ“-ა, ოღონდ ოკუპანტის ენაზე!... ჰოდა, ჩამოყალიბდით „ყ“-ზე ვართ ორიენტირებული თუ „ხ“-ზე“ და კიდევ – არსად დაგეკარგოს ეს მიკროსაფინანსოს ბილ გეიტსი, მიჩუქნია ყოველგვარი საპროცენტოს და „დედეგე“-ს გარეშე!

საყვარელი – ოთ! სიყ! რას მიბედავს გესმის?...

ქმარი – (ცოლს) აჰა, ეხლა არა? როცა რქები დამადგი, ეხლა გემეტები სხვისთვის, ხო?!... მთელი ეს ნლები ეჭვიანობით სისხლი გამიშრე, ხან ჩემს მობილურში ძრომილობდი და ხან „ფეისბუქი“ გამიტეხე და... როდის აქეთ გახდი ასეთი გულუხვი? (მიანიშნებს ქურდზე)

ცოლი – (ჩამოაძრობს პირბადეს ქურდს) უპასუხე... საკუთარი ნებით უპასუხე, როდიდან ვიცნობთ ერთმანეთს?

ქურდი მღუმარედ იქნევს თავს უარის ნიშნად... გამწარებული ცოლი ცალ მხარეს სილას აწნავს და ახლა მეორე ლოყაში უნდა გაართყვას, რომ ქურდი წამოვარდება და ისე როგორც კარადაში შემოხვევა ცოლს და მკლავების მარწუხებში აქცევს და აიტატებს)

საყვარელი – ღმერთო ჩემო, რა უღვთო ეროტიკაა?... ნახე!... ნახე!... დღისით, მზისით... შენს თვალ-ნინ!... შენ კი!... შენ... რამდენჯერ გითქვამს უარი ჩვენს შეხვედრაზე ამ ქალბატონის გამო?... უყურე! უყურე!... თვალი გაუსწორე ახლა ამ უგემოვნო პორნოგრაფიას!... სრული შოკი!...

ქმარი – (ქურდს უყვირის) დაანებე ჩემს ცოლს თავი!... დასვი!...

ცოლი – შენს ცოლს?!... ვიყავი!... ოდესღაც! (თავს ითავისუფლებს ქურდის მკლავებიდან და ახლა ქმარს ულანუნებს სილას) დღეიდან თავისუფალი ბრძანდები!...

საყვარელი – ოთ! სიყ!... ნახე რა თქვა?... შენ კიდევ ნერვიულობდი?!... ხომ ხედავ, პრობლემა მოგვარებულია! ქალბატონი თავად გმორდება! (მიუბრუნდება ქურდს) ხომ გაიგონეთ? არა, თქვენც ხომ გაიგონეთ საკუთარი ყურით? ოდესღაცო! (ქურდი ისევ პირბადეს იკეთებს და მღუმარედ უქნევს თავს თანხმობის ნიშნად)

ცოლი – უთხარი, გაჩუმდეს, თორემ საკუთარ თავზე პასუხს არ ვაგებ, იცოდე!... არ დამიდგეს .უნიჭო მელოდრამის რამანნიკა, ბლინ!

ქმარი – ეს შენი ვაჟბატონი ხომ დააღუმე, რომ, ვაიდა, რამე არ დასცდეს იმნაირი და ახლა ჩვენ გვაჩუმებ არა?!... თქვი, რაც გინდა თქვი, ჩემო სიცოცხლე!... ეს პრიმიტიული არსება ჩემი ღირსი არ ყოფილა და არც იქნება ამიერიდან!...

საყვარელი – აუ, რა მაგარია, ოთ!... ვგიჟდები! ვგიჟდები შენზე, ჩემო სიყვარულო!... (ტუჩებგამობერილი ჰაეროვან კოცნას უგზავნის ქმარს) აი ამაზეა ნათქვამი – ზოგი ჭირი ღობეს ჩხირი! (ქურდს მიუტრიალდება რომ სახეზე თითით მიელაციცოს. მამაკაცს ჰგონია, რომ ისევ სილა უნდა გაართყვან და სახეს განევს)

საყვარელი – არა, ნუ!... ნუ! ჩემო კარგო! შენ მე ისეთი ბედნიერება მომანიჭე!... მიყვარხართ, ბიჭებო!... (გადის ჩასაცმელად)

ცოლი – ვაი, ანდაზაც კი არ იცის სწორად როგორ უნდა თქვას! ზოგი ჭირი მარგებელიაო, შე ტუტურუცანა!... ვისში გამცვალე დარსმელიძის ქალი?!... ეს ხელოვნური ინტელექტი... ეს სილიკონის „კუკლა!“... ეს ჩინური ბარბი! ეს ბოსტნის საფრთხობელა!... კიდევ რომ ბევრს ატლიკინებს ენას!... და ეს ორი სირკაჭკაჭი დგას და უსმენს!... თფუი!

ქმარი – მანჩი, შენ მგონი ეჭვიანობ?... ხომ სწორედ მიგიხვდი?! (ქურდს) არ გირჩევ, ძმაო, ისეთი ეჭვიანია, მტერს და ავს... გამიმწარა მთელი სიცოცხლე!...

ცოლი – მე? მე გაგიმწარე?... მე კი არა, შენ დამლუბე და დამაქციე! დაინვას ის დღე, შენ რომ განახე ვაჟიკუნას ნიშნობაში!...

ქმარი – ნანობს ქალბატონი!... (ქურდს) სიგარეტი გაქვს? (ქურდი ჯიბიდან იღებს კოლოფს და აწვდის)

ქმარი – წამო აივანზე, თითო მოვნიოთ, თორემ გასკდა გული!

ქურდი – (როგორც იქნა ხმას ამოიღებს) უკვე ვცაღე, არცერთი კარი არ იღება!

ქმარი – უჰ, ეგ სუ დამავინყდა ამის ხელში!... ბედი რო არ ექნება კაცს არაფერში!... იცი, რა ბიჭი ვიყავი?!... (პატარა ღიბზე იტყაპუნებს ხელს) ეხლა რო მიყურებ?!... ცარიელი ძვალი და კუნთი!... პრესი მქონდა მეტალი, ფოლადი, კაჟი!...

საყვარელი – (საბაზანოდან ბრუნდება კიდევ უფრო დამშვენებული და მომხიბვლელი, თმა საშრობით დაუვარცხნია და ფერადი აბრეშუმის ლენტით აქვს შეკრული) აი, მეც მოვედი! რაო? რას ამბობდით ბიჭებო?!...

ცოლი – (ამრეზით გააყოლებს თვალს) „წინამო“ არსად დაგეკარგოს!... ბიჭი არა ტოროლა!... (ქმარს) ერთი ხელმოცარული ვიგინდარა, მამაჩემი რომ არა, დღესაც ელიავაზე ამოგხდებოდა სული, შე უბედურო! (ქურდს) და მე? მე, იცი, რა გოგო ვიყავი?

საყვარელი – მან, მან, შევთანხმდეთ: შენ იყავი უმაგრესი გოგო, მაგრამ ოთუნას დღეს მე ვჭირდები!... არა სიყ?!

ცოლი – ეხლავე ჩაანყვეტინე ხმა, თორემ!...

საყვარელი – თორემ?!...





(**ცოლი საცემრად იწევს, მაგრამ ქურდი გააკავებს**)

ცოლი – ეხლავე დავრეკავ 112-ში!...

ქურდი – ეეე... ეეეე!... ეეე!... მლუპავ ტო?! მანანა-მანჩო-მანჩიტა!...

ქმარი – დარეკე!... მიდი, ჰო, დარეკე! და რას ეტყვი, ძალიან მაინტერესებს?...

ცოლი – მოიცა... მე ვიცი, რასაც ვეტყვი... სად? სად არის ჩემი მობილური? (**ექებს**) ვაიმე... კარადაში ხო არ ამომივარდა?

ქმარი – (**ქურდს აჩვენებს ხელით დაგეჭოჭაო!**) ჰო, ეტყობა რომ ქუნქურებდით, ველარ გაუძლო ვნების მეგაპერცებს და მაშინ თუ, ჰოპ! და ისკუპა!... დარეკე, დარეკე ერთი, და რას ეტყვი, რომ კარადაში იყავი სიყვარულის კაკანათში გაბმული ამ სუბიექტთან ერთად... ისა... შენი სახელი, რაო? როგორ? შემახსენე? თაზო-თამაზი-ტომაზო!... ო, პერკე მადონა?! და ვნებით ვფლურტულ ვფრთხილებდი როცა ქმარი, თანაც კანონიერი, თავზე წამომადგაო?!...

ცოლი – რა ქმარი? რის ქმარი? დაიმახსოვრე!!!... ქმარი იყავი!... ოდესღაც!... (**ქურდს მიუბრუნდება**) მათხოვე ერთი თუ ძმა ხარ, მობილური!...

ქურდი – (**მხრებს იჩჩევს**) ანგარიშზე არ მაქვს, თორემ რაზეა ბაზარი?!...

ცოლი – ოოოო, ვერაფერში გამოგიყენებთ ადამიანი!... ეს – ერთი მათხოვარი, ეს – მეორე მათხოვარი!... მეც ვერა ვარ, რა?! ვის ვთხოვ?!... რას ვთხოვ?!...

ქმარი – ეჰ, არც შენ გქონია ბედი, ჩემო მანჩიტა! ძლივს ამ სიბერეში „ბოიფრენდი“ ააგდე „სელიზე“ და იმასაც მობილურში ანგარიშზე თანხა არა აქვს!... ისევე ჩემსას მოგცემ!... თანაც დიდი სიამოვნებით!... დარეკე! დარეკე! ჰო! (**ექებს მობილურს, მაგრამ ამოდ**) წელან არ ველაპარაკე ვაჟას?

საყვარელი – (**თავს უქნევს**) მოიცა, ოთ, მე ვათხოვებ!...

ცოლი – თავიდან მომწყდი! გადი-მეთქი! მობილური კი არადა, რომ ვკვდებოდე, უკვდავების წყალს არ დავლევ შენი ხელით მონვდილს!

საყვარელი – ვაიმეეეე! რაც არ გინდა, ღმერთმა არც გაღირსოს! (**დაექებს ტელეფონს**) ოთ!... მგონი მობილური მანქანაში დამრჩა!... ჩაირბენ, სიხარულო?!...

ცოლი – ხოოო, ესეც ახალი სამხილი!... „აიფონი“ სულ დამავიწყდა!... ბავშვისთვის ვერ გადაგიხდია ინგლისურის და ცურვის ფული და რა „შოპინგობანა“ აგიტყდა შე პიჟონო, შენა!... ტოჟე მნე „ფრითი ვუმენ“ – რიჩარდ გირი!... (**საყვარელს**) ჩაირბენს, აბა რააა?! მე რომ პურის ამოტანას ვთხოვ მესამე სართულზე, წელი სწყდება და... მეცხრედან რატო არ ჩაირბენს, თან კიდევ ესეთი საყვარლობა რაღაც-რულაცეებიც ხო დაავიწყდა წელან? აბა რააა?! ოთარი წინდახედული და ფრთხილი ბიჭია!... ეხლა იმ ასაკშია, არც აბორტების ნერვები აქვს და არც პამპერსების ჯიბე!... მერე თავიდან ღამეების ტეხვა... პატარას ღნავილი... „მუცუნების“ შებერვა და „გაზიკები!“... შუალამეს აფთიაქში კამის წყალზე სირბილი... ღრძილების მოსაქავებელი რგოლი და „პახოდუ“ სპირალი, მეორე რომ არ აგყვეს... არა, სიყ?! (**უკრავს თვალს ქმარს**) ისე, სწორი შენიშვნა იყო წელან – ლოლნაშოს ტყემალის მოდულებას ვაპირებდი, და ქარხლის აჯიკას, შენ რომ გიყვარს, სიყ!... და ბარემ პრეზერვატივით მოვხუფავდი ბოთლებს... წამოიღე სახლისთვისაც ასე 20-30 ცალი... ამბობენ, უეჭველი სანდო და სტერილურიო...

ქმარი – (გულზე ხელს იჭერს) მანჩო, მანანა, მანჩიტა! ზრდასრული ხალხი ვართ!... დავსხდეთ და გავერკვეთ ბოლოსდაბოლოს...

ცოლი – რაო? დავსხდეთო? შენა ისა და, ჯოკერი ხო არ გვეთამაშა „გახიმტვანე?“ „პარა-პარაზე?“ ოღონდ, ატუზვა და ეგეთი სირობები არ მოსულა! „პარას“ მე ვირჩევ! (**ხელს ხვევს ქურდს, რომელიც უხერხულად იშშუშნება... ქმარი პირს ალებს უპაერობისაგან და ხმა არ ამოსდის...**)

საყვარელი – ოთ! რა გემართება? ფერი არ გადავს? ცუდად არის ხალხო! წყალი! წყალი, გამოხსენით ეს აივნის კარი! დროზე!...

(**ანვენს საწოლზე და ბალიშებს ამოუდებს თავქვეშ... სენსორები ერთდროულად რთავს ტორშერსა და ტელევიზორს და მუსიკის და ტელევიზორის ხმები ერთმანეთში ერევა**)

ქურდი – (**აღუმებს ხმებს, მერე ეცემა აივნის კარს და ცდილობს გამოხსნას, მაგრამ კვლავ უშედეგოდ**) ეს კარიც რა!... ამის მეტალოპლასტმასი დედა!...

ცოლი – (**საყვარელს**) გადი! გამეცალე! გადი-მეთქი! მე ვიცი, რაც უშველის!... (**ქურდს**) ერთი, ჩემი ძმა, ეგ ვისკი წელან ჩანთიდან რომ გააძრე, ჭიქაში ჩამისხი და მომანოდე!... (**საყვარელი მორჩილად უთმობს ადგილს ცოლს**)

(**ქურდი ვისკის ასხამს და აწვდის, მერე თვალს ეფარება და ყველა მოპარულ ტელეფონს ხმას უთიშავს, ჩანთაში ინახავს და ბრუნდება**)

ცოლი – ოთარი, მისმინე!... წამოიწიე და მოსვი... მოსვი და სისხლძარღვებს გაგიფართოვებს... ნევროზული სპაზმია!... გადაგივლის!...

საყვარელი – იქნებ 112-ში დავრეკოთ?

ქურდი – კარგი რა, მერამდენედ?! მლუპავ, დაიკო?

ცოლი – (**გამოსცრის**) ძალღი კოჭლობით არ მოკვდება!... გაუვლის!...





საყვარელი – ოთ!... სიყ!... და ამ ცივისსხლიან დრაკონთან ერთად იცხოვრე 10 წელი?

ცოლი – გაჩუმდი, თორემ იყივლა დარსმელიძეების სისხლმა და გადაგხადე სკალპი!

ქურდი – (ეჩურჩულება საყვარელს) იცოდე, გამკეთებელია!...

საყვარელი – (ნატირებით) მაშინ მოკვდეს!...

ქმარი – ეგრევე გამწირე ხო? ოხ, ქალები! ქალები!... იცი, ერთმა მაგარმა კაცმა თქვა და ძან მომწონს: „ცოლი არ უნდა მოიყვანო, მაგრამ იმისათვის, რომ ამას მიხვდე, ცოლი უნდა მოიყვანო“ (ქურდს) ცოლი გყავს?...

(ქურდი თავს უქნევს უარის ნიშნად)

ქმარი – ჰოდა, არ აჩქარდე! მე ვერ ვისწავლე ჭკუა და შენ მაინც, მიხედე თავს, ძმა!...

საყვარელი – აბა რა ვქნა? საკუთარ ცოლს არ ეცოდები და რა გავაკეთო? (ქურდს) ხედავ? ისევ მე მსაყვედურობს?

ცოლი – (საყვარელს) „გათხუება იმიზა არ ღირს ნენა, რომ გეიგო, რიზა არ ღირს გათხუება!“ ასე მარიგებდა ბებიაჩემი, მარა ვინ დაუჯერა?!... ასე რომ საკუთარ ცოლს არა! ყოფილ ცოლს! ყოფილს! ყოფილს-მეთქი!... აღიმენტსაც გადამიხდი, ვაჟბატონო და ქონებასაც შუაზე გაგიყოფ! (ქურდს) აგერ შენ და აგერ მე!...

ქმარი – ძმაო, ხო ხარ მოწმე, რა დღეშიც ვარ?

საყვარელი – და მე? მე რა მდგომარეობაში აღმოვჩნდი?... (ქურდს მხარზე თავს ადებს და ფლიკინებს)

ქურდი – მე თავი დამანებეთ! ბიჭო, ჩემი ბედი რა ვთქვა?! ეს რა დღე გამითენდა?! ეს რა გიჟებს გადავეყარე?! მომტეხოდა ფეხი და აქ არ შემოვთრეულიყავი! ოხ, ანეტა შენ მოგი...ან ბოზი!...

საყვარელი – (იკივლებს) არ შეიგინო!... არ შეიგინო!...

ცოლი – დედა, ლატო, დედიკო?! ენაზე ფუფუნები ექნება?! (ხელს ცხვირთან აუტრიალებს საყვარელს, თითქოს ენის ამოგლეჯა უნდოდეს)

საყვარელი – ვაიმეეეე!... ალქაჯი!... ოთ, მეცოდები, სიყ, რომ ამასთან გტოვებ!... ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უნდა წავიდე!... ასე აჯობებს ყველასათვის!... (ქურდს) კარი გამიღეთ, თუ შეიძლება!... (ქმარს) და მანქანის გასაღები მომეცი, ჩემს მობილურს ავიღებ!... ეს ახალგაზრდა კაცი გამომყვება და გამოვატან, ოქეი?!

ცოლი – ვერსადაც ვერ წახვალ! აი ახლა უკვე ვერც ერთი ვერ წახვალთ სანამ, არ მეტყვით რა გინდოდათ ვაჟს ბინაში?... უფრო სწორედ, გადასარევედ ვიცი, რაც გინდოდათ... (ქმარს) დიდი ხანია მლაღატობ ამ სექსმოპის მანეკენთან? რას მომჩერებხარ?!... ამოიღე ხმა!

ქმარი – ყველაფერი გცოდნია და მე რაღას მეკითხები?...

საყვარელი – და ამას რა მნიშვნელობა აქვს?!

ცოლი – ეტყობა აქვს რადგან ვკითხულობ! ოხ, ვაჟიკუნა! ისა მყავს ცოცხლად გასატყავებელი! გინცობდა ხელს ხო?!... გაგირემონტა „ხატა“ რომ კომფორტულად ეკურკურო შენს ხასას! (ექებს მობილურს) ჯანდაბა!... ჩემსას ვერ ვპოულობ!... (ქურდს) ჩადი და ამ ქალბატონის მობილური ამოიტანე მანქანიდან... მაინც ქონების გაყოფას ვაპირებ და ამ ვაჟბატონის ფულით შეძენილი „აიფონის“ ექსპროპრიაციით უნდა დავინყო განქორწინების პროცესი!... მომეცი გასაღები (უტრიალებს პიჯაკის ჯიბეს ქმარს და ქურდს აწვდის გასაღებს) წასული არ იყო, მოსული მენახე!... შავი „პაჯერო“, მარჯვენა „კრილოზე“ აქვს გასმული... „ვა-ჟდენიეს“ ასწავლიდა ამ ქალბატონს კუს ტბაზე!...

ქურდი – არა... ვერ ავიღებ!... მე რა შუაში ვარ?... სხვის მანქანასთან მე რა საქმე მაქვს?

ცოლი – ვის ვეუბნები? გამომართვი და წადი-მეთქი! აჰა, ვითვლი, იცოდე, თორემ დავრეკე 112-ში!... ერ-თი! ო-რი! და საააა-მი! ვხსნი კარს და ჩასული არ იყო, ამოსული მენახე!... (კარს ხსნის) ჰააა! დროზე-მეთქი!... ამოიტანე მობილური, ვაჟასთან უნდა დავრეკო, მოვიდეს, რომ თვალებში ჩავხედო! (საყვარელი გაქცევას ლამობს, მაგრამ ცოლი თმაში წასწვდება) შენ სად მიეთრევი, ქალბატონო? (ინცება ქალების დაუნდობელი ორთაბრძოლა, საყვარელი თავის დაღწევას ლამობს, მაგრამ ცოლს მაგრად ჰყავს ჩაბლუჯული და ხელს არ უშვებს)

ქურდი – „იზინი“, „ბრატ“, მაგრამ ღმერთია მოწმე, მე არაფერ შუაში ვარ!... მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ ასე გინდოდათ, ქალბატონო მანი-მანანა-მანჩიტა!

(მშვიდად იღებს კარადიდან ჩანთას, ვისკის ბოთლიდან მოსვამს, ქმარს ხელს უწევს დამშვიდობების ნიშნად და ისისაა უნდა გავიდე, შემობრუნდება და სივრცეში ღიმილით):

ქურდი – არა რა, ჩემი ბედი რა ვთქვი?! სალოლ ანეტ, ჯიგარი ხარ!...

გადის... ისმის კარის გასაღების ჩხაკუნის ხმა... როგორც სჩანს, ქურდმა კარი გარედან ჩაკეტა... ქალებს უკვე აღარაფერი ესმით, გამეტებით ეჯავჯავურებიან ერთმანეთს, ქმარი ამაოდ ცდილობს მათ გაშველებას... ბოლოს სამივე დაღლილი დაეყრება სანოლზე, ირთვება ტორშერი და ტელევიზორი, საიდანაც იღვრება მუსიკა და საინფორმაციო ნაკადი... სინათლე ნელ-ნელა ქრება და სინათლის სხივი ანათებს მხოლოდ ალბერტ აინშტაინის ენაგამოყოფილ ფოტოს...



მარიამ
კოზმანიშვილი

და ახლა, როცა
უკრაინას რა ენვის თავზე,
როცა ზავშეგები
ჩიტეზივით კვდებიან უხმოფ,
მე თბილ ღუმელთან
მოფუსფუსე სადილ-სამხარზე
ვზრუნავ და
ჯალომს ისპანახის ღვეზელემს ვუწებობ.

მარიამ კოზმანიშვილი



* * *

მზით ივსება სამყარო,
როგორც ფიჭა – თაფლით,
მიცურავენ დღეები,
ლილისფერი აფრით.
ივარცხნიან ტყეები
მოშრიალე თმებს და
ცეტი ჟამთაღმწერელი,
ქარი დაქრის მთებთან.
ხატავს ხელი – უფლისა,
ალაზანს თუ გომბორს,
მზეს უგზავნის საჩუქრად,
მშიერს, ქვრივს, და ობოლს.
მიცურავენ დღეები
ლილისფერი აფრით.
შემოვრჩებით მომავალს,
გულუბრყვილო ზღაპრით.

* * *

„არ სწორდება ძაღლის კუდი“...
რაც მრუდია, რჩება მრუდი...
„ერთ ტაფაში იხრაკება“
„აქლემის და ნემსის ქურდი“.
„არ თეთრდება ყორანი“ და
მიდის დროის ბორანი და
ჭკვიანს ბრიყვეებს ადარებენ,
გმირს „აცხოებენ მცონარიდან“.
ბრუნავს ჭრელი კარუსელი,
ვის გული კლავს, ვის – მუცელი...
ველარ იტევ დარდს და სევდას,
სულო... მაინც გაუძელი!

* * *

ყველა ოცნება გულიდან მოდის.
ყველა ტკივილი გულში გროვდება.
ხან მიმოიფრენს სივრცეს ჩიტვივით,

ხან უსაშველო სევდით ღონდება.
ყველა ოცნება გულიდან მოდის...
გულს თუ უყვარხარ, უფლის მსგავსი ხარ...
რა საბრალო ხარ, რა სატირალი,
თუკი ვიღაცის გულში არ ზიხარ.

* * *

ბევრს გავუშალე გული ნიგნივით,
ბევრთან დავღვარე სული ნვიმებად,
მაგრამ ყრმობითვე გამწყრალმა ბედმა,
შემორიგება აღარ ინება...
ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს მისდევს,
მუნჯი თევზით მივდევ დინებას...
ნაბიჯს მიმოკლებს სევდის სიმძიმე,
სიბერის შიში მეპოტინება...
და ვნატრობ ძაღლს, ღვთისგან ბოძებულს,
რაც განმარიდება დარდის ქვაბურებს,
რაც ამამლერებს გრძელი გზის ბოლოს
და სიცოცხლისკენ შემომაბრუნებს.

* * *

ვდიასახლისობ...
თბილ ღუმელთან ვარჩევ ისპანახს,
მოვზილე ცომი,
სადილისთვის მოვასწრებ ღვეზელს...
გული, სკივრივით,
უსაშველო ტკივილს ინახავს
და ცხელი ცრემლი
ღანვებიდან ჩამომდის ყელზე.
ჩვენ, ქართველები,
არ მოვსულვართ სიმღერით, დღემდე,
შიმშილიც გვახსოვს,
გაჭირვებაც, ომიც, ღმერთმანი...
ჩვენს ბაღნარს მტრები
უმონყალოდ ჩეხდნენ და გვემდნენ,
ინერებოდა სისხლით
ნიგნის ყველა ქვეთავი...



და ახლა, როცა
უკრაინას ცა ეწვის თავზე,
როცა ბავშვები
ჩიტებივით კედებიან უხმოდ,
მე თბილ ლუმელთან
მოფუსფუსე სადილ-სამხარზე
ვზრუნავ და
ჯალაბს ისპანახის ღვეზელებს
ვუცხობ.

* * *

გადააბიჯა მარტმა დადგენილ
საზღვრებს,
თოვს ისევ, თუმცა გამოდარების
დროა,

ჩიტის ბარტყივით კვირტით შენაბუმბლ ხეებს
შემცივებულ მხრებზე მოუსხამთ თოვლის ბოა.
აჰა, გაზაფხულს მხარი მოსტეხა მარტმა,
თოვს... ცა მინამდე ფანტელთა ლეჩაქს ლამბავს...
ფანჯრის გამოღმა, მარტის და თოვლის ჯიბრზე,
გულისწამლებად კისკისებს თეთრი ბაღბა.

* * *

მარტის თოვლიდან,
შვილმა
აყვავებული ატმის რტოები
შემომიტანა...
ოთახმა გაიაპრილა.

გიგზავნით მზეებს

დედამინაზე რაც კი რამ სუნთქავს,
ცოცხლობს, იზრდება, ხარობს მზის მადლით...
სიყვარულიც ხომ გრძნობების მზეა,
სულის მღვიმეებს ავსებს სინათლით
და სანამ თვალებს დაბურავს ბინდი,
სანამდე გულზე მინას მიმაცრით,
გიგზავნით მზეებს და სიყვარულებს,
ვისაც გიყვარდით ან არ გიყვარდით.

არ არსებობს ომზე ღიფი უბედურება!

ცხოვრება ცრემლის კალოა,
ომია, აბა რა არი?!..
არც არა – შენი ქირიმე!..
არც არა – ჰარი ჰარალი!..
ცხოვრება სინანულია,



**მარიამ
კობანაშვილი**

ცოდვის და მადლის მკა არი...
მშიერ-ობოლთა ზუზუნით
გულგასენილი სკა არი...
უღიმილოა დღეები,
ალარც სულია ისე მხნე...
ნამია წუთისოფელი,
ესეც უფლისგან ვისესხე!
ნამია წუთისოფელი,
ცოდვთა ქმნაში ილევა...
კარუსელივით ტრიალებს –
ლეგენდად, შარჟად, დილემად...
მე ვერაფერი გავანწყვე,
ვრჩები ცრემლად და იარად...
ომია წუთისოფელი,
დღესასწაული კი არა!

* * *

აშრილებდა ცელქი სიო პანია ფოთოლს,
მზეს ცის უბეში ალბათ ისევ ეძინა ტკბილად...
რალაცნაირად უსუსური, თბილი და თოთო,
დატანტალებდა ფეხშიშველი ქუჩაში დილა.
მარიამ

ავდგე და წავიდე?.. სად წავიდე?..
დავრჩე და ნეტავი როდემდე?..
ვიცინო?.. ხანდახან სირცხვილია,
ჩემს ირგვლივ თუ სიმწრით გოდებენ.
ვდგავარ და ზურგის ქარს ველოდები,
აქ უკვე აღარცრა მაკვირვებს...
დავტოვებ ჩემს გზაზე შემლილ სხეულს,
მინიერ ცოდვების საკირეს.

მარიამ
ხან მიწა ვარ... ხან უსაზღვრო ცა ვარ...
ვერ დამიტევ? – ავდგები და წავალ.
განა ჩიხი? – უსასრულო გზა ვარ...
ხან წვიმა ვარ, ხან ქარიშხალს ვგავარ.
ნუ იკითხავ, ვინა ვარ და რა ვარ,
ხან წყარო ვარ, ხან კერკეტი ქვა ვარ.
ხან ცოლი ვარ, ხან დედა და და ვარ...
მაინც მუდამ სხვანაირად სხვა ვარ.

* * *

მზე მყავს მეგობრად,
მზეს ვუყვარვარ,
მზე მეფერება...
ვცხოვრობ უბრალოდ,
როგორც ღვთისშვილს
შეეფერება...
ქაოსისაგან
შემიძლია
შევექმნა ზღაპარი,
პოეზიაა
რადგან სულის
თავმესაფარი.





* * *

შენგან შორს ცხოვრება ადვილია...
შენი დავინყება – არც ისე...
აგერ, თებერვალიც დაილია...
მარტი ამღერებს ნარცისებს.
ქარი გამახსენებს მაგ თმის სურნელს...
მარტი იჩურჩულებს შენს სახელს...
და ჩემს მონატრებას, განუკურნელს,
ყველა სულიერთან გაამხელს.

* * *

გაბმული ავდრების სეზონია,
მანუხებს სახსრები და უსახსრობა.

* * *

მიდიხარ, მაგრამ ფიქრით მფარველ
ცად მეხურები...
რჩებიან თოვლზე შენი დიდი
ნაფეხურები.

* * *

ამბობ, რომ დროა მიყვარდე მეტად,
მემუდარები, არ თქვა „არაო“...
უარყოფ, მაგრამ თანხმობის ნიშნად,
ირხევა ჩემი ქრელი მარაო.

* * *

გაზაფხულია... ხარკს უხდიან
ქალები ვნებებს...
აფრიალებენ მარტის ქარში
მოჩითულ კაბებს...
შენ ზიხარ ჩემთან, მობუზული,
როგორც ჩიორა...
არავის უმხელ, რომ ეს ღამეც
ლოცვებით ღამბე.

მახსოვს, ძვირფასო, შენი თბილი
ტუჩების სიტკბო...
საკმარისია, გაფრთხილდე და
დავხუჭო თვალი,
ცოცხლდები ფიქრში, მშობლიური
სიკეთით სავსე
და რჩები ჩემთან ყვაილების
მთრთოლვარე კვალით.

* * *

მარტი მაცდურია...
მარტს ნუ ენდობიო...
მახსოვს მაფრთხილებდა დედა...
მე კი ვკისკისებდი,
როცა მზე მარტისა,
ნაზამთრალ ღანვებზე მკბენდა...
კორდებს, იით ნაქარგს,
ფეხს არ ვაკარებდი,
მკლავებს მივიქნევდი ფრთებად...
ახლა ვიგონებ და
გული – საგულეში
დაჭრილ ფრინველივით კრთება...
ნლები დაიკეცა,
როგორც ძველი გოფრე,
მტვერში ჩარჩენილი კენტად...
მშვიდად ვეგებები
ღანვზე მზის ამბორებს,
ალარც მკლავებს ვიქნევ ფრთებად...
მარტს კი... მარტს რა შეცვლის?...
ისევ გიჟმაჟობს და
რჩება მარადიულ ცეტად...
მარტს ნუ ენდობიო!...
ციდან მიფრთხილდება
ჩემი კაფანდარა დედა.

კისისხევი

ეზო, ლამის სადედოფლო,
სახლი? – დიდი არაფერი...
ეზოს მარჯვნივ, ეკლესია,
მარცხნივ, კლდე და წარაფები...
კლდეზე, ბალი – წინანდლისა,
იქვე ხევი – „კისისხევი“...
ხან მგონია, ნიავი ვარ,
აქეთ-იქით მივირხევი...
სოფელია, უფლის მადლით
შემკული და აღბეჭდილი...
დადიხარ და დაგდევეს მცველად,
ღმერთის საიმედო ჩრდილი...
ითვლი, ითვლი, ველარ ითვლი
ეკლესიებს, საყდრებს, ნიშებს...
ანდამატი აქვს ისეთი,
სხვაგან არსად არ გაგიშვებს...
აქ ღარიბიც მდიდარი ხარ,
გიღებს უცხო როცა კარებს,
ხან ბაჯალლო მზედ ანთიხარ,
ხან სიცილად მონანწკარებ...
გაზაფხულზე, წყალუხვობას,
როცა ჩქერებს ისვრის ხევი,
ჰგავს ღვთისმშობლის ხელით ნახატს
ჩემი ტკბილი კისისხევი.



სათებრვლო

ქარის აფრებს ქარგავს თებერვალი...
მინა ყოჩივარდებს მშობიარობს...
უნდა მოგეფერო ხეო, ცაცხვის,
უნდა ძიძასავით მოგიარო.
უნდა შეგიკერო მწვანე ფარჩის
კაბა საზღაპრო და საარაკო...
დილას მზე ავანთო შენს ფესვებთან,
ლამე წვიმის ღვარი ვარაკრაკო...
სადღაც ენძელები ლილინებენ,
ჰაერს სურნელი აქვს მიმოზების...
ერთად ვემზადებით სააპრილოდ,
ხეო, სიხარულით ვიმოსებით...
აჰა, ხელებს გინვდი აივნიდან,
ვიცი შენც მოსწვდები ჩემს კოშკს მალე...
ვლოცავ მშობიარე დედამინას,
ყოჩივარდებით რომ მივსებს თვალებს.

* * *

თავს „ვირთობ“, თორემ,
ნეტა მართლა მემღერებოდეს,
მეცინებოდეს ნეტავი მართლა...
ბეჯით მოსწავლეს
დრომ მასწავლა,
დარდის ფესვები
გულის უფსკრულში რარიგად დავფლა.
თავს „ვირთობ“, თორემ
ცრემლით ალბათ ჭას ავავსებდი,
დავიღვრებოდი მდინარედ ალბათ...
დავაფრიალებ „უდარდელად“,
აპრილის მზეში,
ქობებში დარდით ამოკემსილ, მთვარისფერ კაბას.

გმადლობ, უფალო

გმადლობ უფალო, რომ მაჩვენე მზე – მადლმოსილი.
ეს დედამინა, ყვაილები, ხე თუ ბალახი.
გმადლობ, უფალო, რომ მიბოძე გონიერება,
მომეცი ნება არ მეცხოვრა სხვისი კარნახით.
გმადლობ უფალო, უნაზესი, სათნო დედისთვის,
და-ძმებისათვის, ახლობლის თუ მოკეთისათვის.
სიმტკიცისათვის, აუტანელ სიდუხჭირეშიც
არ გამიყიდავს სული ერთი მონეტისათვის.
მადლობას გიხდი იმ მტირალა ბავშვობისათვის,
უმამობისთვის, ნაჩუქარი ჭინჭებისათვის,
ოცნებებისთვის, იმედისთვის, მოლოდინისთვის,
სინანულისთვის, დარდისა და ეჭვებისათვის!..
გმადლობ უფალო უნუგეშო ტკივილებისთვის,
რა ვუყოთ, თუკი ველარ ვითვლი სულში იარებს...
სიყვარულისთვის, სიკეთისთვის, შენდობისათვის,
აღმართისათვის – კანკალით რომ ამოვიარე!..
გმადლობ, უფალო, რომ მომმადლე ნიჭი – დედობის,
რომ ჩემს კერაზეც აჟღურტულე უფლის ჩიტები.
ო, ბევრი არა, ბევრი არა, მაგრამ მცირე ხომ
მაკეთებინე კარგი საქმე სუსტი თითებით...
სიხარულისთვის, სინათლისთვის, სათნოებისთვის,
გულისთვის – სხვისი ცივი გული მეც რომ გამეთბო...
იმ უჩინარი ფრთებისათვის, რომ არ მასვენებს,
სულ ყველაფრისთვის, ყველაფრისთვის მადლობა, ღმერთო!



ქ
ლ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ

პოლა იმას ვამბობდი, საღამომოთი ახალი სერია ინ-
ყებოდა მარგალიტას საქმიანობისა, სკოლის საგნებს რომ
ჩაინარუნდა, მერე ან შარადებს იგონებდნენ ან გამოყანებს,
ან სხვადასხვა სიტყვათა თამაშს. ან ჯერ თვითონ უკითხა-
ვდა, ხანამ ჯერ კიდევ პატარები ჰყავდა შვილები და მერე
რომელიმე ნაიკითხავდა და სხვები უსმენდნენ. რამდენი
რამის მომსწრე იყო ის ლამაზი, ფაფურის ძველენური
ნავთის ლამფა, მაშინ ჯერზე რომ ეკიდა...

ნინო ქამუცაშვილი



ქ
ლ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ
ქ

მარტია ძია და პანო პაპა

ციკლიდან „ანას შვიდი სიხარული, როცა ის პატარა ბავშვი იყო“

სექტემბრის ოქროსფერი დღის ადრეული საღ-
ამოა. ისე ლამაზად, თბილად ჩადის მზე, გული გიჩერ-
დება. შინ შესვლა არ გინდა და არც კარს მომდგარ
ცივ დღეებზე ფიქრი. ქალები ზამთრისთვის მარაგს
ივსებენ. ბევრი სახლიდან გამოდის პამიდვრის „მა-
შროფის“ სუნი. ასე ამბობენ თელაველი ქალები.
მოკლედ ისეთი დღეა, რომ ძალაუნებურად ყველაზე
მშობლიური – დედის მოყოლილი ამბები გახსენდება.
იმდენჯერ მოგვიყოლინებია დედასთვის ეს ამ-
ბავი, რომ ახლაც თითქოს ვხედავ, როგორ აბანა-
ვებს პატარა ანა თავის საყვარელ თოჯინას, მთელი
გულმოდგინებით „აღვრიჭინებს“, არც „დათვი მჭლე
და შენ მსუქანი!“ ავიწყდება და მერე... თუმცა, ჯობს
თავიდან დავიწყოთ.
ანას მშობლები და ძმები თბილისში არი-
ან. პატარა გოგო ბებოსთან დატოვეს. ტასო ბებო
შვილიშვილს ანებივრებს. „ემანდ არ მოინყინოს
მარტოკა ბავშვი“ და ყველაფრის უფლებას აძლევს.
თან მშვიდადაა. იცის, ანა ისეთს არაფერს ჩაიდენს,
რომ მოხუცს გული გაუხეთქოს. შვიდი ან რვა წლის
ანაც გრძობს ამ თავისუფლებას და გადანყვეტს
საყვარელი დედოფალა (როცა გვიამბობდა, თვი-
თონ სულ „თოჯინას“ ეძახდა) გააბანოს. მოკლედ,
კიდევ გააღვრიჭინა, კიდევ დალოცა და შემდეგ,
სწრაფად რომ გაუშრეს თმა, ო, როგორი სასოე-
ბით დებს გახურებული „ფეჩის“ ქვეშ... და, ჰოი
საოცრება! თოჯინა აღარ არის... ვხედავ ანას ატ-
კრეცილ, გაოგნებულ და უზომოდ დამწუხრებულ
სახეს, როცა გავარჯარებული ლუმლის სიმბურვალე
შთანთქავს მის თოჯინას... ტირის, ტირის ანა... ისე
ტირის, რომ თავს იკლავს ტირილით. შეწუხებული
ბებო როგორღაც, ძლივს ამშვიდებს, კალთაში ჩას-
მულს უყვავებს და უნანავებს. მოგვიანებით ესმის,
რომ ბავშვი ძილშიც ამოისლუკუნებს, კვნესის.
როგორ დაივიწყებს ანა საყვარელ თოჯინას,

მაგრამ ბავშვია და დარბის აქეთ-იქით, თამაშობს,
ერთობა შემდეგი დღეები. ხანდახან გაჩერდება,
გახსენდება, მაგრამ ცდილობს თავი შეიკავოს და
აღარ იტიროს. ერთ ნაშუადღევსაც თამაშით დაღ-
ლილი ტახტზე ნამონება და მაშინვე იძინებს. ბებია
თბილ გადასაფარებელს აფარებს და შუბლის ახ-
ლოს, თმაზე ეფერება.
გალვიძებისთანავე ანა გრძობს, რომ ბებოს
ჩვეულებისამებრ გვერდით მუთაქა ამოუდგია,
რადგან: „შემთხვევაა და ყმანვილი არ გადმოვარდეს
კუშეტიკიდან“. კარგად რომ შეხედავს, ნახავს, რომ
ეს მუთაქა არ არის! თოჯინაა! ახალი! სულ ახალი!
ესეც ორი შავი ნაწნავითა და ლამაზი კაბით. ჰგო-
ნია, რომ ისევე სიზმარშია. თან წინა თოჯინასაც რომ
ჰგავს. ვერ გადაუნყვეტია, რომელი ჯობია... ალტა-
ცებული, ატაცებელი, თოჯინას გულზე იხუტებს.
ბებოსთან მირბის. ბებია უყვება, რომ მარტია ძიამ,
ანას მამიდის ქმარმა, ძალიან თბილმა და საყვ-
რელმა მარტია ძიამ, რომ შეიტყო ანას საწუხარი,
მაშინვე გადანყვიტა მისი პატარა გული გაეხარებინ-
ა. ბევრი ინვალა თუ ცოტა, იშოვა მსგავსი დედო-
ფალა. დაელოდა, როდის დაიძინებდა – ესეც მისი
იდეა იყო; სიტყვა „სიურპრიზი“ მას არ ეცოდინებო-
და, არც „იდეა“. მაგრამ მან იცოდა ყველაზე მთა-
ვარი, როგორ გაეხარებინა ბავშვი. მამიდა და მარ-
ტია ძია თავიანთი ორი ვაჟით მაშინ დაბლა, პირველ
სართულზე ცხოვრობდნენ. ანას ძალიან უყვარდა
კეთილი გულით გამორჩეული მარტია, რომელიც
მორიდებული მამამისისგან განსხვავებით, რომელ-
საც ერიდებოდა შვილების მოფერება, ამ სახლობის
ერთადერთ გოგონას ყოველთვის ძალიან თბილად
გამოელაპარაკებოდა ხოლმე და თავზედაც ხელს
გადაუსვამდა. ახლა მარტია ძია დაბლა დგას და
ესმის ანას გახარებული ბაკიბუკი, აქეთ-იქით რომ
დაარბენინებს თოჯინას და კეთილი ღიმილი მისი





მხატვარი სოფიო ქელიძე

ლაზათიან, ანკეპილი უღვაშით დამშვენებულ სახეს კიდევ უფრო სანდომიანს ხდის.

* * *

რა მნიშვნელობა აქვს საღამოა თუ დილა, მთავარი ისაა, რომ ჰაერი გაუღლენტილია ღამის იის სურნელით. იქვე გაღავნის მიღმა მეზობლის მთელი ეზო სავსეა ამ საოცარი ყვავილით... ახლად გაბანებული ანა, თეთრ კაბაში სათუთ ენძელას ჰგავს. აივანზე საქმიანად დადის და შიგდაშიგ დედასთან მიიღბენს: დედა როდის მოიცლი? ანა ჯერ მხოლოდ 6 ან 7 წლისაა.

ანას დედა კი მხოლოდ სადილობის მერე თუ მოიცლის. მისი ჯაფისაგან დაღლილი ხელები საღამოსკენ მაინც თუ მოისვენებენ. მოისვენებენ კი? აბა მომისმინეთ, რამდენ რამეს აკეთებს დღეში დიასახლისი მარგალიტა: ყოველდღიური ხეხვა-რეცხვა-საჭმლის კეთების გარდა (დედამთილი ხანდახან ეხმარება ან აკეთებს სადილს, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ როცა გრიგოლი სახლშია, ანუ როცა რუსეთში ღვინო არ მიაქვს, მაშინ აუცილებლად სტუმარი ჰყავთ სადილად), წლების განმავლობაში უვლის ყოველდღიურად ერთ მენველ ძროხას, რომელიც სამასიოდე მეტრის დაშორებით, მეზობლის ბოსელშია დაბინავებული „ორი ვედრო მიჰქონდა ხოლმე ყოველ საღამოს დედას, ერთი სავსე თბილი წყლით, რომ ჩამოებანა ცურები, სანამ ძროხას მონველიდა და მეორე, რომლითაც რძე მოჰქონდა“. ყველანაირ ამინდში წლების განმავლობაში სახმარი თუ დასალევი წყალი ამოაქვს ხევიდან. დიდ ქვაბებ-

ში, ღია ცეცხლზე ხარშავს მურაბებსა და ჯემებს, საპონსა და სარეცხს, ასტერილებს და ამზადებს ზამთრისთვის ათას რამეს. კერავს და კემსავს, ქსოვს და ქარგავს სანიმუშოდ. პატრონობს გაჭირვებულ ახლობლებს და მეზობლებს. მისი კეთილი გული რომ იციან, მეზობლებსაც კი მიაქვთ მასთან რაიმე შესაკერი თუ გადასაკეთებელი. და ყველაზე მთავარი, დაჰფოფინებს, დაჰკანკალებს შვილებს, რადგან ატარებს ყველაზე დიდ ტკივილს: იმ ქვეყნად აცილებს ჯერ რვა წლის ანგელოზს – ვანოს და შემდეგ თხუთმეტი წლის ულამაზეს, დაუდეგარ, ხიფათიან, მეოცნებე მიშიკოს. ახლა სულს უბერავს და შენატრის ორ დარჩენილს, ვალიკოსა და ანას და მაინც, უბედნიერესი დედაა, რადგან თერთმეტი თვით ადრე გაასწრო იმ ქვეყნად ვალიკოს, ეღირსა შვილების ტკბილი და ალალი ცრემლით დატირება. „თქვენი სიცოცხლის მონატრე დედა“, ასე ამთავრებდა ხოლმე შვილებისათვის მინერილ წერილებს მარგალიტა. ეს ფრაზა შემდეგ უკვე ანას შვილებს უთბობს გულს, ასე ეფერება წერილებიდან თუ ახლოდან ანა თავის გოგოებს. ალბათ, მრავალმა სხვა ქალმაც იცხოვრა და ახლაც ცხოვრობს ამდენი და მეტი დარდითა და სიხარულით, ჯაფითა და გარჯით, მაგრამ რა ვქნათ, რომ გულზე უფრო მეტად საკუთარი დედის ცრემლითა და ღიმილით მოყოლილი ამბები გვხვდება, რომლებსაც როგორც მოტივი, ერთდროულად შორეულიც და ახლობელიც, ხან ზამბახის სურნელი ეფინება ეზოდან, ხან ახლად გამომცხვარი ნამცხვრის გემო და ყოველთვის დედასთან ჩახუტებით მთავრდება.

ჰოდა იმას ვამბობდი, საღამოობით ახალი სერია იწყებოდა მარგალიტას საქმიანობისა, სკოლის საგნებს რომ ჩაიბარებდა, მერე ან შარადებს იგონებდნენ ან გამოცანებს, ან სხვადასხვა სიტყვათა თამაშს. ან ჯერ თვითონ უკითხავდა, სანამ ჯერ კიდევ პატარები ჰყავდა შვილები და მერე რომელიმე წაიკითხავდა და სხვები უსმენდნენ. რამდენი რამის მომსწრე იყო ის ღამაში, ფაიფურის ძველებური ნავთის ლამფა, მაშინ ჭერზე რომ ეკიდა...

თეთრ კაბაში გამონყობილი სიფრიფანა ანა დედას კუდში დასდევს. ასე ხდება მრავალ მზიან დღეს, როცა ანას დედა მხოლოდ თავისთვის უნდა და აღარ ემეტება ამდენი საქმისთვის. ასეთ მზიან დღეებში, როცა უსინათლო თვალები ვეღარ, მაგრამ ბებერი ძვლები ამცნობენ რომ კარგი ამინდიაო, ვანო პაპასაც გული აღარ უჩერდება შინ. ვანო პაპა განთქმული მუსიკოსი და დამკვრელია. „ის რომ თარზე დაამღერებდა, დიდი თუ პატარა მოჯადობული უსმენდა“. ახლა რალა ემღერება, ერთადერთი ვაჟკაცის სიკვდილმა ნაადრევად დააბერა ისიც და მისი დედაკაციც. ჯოხით ნელ-ნელა ჩამოვა თავისი აღმართიდან და კედელ-კედელ ნელა მოუყვება ქუჩას. ხშირად სტუმრობს გრიგოლის ოჯახს. ჯერ კიდევ მამამისთან მეგობრობდა, ივანესთან, როცა მხედველობაც ჰქონდა თვალში და გულში – სისხარული. რატომ უყვარს გრიგოლთან მისვლა? იმ-






იტომ რომ, გრძნობს იქ მისი მისვლა უხარიათ. გინდაც ოჯახის თავი შინ არ იყოს, ტკბილხმიანი მარგო სკამს მიუჩენს და თბილად გამოელაპარაკება. მოიკითხავს მასაც და სახლში დაყუდებულ მის დარდიან ცოლსაც. შემდეგ ჩაისაც მიართმევს ნატეხი შაქრით და რაიმე მურაბითაც. ვერ ხედავს, მაგრამ გრძნობს, რომ თითქმის ყოველ მისვლაზე ჩაი ეღვრება, მურაბაც. მაგრამ მარგოს ოდნავ მაინც ვერ შეატყობ წყენას. ამას ანაც ხედავს და უხარია, ასეთი დედა რომ ჰყავს. მაგრამ ერთი რამე მაინც უკვირს ანას. აი, ხომ ძალიან უყვარს ვანო პაპა, რადგან სულ ტკბილად ესაუბრება ბავშვს და ათას რამეს ეკითხება; იმდენს, რომ ანას გულში უკვირს კიდევ, საიდან უნდა ვიცოდეთ. ვანო პაპა კი გადაისვამს უღვაშზე ხელს და ისევ ახალ რამეს ჰკითხავს თბილად, თითქოს ამქვეყნად მხოლოდ ანას პასუხი აინტერესებს. აი მაგალითად: „ანავ, პატარა ქალო, იცი შენ რანაირად ხდება რომ ასე გალობენ და ჭიკჭიკებენ მერცხლები?“. რა თქმა უნდა, ბევრი რამ არ იცის ანამ, მაგრამ მაინც თამამია ვანო პაპასთან, რადგან ვანო პაპა სულ ყურადღებით უსმენს, მოთმინებით, არც არასოდეს აჩქარებს. ალბათ, მოხუც მომღერალს სხვა ყურიც აქვს, რომლითაც ყველას ნათქვამი ესმის. ბევრი რამე თვითონ ვანომაც არ იცის, მაგრამ მარტია ძიასი არ იყოს, ის იცის, გულჩახვეულ ბავშვს როგორ დაელაპარაკოს, როგორ გაცინოს. ჰოდა, აი, რა არ ესმის ანას.



ნინო კაპუკაშვილი

რატომ უშლის დედა და რატომ ანიშნებს თვალთ, რომ პაპას კალთაში არ ჩაუჯდეს? არადა, როგორც კი კიბეზე ჯოხის ნაცნობ რაკუნს გაიგებს უკვე სიხარულით ცქმუტავს გოგო. ერთი სული აქვს, ისაუბროს ვანო პაპასთან, რომელიც კალთაშიც ჩაისვამს ანას, და შეიძლება ჯიბეში რაიმე ტკბილეულიც ჰქონდეს მისთვის. ანა თავად ისეთი სუფთა და ალალია, ვერც მოუვლელი მოხუცებულისთვის დამახასიათებელ სუნსა გრძნობს და ვერც იმას, როგორ ქალაღმია გახვეული ტკბილეული, რომელიც თუ მოასწრო და დედის უნახავად შეჭამა, ყოველთვის ძალიან ეგემრიელება. „ჩამოდი გოგო, წამოდი აქეთ, ჩამოდი მაგის კალთიდან“, – ანა უფრო დედის თვალებით ხვდება მის ნათქვამს, ვიდრე ესმის მისი ჩურჩული. რომ გვიყვებოდა, დააჯავრებდა ხოლმე დედამისს ძალიან საყვარლად და კარგად გაგვაცინებდა. მერე და მერე, წლები რომ გავიდა მოიგონებდა: იტყოდა დედაჩემო, მარგალიტა: „დავბანდი ამ ჩემს ანას, გავაკრახმალებდი, გავაქათეთებდი და მაშინვე არ ჩაუსკუპდებოდა იმ ვანო პაპას კალთაში? ვანიშნებ, აღარ ვიცი, როგორ, მაგრამ ზის მაინც ეს ქალბატონი მის კალთაში და პირში მისჩერებია!“ ჩვენ კიდევ, მიდი რა დედა, როგორ განიშნებდა დედაშენი? დედაც დააჯავრებდა სიყვარულით, ღიმილით დედამისს და აუცილებლად დააყოლებდა, ისე მართლა ძალიან კი არ მიჯავრდებოდა დედაო. თან იტყოდა, მაინც რა კარგად მღეროდა ის ცხოვრებული ვანო პაპაო.



თინათინ
თელაველი

საოწნებო, ფრთანათელი,
არვინ, აღარ, გადაგთელოს,
მზეო და მზის დარად მწველო,
საარწივე საქართველო...

არ დავლამდეო, მარადმშვენო,
სამუდამოდ გავათენოთ,
უფლის ზვარო და სართველო
სალორჯვო, საქართველო...
თინათინ თელაველი



თელავს

მთები – თოვლით მოსირმული,
მზის სხივებით – ბრწყინავს, ელავს
და – იხუტებს, – სიყვარულით,
ერეკლეს ხმლით ნაკურთხ თელავს...

წარსულ დღეთა სიდიადით,
ის, ხომ, დღესაც – ხიბლავს ყველას,
ფიქრებს ანდობს გულზეიადი –
ლამაზ ფერთა – ცისარტყელას...

ბრძენი მეფე დღესაც გვიცავს;
სიტყვა – ხმლით და... საქმით უთქვამს...
და... შესწირა ქართულ მიწას:
ფიქრიც, სულიც, გულიც, სუნთქვაც...

არ დავლამდეო, მარადმშვენო,
სამუდამოდ გავათენოთ,
უფლის ზვარო და სართველო
სალოცავო, საქართველო...

ბაზალეთის აკვანთელო,
გმირთა გმირო, აბჯარმთელო,
სიყვარულმა გაგვამთელოს,
უტკბილესო საქართველო...

P.S.
საქართველო, სვედლიერო,
ღვთისნიერო, მშვენიერო,
მომავლის მზით ბედნიერო,
სულ, იბრწყინე, ჩემო ერო!!!..

მე, სხვა სიყვარული არ მნამს

მე მზე, სხვათა თვალთა არ მწვავს,
ვეტრფი მე, მაგ, თვალთა წამწამს,
მე, სხვა სიყვარული არ მნამს,
მე, სხვა საქართველოც არ მნამს...

პოეზია

პოეზია – წურვით ოფლის,
თესავს სიბრძნის მარცვალს,
არ გვიტოვებს წუთისოფლის:
არც – ვნებას და... არც – ვალს...

სულ, იბრწყინე, საქართველო!!!..

გზანათელო, ცანათელო,
უკვდავი გზით მარად გველოს,
მშობლიურო, მთა და ველო,
ჩემო ტკბილო საქართველო...

საოცნებო, ფრთანათელო,
არვინ, აღარ, გადაგთელოს,
მზეო და მზის დარად მწველო,
საარწივე საქართველო...

სიყვარული

ლამე ფიქრებმა გალია,
გამიქრა სიტყვა – რული,
ჩემი გულია – გალია,
შიგ – შენი სიყვარული...



ნატვრა...

(ხალხურ მოტივზე)

ნეტავი, გედად მაქცია,
შენს სახლთან მომცა ბინაო,
უჩინო მქონდეს – მანტია,
უჩინრად მაცქერინაო...

მეც, შენთან ერთად, მეტირნა,
ან, შენთან გამეცინაო,
საგულეც – გულით მეღბინა
და... მშვიდად დამეძინაო...



თინათინ თელაველი

განცდის ზეცაში დავგვი – თოვლს,
ფიქრსა და... ეჭვებს, – ტიალსა...
იქნებ, შენც, გული გაგითბოს, –
შენც – თავი მისცე ტრფიალსა...

რწმენით, ანთია...

სხივად დატოვე შენ, ჩემს გულში
მზის ორეული,
ჩემს ფიქრთა ზღვაში სიყვარული
ინვის, ანთია,

წარსულში დარჩა: ქმუნვა, – ქუში,
ვით – შორეული...
და... კვლავ შეხვედრის სიხარულით,
ვხვდები განთიადს...

რამდენჯერ, – მომენატრები

რამდენჯერ, – მომენატრები,
ფიქრიც აჰყვება – ლელვასა...
მე მზესთან გპოვე სადრები
ჩემს გულში იწყებ ელვასა...

P.S.

ვიგრძენ სინათლის მატება,
გრძნობამ და განცდამ – მზე მასვა,
რომ შექმნა შენი ხატება
ვლოცავ ადამს და ევასა...

მწამხარ...

ფიქრთა ჩემთა მწვერვალი ხარ,
სიტყვით, საქმით, მზეგულით,
მწამხარ... მწამხარ... ისე – მწამხარ,
რომ... სიცოცხლედ მეგულვი...

იქნებ...

მე, რამდენ, ღამეს ვათენებ, –
ყორნისფერ ღამეს, მთვლემარსა,
შენ, ალბათ, არც, კი, მახსენებ, –
მე, შენთვის, ღამის მთევარსა...

შენ, ალბათ, არც გაგონდები,
და... არც – განცდის გთხოვ, მე, ვალსა...
ცისკრის ჟამს დაველოდები,
ვით, სიყვარულის მძევალსა...

ნეტავ, შემეძლოს...

ნეტავ, შემეძლოს – დროის, წლების უკან დაწევა,
შენ, რომ მეპოვე – ჭაბუკი და... თავისუფალი,
მაშინ, ხომ, ჩვენს ბედს ავი ძალლიც ველარ დაყეფდა,
ჩვენ ვიქნებოდით, ერთმანეთის – სვე და უფალი...

რადგან...

(გალექსილია მთიულის ნათქვამიდან)

რადგან არ გსურს სიყვარულით გული მანდო, მანუგეშო,
მაშინ, მიჯობს, – ვაალმასო, ლექსი გავწვრთნა, ანუ გგეშო
ისლა დამრჩა, სატრფიალოდ აღარ მოვყვე არაკს ბევრსო,
თავი სიზმრით დავიმშვიდო, აბედს კვესი დავაკვესო...



ლანა მანველი

მ
ლ
ა
ნ
ა
მ
ან
ვე
ლი

უჩვეულოდ დაინყო შარლოტას და ზლოვიზის თანაცხოვრება. სახლში გულისხმიერი და თბილი ზლოვიზი თეატრში სრულიად სხვა ხდებოდა. ისე იქნებოდა, თითქოს წოლ-ქმარი არც იყვნენ. შარლოტას სრულ თავისუფლებას აძლევდა, მერე კი ეჭვიანობდა და გამოკითხვებს უწყობდა. თავისთვისაც მუდამ ღია სივრცე ჰქონდა დატოვებული. შარლოტა, თავიდან ღიმილით ისმენდა სხვა მსახიობებთან მის საუბრებს, რდილობდა ყველაფერში თანადგომა ეგრძნობინებინა ქმრისთვის, მაგრამ მაღოვე მიხვდა, რომ ზლოვიზს ეს მისგან საერთოდ არ სჭირდებოდა. ის მუდამ ერთი მსახიობის წარმოდგენებს მართავდა სკენის მიღმარ და ამით უფიდეხ სიამოვნებას იღებდა.

ლანა მანველი



Il est où le bonheur

სად არის ბედნიერება

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლე“ №4, 5, 2021 წელი, „ოლე“ №1, 2 2022 წელი

„Cent ans de solitude“*

lus le temps passe, plus la mélancolie et la douleur s'emparent des gens... et regrettent - la perte de soi...**

შარლოტა საგრძნობო ოთახში სარკის წინ იჯდა და თავის გამოსახულებას სხვისი თვალით აკვირდებოდა. სახეს ფერადი გრიმი უფარავდა, რომელიც მხიარულ და ცოტა მოსულებო იერს აძლევდა. გრიმში ჩამალული თვალები მოძებნა. ამღვრეული გუგები უნდობლად უმზერდნენ...

რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი სევდა და ტკივილი იპყრობდა მის სულს, გონებას, სხეულს.

გულს გამუდმებით უღრღნიდა სინანულის გრძობა, რომელიც ნლების მანძილზე საკუთარ მესთან, ოცნებებთან, მიზნებთან დაშორებამ, არასასურველი გზებით სიარულმა მოუტანა...

სულ ცოტაც და პირველ თეატრალურ სეზონს დახურავდა ახალ დასთან ერთად. ქალაქის გარეუბნის თეატრში მუშაობა სულაც არ იყო მისი არჩევანი, მაგრამ სხვა გამოსავალსაც ვერ ხედავდა. TNS-ში ბლეიზთან ერთად ვერ დარჩებოდა. აღარც კულტურის ცენტრში უნდოდა ყოფნა. რამდენჯერ უფიქრია ქვეყნის სხვა მხარეში წასვლა. პროვანსში ან სულაც ისევ ნორმანდიაში, მაგრამ ვეღარ რისკავდა. მოზრდილ შვილებთან ერთად გადაბარგება საკმაოდ ძნელი იქნებოდა. ან კი ისინი მოინდომებდნენ მშობლიური ქალაქის, ჩვეული გარემოს

შეცვლას?! მათ ხომ მსგავსი ცვლილებები ერთხელ უკვე გადაიტანეს, თანაც საკმაოდ მიძიმედ.

შარლოტა გრძნობდა, როგორ თანდათანობით ნყდებოდა, ქრებოდა მათ შორის თბილი, უშუალო დედაშვილური ურთიერთობები. ის უძღური იყო შეენარჩუნებინა ზღვარი და ისევ თბილ, მზრუნველ დედად დარჩენილიყო. გულისტკენებს ვერ უძკლავდებოდა. ბავშვივით სწყინდა, სიბრაზეს ვერ იმორჩილებდა. საკუთარ თავში იკეტებოდა და დღეების მანძილზე შვილებს ხმას არ სცემდა. ყველასგან და ყველაფრისგან გაქცევა უნდოდა. მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა, – საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენის.

ლუისთან თავისი ბოლო ჩხუბი გაახსენდა და გული ისევ მოეგლიჯა. ამაყი და ამასთან ერთად უზომოდ ემოციური ადამიანი იყო შარლოტა. საკმაოდ დარწმუნებული იმაში, რომ შვილებისთვის ყველაფერს აკეთებდა. ისინი კი... ალბათ, ძალიან გაუჭირდებოდა ლუის უხეშობის დავინყება. ან კი რატომ უნდა დაევიწყებინა?!

– Impolitess!*** – უნებლიედ ხმამაღლა წამოიძახა და განერვიულებულმა მაგიდას გაშლილი ხელის მტევანი ზურგის მხრიდან ძლიერად დაარტყა. მთლიანი მკლავი აენვა. პირი მაგრად მოკუმა და სიმწრისგან ცალ ფეხზე ხტუნაობა დაიწყო. ინსტიქტურად კარისკენ გაიხედა. არავინ ჩანდა. თანამშრომლების ხმები შორიდან ისმოდა. დაჯდა. სიგარეტის კოლოფიდან ერთი ღერი ამოიღო და აკანკალებული ხელებით ძლივს მოუკიდა. რამდენიმე ნაფაზის შემდეგ მაგიდის უჯრა გამოხსნა, საიდანაც გრიმის მოსაშორებელი სითხე და ბამბა ამოიღო.

– ღმერთო ჩემო! – სველი ბამბა თვალებზე გადაისვა და ღრმად შესუნთქული ჰაერი ოხ-

*** უხეში, უზრდელი! – (თარგმ. ფრანგულიდან)

* „მარტობის ასი წელიწადი“ – (თარგმ. ფრანგულიდან)
** რაც დრო გადის, მით უფრო მეტი სევდა და ტკივილი იპყრობს ადამიანებს... და სინანული – საკუთარი მეობის დაკარგვის... – (თარგმნ. ფრანგულიდან)





ვრად ამოისუნთქა. ლუიცი და მელანიცი, ორივენი მამამისს აგონებდნენ. თითქოს ერთმანეთისგან განსხვავებულები, მაგრამ მაინც საერთო თარგზე გამოჭრილებივით იყვნენ. პატარები მოენატრნენ. ბუნჩულები და მიმდობნი. ყელში მწარე ცრემლი იგრძნო. სველი ბამბა თვალებიდან სახეზე გადაიტანა. ხელის წრიული, ნერვიული მოძრაობებით ყველა ფერი ერთმანეთში აურიდა და შეჩერდა. სარკიდან უცხო, საშინელებათა ფილმის პერსონაჟი შემოსცქეროდა. ნერვიულად გაიცინა. მერე რაც ძალა და ღონე ჰქონდა სილა გაიწნა. ჯერ ერთი, მერე მეორე... ცრემლები დაპალუპით სცვიოდა. ცხიმისანი გრიმი წვეთებდა ჩამოეღვარა კაბაზე, შიშველ მუხლებზე... ხელები ჯვარედინად დაილაგა მკერდზე და თითები მტკივნეულად მოუჭირა მკლავებს. რომ არ ეყვირა ღრმად დაიწყო სუნთქვა. რამდენჯერმე ამოიგმინა კიდეც. დაჭიმული სხეული სკამიდან ძირს ჩაცურდა. ერთხანს ასე იყო იატაკზე გართხმული, მერე ხოხვით მიცოცდა კართან და გადაკეტა.

კარგა ხანს დარჩა ასე მარტოსული, მიუსაფარი და უიმედო ფიქრებში ჩაძირული...

ნოემი

მელანის ადრინდელი ამხანაგებიდან თითქმის აღარავინ შემორჩა. ზოგიერთის ოჯახმა საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა და სხვადასხვა სკოლებში გადანაწილდნენ. ის კი ახალ თანატოლებთან ადვილად ვერ ამყარებდა კონტაქტს და თავს გარიყულად გრძნობდა.

ოქტომბრის ბოლო დღე იყო, გაკვეთილის დაწყებამდე დირექტორი რომ შემოვიდა და კლასს ახალი მოსწავლე წარუდგინა:

– ნოემი ბოკპორნი!

ნოემმა ამ დროს ეშმაკურად გაიღიმა და გვერდით გაიხედა. მისმა გარეგნობამ და ჩაცმულობამ თითქმის მთელი კლასი აღაფრთოვანა. დატალღული, მხრებამდე შეჭრილი თმა ნითლად შეეღებოდა. შლაქის სტილის გახუნებული ჯინსი და ასევე გახუნებული, ნაცრისფერი მაიკა ეცვა, რომელსაც გულზე ორფერში, ნითელ-ცისფერი ასოებით „PINK FLOYD 1986“ ეწერა.

დასვენებაზე ყველა გოგო მას შემოეხვია, შეკითხვებს უსვამდნენ და ტელეფონის ნომერს სთხოვდნენ. ბიჭები ერთმანეთს ხელს ჰკრავდნენ და ისე ცდილობდნენ მისი ყურადღების მიპყრობას. მელანი მერხს არ მოსცილებია. ჩანთიდან წიგნი ამოიღო და უნებურად გადაშლილ გვერდს ჩააცქერდა.

– შენ არ გინდა ტელეფონის ნომრები რომ გავცვალოთ? – მელანიმ თავი ასწია. ნოემი მის წინ იდგა და უღიმოდა...

12 საათზე, ლანჩისთვის სახლში არც ერთი არ წავიდა. სკოლის სიახლოვეს მდებარე მარკეტში შეიარეს, ლორით და ყველით გამზადებული ტოსტი „Croquet – monsieur“ იყიდეს და სეირნობა-სეირნობაში გზაშივე შექამეს.



მხატვარი სოფიო ქელიძე

იმ დღის მერე დამეგობრდნენ. მელანის მის გარდა სხვა მეგობარი უკვე აღარ უნდოდა.

17 Rue Richard Wagne*

უჩვეულოდ დაიწყო შარლოტას და ბლეიზის თანაცხოვრება. სახლში გულისხმიერი და თბილი ბლეიზი თეატრში სრულიად სხვა ხდებოდა. ისე იქცეოდა, თითქოს ცოლ-ქმარი არც იყვნენ. შარლოტას სრულ თავისუფლებას აძლევდა, მერე კი ეჭვიანობდა და გამოკითხვებს უწყობდა. თავისთვისაც მუდამ ღია სივრცე ჰქონდა დატოვებული. შარლოტა, თავიდან ღიმილით ისმენდა სხვა მსახიობებთან მის საუბრებს, ცდილობდა ყველაფერში თანადგომა ეგრძნობინებინა ქმრისთვის, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ბლეიზს ეს მისგან საერთოდ არ სჭირდებოდა. ის მუდამ ერთი მსახიობის წარმოდგენებს მართავდა სცენის მიღმაც და ამით უდიდეს სიამოვნებას იღებდა.

სახლში უმეტესად ჩუმად იყო. ან ტელევიზორს უყურებდა, ან კითხულობდა, თან უამრავ სიგარეტს ეწეოდა.

შარლოტამ დიასახლისის როლი თავიდანვე კარგად მოიგო. თანდათან ყველაფერი თავისი გემოვნებით მოაწესრიგა. უხაროდა და ეხალისებოდა ორ პატარა მყუდრო ეზოში ტრიალიც, რაც ასევე ძალიან უყვარდა ანეტსაც.

– შარლოტა ობლად გაზრდილია და მეცოდება, რაც უნდა ის გააკეთოსო. – ამბობდა მეზობლებ-

* რიხარდ ვაგნერის ქუჩა. 17 — (თარგმ. ფრანგულიდან)



ში, თუმცა გულში სულაც არ სიამოვნებდა მის სამფლობელოს რძალი რომ ეპატრონებოდა.

ლაპიერებისთვის მშვიდი ცხოვრება იქამდე გრძელდებოდა, ვიდრე ბლეის მამამისთან არ მოუვიდოდა ხოლმე რაიმეზე კამათი ან ჩხუბი. მაშინ ანეტიც ქმრის მხარეს იჭერდა და ორივე ერთად შარლოტასაც აღარ ელაპარაკებოდნენ. ბლეის ეს ბუტიობა დიდად არ ანაღვლებდა. მისი ჩვეული ცხოვრება არაფრით იცვლებოდა. შარლოტასთვის კი დიდ სატანჯველს წარმოადგენდა ერთ სახლში ასე უბრაოდ ყოფნა.

ერთხელ აურზაურს რომ გარიდებოდა ემასთან, პიანეტების რძალთან გავიდა, რაზეც პასკალი საშინლად გაბრაზდა და საერთოდაც აუკრძალა რძალს მათთან ურთიერთობა. ნაწყენმა და გულნატკენმა შარლოტამ მთელი ღამე ვერ დაიძინა. რამდენიმე დღეში ისევ შერიგდნენ და თითქოს არც არაფერი მომხდარიყო, ისე გააგრძელეს ლაპიერებმა ცხოვრება. შარლოტას გული კი თანდათან დარდით მძიმდებოდა.

წასვლის გადაწყვეტილება კი იმ დღეს მიიღო, ანეტმა ვითომ სასხვათაშორისოდ რომ უთხრა: მამის ხელა კაცს რომ მოჰყვებოდი, ჭკუა სად გქონდაო!..

შარლოტა მაშინ ლუიზე იყო ფეხმძიმედ. არ ახსოვდა, ოდესმე ასე საშინლად ეთამაშა როლი. იმ საღამოს, აპლოდისმენტებზე სცენაზე გასვლის მაგივრად კულისებში ჩაჯდა და ატირდა...

აგვისტოს ბოლო დღეები იწურებოდა, რიჩარდ ვაგნერის ქუჩის მეჩვიდმეტე ნომრის სახლს რომ გამოემშვიდობნენ.

ანეტმა, – ცხვირი და პირი არ მოიჭრებაო! – დაარიგა რძალი და წყენის დავიწყება ურჩია. პასკალი ილიმებოდა და ძველ ფრანგულ სიმღერას ღლინებდა.

ლუი ოქტომბერში დაიბადა, მელანი – წლის და ცხრა თვის შემდეგ.

რამდენიმე ხანს სოციალურ სახლში ქირით იცხოვრეს, შემდეგ თავიანთი დანაზოგი შეაერთეს, ბანკიდანაც კრედიტი აიღეს და ქალაქის ცენტრთან ახლოს, ახალაშენებულ სახლში ფართო და ნათელი ბინა შეიძინეს.

Service de Psychiatrie de l'Enfant et de l'Adolescent*

ლუასთვის უმძიმესი დღეები იდგა. ნერვიულობისგან თვალები ჩაუფარდა და მხრებში მოიხარა.

ისაკი სამსახურის გამო ხშირად ვერ ახერხებდა შვილის მონახულებას. მთელი დღე ანგარიშებში ჩაფლული იჯდა და ცრემლით დაბინდული თვალებით უკვე მერამდენედ ასწორებდა დაშვებულ



ლიანა მავსელი

შეცდომებს. საღამოთი სახლში დაბრუნებული, დამნაშავესავით არიდებდა მზერას შვილის დაცარიელებულ ოთახს. საჭმელს თითქმის არ ჭამდა. ღამეებს ლოცვაში ატარებდა.

პირველ დღეებში, წამლების ზემოქმედების ქვეშ მყოფ ელიასს თითქმის სულ ეძინა.

ლუა საათობით იჯდა კლინიკის შესასვლელთან აღმართულ სამსხვადასხვა ზომის ბეტონის გრებილ სვეტთან და არაფრისმთქმელი, წყლისფერ თვალებიანი მკურნალი ფსიქიატრისგან ამაოდ ელოდა თუნდაც ერთ სანუგეშო სიტყვას...

* * *

უზომო სიცარიელის გრძობით გაიღვიძა ელიასმა. ორი თვე სრულდებოდა მისი აქ ყოფნიდან. იწვა თვალდახუჭული და ისევ არავის დანახვა არ სურდა. არც საკუთარი თავის. ექთანმა წამლები შემოიტანა. ჭიქაში როგორც ყოველთვის, ახლაც ერთი ბენო წყალი ჩაესხა. ელიასმა ძლივს გადაყლაპა ორი მოზრდილი აბი. ევანი, მისი ოთახის მეგობარი უკვე ამდგარიყო და საუზმეზე გასასვლელად ემზადებოდა.

ჩუმი და ხანგრძლივი ხველის შემდეგ, საწოლის ბოლოში გადაკიდებულ შარვალს მისწვდა და უხალისოდ ამოიცვა ფეხებზე. უფარდო, ჩარაზული ფანჯრებიდან შემოჭრილ მზის სხივებში მტვრის მსხვილი ნაწილაკები ირეოდნენ.

მაგიდის გარშემო სხვადასხვა ასაკის ცამეტი მოზარდი იჯდა. ზოგი მხიარული სახით, ზოგი მონყენილით, ზოგიც დაძაბული. ნერვული ანორექსიის მსხვერპლნი ზიზლით ათამაშებდნენ თეფშებზე საკვებს და უმცირესი ულუფის გადაყლაპვის დროსაც კი მონამლულებით იკლაკნებოდნენ.

ელიასისთვის უკვე კარგად ნაცნობი იყო მათი სახის ნაკეთები, ტანის მოყვანილობა, არაბავშვურ თვალებში ერთმანეთში გაზავებული შიში, უნდობლობა, სიცარიელე; გადამეტებული მხიარულება, უეცრად მოზღვავებული ენერგია და მალევე ძალაგამოცლილი, ძირს დაცემული სხეულების გამყინავი სიჩუმე.

ყოველდღე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით – ხუთიდან შვიდის ნახევრამდე მშობლებთან შეხვედრისთვის იყო გამოყოფილი. უმეტესობა ამ დროს კლინიკის ბაღში სეირნობასა და სწრაფ სიარულში ხარჯავდა. ელიასი კი ბაღის ხის სკამზე ჩამომჯდარი ჩუმად, იძულებით ისმენდა ლუას წყვეტილ, მზრუნველობით გაჯერებულ წინადადებებს და ნერვიულად იფხანდა სხეულს. ფრჩხილებით გაგლეჯილი კანიდან გამოსული სისხლის წვეთები, ღია ფერის პერანგში ატანდა და აუტანელ ტკივილის ლაქებად აჩნდებოდა ლუას გულზე.

* ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრიული სერვისი – (თარგმ. ფრანგულიდან)



ქმაზი ბოკჰორნები და ჯონათანი

როგორც ყოველთვის, მელანი და ნოემი ლიცუმიდან ერთად გამოვიდნენ. ვიდრე გზას გააგრძელებდნენ იქვე შეჩერდნენ, რათა დლიურები, რომლებიც გამოსასვლელში მდგომ ორ მორიგეს აჩვენეს, ჩანთებში ჩაელაგებინათ. უეცრად, ქუჩა მოტოციკლეტების ხმაურმა გააყრუა და ჯერ კიდევ იქ მყოფი მოსწავლეების დიდი ინტერესი გამოიწვია.

შავ ფერებში გამოწყობილმა ბაიკერებმა წრე დაარტყეს და ტროტუართან ერთმანეთის მიყოლებით გაჩერდნენ. მელანი სახით სკოლისკენ შებრუნდა.

– Hi, brothers Bockhorns!* – ნოემი ხმამალალი შეძახილით და ხელების ქნევით გაიქცა მათკენ. თუმცაღა მალევე მობრუნდა და მელანიც თან წაიყვანა.

ის შორიდან იცნობდა ნოემის დიდ ძმებს – ტომს და კეროლს, ჯონათანი კი იმ დღეს პირველად ნახა.

ბოშური გენების მატარებელ შავგვრემან, მხიარულ და ხმაურიან ბოკჰორნებისგან განსხვავებით ცისფერთვალე და ქერა ჯონათანი შედარებით მშვიდი და სევდიანი ჩანდა. დანარჩენების მსგავსად მასაც მარცხენა მკლავი მთლიანად ტატუირებული ჰქონდა თავის ქალის ფიგურებით და კლუბის დევიზი: „არც ღმერთი, არც განაჩენი“ ეწერა. მარცხენა ყურზე საყურე, მაჯებზე კი სხვადასხვა ფორმის ჯაჭვის სამაჯურები ეკეთა.

ბიჭებმა გოგონებს მოტოციკლეტებით გასეირნება შესთავაზეს. ნოემი ტომს შემოუჯდა და რადგანაც კეროლის მოტოს უკანა სავარძელი დაზიანებული ჰქონდა, მელანი იძულებული გახდა ჯონათანთან დამჯდარიყო. ჯონათანმა სთხოვა ხელები მაგრად მოეხვია წელზე.

მელანის ქარი თმას უფრიალებდა და სუნთქვას უკრავდა. უცნაური შეგრძნება ჰქონდა, შიშის და თავისუფლების ნაზავი.

კოლმარისკენ მიმავალ გზაზე ელიასი მოაგონდა და თვალეები მაგრად დახუჭა.

ლუის ახალი ცნობრება

სახლიდან წასული ლუი თავიდან ანეტის საძინებელ ოთახში დაბინავდა. თუმცა ეს მხოლოდ ძილს ეხებოდა, დანარჩენ დროს ის სახლის მორბილ, გადახურულ აივანზე ატარებდა, სადაც მომავალი ჯგუფისთვის სარეპეტიციო სივრცის მოწყობას ცდილობდა.

ბლეიზმა შვილს ნახმარი დასარტყმელი ინსტრუმენტები უშოვა და იმ დღის მერე აივანს უბნის ბიჭების სტუმრობა არ მოკლებია. ყველა დიდი ინტერესით ელოდა მოვლენების განვითარებას. სულ მალე ლუის და ფრანსუას, კლოდი და ლუკასი შეუერთდნენ და თუმცა ვოკალისტი ჯერ არ ჰყავდათ, რეპეტიციები მაინც დაიწყეს. ფრანსუამ ბას

გიტარაზე დაკვრა არჩია. კლოდ პიანეტი კლავიშებიან საკრავს მიუჯდა, ხოლო ლარს კაუფმანის ძმა ლუკასი თავისი მცირე გამოცდილებით დასარტყმელ ინსტრუმენტს. ლუკასმა თან ელექტრონული გიტარაც მოიტანა, რითაც ლუის დიდი ხნის ოცნება ასრულდა.

ერთ დღეს აივანზე დამიანი გამოჩნდა. ის თავიდან ვერავინ შეამჩნია. აივნის ხის რიკულს მიყრდნობილი დიდხანს იდგა თავისთვის ჩუმად. გრძელი თმა თვალებში ედებოდა და ხელის უხერხული მოძრაობით წარამარა ისწორებდა. სწორედ ამან მიიქცია ლუის ყურადღება და დაკვრა შეწყვიტა.

...დამიანი უმძლავრესი ხმის პატრონი აღმოჩნდა. ბიჭები გაცდნენ მისი ტემბრის ნაირგვარობით. სასცენო იმიჯიც უცებ მოიგო, რეპეტიციებზე კი ისე გრძნობდა თავს, როგორც კონცერტზე.

თექვსმეტი წლის დამიანი ახალი გამოწერილი იყო ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრიული საავადმყოფოდან. როგორც თვითონ თქვა – წლები იყო, რაც დემონებს ებრძოდა.

– არ შეგეშინდეთ, ახლა კარგად ვარ, თორემ ხომ არ გამომწერდნენ, თანაც განა ყველა რალაც დოზით გიჟები არ ვართო?! – დაამშვიდა ახალგაცნობილი მეგობრები და იმპროვიზირებული ულამაზესი ვოკალური პარტია ისეთი არტისტიზმით შეასრულა ყველა გაოგნებული დატოვა...

მალე ჯგუფს ერთხმად „Les gars de Strasbourg“** დაარქვეს და რამოდენიმე თვეში ლარს კაუფმანის დახმარებით მარტივი არანჟირების სტუდიური ალბომიც ჩაწერეს.

მელანი

მელანიმ ბოლო გაკვეთილზე თავი ძლივს შეიკავა, რომ არ დასძინებოდა. ცდილობდა თვალეები ფართოდ გაეხილა და ისეთი გამომეტყველება მიეღო, თითქოს დიდი ყურადღებით ისმენდა გეოგრაფიის მასწავლებლის მიერ ახსნილ ახალ მასალას – დედამიწის განვითარების კანონზომიერებებს, სტრუქტურას, ურთიერთკავშირებს...

ბოლოს როგორც იქნა ზარიც დაირეკა. იმ დღეს ნოემი აცდენდა და კლასიდან მარტო გამოვიდა. ერთი სული ჰქონდა სახლში მისულიყო და დაეძინა.

ცივი და წვიმიანი დღეების შემდეგ სტრასბურგში უცბად დათბა. მზის მცხუნვარება სიამოვნებას ჰგვრიდა. სახლისკენ მიმავალს გაახსენდა, რომ ჩანთაში ბიბლიოთეკაში დასაბრუნებელი წიგნი ედო. ძილის სურვილი სადღაც გაუქრა. ბარემ გამოვცვლიო, – გაიფიქრა და შენობის ღია კარში საღმით შევიდა.

– Bonjour! – ღიმილით მიესალმა ბიბლიოთეკარი ქალიც და ნაკითხული წიგნი ჩაიბარა. მორიგი წიგნის ასარჩევად შემოსასვლელისკენ განლაგებულ თაროებისკენ გაეშურა, რადგანაც კარგად იცოდა, რომ დაბრუნებულ წიგნებს, ვიდრე თავის ძირითად

* სალამი ძმებ ბოკჰორნებს! — (თარგმ. ინგლისურიდან)

** „ბიჭები სტრასბურგიდან“ — (თარგმ. ფრანგულიდან)



ადგილებზე დაანყობდნენ, დროებით იქ ტოვებდნენ. საინტერესო ავტორის აღმოჩენის იმედით გულდასმით დაინყო წიგნების გადარჩევა.

– არა, ეს არ მინდა, არც ეს... – მელანიმ გაოცებულმა მიმოიხედა, მაგრამ ახლომახლო ვერავინ შენიშნა. ის იყო გაიფიქრა, ალბათ მომეჩვენაო და თაროს მიუბრუნდა, რომ ისევ იგივე ხმა გაისმა, ამჯერად კიდევ უფრო ძლიერად, – დიახ, მგონი ვიპოვე!

მელანიმ ღია კარისკენ გაიხედა. იქვე მდგომი ჯონათანის დანახვაზე უცნაურად აღელდა. ჯონათანს ქერა თმა გაეშალა, ნავარჯიშებ სხეულზე შავი ტყავის შარვალი, ტყავისავე ყილეტი და მოკლესახელოებიანი თეთრი მაიკა ეცვა. ხელში, ბაიკერის ჩაფხუტი ეჭირა.

ბიბლიოთეკიდან ჟან ანუის „ანტიგონე“ გამოვიდა. ჯონათანი უცინოდა. ერთმანეთი გულღიად მოიკითხეს და იქვე გაჩერებულ მოტოსთან მივიდნენ. ჯონათანმა სკოლის ამბები გამოჰკითხა და როგორც შედარებით უფროსებს სჩვევიათ, მშვიდი ღიმილით მოისმინა მელანის მიერ მოყოლილი სასკოლო ისტორიები. მოტოზე ვერცხლისფერი ბასკური ჯვარი იყო ჩამოკიდებული. მელანის დაინტერესებული მზერა რომ შენიშნა, უმალ მოხსნა და გაუნოდა: – აიღე, შენი იყოს, მამაჩემმა ჩამომიტანა ბასკების ქვეყნიდან, იქ მას ბევრი მეგობარი ჰყავს.

მელანის ცოტა შერცხვა, მაგრამ საჩუქარი გაუხარდა, მადლობა გადაუხადა და იქვე ჩამოკიდა სკოლის ჩანთას.

ჯონათანმა მუსიკის ფესტივალზე ერთად წასვლა შესთავაზა, რომელიც ორი დღის შემდეგ იწყებოდა. მელანი დაჰპირდა, ნოემისაც ვეტყვი და კლებელის ან გუტენბერგის მოედანზე შევხვდეთო. შეთანხმდნენ და ერთმანეთს დაემშვიდობნენ. მიდიოდა მელანი და ფეხები უკან რჩებოდა.

სხვანაირი აღმაფრენით აირბინა კიბე. იცოდა ამ დროს სახლში არავინ იქნებოდა და ზარი არ დაურეკავს, კარი პირდაპირ თავისი გასაღებით გახსნა. მარტო ყოფნა უყვარდა. შესვლისთანავე ჩვეულებისამებრ ოთახები მიიარ-მოიარა. სააბა-

ზანოშიც შეიხედა, ტუალეტშიც და ბოლოს სამზარეულოში შევიდა. როგორც კი ერთი ნაბიჯი შედგა, მაშინვე რაღაც ნებოვანი იგრძნო ფეხქვეშ. სასწრაფოდ ძირს დაიხედა. მთელი პარკეტი შეინდისფრად იყო მოსვრილი. მაშინვე მიხვდა, რომ ეს ლუის ჩადენილი იქნებოდა. ასეც აღმოჩნდა. ნაგვის ურნაში მურაბის გატეხილი ქილა ეგდო. ჩანთა დადო, მკლავები აიკაპინა, სააბაზანოდან ტილო გამოიტანა და იატაკი მოასუფთავა. სახლის დალაგება უყვარდა, მაგრამ მოულოდნელი არეულობები აღიზიანებდა. ლუის ტანსაცმელი გამოეცვალა, სუფთები ჩაეცვა და გასარეცხები იქვე დაეყარა. მელანიმ ისინიც სააბაზანოში შეიტანა.

ყველაფერი რომ მოანესრიგა, ტანსაცმელი გამოიცვალა და სარკის წინ ჩამოჯდა. დიდხანს აკვირდებოდა საკუთარ გამოსახულებას. ცდილობდა თავის მომავალზე ეფიქრა. პირველ რიგში მსახიობობა უნდოდა. ჩანთიდან „ანტიგონე“ ამოიღო, თმა გაიშალა, ფარდები გააფარა და ტორშერი ჩართო. სანახევროდ ჩამობნელებულ ოთახში მკვეთრად და სევდიანად გაისმა მისი ხმა:

„პიესის მოქმედი პირნი თქვენს წინაშე ანტიგონეს ტრაგედიას გაითამაშებენ!.. ანტიგონე ის ქალიშვილია, კუთხეში რომ ზის და ხმას არ იღებს. იგი წინ იყურება და ფიქრობს იმაზე, რომ ერთი წუთის შემდეგ ანტიგონედ უნდა იქცეს. ტრაგიკულ გმირად...“

მელანი შეჩერდა. ბედისწერის გარდუვალობაზე ჩაფიქრდა და დასევდიანდა. რატომღაც ხშირად ტრაგიზმი უფრო იტაცებდა, ვიდრე სიტკბო არსობისა. ისევ ელიასი გაახსენდა. წარმოიდგინა, რომ მრავალი წლის შემდეგ, ის და ელიასი ერთმანეთს ხვდებიან და მელანი წყნარად, მაგრამ უზომო დარდით საყვედურობს მისი ცხოვრებიდან ასე უბრძოლველად გაქრობას. ელიასი თავს გაიმართლებს, მაგრამ იქ მელანი იქნება მართალი.

მცირე სევდიანობის შემდეგ წამოდგა, ფარდები გახსნა, სინათლე ჩააქრო და მუსიკის ფესტივალზე წასასვლელად ტანსაცმლის შერჩევას შეუდგა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



**მაგდა
ჩანქსელიანი**

ყაყაჩოსფერი ელვარებით გვიშერდა ზერა,
ტყვიების ნვიმა ანგელოზებს გულოში ხვდებოდათ,
წრემღები სწვავდნენ ქუთუთოებს წითელ ზოლვებად,
იყო სისხლისღვრა... შეწყალება არვინ იწოდა.

იუდას მსგავსად... არაერთხელ გაგვიდეს, გაგვეს,
და მამლის პირველ ყვილაძდე გავარდა ტყვია,
აზრობქრებულ ზღვის ტალღებში გარყურდა ნავი,
და ამის შემდეგ ჩემს მინაზე დევნილი მქვია.

მაგდა ჩანქსელიანი



თეთრი ღამეები

გადის თვეები, ზეცა არხევს თოვლში წამნამებს,
უკვე ვეღარც ვნერ და რითმებიც სადღაც გარბიან,
იმ შემოდგომის არეულ და აშლილ ამინდებს
დეკემბრის თეთრი ღამეები ენაცვლებიან.

თუმც ყოველი დღე შენზე ფიქრში ათენებს ღამეს,
მე სიმარტოვის ბულბული ვარ, როგორც გრანელი...
კვლავ შენს სარკმელთან მოსეირნე მთვარეზე ვბრაზობ,
თეთრ სასთუმალთან მომილაგა ღამემ დარდები...

მწვერვალთა კიდეს ვერ ეხება სხივთა ალერსი,
ზამთრის სილურჯე ბილიკებზე ფიფქებად ცვივა,
ფიქრთა აკლდამას ცივ ზენრებში ახვევს სიმორე,
უშენოდ ყოფნა რომ იცოდე სულ უფრო მტკივა...

საათმა თითქოს ახლებურად ჩამოჰკრა თორმეტს,
ეს დეკემბერიც მიიღია თეთრ ღამეებში,
შორიდან ვითვლი ათრთოლებულ წამნამთა ფეთქვას,
უძირო მზერა იზმორება ზღვისფერ თვალებში.

გადის თვეები, ზეცა არხევს თოვლში წამნამებს,
უკვე ვეღარც ვნერ და რითმებიც სადღაც გარბიან,
იმ შემოდგომის არეულ და აშლილ ამინდებს,
დეკემბრის თეთრი ღამეები ენაცვლებიან.

* * *

ლურჯი ხატება ზეცას ეკვრის, როგორც ციალი,
ლოდინს უნებს შემოდგომა მთვარის ორეულს,
სადამდე ივლის მარტობის ეტლი უმზეო,
არავინ იცის, არვინ უწყის, არავის ესმის...

კედლებს აწყდება მონატრების მძიმე ხუნდები,
ფიქრთა რელსებზე დაცვნილი დარდი მნიფდება,
სადამდე ივლის მარტობის ეტლი უმზეო,
ჯვარცმული სული ყველა მხრიდან რად იდევენება.

ზღვარგადასული გრძნობით შევსვამ სავსე ფიალას,
რომ დავივიწყო ამ ცხოვრების ამაო მზერა,
შევერცხილ მთებზე გადანოლილ ზეცას შეჰყვირის,
ტკივილიანი ხმით ნათქვამი ქალის სიმღერა.



ენგურს გადაღმა, ჩემს მინაზე

ეკლის გვირგვინი შემოავლეს დედა სამშობლოს,
ცა ჩირაღდნებით ავსებულა ენგურს გადაღმა,
დილა გათენდა უჩვეულო სველი ყლორტებით,
ზეცა დაგვტირის... დაუსველდა ღვთისმშობელს კალთა...

ყაყაჩოსფერი ელვარებით გვიმზერდა ზეცა,
ტყვიების ნვიმა ანგელოზებს გულში ხვდებოდათ,
ცრემლები სწვავდნენ ქუთუთოებს წითელ ზოლებად,
იყო სისხლისღვრა... შეწყალება არვინ იცოდა.

იუდას მსგავსად... არაერთხელ გაგვყიდეს, გაგვცეს,
და მამლის პირველ ყივილამდე გავარდა ტყვია,
აბობოქრებულ ზღვის ტალღებში გაცურდა ნავი,
და ამის შემდეგ ჩემს მინაზე დევნილი მქვია.

უფლის ტაძრამდე ადიოდა ხალხის გოდება,
გვსურს მხურვალეობა კვლავ შევიგრძნოთ ქართული მიწის,
გახსნილ ქრილობებს დრო როგორღაც განკურნავს მაგრამ,
რალა ვუშველოთ იმ ტკივილებს სულში რომ ღვივის.

მთებს დაეხურათ ბინდისფერი ლეჩაქი თმებზე,
სისხლიან ზენრებს დაეფარა ენგურის ველი,
ტროტუარებზე გაისმოდა დედების გმინვა,
ხარ გოლგოთისკენ მიმავალი ჯვარცმული ღმერთი.

იდუმალი ღამე

ღამეა, ისევ ცოცხლებიან ლურჯი ჩრდილები,
ჩამავალი მზე ერეკება სარკმელთან წყვილადს,
ამ შემოდგომის ღამეებში შემოჩვეული,
მოჩვენებები ბნელ ოთახში იწყებენ რიალს.

ფიქრები უკვე სიბნელეშიც მიღრღინდნენ სხეულს,
ისე მიმძიმდა უშენობით ღამის გატანა,
მენატრებოდი და სიგიჟის ზღვრამდე მისული,
ველარ ვამჩნევდი, დავემსგავსე თურმე ავაზაკს.

ბნელში სარკმელთან აჩრდილები ჩურჩულს იწყებდნენ,
ქანცგაცლილ დღეებს იანვარი ნისლებში ხვევდა,
ამ უღიმღამო სიბნელეში დაქროდა ქარი,
მე კი ოთახში არსებული სიჩუმე მეცვა.

თებერვლის ფიფქით მევსებოდა სულში ფიალა,
მე ღამეები უშენობის შემოვიკედლე,
როგორც იუდამ საკუთარი თავი გავეცი,
და ამ ოთახში თვითმკვლელობის გრძნობა ვიგემე.

შუალამისას შეარხევდა წყვილადს ნიავი,
ამ უღიმღამო სიბნელეში გაიჭრა მთვარე,
მოჩვენებებიც გაიპარნენ ღია კარიდან,
ვითარსი შუქი აცოცხლებდა იდუმალ ღამეს.



**მარია
ჩანქაელიანი**



**სოფია
ქურასპელიანი**

მოისაკლისა ქუჩამ უშენოდ,
სხეულს სიზმრების ალი ადნება,
სულს ჯებირები რომ ავუშენო,
დაგვიანდება.

ოქტომბრის დილა შემომეფეთა,
ჩემი ფიქრების შორი ავტორი,
ალაგს ვეძებდი ნუხელ მე ფერთა
და შენ გნატრობდი.

სოფია ქურასპელიანი

ქუჩის პოეზია

* * *

ოქტომბრის დილა შემომეფეთა,
ჩემი ფიქრების შორი ავტორი,
ალაგს ვეძებდი ნუხელ მე ფერთა
და შენ გნატრობდი...

ხმელი ტოტები ბევრს წაწალებენ,
უაღერსობის ცა რომ დახურეს,
ჩვენს დიდ სიყვარულს ვურჩევ ბნკარედებს,
მომინახულე.

მოისაკლისა ქუჩამ უშენოდ,
სხეულს სიზმრების ალი ადნება,
სულს ჯებირები რომ ავუშენო,
დაგვიანდება.

ოქტომბრის დილა შემომეფეთა,
ჩემი ფიქრების შორი ავტორი,
ალაგს ვეძებდი ნუხელ მე ფერთა
და შენ გნატრობდი.



**სოფია
ქურასპელიანი**

ნოემბერი

მანვალა ნოემბრის ამინდმა,
ქარები სიმშვიდეს კლავენ,
და განა მე ბევრი რა მინდა:
მითბობდე დაღალულ მკლავებს...

მომხვიე, ძვირფასო, ხელები
ბახუსი სიჩუმეს არღვევს,
თვალეები ასე გახელებით
გამხდარა სხეულის სარკე.

ელვაა, სტრიქონებს მიფუჭებს,
გაცვეთილ დარაბებს ლენავს,
განთიადს ვუბარებ: იყურე,
ნუხელ სიყვარული მეცვა.

ზამთარი

მოდის ზამთარი ქართა ჭენებით,
ახლა ბუხართან ვითბობ კაეშანს,
ო, ისე მინდა შენი ხელები,
ჩემს დალლილ გულზე ფრთხილად დაეშვას.

შორს მდუმარების ვიხსნი სიმძიმეს,
მზეს გაეყინა, ვატყობ, ფერდები,
უჩინარდება სადღაც სიცივე,
ვუჩინარდება მეც და ვბერდები...

* * *

ლამე განიცდის მაღლობიდან უცხო კათარზისს,
ყელს იღერებენ ლობეს იქით ბრონეულები,
პოეტი ახლა სასაფლაოს ვინრო კართან ზის
და ესმის ზეცას გარიყული ხმა წვეულების.

მთვარე მნათობი ფოთლებს შუა თეთრი ჭაღვივით,
ქოფაკის ყეფას ატუზული ელის მინდორში,
ვიდრე სამყაროს ფანჯრებიდან დამიძახებენ,
მე გაგრძნობინებ, გაგრძნობინებ როგორ მინდოდი.



ხათუნა
გოზალიშვილი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორი

ახლა ინვა გულაღმა და უკვე დაბინდული თვალეზით ასრქეროდა წას. რა აღარ იყო წის(ა)ფერი. კვამლის ღრუნლოენი გადაჰფენოდა მის სილაჟვარდეს. უჩვეულო სიჩუმე გამეფებულიყო ირგვლივ და მიხვდა, თვითონ დახშობოდა სმენა. უკვე გულთან მომდგარიყო ფეხის თითებიდან დაწყებული უცხო სიჩვიე...

თვალეზიდან ცრემლი დაუგორდა. ააარა, არ მისტიროდა თავის 22 წელს. არამედ ამ შავად შებურულ წას, ამ აფეთქებებით დაჭრილ მინას, ამ თავჩახრილ მთემსა თუ აგვისტოს ხვატში ჩანავლოულ ბიჭემს...

ამ ერთადერთ ცრემლში სამშობლო იყო გამომწყვეული...

ხათუნა გოზალიშვილი



აპვისტოს პიჭი!

გულაღმა ინვა და ცას შესცქეროდა... უჩვეულო სიჩუმე გამეფებულიყო ირგვლივ. სიჩუმე და... უცხო სიცივე, რომელიც ფეხის თითებიდან ზემოთ მოიწვედა.

ბავშვობიდან მოყოლებული, ნებივრად ნამოგორდებოდა ხოლმე გაშლილ მინდორზე და ცას ამტერებული, ბალახის სუნში ეხვეოდა. ცა იყო ცის(ა)ფერი, ალაგ-ალაგ თეთრსა და ლურჯში მდორედ შეთქვეფილი... ერთმანეთს ადევნებულ, ფთილებად მოსეირნე ღრუბლებში აგზავნიდა ბავშვურ ოცნებებს და ბედნიერად ღეჭავდა კბილებშია მოქცეულ ბალახის ღერს...

უყვარდა ეს მიწა, რომელზეც ინვა. უყვარდა ეს უკიდევანოდ ლაჟვარდი ზეცისპირი. უყვარდა მწიფე თავთავებს შორის სირბილი და შორიდან მონადენი, საქონლის ყელზე შებმული ზანზალაკების წკარუნი. უყვარდა ხეებიდან გუნდად აფრენილი ჩიტების გადევნება, თითქოს თვითონაც ფრთები ჰქონდა გამოზომული. უყვარდა ნაწვიმარი მიწიდან ადენილი ოხშივრით ფილტვების ავსება... მთის წვერზე მოქცეული, სასიამოვნო განცვიფრებით ჩასცქეროდა ხეობას. მერე კი, სილალთა და თავისუფლების შეგრძნებით აღვსილი, ხელებს განზე გაშლიდა, თავს უკან გადააგდებდა და „ე-ჰე-ჰეეეე“ – გადასძახებდა სამყაროს...

ასეთი იყო.

თითქოს მისთვის გაჩენილიყო ეს მიწაც, ეს ზეცაც, ეს მთებიც... თითქოს მისთვის გაშლილიყვნენ მინდვრის ყვავილები, ანდა წვიმა მიტომ

მოდიოდა, რომ სახე მიეშვირა ცელქი წვეთებისთვის... თითქოს იმისთვის არსებობდნენ ადამიანები, რომ მათში სიკეთე აღმოეჩინა... თითქოს გული იმიტომ ჰქონდა, რომ მხოლოდ სიყვარული შეეშვა შიგნით...

ამ ხასიათის გამო, თბილისში ახლადჩასულს, კურსელები მუდამ დასცინოდნენ. „სუფთა ჰაერზეა გაზრდილი და ტვინი ჟანგბადით აქვს სავსეო“ – აგონებდნენ ქალაქელი დენდები, მაგრამ არ სწყინდა და არ იბოლმებოდა... ცოტა ხნის შემდეგ, ყველამ მის გარშემო დაიწყო თავმოყრა, თითქოს გადამდები იყო მისი ენთუზიაზმი, გულლიაობა, სიკეთე, სიყვარული, უშურველობა... მასთან ერთად დაიწყეს ხეტიალი და მასთან ერთად აღმოხდებოდათ თავისუფლების ყიფინა მთის წვერზე მზერით გადმოკიდებულებს...

ახლა ინვა გულაღმა და უკვე დაბინდული თვალეზით ასცქეროდა ცას. ცა აღარ იყო ცის(ა)ფერი. კვამლის ღრუბლები გადაჰფენოდა მის სილაჟვარდეს. უჩვეულო სიჩუმე გამეფებულიყო ირგვლივ და მიხვდა, თვითონ დახშობოდა სმენა. უკვე გულთან მომდგარიყო ფეხის თითებიდან დაწყებული უცხო სიცივე...

თვალეზიდან ცრემლი დაუგორდა. ააარა, არ მისტიროდა თავის 22 წელს. არამედ ამ შავად შებურულ ცას, ამ აფეთქებებით დაჭრილ მინას, ამ თავჩახრილ მთებსა თუ აგვისტოს ხვატში ჩანავლოულ ბიჭებს...

ამ ერთადერთ ცრემლში სამშობლო იყო გამომწყვეული...

ეს ჩვენ ვართ...

თქვენ ახლა ორ ახალგაზრდა ქალს ხედავთ. ერთი ამოლტილი, საოცრად დახვეწილი

ნაკვებითა და მოვლილი გარეგნობით მაშინვე მოგხვდებათ თვალში. არა, ეს მე არ ვარ. ეს ჩემი





მხატვარი სოფიო ქელიძე

უმცროსი დაა და თუ ახლოს მიხვალთ, ამ ლამაზი გარეგნობის იქით, მაშინვე შეამჩნევთ ჯიუტ გამომეტყველებას. დიახ, ასეთია: თამამი, ნიჭიერი, ამბიციური, კეთილი, მაგრამ ხუშტურებიანი.

მეორე, რომელსაც არასდროს მიაქცევთ ყურადღებას, ან თუ მიაქცევთ მხოლოდ იმიტომ, რომ უცნაურად, მუდამ დროისა და სიტუაციისთვის შეუფერებლად აცვია, თმაც ცხენის კუდივით აქვს გამოკრული და სახეზეც უღიმღამობა აწერია, – მე ვარ. დიახ, მე სწორედ იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებსაც ბავშვობაშიც კი დიდი ქალის გარეგნობა აქვთ და მათი ცქერა მაინცდამაინც სიამოვნებას არავის ანიჭებს.

თუმცა, თუ ოჯახს, ახლობლებს, ნაცნობებს და უცნობებსაც კი რამე დასჭირდათ, საოცარია, მაგრამ იმ დროს ადვილად შესამჩნევი ვხდები. თითქოს შუბლზე მანერია: მე მომმართეთ, გაჭირვების ტალკვესი ვარ, მომენდეთ... და მეც თავით ვეშვები სხვისი პრობლემების გადასაჭრელად... მერე კი, ისე მივიწყებენ, როგორც შარშანდელ თოვლს და ჩვეულებრივად ვაგრძელებ ცხოვრებას, რუტინული რიტმითა და დამარხული ოცნებებით...

ოცნებები კი, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, მეც მქონდა. ჩამოთვლას არ დავინყებ, თუმცა ახლა რომ ვფიქრდები, ოცნებებიც

კი ძალზე მოკრძალებული მქონია. ერთი სიტყვით, ჩემნაირ ადამიანს „ნაცრისფერ თავს“ უწოდებენ და მეც, დიდი ხანია მივეჩვიე ამას.

რასაკვირველია, მინდოდა ვინმეს ვყვარებოდი, მეც მერბინა პაემნებზე, ფარული კოცნითაც დავმტკბარიყავი, მაგრამ ჩემზე არასდროს არავინ გადარეულა. ერთი-ორი თაყვანისმცემელი კი მყავდა, მაგრამ ვერ ვიტყვი ჩემით გადაირიფენ-მეთქი, ჭკუა ისედაც არ მოეკითხებოდა... თავად რამდენჯერმე ვიყავი უგონოდ შეყვარებული და ისიც ისეთ ტიპებზე, საერთო რომ არაფერი გვქონდა... არა, არავის მივუტოვებია, პირიქით, მე მივატოვე ისინი, იქიდან გამომდინარე, რომ არცერთმა მათგანმა არ იცოდა ჩემი გრძნობის შესახებ და დროთა განმავლობაში, ისევე, როგორც ყველაფერი ხუნდება, ჩემმა გრძნობებმაც იცვალეს ფერი. დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ შეყვარებული, თუ არ ჩავთვლით წიგნებისა და ფილმების გმირებს.

ახლა 35 წლის ვარ. ვმუშაობ ჩემსავით მოსაწყენ სამსახურში, ბიბლიოთეკაში და როგორც დედაჩემი იტყოდა, „წიგნების მტვერს ვყლაპავ“... ვის როგორ, მაგრამ მე არ ვთვლი ჩემს სამსახურს მოსაწყენად. ის კი არაა, ძალიან საინტერესოდ მეჩვენება ამდენი ავტორისა და გმირის გარემოცვაში ყოფნა.

სანწყენი ისაა, რომ ბიბლიოთეკამ დაკარგა თავისი პირვანდელი ხიბლი, რადგან თანამედროვეობა წიგნის კითხვას ინტერნეტსივრცეს ამჯობინებს. რას ვიზამთ, დრო ყველაფერს უცვლის იერსახესა და მნიშვნელობას და ბიბლიოთეკა რა გამონაკლისია. აბა როგორ უნდა დააჯერო ახალი თაობა, რომ ნამდვილი წიგნის კითხვას სხვა ემოცია ახლავს თან, რომ წიგნის სუნი, მისი ფურცლების შრიალი, მასზე ჩაძინებაც კი სრულიად სხვა შეგრძნებებია, რაც ონლაინ-წიგნის კითხვას, არა მგონია, ახასიათებდეს... ახლა ასე ვიმშვიდებთ თავს: „ოღონდ იკითხონ და სადაც და რაშიც გაუხარდებათ, იქ იკითხონ“ ...ჰოდა, ადვილად გასაგებია, რომ ბიბლიოთეკას, ძირითადად, სათვალისი ხალხი სტუმრობს. პენსიონერები, შუა ასაკის პროფესორები და ახალგაზრდა მეცნიერები. დარბაზს რომ გადახედოთ, სათვალის ლინზებიდან ასხლეტილი სინათლე მოგჭრით თვალს. ისინი თითქოს ერთმანეთს ჰგვანან. ბებია-ბაბუა-შვილ-შვილიშვილის ასოციაციას ტოვებენ, თუმცა მათ შორისაც არიან განსაკუთრებულად „უცნაურნი“ და გამორჩეულნი და მათთან ურთიერთობა მსიამოვნებს.

ასე რომ, მიყვარს ჩემი საქმე. სახლში დაბრუნებული მცირედ ნავიხემსებ, მერე მოვირთხამ



ფეხს დივანზე, მივიდგამ ბატიბუ-
ტითა თუ თხილით სავსე განიერ-
პირიან ჯამს და წიგნს მოვიმარ-
ჯვებ...

ეს სახლი ბებიაჩემმა დამი-
ტოვა. ამ სახლსაც, როგორც ჩემს
ცხოვრებასა და ვინტაჟურ ჩაცმუ-
ლობას, ნაფტალინის სუნის ასდის.
ეს ფიგურალურად, თორემ სახლში
მუდამ პედანტური წესრიგი სუფე-
ვს და არც მე ამდის ნაფტალინის
სუნი. ბებიაჩემი არისტოკრატი იყო
და მხოლოდ რარიტეტულ ნივთებს
ანიჭებდა უპირატესობას. სახლიც
კლასიკურ ფერებსა და ინტერი-
ერში ჰქონდა მოწყობილი. მისი გარდაცვალების
შემდეგ კარგა ხანი გავიდა, მაგრამ იერი არაფ-
რისთვის მიცვლია. მინდოდა, განა არა. საშინ-
ლად მაძიძიებდა ამდენი ჩუქურთმა და ხავერდი
ავეჯზე, სანთლებიანი ბროლის ქალი, შავი როია-
ლი, უძვირფასესი ფაიფურის ჭურჭელი, ლარ-
ნაკები თუ ფაქიზი „ბეზძელუშკები“... მაგრამ
მეგონა, რამე რომ შემეცვალა, ბებოს საიქიოშიც
ენყინებოდა და საერთოდ, ყოველთვის ყველას
ანგარიშს ვუწევდი, მკვდარსაც და ცოცხალსაც
და რა მერე...

ასეთი ცხოვრების წესიდან გამომდინარე,
სულ მცირე ერთი კატა მაინც უნდა მყოლოდა.
ერთი ფუმფულა, მწვანეთვალე კატა, მაგრამ
არ მყავს. სამაგიეროდ მყავს მტრედები აივანზე,
რომლებიც ზამთარ-ზაფხულ ღულუნით მალვიძე-
ბენ ერთსა და იმავე დროს.

შაბათობით მშობლებს ვსტუმრობ. ეს ოჯახ-
ური ტრადიციაა და დედა ყოველ პარასკევს მახ-
სენებს ამას. რატომღაც ჰგონია, რომ დამავი-
წყდება. არადა, ყოველთვის მახსოვს, რადგან ამ
შეკრების მიზეზით, შაბათი ჩემთვის მტკივნეული
დღეა და წინასწარ განვიცდი. რატომ? იმიტომ,
რომ არ მიყვარს ასეთი ძალად შეკონინებული წე-
სები. მშობლებთან მაშინ უნდა მივდიოდე, როცა
მინდა, როცა მომენატრებიან, როცა რაღაც მიხ-
არია ან მანუხებს და მათი მხარდაჭერა მჭირ-
დება და არა დაგეგმილად, მაინცდამაინც შა-
ბათობით. ვინ მიშლის სხვა დღეებში მისვლას?
არავინ. მხოლოდ ასე რამდენჯერმე მისულს, მი-
გრენით შეწუხებულ-თავნაკრული დედა არ დამ-
ლაპარაკებია, მამა კაბინეტიდან არ გამოსულა,
ხოლო ჩემი ულამაზესი და სახლში არასდროს
დამხვედრია. მხოლოდ ლაქის, ჩვენს ძალღს უხ-
აროდა ჩემი დანახვა... შაბათი კი, ოოოო, დიდი
დღეა. დედას ხილაბანდის ნაცვლად, ჩალმა ახ-
ურავს, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი აცვია და
შეუდარებლად გრაციოზულია. მამა ბოლო მოდ-



სათუნა გოზალიშვილი

ელის პიჯაკსა და ჰალსტუხშია
გამოწყობილი, თუმცა ზუსტად
ვიცი, ამ დროს საშინაო ხალათსა
და ჩუსტებზე ოცნებობს. ნინაკა
ჟურნალიდან გადმომხტარს ჰგავს.
ფეხის ფრჩხილიდან რომ დაიწყოს
და თმის ღერით დაამთავროთ
მისი დათვალიერება, ნაკლს ვერ
მოუნახავთ ვერც გარეგნობაში,
ვერც სამოსსა და მიხვრა-მოხ-
ვრაში. ლაქისაც კი სადღესასწაუ-
ლო ბაფთა უკეთია. სტუმრებიც,
ეგრეთნოდებული ოჯახის მეგო-
ბრები, მდგომარეობის შესაბამის-
ად გამოწყობილნი, მაღალი საზო-
გადოების საუბარს „ამაგრებენ“... ერთადერთი
უჯიშო, რომელიც ამ შესანიშნავ, ძვირადღი-
რებულ თაიგულს თავისი მინდვრის ყვავილის
გარეგნობით აფუჭებს, მე ვარ. დღემდე მიკვირს,
რატომ უნდა დედას, რომ ყოველ შაბათს მათთან
ვიყო. ვერ გამიგია. ალბათ, პრინციპების გამო,
თორემ გინდ ვყოფილვარ იქ, გინდ არა... სტუმ-
რებს ყოფნით ზრდილობა გამომელაპარაკონ, მა-
გრამ ჩემი პასუხები მხოლოდ „კი“-თი და „არა“-
თი შემოიფარგლება. ნინაკა კი როიალზე უკრავს,
მოდის ტენდენციებს და სახის დასაჭიმ ახალ
კოქტილებს აცნობს ქალებს, კაცებს პოლიტი-
კასა და ბიზნესზე ჩამოუგდება სიტყვას. ნინაკა
ყოველთვის, ყველგან ცენტრს იჭერს, ხმამაღლა
კისკისებს და საინტერესოა... მე კი ერთი უღიმ-
ლამო ბიბლიოთეკარი ვარ. მე თვითონ შევქმენი
ჩემზე ასეთი შთაბეჭდილება და გულმოსულიც
არავისზე ვარ. მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, როდის
დასრულდება ეს მომბეზრებელი საღამო, რომ
სახლში მისული წიგნს ჩაუფუჯდე, ანდა რამე საინ-
ტერესო ფილმს ვუყურო...

და აი, თქვენ ახლა ორ ახალგაზრდა ქალს
ხედავთ. ერთ მათგანს თვალს ვერ აცილებთ,
იმდენად მომხიბვლელია. არა, ეს მე არ ვარ, ეს
ჩემი უმცროსი დაა, რომელიც ძვირადღირებულ
საქორწინო კაბას ირგებს ერთი თვის შემდეგ
დანიშნული ძვირადღირებული ქორწილისთვის.
საქმროც ძალზედ ძვირადღირებული ჰყავს, ცნო-
ბილი ოჯახის ცნობილი შვილი... მიხარია ჩემი
დის გაბედნიერება (თუმცა ეს სიტყვა ყოველთვის
ეჭვს იწვევდა ჩემში), მაგრამ როგორც ქალების
უმეტესობას ქორწილის წინ, მით უმეტეს თუ ისე-
დაც „მებადურის ცოლის“-ნაირი ხასიათი აქვთ,
მისი ნერვული კოეფიციენტი ზღვარს მაღალი
შკალით გადასცდა და ყველას თითისწვერებზე
გვატრიალებს.

– შემომხედე, რას გაჩუმებულხარ, თქვი
რამე, მოგწონს თუ არა! – მე მიყვირის.





საინტერესოა, როდის აქეთ ენდობა ჩემს გემოვნებას ან ჩემს აზრს როდის კითხულობდა.

– ლამაზია კაბაც და შენც.

თვალებიდან უცბად ცრემლები სცვივა. მოდის და მეხუტება. გაცუბული ვშეშდები.

– დამშვიდდი, ეს წინასაქორწინო სტრესია და გაგივლის.

– არ გამივლის. – უფრო უმატებს ტირილს.

მხრებში ხელს ვკიდებ, უკან ვიხევ და სახეში ვაცქერდები.

საწყლად მიყურებს. ასეთი წინაკა არასდროს მინახავს. გული რაღაცას მკარნახობს.

– არ გიყვარს?

თავს აქნევს.

– მერედა ვინ გადალებს გათხოვებას?

უფრო უმატებს ტირილს. სკამს ასკდება და სახეს ხელებში მალავს. მის წინ ვიმუხლები და შეკითხვას ვუმეორებ.

– მა-ძა-ლე-ბეიევენ! – მოთქვამს, – ჩვენი სოციალური მდგომარეობა მაძაღეიეებს.

– რას ამბობ?

– მრცხვენია, მაგრამ გეტყვი: შენ ვერ გაამართლე დედის მოლოდინი, მეც როგორ გავუცრუო იმედი? ხომ იცი, რანაირია...

ვერასდროს ვიფიქრებდი წინაკა თუ ვინმეს ანგარიშს უწევდა.

– ხუმრობ?

სისულელე წამოვროშე. ნამდვილად არ ჰგავდა ხუმრობის ხასიათზე მდგარ ადამიანს, მაგრამ არც წინაკას ჰგავდა.

– მაშინ მეც გეტყვი: ვერ დამაჯერებ, რომ ამ ნაბიჯს მხოლოდ დედის გამო დგამ. სტატუსებს შენთვისაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველთვის, განა არა?

ტირილს წყვეტს და შემომცქერის.

– როგორ დავშორდით... ერთმანეთსაც კი არ ვიცნობთ, – მეუბნება ნალვლიანი ხმით.

ვფიქრდები.

მართლა როდის დავშორდით? ის ჩემზე ათი წლით პატარა იყო და მზრუნველობით ვეკიდებოდი. როცა წამოიზარდა, სკოლაში ხელჩაჭიდებული დამყავდა, ცეკვაზე და კონცერტებზე დავატარებდი, თმას ვვარცხნიდი და თასმებს ვუკრავდი, წიგნებს ვუკითხავდი და ინგლისურში ვამეცადინებდი... ერთად გავრბოდით წვიმისას გუბებში ჩასახტომად, ერთად დავდიოდით ზოოპარკში და ცხოველების თვალიერებისას ნაყინს ვტვლეუპდით...

ხანდახან, დედა წინაკას თმებს უკუღულულებდა, ბაფთებიან კაბას და ლაქის ფეხსაცმელს აცმევდა და თან მიჰყავდა. „დროა, ჩემი პრინცესა საზოგადოებაში გამოჩნდესო“ – ამბობდა. წინაკა დაღლილი მოდიოდა და მაშინვე ეძინებოდა. თუ

უარს იტყოდა წასვლაზე, დედა წარბებს მალლა აზიდავდა და „მე უკეთ ვიცი შენთვის რა არის საჭიროო“ – ეუბნებოდა.

– ნახე რა გიქნია ფეხსაცმელებისთვის. ისევ გუბებში გატოპე ხომ? კაბაც გაგხვია. ხეებზე იძრომიალე ალბათ... შენ ეს არ შეგფერის, ლამაზი ხარ, ჭკვიანი, სხვა ცხოვრება გელოდება, მე დამიჯერე, ამას რას უყურებ? – უთითებდა ჩემზე და მალლა თითქმართული მაშტერდებოდა:

– გაფრთხილებ, ბავშვს ნუ მისულელებ, მისი იმედილა მაქვს.

რამდენიმე ასეთი სცენის შემდეგ მე ბავშვის „გასულელება“ შევწყვიტე, წინაკამ კი პროტესტი დედის წინააღმდეგ, მაგრამ ჭირვეული გახდა. ნამდვილ პრინცესასავით იქცეოდა და თუ ბავშვურ გართობას დედა უკრძალავდა, საწაცლოდ ითხოვდა და ღებულობდა ყველაფერს რასაც მოისურვებდა.

ხანდახან, ღამით ჩემს ოთახში შემოპარული, საწოლში ჩამინვებოდა და თავს მხარზე მადებდა, ვგრძნობდი, როგორ ვენატრებოდი. და ერთხელაც, დედამ ასე ჩაძინებულებს, თავს რისხვა დაგვატეხა:

– ეს რა გლეხური ჩვევაა! ერთ საწოლში წოლა არაჰიგიენურია. სად არის შენი მანერები! – მკაცრად მიმართა წინაკას და ოთახიდან წაახუსხუსა.

დედას ჩემზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული. მე ტიპიური გლეხი ვიყავი მის თვალში. არც არისტოკრატიული გარეგნობა მქონდა და მით უმეტეს, არც მაღალი კლასის მანერები. ვერ ვიტყვი, რომ არ ვუყვარდი, მაგრამ მე, ჩემი უბრალოებით, დედას არ შევეფერებოდი. ამიტომაც ითხოვდა წინაკასგან უფრო მეტს.

რასაკვირველია, მენატრებოდა დედის მოფერება, მისი ჩახუტება, უბრალოდ, მის გვერდით ყოფნა. ხანდახან წინ ვუდგებოდი, რათა შეემჩნია როგორ მოვიწოდებოდი თმების დავარცხნა ან ლამაზი კაბის ჩაცმა, მაგრამ დედის შექებას სულ ტყუილად ველოდი. მერე გულნატკენი გავრბოდი მამასთან და თავს მის მკერდში ვრგავდი. მამა შუბლზე მკოცნიდა, თავზე ხელს მისვამდა და ვმშვიდდებოდი. მას ჩემი ესმოდა, ისიც ხომ „გლეხი“ იყო, ვეცოდებოდი, მაგრამ დედის წინააღმდეგ ხმას ვერ იღებდა...

ახლა ვხვდები, რომ ჩემზე მეტად წინაკა იყო შესაცოდი. ჩემგან არაფერს ითხოვდნენ და ისე ვცხოვრობდი, როგორც მინდოდა. გუბებშიც ვაჭყაპუნებდი, ხეებზეც ვძვრებოდი, მუსიკის გაკვეთილებზე სიარულსაც შევემევი, ჩემს ნებაზე ვიცვამდი, საწოლზე წამოკოტრიალებულიც ვჭამდი. წინაკა კი... წინაკას ცეკვაზეც უნდა ევლო, სოლფეჯიოც ესწავლა, მუხლებზე ხელ-



სახოცდაფარებულს აკურატულად უნდა ეჭამა, მაღალფარდოვნად ესაუბრა, მუდამ გაპრანჭულს ლაქის ფეხსამოსი თუ უჭერდა, ესეც მოეთმინა... დედამ მას ბავშვური თავისუფლება წაართვა და საკუთარი ნების ამსრულებლად გადააქცია.

თვალწინ წარმომიდგა ხმამალა, ჟინიანად მოტირალი პატარა გოგო, რომელიც გამუდმებით რაღაცას ითხოვდა. სინამდვილეში კი ვინ იცის, რა უნდოდა. იქნებ დამალობანას თამაში, ქვიშაზე სახლების აშენება, შოკოლადიანი ნამცხვრით პირის მოსვრა, საქანელაზე ბზრიალი, თმებგანწილი სირბილი და სიხარულის ყიჟინა ენატრებოდა...

ფიქრებს თავს ვალწევ და მოზლუქუნე ნინაკას ვეფერები.

– ახლა ვხვდები, როგორ გიჭირდა.

– ახლაც მიჭირს, ისეც იმას ვაკეთებ, რაც არ მინდა, – სლუკუნებს, – შენი მშურდა ყოველთვის, შენსავით მინდოდა მეცხოვრა.

– არც ახლაა გვიან.

ტირილს წყვეტს და კითხვის თვალთ შემომცქერის. თავს ვუქნევ. ერთი წამით საქორწინო კაბაზე აჩერებს მზერას და მომეხმარეო, მანიშნებს. დუგმებს ვუხსნი. მერე სწრაფად მივდივართ ჩემთან, სპორტულ ჩანთაში ვტენით საჭირო ნივთებს და ჩემს ძველ მანქანაში ვსხდებით. ნინაკა დედასთან და საქმროსთან ხმოვან შეტყობინებას გზავნის: „ქორწილი არ იქნება! არ მეძებოთ, დასთან ერთად ვარ“. ტელეფონებს ვთიშავთ და ხმამალა სიცილით ვიძვრებით წინ, თავისუფლებისკენ. ის არ მეკითხება სად მივდივართ, ჩემი იმედი აქვს. არც მე ვიცი სად ამოვყ-

ვით თავს, მაგრამ მეც ჩემი იმედი მაქვს. ორივემ მხოლოდ ის ვიცით, რომ ამ ყველაფერს დედის ისტერიკები და გულისნასვლა მოჰყვება, იტყვის რომ „ბავშვის გასუფლებას მაინც არ გავანებებ თავი“, რომ სასიძოს ცნობილი ოჯახი ძალზე შეურაცხყოფილი დარჩება (ვერც გაამტყუნებ), რომ უკან დაბრუნების შემდეგ ნინაკა ჩემთან იცხოვრებს და ერთმანეთს შევავსებთ. მე მისგან ვისწავლი რაღაცებს, ის ჩემგან და რთულ პერიოდებსაც ერთად დავძლევთ... რომ დილით მტრედები გაგვალვიძებენ ღულუნით, რომ სახლიდან გადავყრით ძველ ნივთებს, ხოლო ჩვენი გონებიდან ვინმეს წინაშე უაზრო ვალდებულებებს... დედა ოდესმე შეგვირიგდება ჩვენც და იმასაც, რომ თითოეული ადამიანი ინდივიდი და არავის უნდა მარიონეტად ყოფნა...

თქვენ ახლა ორ ახალგაზრდა ქალს ხედავთ. ერთი, არისტოკრატიული ნაკვთებითა და მოვლილი გარეგნობით, მაშინვე მოგხვდებათ თვალში. ეს ჩემი უმცროსი დაა. მეორეს, თუ კარგად დააკვირდებით, აუცილებლად მოიხიბლებით მისი უბრალოებითა და შინაგანი სილამაზით. ეს მე ვარ. ეს ჩვენ ვართ ქროლვისგან განწილი თმებითა და დაბერილი ნესტოებით, ალვისილი იმ იმედით, რომ წინ გველოდება ჭეშმარიტი სიყვარული, რომ გვეყოლება შვილები, რომლებსაც ვასწავლით პატიოსნებას, სამართლიანობას, კარგ მანერებს, მაგრამ არ შევზღუდავთ არჩევანის თავისუფლებაში... ეს ჩვენი სულიდან ამოხეთქილი სიხარულის ყიჟინა გესმით...

ეს ჩვენ ვართ...

ცხოვრება ის არ არის...

სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ უზარმაზარ ხეთა ფოთლების შრიალი და ჩემს წინ მიმავალი ქალის ნაბიჯების ხმა არღვევს.

საფლავეებს შორის გასავლელი გზა ძალზე ვიწროა. ქალი შიგადაშიგ ჩერდება და ეკლიან ბარდებსა თუ ფათალოს ტოტებს გვერდზე სწევს გზის გასათავისუფლებლად. ხშირად ჩიხში ვექცევით და უკან გვინვეს მობრუნება.

კარგა ხანია მივდივართ. მე არ ვიცი საით, მგონი არც ამ ქალმა. ერთსა და იმავე ადგილზე უკვე ბევრჯერ გავიარეთ, მაგრამ არაფერს ვეკითხები. მეშინია, უფრო არ დავაბნეო. ვდუმვართ და ნელა მივინვეთ წინ, იქნებ უკანაც – უკვე ამერია სათვალავიც და ორიენტაციაც.

„ახლობლის“ საფლავს ვეძებ. მითხრეს, რომ ამ ქალს შეეძლო ჩემი დახმარება. ოღონდ, ახლა ამაში უკვე ეჭვი მეპარება.

ქალი ტანსრულია და სიარულისას აქეთ-იქით

ირწევა, თითქოს ფეხებს მისი სიმძიმის ტარება უჭირთო, გვერდულად იბრიცებიან. ტერფებზე ქოშები აცვია და ისეთი ნაზი, ჩვილივით ვარდისფერი, გაპრიალებული ქუსლები აქვს, თვალს ვერ ვაცილებ. ფაშფაშა ტანზე კიდევ უფრო ფაშფაშა კაბა მოურგია და ბუთქუჩა მკლავზე ნაჭრის ჩანთა აქვს ჩამოკონწიალებული. დაძაბული ვარ. ასე მგონია, სადაცაა კაბის კალთა ბარდს გამოედება და ფხრენის ხმას გავიგონებ, ან ეკალი შეერჭობა ამ მოშიშვლებულ ტერფებზე.

ღმერთო, ნუთუ სხვა ჩასაცემელი არაფერი აქვს? ნოემბრის ბოლოა, ეს კი ფეხშიშველი და შილიფად ჩაცმული დადის... უკვე მრცხვენია ჩემი თბილი ქურთუკისა და კომფორტული ბოტასის გამო. ის კი მიდის, გამოშვერილ ტოტებს ხელით იშორებს და ვიწრო გასავლელში გვერდულად ცდილობს გაძრომას. ხანდახან ხმამალა ამოიხიხრებს და სვლას აგრძელებს.





ნაკვთებიც ალბათ სხეულივით ტლანქი აქვს – ვფიქრობ და ვცდილობ გავიხსენო როგორია, თუმცა, მხოლოდ იმ დროს შევხედე, მანქანაში რომ ჯდებოდა. მაშინ დავინახე ტუჩის ირგვლივ აბიზინებულ უღვაში და უხერხულობა რომ არ ეგრძნო იმნამსვე მოვაცილე თვალი. არა, მაინც რა შეუსაბამობაა ასეთი, ჩვილივით ნაზი ქუსლები და უღვაშიანი სახე...

– ბოლოს ყველანი აქ მოვალთ, – ვამბობ ბანალურ ფრაზას. არ ვიცი ვერ გაიგო, თუ „დუმილი თანხმობის ნიშანია“ უნდა მეგვარაუდა, არ გამომხმაურებია.

ნუ დამეთანხმება რა, ამანაც, ემანდ რამე არ შეცვალოს სიკვდილთან მიმართებაში – ვფიქრობ მასზეც და საკუთარ თავზეც გულმოსული და ვხვდები, ქალს ახლა ის სულაც არ ადარდებდა ყველა რომ ოდესმე აქ მოვიდოდით. ახლა მას სხვა გასაჭირი ედგა თავს – აშკარად არ ახსოვდა იმ საფლავის მდებარეობა, რომლის ჩვენებაზეც დამთანხმდა.

ეკლესიის ნანგრევებს მივადექით. ძლივს სუნთქავდა და ცოტა ხნით ჩამოჯდომა შევთავაზე. უარი მითხრა. ჩამოშლილ კედელს მიეყრდნო და თვალები დახუჭა.

– არ მახსოვს სადაა ის საფლავი, ვერ დაგეხმარები. – მითხრა უხეშად.

მეტი რა გზა იყო, მცდელობისთვის მაღლობა გადავუხადე და წაყვანა შევთავაზე. ხელები გაასავსავა და სახე გვერდზე იბრუნა. კიდევე ერთხელ ვკიდე თვალი ზედა ტუჩზე აბიზინებულ უღვაშს და დავემშვიდობე.

– საორიენტაციოდ, აი ის, ყველაზე მაღალი კიპარისი გქონდეს, მისკენ იარე და მანქანასთან გახვალ! – მომძახა და ხელით მიმართულება მაჩვენა.

თავი დავუქნიე და კიპარისისკენ ავიღე გეზი. ახლა მე მიწევს საფლავებს შორის გზის გაკვლევა, ბარდებით ხელების დაკანვრა. როდისმე გავაღწევ აქედან? – ვფიქრობ სასონარკვეთილი.

ჩემი მიახლოებისას ხეებიდან გუნდ-გუნდ ფრინდებიან ფრინველები. რამდენჯერმე ყვავებმაც დამჩხავლეს მაღლიდან. მივდივარ და უცხოთა მიღმიერი მზერა მომყვება უკან – ყველა ასაკის ადამიანის მზერა. ზოგი გალიმებულია, ზოგი კუშტი, ზოგს კი ისეთი გულუბრყვილო სახე აქვს, თითქოს თვითონვე არ სჯერა თავისი სიკვდილისო...

წამოწვიმა. შიში მეპარება და უკან ვიხედები. დიახაც, არსად გავრბივარ... დიახაც, ცოცხლები არიან საშიშნი და არა მკვდრები... დიახაც, ასეთი სიმშვიდე სხვაგან არსადაა... არ ვიცი რატომ, Ezio Bosso-ს „Rain, In Your Black Eyes“ მახსენდება და შიშის დასაძლევად პირდაპირ მიწაზე ვჯდებ-

ბი. აქაურ მიწას რალაცნაირი უცხო სუნი აქვს. უზარმაზარი ხეების ჩრდილში უმზეოდ დამპალი ფოთლებისა და სინესტის გემოც კი იგრძნობა – მომწარო, ნალველისმაგვარი...

ჩანთიდან ბოთლით წყალს ვიღებ და ნაჭრის ტილოში გამოკრულ სანთლებს ვხედავ. ეს სანთლები ბებიაჩემმა დამიტოვა სიკვდილის წინ და მთხოვა, კახეთის ერთ-ერთ სოფელში, ვინმე ნიკოლოზ სოფრომაძის საფლავი მეპოვა და იქ დამენთო.

– დოდომ, ჩემმა დისშვილმა იცის იმ ქალის ტელეფონის ნომერი, ვინც საფლავს გაჩვენებს.

შემდეგ, გაძვალტყავებული ხელებით, კისრიდან ბანრის საკიდზე ჩამობმული გულის ფორმის ფიგურა ჩამოიხსნა და ამ სანთლებს დაადო ზევიდან.

– ეს იქ დატოვე, საფლავზე... უთხარი, ვინც ხარ... უთხარი, რომ სიტყვა შევასრულე...

მეტი არაფერი, თვალები დახუჭა და მიდუმდა... ისე დატოვა ამიერი, რომ ვერ გავარკვიე ვის მოსაძებნად მგზავნიდა, ვინ იყო, ან საიდან მოხვდა ეს იმერელი კაცი კახეთში და რა სიტყვა შეასრულა ბებომ...

უკან ხომ არ წავიღებ ამ სანთლებს?

წამოვდექი. ახლომახლო ყველაზე მიტოვებულ, გაპარტახებულ სამარეებს ჩამოვუარე და სანთლები დავანთე. ვგრძნობდი, როგორ მითრევდა უსასოობა.

ოდესლაც ისინიც ხომ იყვნენ პატარები. იზრდებოდნენ და ოცნებებს დაატარებდნენ. თავისი წილი მიწა, ცა და მზე ეგულებოდათ, თავისი წილი სიყვარული... იპოვეს კი? მათ ამჟამინდელ სამყოფელს ზრუნვის რომ არაფერი ეტყობა? ალბათ აღარც შთამომავლები ჰყავთ ცოცხლები ანდა, ბედის საძიებლად გადახვეწილებმა სახლკარიც კი მიატოვეს, არათუ წინაპრების საუფლო...

ოდესლაც ესენიც ხომ იცინოდნენ, დარდობდნენ, უხაროდათ, სტიკოდათ, უყვარდათ, სძულდათ, ეშლებოდათ, სცოდავდნენ, ინანიებდნენ, სიმართლისთვის იბრძოდნენ, იტყუებოდნენ, შურს იძიებდნენ, პატიობდნენ, საიდუმლოს დაატარებდნენ და ბოლოს ბებიაჩემივით გაუმხელელად მიჰქონდათ მიღმიერში...

ღმერთო, რა პატარები ვართ სამყაროსთვის და რა დიდი ცოდვების დატრიალება შეგვიძლია...

გულდამძიმებულმა დავძარი მანქანა და ფიქრებში ჩაკარგულმა ნახევარი გზა ისე გავიარე, არც გამიგია.

ტელეფონი რეკავს. დოდოა.

– რა ქენი?! – ჩამკვივის.

– ვერაფერი, – ვპასუხობ უხალისოდ, – ვერ



მიაგნო იმ ქალმა საფლავს და ხელმოცარული ვბრუნდები.

– რა?! – გაჰკვივის უარესად, – როგორ თუ ვერ მიაგნო? მამამისის საფლავი აღარ ახსოვს?

– რა?! – ახლა მე ვყვირი გაოცებისგან, – მამამისის საფლავი უნდა მენახა? სოფრომადის შვილია ეგ?

– ჰოო, – ხმა დაუნია დოდომ, – არ მითქვამს ხომ?

– მოსაკლავი ხარ! – ლამის ყურმილში გავძვრე, – შენ კიდეც რა იცი, დოდო?

– არაფერი, გეფიცები, გარდა იმისა, რაც მანამდე გითხარი. ბებიაშენი ფულს მაგზავნიებდა მაგ ქალთან და სთხოვდა, საფლავი მუდამ მოვლილ-მონესრიგებული ყოფილიყო. ერთხელაც, ამ ქალმა დამირეკა და მკაცრად გამაფრთხილა – ფულს ნუ მიგზავნით, ისედაც ვუვლი მამაჩემის საფლავს... მაშინ გავიგე, რომ შვილი ყოფილა. როდესაც ბებიაშენს გადავეცი მისი ნათქვამი და მეტის გაგება მოვინდომე, სახე გაუშვებდა, პირზე კლიტე დაიდო და ისე შემომხედა, ვეღარ გავეუბნე რამე მეკითხა.

ნისლია გომბორზე. ვერაფერს ვხედავ. მანქანას ვაჩერებ, გადმოვდივარ და ბურუსში ვეხვევი. ხელში ხისგან გამოთლილი გული მიკავია და ლაპალუპით მდის ცრემლები.

რამდენი საიდუმლოს დატევა შეუძლია ადამიანს, რამდენი ტკივილის ჩაბრუნება თავისთავში, რამდენი და რამხელა ტვირთის ზიდვა ჩუმად, უთქმელად, მარტოდმარტოს, რამდენად დიდი სიყვარული თუ სიძულვილი სდევს თან მის სიცოცხლეს, რა ულამაზებს ჩანაცრულ დღეებს ან რა სატანჯველს მიათრევს წლები და წლები... რა, რა აძლებინებს?

არა, ვერ მოვისვენებ, ის ქალი უნდა ვნახო, უნდა გავიგო ვინ არის, რა კავშირი აქვთ სოფრომადებს ჩემს ოჯახთან... ცხადია, მან იცოდა ჩემი ვინაობა, ამიტომ მატარა ბარდნარში წინ და უკან, გამუდმებით რალაცას ატრიალებდა თავში, რალაცას ვერ წყვეტდა, რალაცის თქმა უნდოდა ალბათ და ვერ შეძლო. ან იქნებ შეძლო კიდეც და იმით თქვა სათქმელი, საფლავი რომ არ მაჩვენა? იქნებ ეს ერთგვარი შურისძიება იყო ბებიაჩემზე? იქნებ ეს ისეთი ისტორიაა, რომელმაც მის ცხოვრებასაც დალი დაამჩნია და ამაში ბებოს ადანაშაულებდა? ვინ იცის... უნდა დავბრუნდე, მის სახესაც გავუსწორო თვალი და იმასაც, რასაც მისგან შევიტყობ. მერე, საფლავი უნდა ვი-

პოვო და ეს ხისგან გამოთლილი გული გულზე დავეუსვენო იმ კაცს.

ქალის ნომერს ვკრეფ და:

– წყეულიმც იყავით! არც მკვდრებმა და არც ცოცხლებმა არ გაიხართ! მაშინ მიხვდებით მე რა ჯოჯოხეთშიც ვიცხოვრე! – მესმის გაავებული ხმა.

ვშეშდები... ესე იგი მართალი ვყოფილვარ, საფლავი იმიტომ არ მაჩვენა, რომ ბებიაჩემის ბოლო სურვილი ვერ შემესრულებინა – ამით იძია შური მასზე.

ბებო დამიდგა თვალწინ. ნეტავ რა უნდა შეეცოდა ასეთი? ნუთუ მისი შეგონებები ადამიანობაზე, სიკეთესა და მიმტყვებლობაზე ფარისევლობა იყო?

ეცადე, ისე არასოდეს დაგიძიმდეს სიტყვები, რომ პირიდან ქვებზე გცვიოდეს და ვინმეს მოარტყა... ეცადე, ისე არ დაგიძიმდეს ნაბიჯი, რომ სხვის გულს ჩლიქად დააბიჯო... ეცადე, ისე არ დაგიძიმდეს მზერა, რომ მისგან წამოსულმა სიცივემ სხვა გაყინოს...

ან იქნებ იმიტომ მმოძღვრავდა, რომ მეც მისნაირ ცოდვაში არ ჩამედგა ფეხი? ან იქნებ ცოდვაც არ იყო და გარემოებამ აიძულა რალაც ისეთის გაკეთება, რაც თავადაც არ სურდა?

ბევრჯერ მინახავს ფანჯარასთან გაშეშებული. ელოდა ვინმეს?

ამ დროს ხელით უნდა შეხებოდი, რომ გამორკვეულიყო.

– ფიქრებმა წამილო, – ნაღვლიანად ჩაიღიმებდა და თუ მის ფიქრებში ჩახედვას მოინდომებდი, ერთს გიპასუხებდა მხოლოდ:


– ცხოვრება ის არ არის, რაც შენ გგონია. ის გაცილებით მწარეცაა და გაცილებით ტკბილიც... მიდი და გაიგე, რას გულისხმობდა.

მანქანაში ვჯდები. ცრემლებს ვიმშრალე და ერთ ყლუპ ცხელ ყავაზე ვოცნებობ. ყოველი შემთხვევისთვის თერმოსს ვანჯღრე. ცარიელია. ისევ იმ ქალის ნომერს ვკრეფ და ახლა ვაანალიზებ, რომ მისი სახელიც არ ვიცი.

– უკან ვბრუნდები, – რატომღაც „შენობით“ მივმართავ, – ცხელი ყავა დამახვედრე, ნამცხვარს მე მოვიტან.

– მოდი, – ხმა ნამტირალევია და სინანულით გაჯერებული.

მანქანას ვატრიალებ და ახლალა ვამჩნევ – ნისლი ალაგებულიყო და წინ შუამთის ულამაზესი გზა მოჩანდა....



**ნუნუ
ქამუკაშვილი**

ნათო გოგოს უყიდეს –
კობცა ველოსიპედი;
უთხრეს: ნელა იარე,
ხარ – ოჯახის იმედი.

დარიგება ვაიგო,
ბეჭითია ნათია
და... გადადის ქუჩაზე,
როცა მწვანე ანთია.

ასეირნებს თოჭინას
და დაჰყვებათ რა ხიბლი;
ნატრომს, – ველოსიპედით
მაღლე იყოს – შტეიზრი.

ნუნუ ქამუკაშვილი



სამშობლოს

სულ, მტრედები ამშვენებდნენ ზეცას,
მშვიდი იყოს – ზეცის დიდი თალი;
მინას, ირგვლივ, ზურმუხტები ეცვას,
სიკეთე და სიხალისე რად ღირს!

ბულბულები გვითენებდნენ დილას,
გვიყვარხარ და გული შენთვის ლაღობს,
მზესთან ერთად, გეფერებით თბილად,
საქართველო, ჩვენო ედემ-ბაღო.

მზე, – უხრათვალა

ლამაზია მზე, ცხრათვალა,
მოხატული, მოქარგული,
ჩვენ უმისოდ როგორ გაძღვებთ,
გვეფერება ყველას გულით.

თუ, ამოსვლას აგვიანებს,
სხივებს იკრებს, თვალებს ნაბავს,
მოვდივარო, მოგიყვებით –
მთა და ბარის ლამაზ ამბავს.

ცა, ხან, წვიმას გამოგზავნის,
მინას – ცვარი-ნამი მოსავს,
ხან, გვაჩუქებს, სიხარულით,
ცისარტყელას – კრიალოსანს.

ჩვენი „ვეფხისტყაოსანი“

მე, – ტარიელი გახლავარ,
ჩემი ძმა კი, – ავთანდილი;
სეხნიები ვართ გმირების, –
საამაყო ნამდვილი.

ღებიც მყავს, სულ მთლად მზის დარი:
თინათინი და ნესტანი;

როდესაც ლექსებს ვკითხულობთ,
ნაზად ერხევა მზეს ტანი.

დაუნერია საუნჯე
რუსთაველს სულით, გულითა,
სათუთად ვფურცლავთ, ვამაყობთ,
ვეფერებით და ვუვლით, თან.

ბებომ ასე თქვა: მისმინეთ,
ამბავს გიამბობთ, – საოცარს...
მზითებში ქალებს, – ძვირფას გაძნს, –
ატანდნენ – „ვეფხისტყაოსანს.“

გაზაფხული

გაიშალნენ ვარდები, –
გვირილების ჯერია...
ნაზი შაშვისპირები
მზის საქებარს მღერიან.

შაშვებიც აქ არიან
ყველა ღამისფერია;
შაშვისპირებს, – სეხნიებს
თბილად ეფერებიან.

მთა და ბარი გვიყვარს და...
გული ნაზად გვიღელავს,
მოგვისმინეთ, გეთაყვათ,
თქვენთვის ვინცებთ სიმღერას.

მხატვარი ნატა

ნატამ ხატვა ისწავლა
და... დახატა – ჩიტები,
ვარდები და ზამბახი,
ნაირფერი ტიტებიც.

ჭიამაიაც მომწონს, –
წითელკაბა, კოპნია...
დავინახე პეპლები
იასამანს კოცნიან.



სულ მინდა, რომ ვხატავდე,
გულით ვამბობ, ხომ, მართლა!
მერე, სადმე, დარბაზში
გამოფენას გაემართავ.

ნიკას სურვილი

ზურა სწავლობს სკოლაში,
მეც სკოლაში მინდა!
აგერ, ჩიტი-ჩიორაც
სკოლისაკენ გაფრინდა.

ისე კარგად ვისწავლი,
თუნდაც მყავდეს ბადალი,
მაღალ ქულებს მივიღებ, –
რას მიქვია დაბალი?!..

ერთად ვივლით სკოლაში
ძმები: ნიკა, ზურა,
მოგიყვებით, ჩვენზე
სკოლა როგორ ზრუნავს.

გვირილები

ნახეთ, რა ლამაზი არის
გვირილების კრებული,
გული მზის აქვთ, ოქროს გული, –
ციმციმა და ქებული.

ფურცლები, ხომ, ფიფქებია, –
ცის თვალს დასადარები;
ხან, ჟუჟუნა წვიმა უყვართ, –
ხან, მზიანი დარები.

მზესუმზირას ედრებიან
გვირილების ამქარი...
სილამაზის მეჯლისია, –
ცხრათვალა მზეც აქ არი.

ყოჩალი ლალი

ქსოვა ისწავლა ლალიმ,
მადლობას უხდის ბებოს;
ბეკოს მატყლისგან ბებო
ძაფს ართავს სანაქებოს.

დაიკოს მოუქსოვა:
ბოლოკაბა და სვიტრი,
მადლობა, ჩემო ლალი,
და, – სამადლობელს იტყვის.

ახლა, დედიკოს უქსოვს:
ქუდსა და ლამაზ შარფებს;



ნუნუ კაბუკვილი

მოინადინა გოგომ, –
კარგად უხამებს ძაფებს.

მალე მოუქსოვს წინდება:
მამიკოსა და პაპას,
ყოჩალ გოგოზე – ბებო
გვიყვება ლამაზ ზღაპარს.

სანდრო და დაჩი

უფროსი ძმა არის სანდრო
და უმცროს ძმას ათამაშებს,
იგი თამაშს მეტ დროს ანდობს
ხანაც, ასეირნებს რაშებს.

მოდით, ერთად, გავაჭენოთ,
ვნახოთ, ჩვენი მინდორ-ველი,
საყვარელო ძმაო, დაჩი,
შენს სიკარგეს ყველა ველით.

ნიავი

რა კარგი ხარ, ნიავო,
ჯერ, არ იქცე ქარად,
ფოთლებს შორის სეირნობ,
ციმციმით და წყნარად.

ყველამ ვიცით, რომ ქარი
შენი ახლობელია...
შორს დგას ქარის წისქვილი
და ქარს იქ, თუ, ელიან.

წისქვილთან რომ ჩაირბენ,
ქარად იქცე, – სწრაფად,
პაპა სიმინდს გამოფქვავს
და მივირთმევთ ფაფას.

ტელევიზორთან

ტელევიზორს უყურებს –
ჩვენი ფისო, – ფისუნა...
აგერ, თავგი, რას ვხედავ?!
თავის ფეხით მოსულა!..

გამოდით, შევრიგდეთ,
თავუნია, წრუნუნა...
თამაშობ და... რა კარგად! –
როლი არ დაუნუნა.

ფისუნია, ფისუნა,
ჩვენი მტრობა ძველია,
ფილმში თუ ვიმეგობრებთ,
სხვა მხრივ, ნდობა – ძნელია...





ქეთევან ჭანკოტაძე

თელავის №1 საჯარო სკოლის
X კლასის მოსწავლე

სკამი

ყოველთვის მეუბნებოდი თუ რა ძალიან გიყვარდა გაზაფხული. გიყვარდა როგორ იღვიძებდა ბუნება, გიყვარდა როგორ იბრუნებდა მზე სითბოს, გიყვარდა როგორი ფერადი ხდებოდა ყველაფერი, გიყვარდა როგორ მოსდევდა ამ ყველაფერს ზაფხული. ახლა რომ ეკითხათ, რომელი იყო ჩემი საყვარელი წელიწადის დრო, ვიტყვოდი რომ ეს შენ ხარ, შენ ხარ ჩემი გაზაფხული. შენ გააღვიძე ჩემი ბუნება, შენ დამიბრუნე სითბო, შენ გააფერადე ჩემი სამყარო... შენი სიყვარული კი ზაფხულს მაგონებდა. ერთნაირად თბილი და კომფორტული იყო. მზიარული, მზიანი, ყველაზე საყვარელი... თანაც, ორივეს გვიყვარდა. თითქოს, ერთმანეთის გამო სიყვარული შევიყვარეთ. რას არ შევადარებდი შენს გამოჩენას ჩემს ცხოვრებაში: ცისარტყელას წვიმის შემდეგ ან წვიმას გვალვის მერე, ზამთარში გამოსულ მზეს, პირველ ყვავილს, მინის სურნელს ქარიშხლის შემდეგ, სუფთა ჰაერს დახუთულ ოთახში ჯდომის მერე, იმ შეგრძნებას, რომელიც გრძელი დღის ბოლოს მონატრებულ სანოლში ჩანოლისას გეუფლება...

თბილი ზაფხული გავიდა და ვსაუბრობდით ჩვენს მომავალზე, როდესაც ბავშვებთან ერთად მოვიდოდით და დავესხდებოდით ამ სკამზე. სიცოცხლის მარადიულობის სიმბოლოდ, შეილებით, და... მერე, – შეილიშვილებითაც მოვიდოდით. ეს სკამი რომელიც, ყველა დროს, თავისებური აზრით და მიზნით თავისებურ ხიბლს მოგვიტანდა.

ჩემი მთვარე

ვგრძნობდი, როგორ მიშვებდა ხელს ჩემი რჩეული. ვხედავდი, როგორ მიდიოდა უფრო და უფრო შორს. ილიმებოდა! ვერ ავხსენი რა ლიმილი იყო. ქარი მიწნუნავდა თმას და სუსხი მინითლებდა ლოყებს. ქუჩა ცარიელი იყო, სახლში მოვიჩქაროდი. სულ ერთი წუთით კიდევ დავეუგდე ყური საღამოს სიჩუმეს, ერთხელ კიდევ ავხედე მთვარეს, რომელიც თავის სურვილებს: რომ ყველა კეთილი ყოფილიყო, რომ ყველა სულდგმული ბედნიერად ყოფილიყო, – მიზიარებდა. ქარი კი ცდილობდა არც ერთი ფოთოლი არ დაეტოვებინა ხისთვის.

ჩემი ოცნების მიზეზი კი მიდიოდა ჩემგან, მაგრამ სითბო და სინათლე ჩემთვის დაეტოვებინა. ალბათ ილიმებოდა კიდევ... მეც ვუღიმოდი... ვიცოდი რომ აუცილებლად სავსე მთვარესთან ერთად დამიბრუნდებოდა...



მინდოდა ნამოვმცარიყავი, მათთან ერთად მეყინა, ჩავხუტებოდი, ხელით შევხებოდი და მათი სხეულები შე-
მეგრძნო. დარწმუნებული ვიყავი ძალიან გაუხარდებოდათ, რაღვან ჩემი დამსახურებაა, რომ ისინი გაროწხლდნენ. ყველაფერი უნდა მოვუყუცი! მინდოდა ნამოვმდგარიყავი, მაგრამ ვერ შევძელი. მინდოდა დამეძახა, მაგრამ ხმა არ მქონდა. მე არაფერი მქონდა! არ მქონდა პირი, ხელები, სხეული. მხოლოდ თვალები და ტვინიღა გამაჩნდა, მხოლოდ დანახვა და ფიქრი შემიძლო.

რომან სენჩინი



პროზაიკოსი, ლიტერატურის კრიტიკოსი რომან სენჩინი დაიბადა 1971 წლის 2 დეკემბერს ქალაქ კიზილში (ტუვის რესპუბლიკა). 2001 წელს დაამთავრა მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი.

მიღებული აქვს: გაზეთ „ლიტერატურნაია როსიას“ პრემია (1997), ჟურნალ „ზნამიას“ პრემია (2001), პრემია „ვერიკა“ (2002), პრემია „იასნაია პოლიანა“ (2014), პრემია „დიდი ნიგნი“ (2015).

სურათებიანი ცელოფნის პარკი

1.

როგორც ყველაფერი შემზარავი და აუხსენელი, ეს ამბავიც ეგრევე და მოულოდნელად დაიწყო. თითქოს ვიღაცის ძლიერმა ხელმა შემბოჭა და სადღაც წამათრია. ცხადი იყო, თავს ველარ დავიძვრენდი და აღარც წინააღმდეგობის განევას ჰქონდა აზრი.

სახლში ორი რამ მევალებოდა: ნაგვის გადაყრა და პურის ყიდვა. სამზარეულოს ნიჟარის ქვეშ გაკეთებულ კარადაში ცარიელი და სუფთა ვედრო უნდა მდგარიყო, საპურეში კი მუდამ ახალი პური ყოფილიყო.

იმ დღეს, როგორც ყოველთვის, გაკვეთილებს შემდეგ მაღაზიაში შევედი და პური და ცელოფნის პარკი ვიყიდე. მახსოვს, საკუთარ თავს ვუსაყვედურე, რომ დილით პარკი სახლიდან არ წავიღე.

ნავაჭრი სახლში ამოვალაგე და პარკი კაუჭზე დავკიდე, გვერდითა კაუჭზე კი პირსახოცი და ჭურჭლის ტილო ეკიდა. როდესაც პარკს ვკიდებდი მასზე გამოსახულ ფოტოსურათს მოგვარი თვალი. ერთი

შეხედვით, ჩვეულებრივი სურათია, პარკის ორივე მხრიდან ერთნაირი, არცთუ ახალგაზრდა, მაგრამ სიმპათიური ქალით, რომელსაც თმები ყვითელი ფერის საღებავით ჰქონდა შეღებილი. ქალს მსუბუქი, იისფერი კაბა ეცვა და ხელები, ფეხები და მოშიშვლებული მკერდი მოუჩანდა. კაბა ქსოვილის ნაკუნს უფრო მიაგავდა. ქალი ხალეზიან ხის ცხენზე იჯდა, ხელში კი ოქროსფერი ღვინით სავსე ორი ბოკალი ეჭირა. იცინოდა, დიდი თეთრი კბილები, ასაკისათვის შეუფერებლად ფუმფულა, გადატკეცილი პირისახე ჰქონდა და ხასხასა შავი თვალები ლალად მოეჭუტა. სიმპათიური, მომხიბლავი, პლაკატებისა და ჟურნალებისთვის განკუთვნილი სარეკლამო ფოტოების მენატურეა. გვერდით კი თეთრ პერანგში გამოწყობილი პეპელა-ჰალსტუხიანი მამაკაცი უდგას – ვენციელი მუსუსი მხრებამდე თმებით, ერთი კვირის გაუპარსავი წვერითა და თავშეუკავებელი ღიმლით. ქალს ისეთი რამ უთხრა, გააცინა.

2.

წესიერი და პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანი ვარ. როგორც ჩემი თანატოლების უმრავლესობას სჩვევია, გვიანობამდე არ ვერთობი, არ ვენევი, გაკვეთილებს არ ვაცდენ; მეგობარი გოგონა მყავს, ალიონა, ჭკვიანი და საყვარელი გოგოა. დროს ძირითადად შინ ვატარებთ, ხან მასთან, ხან – ჩემთან. ხანდახან კინოში, ან სპექტაკლზე დავდივართ, ან უბრალოდ ვსეირნობთ. სწავლით კარგად ვსწავლობ, თუმცა, აღმაფრენის გარეშე. ჰუმანიტარულ საგნებში ძირითადად ხუთიანები მყავს, აი მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიამი – სამიანები.

სალამო ხანს სამზარეულოში ვიჯექი, გაკვეთილებს ვამზადებდი და მაგიდის სანათის მსუბუქი შუქი სიმშვიდისათვის განმანაცობდა. დღემ კარგად, მშვიდად ჩაიარა. სკოლის შემდეგ, ალიონასთან ერთად, ორი საათი პარკში ვისეირნე და ახლახან წაკითხულ ნიგნებზე ვისაუბრეთ. ის ხეებიდან ჩამოცვენილ ლამაზ ფოთლებს აგროვებდა, მე ვეხმარებოდი. მერე გავაცილე და სახლში დავბრუნდი. კომპიუტერზე „ცივილიზაცია“ ვითამაშე, მშობლებთან ერთად ვივახშმე, მერე ისინი ტელევიზორს მიუსხდნენ, მე გაკვეთილებს ჩავუჯექი.





რთული საგნით – ფიზიკით დავიწყე. საშინაო დავალებად მოგვცეს მეჩვიდმეტე პარაგრაფი: „ინერცია“.

– „ყოველდღიური გამოცდილება გვაჩვენებს, რომ, სხეულის სიჩქარე შეიძლება შეიცვალოს მასზე სხვა სხეულის ზემოქმედების შედეგად. მაგალითად, მიწაზე დაგდებული ბურთი მხოლოდ მაშინ დაიწყებს მოძრაობას, თუ მას სხვა ბურთი დაეჯახება, ან ფეხს გაჰკრავენ“, – კითხვა ჩურჩულით დავიწყე, ისე როგორც მამამ ბავშვობიდან მიმაჩვია, რათა ნაკითხული უკეთ დამემახსოვრებინა.

ინერციის შესახებ ორი გვერდი ასე ჩურჩულით წავიკითხე და პარაგრაფის ბოლოს დასმულ კითხვებს ვუპასუხე.

– მოიყვანეთ მაგალითები, რომლებიც აჩვენებენ, რომ სხეულის მოქმედების სიჩქარე იცვლება სხვა სხეულის ზემოქმედებით, – თავი ვაიძულე, ჩავფიქრდი და ვიგრძენი, რომ ნაკითხულიდან ვერაფერი დავიმახსოვრე.

პარაგრაფი კიდევ ერთხელ გადავიკითხე და შევამჩნიე, რომ ჩემი ფიქრები სხვაგან დაქროდა, – გაუგებარი იყო სად.

„კარგი, ინერციას მოგვიანებით მივუბრუნდები“, – გადავწყვიტე, ფიზიკა გადავდე და სხვა სახელმძღვანელო დავითრიე – მშობლიური ქვეყნის ისტორია.

„ბურთი მხოლოდ მაშინ რატომ ამოძრავდება, როდესაც მას სხვა საგანი დაეჯახება? – უცებ კითხვა გამიჩნდა. – ძლიერმა ქარმა რომ დაუბეროს, ანდა მიწა იძრას?... ენეი ხომ საგნები არაა“. აზრები თავიდან მოვიშორე – ტვინის ჭყლეტის დრო არ იყო.

ისტორიაში საინტერესო გაკვეთილი გვქონდა: „სახალხო აჯანყება ალექსეი მიხაილოვიჩის მეფობისას“. სასწავლო წლის დაწყებამდე ეს სახელმძღვანელო თავიდან ბოლომდე წავიკითხე, ზეპირად ვიცოდი სპილენძის აჯანყება და სიამოვნებით დავიწყე გადაკითხვა. თუმცა, რამდენიმე სტრიქონის მერე კითხვა მომბეზრდა და მხოლოდ თარიღების გახსენებით დავკმაყოფილდი.

– სპილენძის ჯანყი – 1662 წლის ივლისი, – ვთქვი და ქრონოლოგიურ ცხრილში გადავამოწმე. სწორი აღმოჩნდა.

– აჯანყება სტეფანე რაზინის მეთაურობით – 1670-1671 წლები.

შესამოწმებლად სახელმძღვანელოში ჩავიხედე, იქ კი კაშკაშად და დამაბრმავებლად, თითქოს შიგნიდან განათდაო, ციფრებითა და ასოებით აჭრელებულ გვერდებზე გაკრთა სწორედ ის პარკზე გამოსახული ფოტოსურათი. წამიერად თვალი მოვხუჭე, მერე გავახილე. წიგნი ძველებურად გამოიყურებოდა, მაგრამ

სურათი ჩემს გონებაში აღიბეჭდა და იმ წუთიდან სამუდამოდ დამიკარგა სიმშვიდე. თითქოს ვილაცის ძლიერმა ხელმა შემბორკა და სადღაც წამათრია. სად? თითქოს ჩემში ვილაც ჩასახლდა და ბრძოლა დამიწყო. შიშმა შემიპყრო, მაგრამ ფოტოსურათმა კიდევ უფრო მიმიზიდა.

სახელმძღვანელო დავხურე, ავდექი და სამზარეულოსკენ წავედი. სასტუმრო ოთახის გადაკვეთისას სავარძლებში მსხდომ მშობლებს შევხედე, რომლებიც ფილმს უყურებდნენ.

დედამ ეკრანს თვალი მოსწვყიდა, ჩემი მზერა დაიჭირა და მკითხა:

– რამე მოხდა?

– არა, არაფერი, – მხრები ავიჩიჩე და ვიგრძენი, რომ ველავდი.

– ფერმკრთალი სახე გაქვს, დანეკი და დაიძინე. გაკვეთილები ისწავლე?

– კი, – მოვიტყუე.

ფრთხილად, ისე რომ არ ეშრილა პარკი კაუჭიდან ჩამოვხსენი, დაკვეციე, ტრუსის რეზინში ჩავჩარე და ზემოდან მათსურით დავფარე. მერე წყალი მოვუშვი და ჭიქა ისე გავანკარუნე, თითქოს წყალს ვსმვამდი.

მშობლებს მშვიდობიანი ღამე ვუსურვე და ოთახში ჩავიკეციე. სურათს დიდხანს ვათვალიერებდი, ჯერ პარკის ერთი მხრიდან, მერე – მეორედან. ხან მეჩვენებოდა, რომ ორივე ფოტოსურათი სავსებით ერთნაირი იყო, ხან საეჭვო, ძლივსშესამჩნევ განსხვავებას ვპოულობდი, მაგრამ მაშინვე ვკარგავდი.

საქმიანობამ ისე გამიტაცა, ყველაფერი გადამავიწყდა. ვერ გამეგო რა მაიძულებდა სურათებისთვის დაჟინებით მეყურებინა და მეყურებინა. მაგიდის საიდუმლო უფრაში ჟურნალ „ცდუნების“ რამდენიმე ნომერი მქონდა გადამალული, რომელთა ფურცლებზეც გამომწვევი, ლამაზი და აღმგზნები შიშველი ქალების ფოტოები იყო დაბეჭდილი, მაგრამ პარკის სურათზე არა აღგზნების, არა საამო ფანტაზიების, არამედ საიდუმლოს პოვნა მსურდა. ძლიერ ჟრჟოლამდე, უცნაურობამდე მისული შეგრძნება თავს არ მანებებდა – სადაცაა პეპელა-ჰალატუსიანი კაცი და ცხენზე მჯდომი ქალი შეირხეოდნენ, გაცოცხლდებოდნენ და დამინახავდნენ. მხოლოდ პარკის საგულდაგულად გასწორება იყო საჭირო და ქალი თვალს ჩამიკრავდა, მერე კვლავ მეგობრისკენ მიბრუნდებოდა და ბოლოს და ბოლოს ბოკალით ღვინოს გაუნვდიდა, ისინი ერთმანეთს ჭიქებს წკრიალით მიუჭახუნებდნენ და გადაჰკრავდნენ, ალაპარაკდებოდნენ, გაიცინებდნენ. მე ვუცდიდი. სახეში შევცქეროდი და ვუცდიდი – სადაცაა, აი ახლა...

3.

ექვსივე გაკვეთილი მოუთმენლობისგან ვცქმუტავდი. გამიმართლა, რომ გაკვეთილი არ გამომკითხეს, არაფერი მქონდა ნასწავლი, უფრო სწორედ – არაფერი მახსოვდა. ის კი არ მაშფოთებდა, რომ ცუდ ნიშანს მივიღებდი, – პარკზე გამოსახული ფოტოსურათი

რათი გამუდმებით და ავადმყოფურად მიზიდავდა. ვნანობდი, რომ პარკი თან არ წამოვიღე.

გაკვეთილების მერე სახლში გავიქეცი, პარკი ავიღე, ტახტზე ჩამოვჯექი და ყურება დავუწყე – კვლავ ქალის და კაცის გაცოცხლებას ველოდებოდი.




შიმშილის გრძნობა გამიქრა, დავივიწყე ალიონა, დავივიწყე პურის ყიდვის მოვალეობა, გაკვეთილების სწავლა.

რალაც ძალამ თავზე მომიჭირა და სურათის გარდა ყველაფერი წაშალა. უკვე პარკის შეხედვის გარეშეც ვხედავდი მომლიმარ მამაკაცს და მსუბუქ იისფერ კაბაში გამოპრანჭულ ქალს, მის თვალისმომჭრელად თეთრ, ქათქათა კბილებს, მის ქორფა, ხასხასა ტუჩებს...

ჩემი სიზმარი ზედაპირული იყო და სიცხიანივით ვკანკალებდი. გამუდმებით ერთსა და იმავეს ვხედავდი – გაშეშებულ ფოტოსურათს – და სიზმარში ველოდი, ველოდი, რომ ახლა, აი ახლა ქალი გაცოცხლდებოდა.

დღე და ღამე ერთმანეთს დაუსრულებელ მოლოდინად შეერწყა. წარმოსახული ნამდვილ ცხოვრებად, რეალური ცხოვრება კი ზედმეტ ტვირთად იქცა. ცუდ ნიშნებს ვიღებდი და მასწავლებლები შენიშვნებს მაძლევენ, რომ გაკვეთილებზე ზედმეტად ვწრიალებდი, უყურადღებო და მოუსვენარი გავხდი. მშობლებიც უკმაყოფილოები იყვნენ – სახლის საქმეებზე ხელი ავიღე.



რომან სახინი

ფოტოსურათის პირველად ნახვის მერე ოთხი დღე გავიდა. ალიონამ დამირეკა. ჩვენ ერთმანეთისგან შორს ვცხოვრობდით და სხვადასხვა სკოლებში ვსწავლობდით.

– რატომ აღარ მნახულობ? არც კი რეკავ!

– აი..... – არ ვიცოდი რა მეთქვა.

– მაპატიე....

– ავად ხარ?

– არა, – ვუპასუხე, მაგრამ უცებ ვიცრუე. – ხო, გავცივდი.

– საბრალო! რატომ არ დამირეკე და არ მითხარი? მე ხომ ველავ....

ვდუმდი და ალიონას სახის ცხადად გახსენებას ვცდილობდი, მაგრამ

ეს ვერ შევძელი. თვალწინ გადღაბნილი უფერული ლაქა კი თანდათან ფერადდებოდა და ხალებიან ცხენზე მჯდარ მოციწინარ ქალად გარდაიქმნებოდა, რომელსაც ჩამოქნილ ხელში ბოკალი ეჭირა.

– ალიონა, მაპატიე... ხვალ დაგირეკავ, – წავილულულუდე. ყურმილის დადების დაუძლეველ სურვილს ვენინააღმდეგებოდი, – კარგი?

– კარგი. – მისი ხმა განაწყენებულ-შეცბუნებულად გახდა. – გამოჯანმრთელდი.

4.

მოუსვენრად გატარებული ყოველი საზარელი და ჯადოსნური ღამე, მოლოდინში განვლილი ყოველი დღე უფრო და უფრო შორს მითრევდა. მშობლები აღელდნენ. ერთ საღამოს როგორღაც ჩემს ოთახში შემოვიდნენ (თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს ხვალინდელი ფიზკულტურის გაკვეთილისთვის პარკში კედებს ვანყობდი) და იმის გამორკვევა დაიწყეს, თუ რა მემართებოდა. პასუხის გაცემა არ შემეძლო. თავი ჩავეკიდე, ვდუმდი.

როგორც იქნა მამამ მკითხა:

– ალიონასთან ძველებური ურთიერთობა გაქვს? კითხვას მაშველი რგოლივით ჩავეჭიდე და მხრები ავიჩიქე:

– ისე... არა უშავს, რა, – მინდოდა მიმეხვედრებინა, რომ არც თუ ისე კარგი ურთიერთობა გვქონდა.

– რა, წაიჩხუბეთ?

– არაფერი... ისე...

– ნუ განიცდი, შერიგდებით. – მამამ თმები ამიჩიქა. – ამის გამო სწავლაში არ უნდა ჩამორჩე. ეს რას ჰგავს: ბოლო კვირაში ოთხი ორიანი მიიღე. აქამდე, ასეთი ნიშნები არ მიგიღია.

– ხო, – დამნაშავესავით დავეთანხმე, თუმცა იმასლა ველოდი მშობლები როდის წავიდოდნენ.

დასვენების დღეები სახლში გავატარე. ალიონამ კვლავ დარეკა, მაგრამ საუბარი ვერ შევძელი. ალიონამ ყურმილი დააგდო.

ორშაბათს, გაკვეთილების შემდეგ, პურის საყიდლად მაღაზიაში შევედი, მაგრამ რაც კი ფული მქონდა სურათებიანი პარკები ვიყიდე. დახლზე სურათის დანახვისას გული მომენურა და რალაც ეჭვის მაგვარმა

გამკრა. მაჟურალებდა, როდესაც მათ უცხო, გულგრილი ადამიანების ხელში ვხედავდი. პარკები გამოტენილი იყო რალაც მძიმეთი და გაქონილით. გადაწევიტე, დარჩენილი რამდენიმე პარკი მეყიდა და ძვირფას ადამიანებად ქცეული ქალი და მამაკაცი გადამერჩინა.

შინ დაბრუნებული ტყუუბივით პარკებს დიდხანს ვალაგებდი, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ, როგორც ერთნაირად ჩაცმული, ერთნაირად თმაშეკრეჭილი, ერთი სიმაღლის ადამიანები, რომელთაც თუ კარგად დააკვირდები მრავალ განსხვავებას აღმოუჩენ.

მეორე დღეს მთელი ჩემი დანაზოგი და თვის ბოლომდე სამყოფი პურის ფული დავხარჯე – ვიყიდე სამოცდარვა პარკი, კარადაში, ზამთრის ტანსაცმლის ქვეშ გადავმალე და წამდაუნუმ ვამონმბედი პარკები ადგილზე იყო თუ არა. უფრო და უფრო მოუსვენარი ვხდებოდი, მეჩვენებოდა რომ კარადიდან მხიარული გადაჩურჩულება, ჩუმი, ალერსიანი, გამომწვევი სიცილი ისმოდა.

იმ საღამოს მზად ვიყავი მშობლებისთვის საიდუმლო გამემხილა. მინდოდა მათთან მიმერბინა და პატიება მეთხოვა. მიკვირდა და საკუთარი თავის მრცხვენოდა – ცამეტი წლის ბიჭი ასეთმა სისულელემ როგორ ამიყოლია? მზად ვიყავი გამოვფხიზლებულიყავი, მაგრამ ძილქუშის მძიმე ტალღა დამანვა, გამსრისა და გაუხდელად, ისე რომ მაგიდის სანათი არ გამომირთავს ტახტზე დავნექი. რალაც დროის განმავლობაში – რამდენიმე წუთი, თუ რამდენიმე წამი ძილს ვებრძოდი – ვგრძნობდი, ჩათვლენა არ შეიძლებოდა.



თითქოს რალაცამ შემაჯანჯლარა, თვალები ფართოდ გავახილე, წუთით მკვეთრი სინათლისგან დავბრმავდი და მხედველობიდან რალაც გამომრჩა. როდესაც ნათებას შევეჩვიე, მზის სხივებით გავსებულ ოთახში ქალი დავინახე, ზუსტად ის – იისფერკაბიანი და ყვითელთმიანი ქალი, რომელმაც მარჯვენა ტერფი ხის ცხენის საზურგეს თავმომწონედ დაადგა და წინდა აიჭიმა. იასამნისფერი, თხელქუსლა ფეხსაცმელი გაზაფხულის მზის სხივებზე ელავდა და ლივლივებდა.

ქალი... ქალი გაცოცხლდა! მიუხედავად ყველაფრისა, სწორედაც რომ ცოცხალია. ნამდვილია... ის აღურსიანი ხმით ღიღინებდა, მისი მშვენიერი ხელები, მისი თმა, კაბა – ყველაფერი ნამდვილად იქცა, ახლა

იანი თეთრი პერანგით. ხელში კვლავ ოქროსფერი ღვინით სავსე ბოთლი ეჭირა. ისინი იცინოდნენ და ჩემთვის გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდნენ. კაცმა წვრილ, ნატიფ წელზე ხელი მოხვია, ქალმა მოხდენილი წელი შეზნიქა და კაცს აეკრა.

მინდოდა წამოვმხტარიყავი, მათთან ერთად მეცინა, ჩავხუტებოდი, ხელით შევხებოდი და მათი სხეულები შემეგრძნო. დარწმუნებული ვიყავი ძალიან გაუხარდებოდათ, რადგან ჩემი დამსახურებაა, რომ ისინი გაცოცხლდნენ. ყველაფერი უნდა მოვუყუცი! მინდოდა წამოვმდგარიყავი, მაგრამ ვერ შევძელი. მინდოდა დამეძახა, მაგრამ ხმა არ მქონდა. მე არაფერი მქონდა! არ მქონდა პირი, ხელები, სხეული. მხოლოდ თვალები და ტვინილა გამაჩნდა, მხოლოდ დანახვა და ფიქრი შემეძლო.

გატოკებას ვცდილობდი, გამოლიქება მინდოდა. არა, ეს სიზმარი არაა. სიზმარი არაა. როგორც ჩანს, მაგრად ვარ გაკოჭილი. რატომ?

ისინი ჩემგან ორ ნაბიჯში იდგნენ და ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. ნუთუ, ვერ მხედავენ?

ქალმა კაცის მკლავებისგან თავი ნაზად გაინთავისუფლა და რალაც უთხრა. კაცმა პასუხად თავი დაუქნია, სკამზე ჩამოჯდა და ბოთლის გახსნას შეუდგა. ქალმა მაგიდიდან ქალაქის ნახევები წამოკრიფა და ჩემკენ წამოვიდა. ახლა დამინახავს. ახლა!

მხატვარი სოფიო ქელიძე

ის ცელოფანის პარკზე გამოსახული ბრტყელი ფოტოსურათი აღარაა... ქალმა ფეხი ცხენის ზურგიდან ჩამოდგა და ბასრი ქუსლების კაკუნით ოთახში სწრაფად გაიარა, მაგიდასთან გაჩერდა, რალაც ქალაქლები გადასინჯა, ნაიკითხა და დახია.

ზარი დაირეკა და ქალი კარის გასაღებად გაიქცა.

წყნარად ვინექი, ვცდილობდი არ მემოძრავა. არ მესმოდა, როგორ მოხდა რომ ქალი აქ აღმოჩნდა. ანდა – მე როგორ აღმოვჩნდი აქ? ვცდილობდი ჩემი ოთახი მეცნო, მომეძებნა ნაცნობი ნივთები, ავეჯი, ნიგნები. არადა ყველაფერი უცხო იყო. ცხენი... თუმცა, არაფრის მემინოდა, უფრო სიხარულსა და შვებას განვიცდიდი, რომ ველირსე და ხორცშესხმული ქალი დავინახე. უკანასკნელი დღეები ხომ სწორედ ამაზე ვოცნებობდი.

კაცი შემოვიდა. ზუსტად ისეთი იყო, როგორც სურათზე – ჯაგარივით თმითა და პეპელა-ჰალსტუხ-

ქალმა ქალაქის ნახევები პირდაპირ თავში ჩამჩარა, მერე ქსოვილისა და მოყვითალო ბამბის ნაკუნები, სავარცხელს მოცილებული თმები და ცარიელი ფლაკონი ჩამტენა. გული მერეოდა, როგორც შემეძლო ისე ვენინააღმდეგებოდი, აქეთ-იქით დავცოცავდი, ვშრივლებდი, სული მეხუთებოდა და ვცდილობდი დამეყვირა.

ქალმა ხელი დამტაცა და წამაკონწიალა. მე მსუბუქი და ფაფუკი აღმოვჩნდი, მისი ლამაზი ხელისგულის სითბოს ვგრძნობდი და თხელ, ოდნავ ნოტიო თითებზე ვეკვროდი.

ალბათ, სამზარეულო ოთახი იყო, შეთვალეირება ვერ მოვასწარი... ქალმა რალაც თავსახური ასწია, ვინრო ხვრელში ჩამტენა და თითები გაშალა. ბნელი, მყრალი მილის სიცარიელეში ხათქახუთქით ჩავექანდი.



როინ
ჭიკაძე

მ
ლ
ა
ნ
ი
შ
ვი
ლი
მ
ა
ხ
ალ
ხ
ურ
ი
ენ
ის
ს
ი
ტ
ყ
ვი
ერ
ნი
და
ნ

რეზო ინანიშვილმა ხალხური ენის სიტყვიერებიდან გამოიზიდა და სავანისპირის „ორლონების ქართული“ უნოდ; მწერალი იხსენებს: „აი, ამ დღეებში გამაჩერა ერთმა განსწავლულმა კარმა და ვითომდა ხუმრობით მკითხა: რა ქართული ორლონების ქება აგიტყდა, კარო, ამ გაგანია კოსმოსის ათვისების ეპოქაშიო. მეუ ვითომ ხუმრობითვე მივუყვი: – ეგ შიშიდან მოდის, მეშინია, შენ, რომელსაა გგონია, შენი მიზნებისათვის საჭირო რაღაც მანერა და მანერა რხრა მთისა და რხრა ზღვის გადაღმა მოიძიება, ძირსდაყუხედავად არ გადათვლო შენს ნინ არსებული სი-რორხლები და მშვენიერებანი მეთქი.“

როინ ჭიკაძე

ო
ლ
ა
ნ
ი
შ
ვი
ლი
მ
ა
ხ
ალ
ხ
ურ
ი
ენ
ის
ს
ი
ტ
ყ
ვი
ერ
ნი
და
ნ



რეზო ინანიშვილის „სალამოს ხანის ჩანაწერები“

ლიტერატურ-ფრაზეოლოგიური

სალამოს ხანის ჩანაწერები

რეზო ინანიშვილის თხრობის სტილი ხალხური სასაუბრო ენითაა განპირობებული, რაზედაც თავადაც მიგვანიშნებს: ჩემს ნაწერებში მივმართავ ხოლმე სიტყვიერების იმ ფორმას, რომელსაც მეგობრულ საუბარში ვიყენებთ ჩვენი გრძნობების გადმოსაცემად, გიორგი ლეონიძისა არ იყოს, რეზო ინანიშვილის მოთხრობებიც გაჯერებულია იმ ლექსიკით, ბავშვობის მოგონებებს რომ უკავშირდება: „ჩვენს სოფელში შვიდასზე მეტი კომლი ცხოვრობს. ყოველ კომლს, რა თქმა უნდა, თავისი გვარი აქვს, მაგრამ შეიძლება კაცის მოძებნა მაინც გაგიძნელდეთ, რადგან ერთი გვარისა ხშირად ოცი-ოცდაათი კომლია. ამიტომ უმჯობესია მეკომურის მეტსახელი იცოდეთ. მეტსახელი კი თითქმის ყველას ჰქვია. არიან: ნეკრიჭამიანი, მგელიჭამიანი, ლიტრიძირიანი, დაბძანდიანი, ვირითავიანი და ვინ იცის, კიდევ ვინ აღარა.“



რეზო ინანიშვილი

საკომურ თუ პირად მეტსახელს უსაფუძვლოდ კი არ შეარქმევენ თანასოფლელები; პატარა მიზეზიც კი საკმარისია მთელი საგვარეულოს მეტსახელადაც რომ იქცეს: ერთხელ, თურმე ბატონს ჯოხი ჩაუვარდა ტალახში; პაპას ძმაკაცმა იასონამ სწრაფად დაავლო ხელი ბატონის ჯოხს, გარეცხა, გაამშრალა და დაუბრუნა ბატონს; ამის შემხედვარე გლეხებმა ატეხეს ხითხითი: „მოდი, ჯოხირეცხავ, მოდი! – დაუძახა დაყვავებით პაპაჩემმა. ის დღე იყო და ის დღე, იასონას ხომ შერჩა მეტსახელად ჯოხირეცხა, ეს სახელი ჰქვიათ მის შვილებს, შვილიშ-

ვილებს და შვილთაშვილებსაც. არის ჯოხირეცხაანთ შალიკო, ჯოხირეცხაანთ მიხა, ჯოხირეცხაანთ ვანუა, ჯოხირეცხაანთ ტრისტანა, ჯოხირეცხაანთ სპარტაკა, ჯოხირეცხაანთ ანეტა, ქეთუა, პეპელა, იზოლდა და ვინ მოსთვლის, კიდევ ვინ აღარა.“

ზოგის საკომური გვარი წინაპრის გარეგნობიდან მომდინარეობს: „ის ალაღე კი, ამირანის და ელიზბარის პაპის ძმა, ერთი იმათგანი ყოფილა, რომელთა გარეგნობის გამოც უნდა დარქმეოდათ დევიშვილებს დევიშვილები“, არავინ იცის რა წარმომავლობისაა გვარი ბუჭყიაშვილი, არც მოსწონთ თანასოფლელებს, მაგრამ მაინც ბუჭყიაშვილებს ეძახიან.

აქვე არიან მგელიჭამიანთ მიხა, ბახანი, გოგიაანი... ყრუვ სვიმანა, ძალათ კნიაზი, ევგენა მღვდელი, დაბძანდე...

ზოგი ზედსახელი გვარის ან სახელის შემოკლებიდან მოდის: „თანდილასთან მაინც ავიდოდი, შენ უკვე იცი, ვიზედაც გეუბნები, ნოდარი რომ ჰქვია და „თანდილა“ მისი გვარის თანდილაშვილის გამო დავარქვით“, „...თან ბიჭიც მიჰყავდა, გულბათი, ანუ, როგორც შემოკლებით ეძახიან, გულა.“

თანასოფლელის გვარს სახელად აქცევენ ხოლმე: „ამ კაცს ევგენი ჰქვია, მაგრამ ყველანი მხოლოდ დრეიძეს ეძახიან: დრეიძე, მოდი!, დრეიძე, ნადი! დრეიძე, ჭიქა ბოლომდე დაცალე! ცოლმაც კი ასე იცის ხოლმე თქმა: აი, ქა, ჩვენი დრეიძე რომ





ავად იყო...“

თვითონ მწერალიც გვარსახე-ლიან პერსონაჟს – მიხაკო ჯალიაშვილს – მხოლოდ გვართ მოიხსენიებს: ჯალიაშვილის ბოსტანი, ჯალიაშვილის ფერმა... ჯალიაშვილი გაუწყრა, ჯალიაშვილი გაბრაზდა...

რეზო ინანიშვილის პერსონაჟთა სოციალური სტატუსის ნიუანსები ხელშეშახებადაა გადმოცემული მათ სიტყვა-პასუხში:

„– ხომ კარგადა ხართ?

– კარგად, შენი კენესამე – მიუგეს თავდახრილმა გლეხებმა.

– ხომ კარგი პირი უჩანს მოსავალს?

– კარგი, შენი კენესამე.

– ხომ კარგად გექცევთ მამასახლისი?

– კარგად, შენი კენესამე.

– კარგად იყავით!

– კარგად, შენი კენესამე.“

ეს სოციალური ფონი კოლორიტულად იკვეთება გლეხიკაცის მორიდებულ ჩახითხითებაშიც კი:

„– ხიი-ხი-ხი-ხი! ხიი-ხი-ხი-ხი!

ბატონკაცურად – ვაა-ხა-ხა-ხა კი არა, გლეხურად, – ხიი-ხი-ხი-ხი“

აი, ეს სოფელ-ქვეყანაა რეზო ინანიშვილის შთაგონების წყარო, მისი სამკვიდრო და საცხოვრისი, „სადაც წკრიალ-წკრიალით, ვენებიანი ჟრჟოლივით და ერთმანეთის გასწრებით ჩამოდიან შვის სხივები მალლიდან, ციმციმა, დაელექტროებულ ოქროს ნემსების ჯოჯგუხად ადგებიან დედამიწას და როცა შიგ მიდიხარ და იმ ჯოჯგუხს მიამსხვრევ, შენი ფეხის ხმა მარტოობის მარად ზვიადი ღმერთის ფეხის ხმას წააგავს“, ეს ის სოფელ-ქვეყანაა, „...სადაც დასასვენებლად წვებიან დალილი, „დაბოჟირებული ღრუბლები“, „რომელიც მოგაგონებთ მატარებლის ფანჯარასთან აბოჟირებულ ნისლს“, სადაც „ნისლური ბოჟირით შემოდის დარუსული, დასუქებული, დაპენკილი საქონელი.“

„სხედან კახელები, ბოდბის ბოლოზე, სახელდახელოდ მოხობმიკებულ ფანჩატურში“, და თან გადიდჭირვებით ყვებიან სოფლის ამბებს, რასაც კიდევ უფრო ადიდჭირვებდა მათივე თანასოფლელი გიო, მათ საუბარს სატრაბახო ინტონაციის ელფერი დაჰკრავს: ნაბარი ჩაინვა, ჩაიშალა და იმ წელიწადს დიდი მოსავალი მოვიდა, კიტრი, კიტრი, კიტრი, რო უნახავი გახდებოდა კაცი, პური, პური, პური, რო შვინდის მარცვალი პირდაპირა...

მწერალი თანასოფლელთა ამ უწყინარ ტრაბახს ზოგჯერ ზღაპრის ენის სამოსელში გაახვევს ხოლმე:

– უჰ, მანდ როგორ ახვედი?

– დავდგი საჩეჩელი, ვკარ ზედ ბუქნა და ამოვხტი.



როინ ჭიკავა

რაოდენი სითბო და პატივისცემა იგრძნობა სოფლელთა ურთიერთ მიმართებებში, თუნდაც სხვაგნებური კაცი იყოს. აქაურები კი ასე ახასიათებენ ადამიანებს: ეს კაცი ლალია სიმართლესავითო, ესო – ცეცხლივით დაუნდობელიაო, ამას კალთით დააქვს სოფლის ბედი თუ უბედობა, იმას თვალი აქვს, რვა თვის ფეხმძიმეს მოსწყვეტს მუცელსო, ყველა ერთნაირი ხომ არ იქნება?! მათი მოსწრებული თქმით, ზოგი მეზობელი აკოკოლავებული კაცია, ზოგი – ქმარყოფამოშლილი ქალი, ზოგიც ჩირგვებში გამოზრდილი უკუღმ-

ართების ანგელოზია. ამიტომაცაა ესოდენ თბილი მათი ურთიერთმიმართებები: აგე, შვილო და ძმაო..., ჭრელია კაცთა მოდგმა, ძმისავ!

ანდა: – რა ლამაზია ეს ტიალი არა?... – ე, აზიზო, დიდი ხანია რაც ასდექი?... – სადღა მყავ ცხენი, მაიმუნო!... – აი, გაგიხმა ეგ ოცდაშვიდეკილოიანი გოგრა!

ამასობაში „ცა ზამთრისპირულად მოქურუშდა“, „ჩამოდნა თოვლი. ტყეები ისმოდა ჩამოშვავებული ლეშისა და მსხვილი წვეთების ხმელ ფოთლებზე დაცემის ხმა“, და „მურმური დიდი წყლისა“, თანაც წყალში შესული მამის ფეხებთან გაჩენილ ღურღულეებს უყურებენ ლაფში ჩაფლული „მაისა კი ინვა და მალ-მალე ამწკლატუნებდა ენას, აინევდა ფშვინვით, ცახცახით და მოეშვებოდა ისევ, ააყ-მუყუნებდა ტალახს“, მელა უხმოდ გაძვრება ძეძვებსა და ურო ბალახის ბუჯებს შორის, მაყვლის ფოთლებზე ჩამოკიდებული თავიდი გოჯილები ჩამოვიდნენ მიწაზე, სადაც „ბებერი მუხა აღერდილი იყო, უკანასკნელი ფოთლები, რა ხანია, რცხილებსაც დასცვივნოდათ, „საიდანაც ჩაბინდული ნიავი მოდის, მალა წასული კენწეროები რბილად გადმოსრილან ნაღვლისფერ მინისკენ.“

რეზო ინანიშვილმა ხალხური ენის სიტყვიერებიდან გამოზიდულ ამ საგანძურს „ორლობების ქართული“ უწოდა; მწერალი იხსენებს: „აი, ამ დღეებში გამაჩერა ერთმა განსწავლულმა კაცმა და ვითომდა ხუმრობით მკითხა: რა ქართული ორლობების ქება აგიტყდა, კაცო, ამ გაგანია კოსმოსის ათვისების ეპოქაშიო. მეც ვითომ ხუმრობითვე მივუგე: – ეგ შიშიდან მოდის, მეშინია, შენ, რომელსაც გგონია, შენი მიზნებისათვის საჭირო რალაც მაინცა და მაინც ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადაღმა მოიძიება, ძირსდაუხედავად არ გადათელო შენს წინ არსებული სიცოცხლეები და მშვენიერებანი მეთქი.“

და რეზო ინანიშვილიც სწორედაც რომ „ქართულ ორლობებში“ მოძიებული „სიცოცხლეებისა და მშვენიერებანის“ სასიტყვეთით ქმნის ქართული პროზის შედეგებს.





კახა გომბიასვილი (1966-1988)

